





## წინასიტყვაობა.

ეს წიგნი შეიცავს ზიკველ ცდას საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის გეოგრაფიული და სამეურნეო ცხოვრების სისტემატიურათ შესწავლისას.

ამ შრომას ჩვენ ვთვლით მხოლოდ ობიექტურ მასალების კრებულად, ისეთი მასალების, რომელიც ახსიათებს დასახელებული სამი რესპუბლიკის ეკონომიურ ცხოვრებას და ჩვენ სულაც არ გვაშინებს, რომ ბევრი ამ შრომას კომპლიმენტის ხასიათს მიაწერს. ჩვენ სიამოვნებით ვსესხულობდით ეკვლა ავტორებიდან ეთვლისიგერს, რაც კი საჭიროთ მიგვანდა და რაც, ჩვენის აზრით, მსურველს შეუმსუბუქებდა დასახელებულ მხარეების შესწავლას.

სამწუხაროთ შეძლება არ მაგვეცა გვესარგებლა ახალი სტატისტიკური მასალებით, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს წიგნი ისე, როგორც დაწერილია, უსარგებლო არ იქნება ობიექტური მკითხველისათვის.

ბ. ბ.

— : —

P. S. ეს მიმოხილვა დაწერილია 1918 წელს. ავტორი მას კითხულობდა, როგორც ამიერ-კავკასიის ეკონომიური გეოგრაფიის კურსს, ტფილისის ჰელიოტექნიკურ ინსტიტუტში 1919—1920 წლებში



## საერთო გეოგრაფიული მიმოხილვა\*)

საზოგადოებრივი ამიერ-კავკასია, ესე-იგი ის ტერიტორია, რომელიც შეიცავს სამს რესპუბლიკას—საქართველოს, ადერბეიჯანსა და სომხეთს, მეტათ მთიანია.

სივრცით ის უდრის № 817 ოთხ-კუთხ მილს ანუ 182.661 ვერსს. ის ერთ ნახევრათ დიდია რუმინიაზე, ორჯერ მეტია პორტუგალიაზე და უდრის ერთათ ვლედულოს: ბელგიას, დანიას, ჰოლლანდიას, სერბიასა და შვეიცარიას.

თავისი ადგილსახვით (ტოპოგრაფია), ჰიდროგრაფიით, ჰაერით, ნიადაგითა და საზოგადოებრივ ყოველივე ბუნებრივი და სამეურნეო პირობების მიხედვით, ეს მხარე ევროპის არც ერთ სახელმწიფოს ვერ ჩამოუვარდება. ბუნების პირობათა სხვა და სხვაობა აქ იმდენათ დიდია, რომ თითქმის ყოველ ადგილს ხეობას თავისი სპეციალური სახე და ელფერი აქვს.

„თქვენ აქ შეხვდებით ადგილებს, ამბობს ბ. ტოროპოვი, რომელიც თოვლის ხაზზე გაცილებით მაღლა მდებარეობს და იმავე დროს შრავლათ არის ისეთი ადგილებიც, რომელიც ოკეანეს დონეზე საგრძნობლათ დაბლა მდებარეობს. ეს გარემოება იწვევს ბუნების სხვა და სხვაობას. აქ ხშირათ შეხვდებით ვენახის, ბროწეულის და ნუშის ხის ბაღებს და იქვე—ისეთ მაღალ ადგილებს, სადაც პოლიარულ ქვეყნებს მცენარეები ცოცხლდება სულ მოკლე ხნით. და აქვე, ახლო, შეგხვდებათ იმდენად თბილი ადგილები, სადაც თავისუფლად ხარობს მირტი, კვიპაროსი, დაფნა, ბამბა, სორგო და ზოგან ვარდიც“.

საკვირველი უფრო ისაა, რომ ამისთანა განსხვავებული ფლორაა სულ ათ-თორმეტ ვერსით ერთმანეთზე დაშორებით.

დიდრონი მთების ქედებს ამიერ-კავკასია დაუყვია მთელ რიგ ცალკე გეოგრაფიულ, ეტნოგრაფიულ და სამეურნეო ერთეულებად. მთავარი კავკასი-

\*) იხილეთ: 1) X. A. Кермишев: „Земледелие у государственных крестьян Зак. края“ в „свод материалов по изуч. эк. быта гдс. крестьян Зак. края“, т. IV, стр. 1—559, 1888 г.

2) В. А. Лисовский „Закавказье“, ч. I. Местность Тифлис 1896 г. „Записки Кавказск. Отд. Русск. Геогр. Общества“, кн. XX.

ონის ქედი ამ მხარეს ჰსაზღვრავს ევროპის რუსეთიდან. ამ ქედის სამხრეთი კალთა უჭირავს ქუთაისის, ტფილისის, განჯის და ბაქოს გუბერნიების ჩრდილოეთ ნაწილებს, რაც მთელი ამიერ-კავკასიის  $\frac{1}{3}$  ნაწილს უდრის (1150 ოთხ-კუთხ მილს) სამხრეთ-დასავლეთის ნაწილი ამიერ-კავკასიისა უჭირავს მცირე კავკასიონის მზა-გრეხილებს (დაახლოებით 1115 კვ. მილი). ამიერ-კავკასიის შედარებით მცირე ნაწილს შეადგენს ველები და ვაკეები, რომელნიც უმთავრესად მოთავსებულნი არიან მცირე კავკასიონის და მთავარ უღელტეხილს შუა. ამიერ-კავკასიის დანარჩენ ნაწილს შეადგენს (ქართლ-იმერეთის მთების აღმოსავლეთით): ქართლ-იმერეთის ქედი, რომელიც აერთებს მცირე კავკასიონს მთავარ უღელტეხილთან (35 კვ. მილი), აგრძედაგის მთები, ამიერ-კავკასიის სამხრეთ საზღვრების დასავლეთი ნაწილი (42 კვ. მილი) და ლენქორანის, ანუ თალიშის მთები — იმავე სამხრეთის საზღვრების აღმოსავლეთის კიდე (65 კვ. მილი). ამნაირად ამიერ-კავკასიის ტოპოგრაფიის დამახასიათებელია მთა-გორიანობა. ვაკე ადგილები აქ მთელი ტერიტორიის ერთს მეოთხედზე ცოტა მეტს შეიცავს ( $0,28\%$ ).

ამიერ-კავკასიის ცენტრალური ნაწილი მაღალია. ის დაფერდებულია ორის მხრით: დასავლეთით — შავი ზღვისაკენ და აღმოსავლეთით — კასპიის ზღვისაკენ. ამ მხრის უმაღლესი ხაზი დიდი კავკასიონის ქედიდან მიდის სურამის, მესხეთისა და არსიის ქედებით. ეს ხაზია დიდი უღელ-ტეხილის ხაზი, რომელიც ყოფს წყალთა მიმართულებას: დასავლეთისკენ დაქანებული წყლები ერთვის შავ ზღვას, აღმოსავლეთისკენ — კასპიისას. რადგანაც ამ უღელ-ტეხილის ხაზიდან შავ ზღვამდე უფრო ცოტა მანძილია, ვიდრე კასპიის ზღვამდე, დასავლეთის მხრის მდინარეებიც უფრო მოკლეა, ვიდრე ის მდინარეები, რომლებიც აქედან კასპიის ზღვისაკენ მიდიან. შავი ზღვის მხარე სივრცითაც ორჯერ უფრო პატარაა კასპიის მხარეზე. პირველი უდრის მეორეს, როგორც 1:3,5.

აქ მთებს უმეტეს ნაწილათ ორი მიმართულება აქვს: ისინი გაწოლილი არიან დასავლეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, ან ჩრდილო-დასავლეთით.

ამ მხარის ზედა პირი, რომელიც დასერილია სხვა და სხვა მიმართულებით სხვა და სხვა ზომის მთებითა და ქედებით, წარმოადგენს ყველა ზომის სიმაღლეს, დაწყებული ზღვის დონიდან და გათავებული მუდამ თოვლით დაფარული მთის წვერებით. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ქმნის ბუნებრივ პირობათა სხვა და სხვაობას. დედამიწის ზედა პირის სხვა და სხვაობა იწვევს

სხვა და სხვაობას ჰაეისას და ყოველი იმის სხვა და სხვაობას, რაც დამოკიდებულია ჰაეაზე. „ეს მხარე, დაფარული მაღალი მთებით, არდიგარდმო დასერილი მთის ზოლებითა და ხეეებით, ჩვენ გვაგონებს რაღაც უზარმაზარ სხვა და სხვა ფორმის, ზომისა და სიღრმის ფიჭის უჯრედებს. იგი ერთის მხრით მიმართულია ცივ ჩრდილოეთისაკენ, მეორეთი—თბილ სამხრეთისკენ: აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით კი ის სრულიად ღიაა საშუალო აზიის უდაბნოებიდან მონაბერი მტვრიან და მხურვალე ქარებისთვის. იმავე დროს დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთით, შავი ზღვის მხრით, იგი ღიაა ზღვის ჰაეისათვის, რომელიც შეუწყვეტლათ უგზავნის მას დიდძალ სინესტეს. ეს შავი ზღვიდან მონაბერი ქარები თანდათან ცივდება აღმოსავლეთისკენ მიმდინარეობის დროს და ქმნის სქელ ღრუბლებს, მესხა და ხშირ ნიაღვრიან წვიმებს, რომლის წყლებიც მრავალი მდინარეებისა და დედეების მეოხებით უბრუნდება შავ ზღვას...

აქედან წარმოსდგება დაუსრულებელი სხვა და სხვაობა: ამ უაღრესად რთულისა და საინტერესო მთიანი მხარისა, მისი გეოლოგიური, ჰაეისა და ფლორის სხვა და სხვაობა... ეს დაუსრულებელი თამაში სითბო-სინათლის ტალღებისა, ეს უაღრესად რთული უხმო და უსიტყვო ჰარმონია აქაური ბუნებისა ცხადთ გამოიხატება მცენარეთა სამეფოში, რომლითაც დაფარულია აქაური მთები. ეს ცხადთ აშკარადება ამ მცენარეთა ფორმების დაუსრულებელ სხვა და სხვაობაში; და აგრეთვე მათ გემოვნებისა და სურნელოვნების სხვა და სხვაობაში. თქვენ აქ ხედავთ, როგორც აღმოსავლეთის მწველი სიცხის ამტან მცენარეებს (ქსეროფილი), ისე ნესტიან დასავლეთის პატივის მოყვარულ მცენარეებს (ჰიდროფილი)“.\*)

### ამიერ-კავკასიის ტბები, ჭაობები და მდინარეები.

ამიერ-კავკასია საკმაოდ მდიდარია ტბებით, რომელთა უმეტესობაც მდებარეობს  $41\frac{1}{2}$  ათასი ფუტით ზღვის დონეზე მაღლა. გოგჩის ტბის შემდეგ (6.000 ფ. ზღვის დონეზე მაღლა მდებარეობს) ცნობილია ხოზაპინი, თაფარავანი, ჩალდირი, ხანჩალი-გელი და ტაბასწყურის ტბა. ყველა ეს ტბები შეიძლება გაიყოს მთის ტბებათ და ისეთებათ, რომლებიც დაბლობებში მდებარეობენ; ისეთებათ, რომელნიც ირგვლივ გარემოცული არიან ნაპირებით

\*) კლინგენი. „შორეულ და მახლობელ აღმოსავლეთის მიწის მეურნეთა პატრონარქებს შორის“. შესავალი.

და თავის წყლებს არც არსად აგზავნიან და არც სხვა რომელიმე ტბიდან ან მდინარიდან არ იღებენ, და ისეთებათ, რომლებიც ღელეების საშუალებით უერთდებიან სხვა რომელიმე ტბებს ან მდინარეებს. აქ ტბები არიან მუდმივი და დროებითი ხასიათისა; უკანასკნელები ჩნდებიან წყალდიდობის დროს. აქ შევხვდებით, როგორც მლაშე წყლიანს, ისე სასმელ წყლიან ტბებს. მთის ტბები მდებარეობენ მაღალ ქედთა შორის დაფენილ ველებზე. მათში სქარბობენ ისეთები, რომლის წყალიც წმინდაა და სასმელათ ჩინებული—ამ ჯურის ტბების უმეტესობა აძლევს დასაწყისს რომელიმე მდინარეს, რომლის საშუალებითაც ის უგზავნის ბარს თავის წყლებს. დროებითი ტბების უმეტესობა მდებარეობს კასპიის ზღვის დაბალ ნაპირებში და ივსება მტკვრის, არაქსის, ან რომელიმე სხვა მდინარის გადიდების დროს. ასეთი ტბები ქაობებს უფრო ჰევანან, ვიდრე ტბებს. მათი ნაპირები დაფარულია ლაქაშითა; კალამ-წალამითა და სხვა ქაობის მოყვარე მცენარეებით, და თვითონ წყალიც ერთობ ცუდი და მავნებელია. დაბლობში მდებარე ტბათა შორის საყურადღებოა ქ. ფოთის მახლობლათ მდებარე პალეასტომის ტბა, რაც ბერძნულ სიტყვიდან წარმოსდგება და ნიშნავს მდინარის ძველ შესართავს. ამ ტბის სიგრძე-სიგანე დაახლოვებით 4 ვერს უდრის. წყალი შიგ მომწვანო მოყვითანოა; სასმელათ ხმარობენ, მაგრამ დამძალი გემო აქვს და მავნებელიც არის. ზაფხულობით ტბის ზედა პირი ლეყებოთია დაფარული; ეს ლეყებო მზის სხივების გავლენით ლპება და ზამთრობით ძირს ეშვება. გაზაფხულზე წყლის ზედა პირი ხელ-ახლა იფარება ახალი ლეყებოთი. ამ ტბის ნაპირები ქაობიანია და ლაქაშით არის დაფარული. ეს ტბა პატარა მდინარე კაპარქათი უერთდება შავ ზღვას. კაპარქას ერთვის პატარა ღელე პიჩურა, რომელიც გურიის მთებიდან გამოდის.

მთების ტბებს შორის ყველაზე შესანიშნავია გოგჩა, რომელიც სიგრძით 70 ვერსს უდრის, განით 30 და მთელი მისი სიგრძის რაოდენობა აღემატება 1200 ოთხ-კუთხ ვერსს. ამ ტბის წყალი სრულიად ანკარა და უმარილოა. ის მდიდარია თევზით; უფრო კი ის სახელ-განთქმულია ორი ჯიშის კალმახით: იშხანათი და გელაქნურით. ტბის ნაპირები თითქმის ყოველის მხრიდან კალმით დაფარული მთებით არის გარემოცული, სადაც აუარებელი სხვა და სხვა ჯიშის ფრინველი ბუდობს.

**ჩალდირის ტბა** ყარსის ოლქში მდებარეობს (6.500 ფუტით ზღვის დონეზე მაღლა). ის სიგრძით უდრის 19 ვერსს, სიგანით—15 ვერსამდეა. ეს ტბაც თევზით არის სახელ განთქმული. აქ უფრო მეტ ნაწილათ იქერენ კალმახსა

და კობრს. ამ უკანასკნელი ჯიშის თევზი აქ ისე ბევრია, რომ გლეხები ნაპირებიდან კომბლებით მრავლობით ხოცვენ მათ, უმეტესათ შემოდგომაზე.

**თაფარავნის ტბა** მდებარეობს ალექსანდრეპოლის მაზრაში, ერევნის გუბერნიისში (ნ. 600 ფუტით ზღვის დონეზე მაღლა). სიგრძე ცხრა ვერსი აქვს, განი—5. ტბის მთელი სიგრძე 32 ოთხ-კუთხს ვერს უდრის. ეს ტბაც თევზით არის მდიდარი.

სხვა ტბებზე აქ არ შევჩერდებით.

დ—რი ტოროპოვის აზრით, კავკასიის ტბებს თითქმის არაფერი მნიშვნელობა არა აქვთ ამ მხარეში სითბოსთვის. პირ-იქით ეს ტბები თვითონ ადგილობრივ ბუნებრივ პირობებს ექვემდებარებიან.

კავკასიის აქეთა მხარეში, როგორც ვაქე ადგილში, ისე მთის პრტყელ ადგილებშიც, ხშირათ შეხვდებით დიდრონ ქაობებს, რომელიც ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს: პირველი ჯგუფის ქაობები წარმოსდებიან მდინარეების გადიდების დროს ნაპირებიდან გადმოსული წყლიდან, რაც ჩვეულებრივათ ამ მდინარეთა შესართავში ხდება; ამ გვარ ქაობებს მრავლობით ქმნის ზღვის დეღვის დროს ნაპირის დაბლობებში დაგუბებული წყალი და აგრეთვე დაბლობებში დაგუბებული წვიმის წყალიც მეორე ჯგუფისას ეკუთვნის ის ტბებ; რომლებიც ხელოვნურათ ჩნდება თვით მცხოვრებთა დაუდევრობით, რომლებიც ბრინჯსა და სხვა ყანების მორწყვის დროს აგუბებენ წყალს და ხელოვნურათ ქმნიან ქაობებს.

ბუნებრივი ქაობები უფრო ხშირია კასპიის ზღვის ნაპირებში; სახელდობ მტკვრის შესართავში. ასეთსავე ქაობებს ვხედავთ შავი ზღვის პირათ, მდ. რიონის შესართავში, მაგალითათ, კალაღიდისა და სხვა ტყეების ტბები.

ამიერ-კავკასიაში საკმაოთ ბევრია მდინარეები და მთის დეღეები. მაღალი მთები, რომელთა შორის ერთობ ბევრია მუდმივ თოვლით დაფარული, აძლევენ დასაწყისს მრავალ დეღეებს, რომელთა რიცხვიც უფრო მეტია გაზაფხულობით, თოვლის დნობის დროს. ეს დეღეები საშინელის სიჩქარით და ძლიერებით მიექანებიან ძირს და თან მოაქვთ უამრავი ქვის ნატეხები. რადგან აქაური მდინარეები დიდი სიმაღლიდან ჩამორბიან და რადგანაც ისინი საშინელის სიჩქარით მიაქანებენ თევზის წყლებს ზღვისაკენ, ამიტომ მათში ხაოხნობა თითქმის შეუძლებელი ხდება. მხოლოდ ზოგიერთ ამ მდინარეებშია შესაძლებელი ხეტყის მასალის ტივათ ჩამოშვება; უმეტეს ნაწილათ კი ხეტყის მასალას მხოლოთ თითო-თითო მორებათ უშვებენ, ძირს და შემდეგ, როცა მდინარე სწორ ადგილზე გამოდის, აგროვებენ. არიან ისეთი მდინარე-

ებიც, რომლებიც ისეთის სიძალდიდან ეშვებიან ძირს, რომ გაშმაგებული და აქაფებული გარბიან ზღვამდე; ასეთია, მაგალითათ, მდინარე სამურაი, რომელიც კასპიის ზღვას ერთვის და რომელზედაც შეუძლებელია არა თუ ნაოსნობა, ტივითაც კი ხეტყის მასალის გამოტანა. მთებიდან გამოსვლის შემდეგ აქაური მდინარეები ნელ-ნელა მიდიან; ნაპირები თითქმის ყველას დაბალი აქვთ; ამიტომაც ეს მდინარეები წყალდიდობის დროს ნაპირებიდან გადმოდიან და დიდ-ძალ მიწებს აჭაობებენ და ახდენენ. ამიტომაც რომ აქაური მდინარეთა უმეტესობის ნაპირები დაფარულია ლაქაშითა და კალძით, რაც ხელს უწყობს მალარიის კოლოების მილიარდობით გამრავლებას. ეს არის მიზეზი, რომ ამ მდინარეთა უმეტესობის შესართავებში და საშვალო ნაწილებშიც საშინელი მალარია მძვინვარებს. ეს სენი მუსრს აფლებს აქ როგორც ადამიანებს, ისე ცხოველებსაც.

მთის ღელეები თოვლის დნობის დროს დიდ ზიანს აძლევენ მცხოვრებლებს: ავსებენ წყლით დიდ მანძილსა და აჭაობებენ, ყრიან სახსავ-სათეს ადგილებში დიდრონ რიყის ქვებსა და ხრემს, ღუპავენ ვენახებსა და ხეხილის ბაღებს და ხშირათ მთელი სოფელიც ხდება ასეთი სტიქიური უბედურების მსხვერპლი. (ასეთ მოვლენას ადგილი ქონდა 30 აგვისტოს 1906 წ., როცა საშინლათ დაზიანდა სოფელი ყვარელი).

შავი ზღვის ნაპირათ მდებარეობს ქუთაისის გუბერნია და სოხუმის და ბათუმის ოლქი.

ქუთაისის გუბერნიაში მთავარი მდინარე რიონია, რომელიც კავკასიის ქედში, გამოდის სამ ტოტად. ამ ტოტებიდან ერთი იწყება ედენის მთის-მახლობლათ, მეორე, აგრეთ წოდებული ღების წყალი, გამოდის ფასის მთიდან, მესამეს გლოლის წყალს უწოდებენ. ქალაქ ონამდე, სადაც რიონი ირთავს მდ. ჯეჯორას, ის საშინელის სისწრაფით მიაგორებს ტალღებს, აქედან კი ის უფრო დინჯათ მიექანება. აქ მდინარე რიონი უხვევს დასავლეთისაკენ და რწყავს საკმაოთ ფართე ქალებს, რომელიც მხოლოდ ალაგ-ალაგ ვიწროვდება მაღალი მთებით. სოფელ ცაგერთან რიონი უხვევს სამხრეთისაკენ, გამოდის ქუთაისის მახლობლათ ფართო ქალებში და მდ. ყვირილის ჩასართავამდე შედარებით კიდევ ჩქარა მიდის. აქ კი რკალივით იხნიქება დასავლეთისაკენ თანდათან ფართოვდება და სულ ნელ-ნელა მიდის ქვევით. მდ. გუბის წყალიც ჩასართავიდან ის კიდევ უფრო მდორდება და ისე მიიხლანხნება შავ ზღვამდე. ქუთაისს შემდეგ რიონი ხან ძალიან ვიწრო ნაპირებში მიდის (40 საჟენი), ხან კი საგრძნობლად ფართოვდება (200 მდ). მდ. რიონში მდინარე ყვირილამდე შესაძლე-

ბელა ნავოსობა; შავი ზღვიდან ორპირამდე კი (მდ. ცხენის წყალის შესრთავამდე) ერთ დროს გემებით მოგზაურობაც იყო გაჩაღებული. რიონი სიგრძით 260 ვერსს უდრის. წარსულ მე-XIX საუკუნეში, როცა ამ მხარეში რკინის გზები არ იყო, შავი ზღვიდან ორპირამდე პატარ-პატარა გემებით მიდიმოდიოდნენ. ეს საქმე აქ დაიწყეს თ—დი ვორონცოვის ნამესტნიკობის დროს (წარსული საუკუნის 50 წლებში). ვაჭარი სურაცკევის გემები, რომელთა წყალჯდომა  $1\frac{1}{2}$  არშინს არ აღემატებოდა, მიმოდიოდნენ ფოთიდან ორპირამდე, ამ მანძილზე წყლის კალაპიტის გასაწმენდათ ხაზინა ყოველ წლოვით ხარჯავდა 6.000 მანეთს. ძველათ, საქართველოში რუსების შემოსვლამდე, ნაოსნობა ფოთიდან ქუთაისამდე ყოფილა გაჩაღებული.

რიონს მარჯვენა მხრით ერთვიან შემდეგი მდინარეები: საყაური, ანუ საყანაური, ლაკვუანი, ანუ ლახაუანი, რიცეული, აოხი, ლანჯური, გუბისწყალი, ცხენის-წყალი (ეს ყველაზე უფრო მოზდილი და მნიშვნელოვანი მდინარეა, რომელიც ბერძნების მწერლობის მიერ ცნობილია ჰიპოსის სახელით)\*).

მარცხენა მხრიდან რიონს შემდეგი მდინარეები ერთვიან: გერული, ჯეჯორა, შარაული, ლიხიდარო, ხევის-წყალი და ყველა ამათზე უფრო დიდი და მნიშვნელოვანი—მდ. ყვირილა.

რიონი თავისი შტოებით რწყავს თითქმის მთელი ქუთაისის გუბერნიის დასავლეთ ნაწილს სულ ცოტა გამოკლებით, რიონს ზემოთ ქუთაისის გუბერნიის ტერიტორიაზე შავ ზღვას ერთვიან ხოლი და ინგური, რომლებიც იღებენ რამდენიმე უფრო პატარა მდინარეებს. ეს მდინარეები რწყავენ სამეგრელოს, ლეჩხუმსა და სვანეთს. გურიის ქალებს რწყავს მდ. სუფსა თავისი ჩასართავებით; სუფსა აჭარის მთებიდან გამოდის და შავ ზღვას ერთვის. ეს მდინარეც დაბალ ნაპირებიანია, ამიტომაც წყალ-დიდობის დროს ის გადმოდის ნაპირებიდან და დიდ-ძალ ქალა-ველებს რწყავს.

სოხუმის ოლქში შესანიშნავი მდინარეები არიან: კოდორი, ფსირტსხა, გუმისთა, კელასური და სხვა.

ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი, ქართლ-იმერეთის მთა-გრებილიდან დაწყებული, ეკუთვნის კასპიის ზღვის აუზს და ირწყება მდ.

\*) ჰიპოს ბერძნულათ ნიშნავს ცხენს, მერანს. ამ მდინარეს ქართულათაც იგივე სახელი ეწოდება და ბუნებრივია, რომ ბერძენი მწერლები ქართულ სიტყვა ცხენს ბერძნულ ჰიპოსათ თარგმნიდნენ.

მტკვრის თანწყობით. მღ. მტკვარი იღებს დასაწყისს გელის ქაობიან ხნარცვ-ში, ჩაღდირის წყალგამყრელის ჩრდილოეთით, სოფელ ორდონეკის ნანგრე-ვების მახლობლათ. მტკვარი პატარა დელეთ გამოჩუხჩუხებს მთის ძირიდან; ერთი ვერსის შემდეგ ის მიდის ქაობიან ადგილებში; შემდეგ სულ იკარგება მიწაში და სოფელ არპაშენის მახლობლათ, ხელახლათ ამოდის მზის სინათ-ლეზე და მიდის დასავლეთისაკენ გელის ვაკეებზე. მოდის რა გელის დასავ-ლეთ საზღვრამდე, მტკვარი უხვევს ჩრდილოეთისაკენ, შემდეგ იზნიკება აღ-მოსავლეთისაკენ. ის ორათ ყოფს არტანის ხნარცვს, აპობს ახალციხისა და ახალქალაქის ძალაღ მთებს და სოფელ ცნისასთან შემოდის ბორჯომის ხე-ობაში.

ბორჯომის ხეობამდე მტკვრის ტოტებთა შორის მხოლოდ შემდეგი მდი-ნარეები იპყრობენ ყურადღებას. მარჯვენა მხრიდან: მღ. თათარავენი, მარცხ-ენა მხარეზე—მღ. ფოცხოვი ორის ტოტით: ქობლიანი და აბასთუმანი. გამოდის რა სოფელ ტაშის კართან ბორჯომის ხეობიდან, მტკვარი იღებს აღმო-სავლეთის მიმართულებას და მინგეჩაურამდე საგრძნობელის სიჩქარით მიაგორებს ტალღებს. კარაბახის უდაბნოებში ის ფართოვდება 60—100 საჟენამდე, სიღრმე კი 10—15 საჟენი აქვს. წყალდიდობის დროს ის ხშირათ, გადმოდის ნაპირებიდან და თავის კიდებს 5—7 ვერსის მანძილზე რწყავს. მტკვრის კალა-პოტი სილიანია, ალაგ-ალაგ ქვიანი, ან შლამიანი. შირვანის უდაბნოში, სოფელ ჯევათთან, მტკვარს ერთვის მღ. არაქსი; აქედან ის იყოფა ორ ტო-ტათ (აკუშინისა და მტკვრის ტოტებათ) და ერთვის კასპიის ზღვას. რკინის გზის სადგურ ველახიდან კასპიის ზღვამდე მტკვარზე შესაძლებელი ხდება ნავოსნობა. აქ ამ საქმემ ფეხი მოიდგა იმავე თ—დი ვორონცოვის ნამესტნი-კობის დროს. მისის ინიციატივით 1846 წელს სპეციალური კომისიის მიერ, კაპიტანი ზელიონის ხელმძღვანელობით, მეცნიერულათ შესწავლილი იქნა მტკვრის კალაპოტი. კაპიტანი ზელიონი გემი „ოლღათი“ შემოვიდა მტკვარ-ში კასპიის ზღვიდან და ს. მენგეჩაურამდე მოვიდა. ამ ცდის შემდეგ ხაზინამ შეიძინა პატარა გემი „თავადი ვორონცოვი“ ორი ბარჟით და კასპიის ზღვი-დან მენგეჩაურამდე ნაოსნობა დაიწყო. მაგრამ, სამწუხაროთ, ეს საქმე აქ ჯერ კიდევ ნაადრევი გამოდგა: გადასატან-გადმოსატანი საქონელი ძლიერ ცოტა აღმოჩნდა; ხაზინამ თავისი ჭარჯების ნახევარიც ვერ აინახლაურა. ამიტომ ვორონცოვის შემკვიდრემ, უფრო ანგარიშის მოყვარულმა მურავიოვმა, ეს ნაოსნობა მალე შეაჩერა და „თავადი ვორონცოვი“ თავისი ბარჟებით 1856 წელს საჯარო ვაჭრობით იქნა გაყიდული. მაგრამ ცხოვრების პირობები მა-

ლე შეიცვალა: ის რაც ნაადრევი გამოდგა მე-XIX საუკუნის შუა წლებში, ხელახლა იქნა აღდგენილი იმავე საუკუნის 80 წლებში. ახლა მთავრობა ხელახლა შეუდგა მტკვრის ფარვატერის გამოკვლევას და გაწმენდას და მალე კასპიის ზღვიდან სოფელ პირაზამდე დაიწყო მოქმედება ორმა გემმა. ამავე დროს მტკვარზე გაჩნდნენ მრავალი იალქნებიანი გემები, რომელიც ცნობილი იყვნენ „კუსოვიებისა“ და „კირჭიმების“ სახელით და თითოეულ მათგანს 3.500 ფუთი ტვირთის გადატან-გადმოტანა შეეძლო. „კუსოვიების“ ტიპის გემების წყალჯდომა 5 ფუტს არ აღემატებოდა; „კირჭიმები“ კი უფრო პრტყელ ძირიანები იყვნენ. ეს იალქნებიანი გემები მიმოდრიოდენ კასპიის ზღვიდან მხოლოდ სოფელ ზარდობამდე და მოძრაობდნენ მხოლოდ დღე; ღამე კი საღმე ბოლაზში იდგენ. გემების მოძრაობა სწარმოებდა იალქნების საშუალებით; საჭირო დროს მათი მიმოსვლა საჭეებისა და ნიჩბების საშუალებითაც შეიძლებოდა; ან და ნაპირებიდან ბაწრებით ეზიდებოდნენ...

**მტკვრის უმთავრესი შტოებია** ბორჯომიდან დაწყებული, მარცხენა მხრიდან: მდ. ლიახვი, რომელიც შესდგება ორ საგრძნობლათ მოზრდილ ტოტიდან: დიდ და პატარა ლიახვისგან. ეს მდინარე წყლით სავსეა და მთებიდან ხეტყის მასალის ჩამოსატანათ ძალიან მოხერხებული; მდ. ქსანი რომელიც მალლა-მდოვლეთის ხეობაში ჩამოდის მუხრანის ველებზე და რკინის გზის სადგურ ქსანთან ერთვას მტკვარს; მთიულეთისა და ფშავის დედეები, რომლებიც ზევით ცნობილი არიან შავი და თეთრი ზრავის სახელით, სოფელ ანანურთან შეერთდებიან და შეადგენენ მდ. აჩაგვს; ალაზნის თავისი ტოტი იორით და აჯივან-ჩაი. მარჯვენა მხრიდან მტკვარს ერთვიან: კავთურა თავის ტოტი გუდალურათი, ალგეთი, ხრამი თავისი რტო ჯეგაულით, თაუზი, ძეგამი, შამქორი, განჯა, კურაკ-ჩაი, ტერტერი და არაქსი, რომელიც იწყება არზრუმის ოლქში.

გარდა ჩამოთვლილისა საყურადღებოა შემდეგი მდინარეები, რომლებიც იმით არიან შესანიშნავი, რომ იღებენ დასაწყისს კავკასიონის მთებიდან, მაგრამ მტკვარამდე ვერ აღწევენ, იკარგებიან ნიადაგში და აჩენენ ჭაობებს. ასეთ მდინარეთა რიცხვს ეკუთვნიან: ტურინ-ჩაი, გეოქ-ჩაი, პირსაათი და სხვები. უნდა აღვნიშნოთ, რომ იმავე თვისების არიან მტკვრისა და არაქსის ზოგიერთი ტოტებიც. ისინი სწვდებიან და უერთდებიან მთავარ მდინარეს მხოლოდ წყალდიდობის დროს; სხვა დროს კი იმათი წყალი იკარგება უდაბნოებში და მხოლოდ ყანების სარწყავათ თუ ეყოფა ადგილობრივ მცხოვრებლებს.

ჰიდროგრაფიის მხრით სრულიად დამოუკიდებელ რაიონებს შეადგენენ ბაქოს გუბერნიის ორი მაზრა: ყუბისა, რომელიც მდებარეობს დიდი კავკასიონის ქედისა და კასპიის ზღვის შუა, და ლენქორანის მაზრა, რომელიც სპარსეთის საზღვრებზე, ტალიშის მთების შეკალთებებში მდებარეობს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართლ-იმერეთის მთა-გრებილის აღმოსავლეთ ნაწილისათვის წყალს უღარესი მნიშვნელობა აქვს, რადგანც აქ თუ არა ხელოვნურათ მორწყვის საშუალებით, მიწა თითქმის არაფერ ნაყოფს არ იძლევა. აქ მცხოვრებთა კეთილდღეობა სრულიად დამოკიდებულია სარწყავი წყალის რაოდენობაზე.\*)

oooooooooooo

# I. მოკლე მიმოხილვა საქართველოს ეკონომიური გეოგრაფიისა.

## 1. დასავლეთი საქართველო.

საქართველოს ტერიტორიას ჩვეულებრივად სამ ნაწილად ყოფენ: დასავლეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი.

დასავლეთ საქართველოს შეადგენს ქუთაისის გუბერნია და სოხუმის ოლქი. ქუთაისის გუბერნია სივრცით უდრის 18.543,4 ოთხ-კუთხ ვერსს (1930.739 დესეტინას, ანუ 21,093,30 ოთხ-კუთხ კილომეტრს). სოხუმის ოლქი შეიცავს 7.386,6 ოთხ-კუთხ ვერსს. ამ რიგათ დასავლეთ საქართველოს საერთო სივრცის რაოდენობა უდრის 25.930 ოთხ-კუთხ ვერსს. აღმოსავლეთ საქართველოდან ეს ნაწილი გამოყოფილია ქართლ-იმერეთის მთის ქედით.

ქუთაისის გუბერნია შემდეგი ნაწილებისაგან შემდგება: იმერეთი, გურია, სამეგრელო, ლეჩხუმი და სვანეთი. ამავე გუბერნიის ნაწილს შეადგენს აგრეთვე სოხუმის ოლქი. დასავლეთი საქართველო ჩრდილოეთით მიკრულია დიდი კავკასიონის ქედს და საზოგადოთ სამის მხრით მთებით არის გარ-შე-

\*) ჩვენ აქ ჰავაზე ლაპარაკს არ გავაგრძელებთ, რადგანაც ეს ჩვენ პირდაპირ საგანს არ შეადგენს. მსურველთ მიუვითებთ პროფესორ ი. ვ. ფიგუროვსკის გამოკვლევებზე. „Климаты Кавказа“ ტფილისი 1919 წელი.

მორტყმული. მდ. რიონის ბარი წარმოადგენს ხნარცეს, რომელიც ღიაა მხოლოდ შავი ზღვის მხრიდან; ამ ზღვას ერთვის ამ მხრის ყველა მდინარეები: თბილი და ნესტიანი ჰავისა და აგრეთვე ფხვიერი და ნოყიერი მიწის ნიადაგის მეოხებით ამ გუბერნიის დასავლეთ ნაწილში ჭუნების ნაყოფიერება უმაღლეს წერტილამდე აღწევს.

ამ გუბერნიის შვიდ ადმინისტრაციულ ერთეულგანა დაყოფა სულაც არ შეესაბამება მის ბუნებრივად დანაწილებას. ასეთ ბუნებრივ რაიონებათ თითქმის ყველა მაზრა იყოფა: დაბლობი, მდებარე ამა თუ იმ მდინარის ნაპირებში, მაღლობი და მთა. მხოლოდ რაჭის მაზრა წარმოადგენს ამ გუბერნიის განკერძოებულ ნაწილს. ტოპოგრაფიულადა რაჭა წარმოადგენს მაღალ მთებიან ადგილს. ის ქუთაისის მაზრის საზღვრებთან იწყება დიდის მთებით (არა ნაკლებ 4.000 ფუტისა ზღვის დონედან). რაჭის შუა გული თან და თან სულ დაბლა იწვეს და ბოლოს სოფელ ამბროლაურსა და ხიდის კართან იწყება ბარი, რომელიც მაზრის დასავლეთ საზღვრამდე მიდის. ხიდის კარის გასაულიდან, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, ეს მაზრა ისევ მაღლდება, იწვეს რა სულ მაღლა, თან და თან გადადის ალპიურ მთების ზოლში და თავდება მამისონის უღელტეხილით, რაც სიმაღლით 9.400 ფუტს უდრის. რაჭის მაზრას, რამ რომელიმე მაღალ მთა წვერიდან გადახედოთ, თვალ წინ წარმოგიდგებათ ერთი დიდი უზარმაზარი ქა, რომლიდანაც, ქართული ლეგენდის თქმით, წარმოსდგება რაჭა.\*)

შორაპნის მაზრა რაჭიდან განისაზღვრება მაღალის მთებით და ტოპოგრაფიის მხრით ისიც დაახლოებით ისეთსავე სურათს წარმოადგენს, როგორც მეორე. ისეთივე მაღალი მთები აკრავს სამის მხრით ამ მაზრასაც, როგორც რაჭას. მხოლოდ დასავლეთი მხარე შორაპნის მაზრისა დახნეკილია და ქუთაისის მაზრის საზღვრებთან თან და თან დაბლდება. ქუთაისის გუბერნიის სხვა ხუთი მაზრა თავისი დაბალი ნაწილებით წარმოადგენს რიონის, ენგურისა და მდინარეთა ვაკეებს. ამ მაზრების მაღალი ნაწილები კი უერთდებიან კავკასიონის მაღალ ქედს და წარმოადგენენ მრავალი ხევეებითა და მთების ზოლებით დასერილ მთიან ადგილებს. ამ მაზრების ქვედა ნაწილები უახლოვდებიან რა შავ ზღვას, იღებენ ნესტიან-ჰაობებიანი იდგილის ხასიათს და შესანიშნავი არიან თავისი მდიდარი ფლორით. რაც უფრო ზევით, კავკასიონის ქედისკენ

\*) მონადირემ მთიდან გადახედა ამ მხარეს და სთქვა: ეს რა ქა ყოფილა?

იწვეთ ამ მაზრაში, მით უფრო და უფრო იცვლება სურათი: ადგილ-მდებარეობა მთა-ხრიოკიანია, მიწა — მქლე და ნაკლებ ნაყოფიერი, ჰავა — მკაცრი და ცივი.

სოხუმის ოლქი შავი ზღვის გუბერნიიდან განისაზღვრება მდ. ბზიბით, სამხრეთით, სამეგრელოდან, მდ. ენგურით, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით სძევს დიდი კავკასიონის ქედი და სამხრეთ-აღმოსავლეთით — შავი ზღვა. ეს ოლქი ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ვაჭიმულა 180 ვერსის მანძილზე. ოლქის უმეტესი ნაწილი დაფარულია მთებით. აქ მხოლოდ ზოგიერთი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მდინარის ნაპირებში და აგრეთვე ზღვის განაპირათ შეგხვდებათ ვაკე ადგილები. ოლქის ჩრდილო ნაწილში, დაწყებული მდ. ბზიბიდან და გათავებული მდ. ფსირტსხათი, მთის ქედი მხოლოდ 18-20 ვერსის მანძილზე არის დაშორებული შავი ზღვის ნაპირზე. ეს განაპირა ნაწილი ალაგ-ალაგ დაბლობია; ალაგ-ალაგ წარმოადგენს შეგანს, რომელიც დასერილია პატარ-პატარა მთა-გრეხილებით. ამ ნაწილში უფრო აფხაზები მოსახლეობენ, მდ. ფსირტსხადან მოკიდებული მდ. კოდორამდე მთის ქედი უფრო უახლოვდება ზღვას და ალაგ-ალაგ 3—5 ვერსის მანძილზე მიადის. მდ. კოდორიდან დაწყებული კი მთები ხელ-ახლა შორდებიან ზღვას, და რაც მეტს იწვეთ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, მით უფრო და უფრო ფართოვდება ზღვის განაპირა ადგილი და სამურზაყანოში ის სიგანით 40 ვერსს აღემატება და იღებს უდაბნო ადგილების ხასიათს.

**ნიადაგი** დასავლეთ საქართველოში უმეტეს ნაწილათ სამ ნაირია: ნარიყი, რომელშიც სილა სჭარბობს, თიხიანი და შავი მიწა. აქა-იქ შეგხვდებათ კირ-ნარევი ნიადაგი. ქუთაისის გუბერნიაში ნიადაგი ცოტათ თუ ბევრათ ერთ-გვარია: \*) მალლობ ადგილებში სჭარბობს: თიხა, კირი და ხოშორა სილა-ქვა. შავი მიწა აქ უშუალოთ ძევს ხან ცარციან ქვა-კირზე, ხან მესამე პერიოდის სილა-თიხაზე. აქ შავი მიწა ძლიერ მსუქანი და ნოყიერია. ზემო რაჭაში, ძლია ბახტაძის გამოკვლევით, სჭარბობს ხშირათ თიხა და თიხნარი (Суглинок); აქ შავი მიწა ხშირათ უშუალოთ ძევს ქვა-კირის ფილაქანზე, რომელიც ჩქარა ისრუტავს სინოტიეს, რის მიზეზითაც აქ ხშირათ ხდება მთელი კატასტროფა. საქმე იმაშია, რომ თუ ნიადაგი უშუალოთ დამყარებულია თიხაზე, ან; საზოგადოთ, ისეთ

\*) გეოგრაფი სემენოვი ტინ-შანის გამოკვლევით, რიონის ქალების გეოლოგიური შემადგენლობა ნარიყია (Четвертичные осадочные образования). ნიადაგი მიწა-წითელია, და წყლის შესარქავებთან და ზღვის ნაპირებზე კი — სილა და გაღეჩნიკი.

შემადგენლობაზე, რომელიც წყალს არ უშვებს ძირს, იგი გუბდება, იკრიბება მიწის ზედა პირის ქვეშ და აჩენს მეწყერს. მეწყერი ერთი საშინელი მოვლენათაგანია მთიან ადგილებში. ეს მოვლენა იმაში გამოიხატება, რომ ხშირათ მთელი მთა, ან უელის დიდი ნაწილი, ნელ-ნელა, ან ხშირათ ძლიერის სისწრაფითაც, ექანება ერთი ადგილიდან მეორეზე და თან მიაქვს ხალხის ნაწვავ-ნაღვო-სახლ-კარი, ვენახი, ბალები და ყანა-ბოსტანი. საზოგადოთ ქუთაისის გუბერნიაში მიწის ნიადაგი ძლიერ კარგია და მეურნეობის აყვავებას ხელს უწყობს.

**ჰავა** დასავლეთ საქართველოს დაბალ ნაწილებში მსუბუქი და ნესტიანია. აქ ატმოსფერული ნალექი არა თუ საკმაოა, ხშირათ მეტიც არის, ჭაობების გაჩენას ხელს უწყობს და ნიადაგს აფუჭებს. ჭაობები ამ ადგილებში შედგება ხშირი კოკი-პირული წვიმებისა, რასაც აქ ხშირათა აქვს ადგილი, განსაკუთრებით ქვენა ქარების დროს. აქ ხშირათ ქრის აღმოსავლეთის ცხელი და სულის შემხუთავი ქარი რომელიც აფუჭებს ქირნაწულს. ზამთრობით იცის თქვენი წვიმა, ცა მოცულობა შავი ღრუბლებითა, ჰაერს გაყდენთილია სჩნესტით. თოვლი აქ ძალიან იშვიათათ იცის და როცა მოდის, მალე დნება. გაზაფხული იწყება ადრე, თებერვლიდან ან მარტის პირველ ნახევრიდან. აქ ხშირათ თებერვალში ბევრი ზღვარე ყვავის. მეტის მეტათ თბილ დღეებს ცოვი ღამეები სცვლიან.

აქ შემოდგომა წყნარი, მაგრამ წვიმიანი იცის. ამ რაიონებში ტემპერატურა და ჰავის სინესტე უმეტეს ნაწილათ ქარების მიმართულებაზე დამოკიდებული, „ქარებს აქ მუსონის, ანუ პერიოდული სეზონური ქარების ხასიათი აქვს. ზამთრობით, ოქტომბერ-აპრილში, — აქ უმეტეს ნაწილათ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ქარები ქრიან, რომლებიც დიდი კავკასიონის ქედიდან უბერვენ. ეს ქარები, როგორც ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის მუსონი, ზამთრობით წმელია და თბილი. ზაფხულობით, — ივნის-აგვისტოში, ეს ქარები სამხრეთ-დასავლეთის ზღვის ნესტიანი ქარებით იცვლებიან. ამ რაიონის აღმოსავლეთისა, ან უკეთ, ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარებს მკვლევარნი ციმმერმანი და სტატკოვსკი იტალიაში ცნობილ ქარს სიროკოს ადარებენ. ციმმერმანი ამბობს, რომ საკმაოა ამ ქარმა მ-შ დღე უბეროს, რომ მთელი იმერეთისა და სამეგრელოს ჩინებული შცენარეულობა დაიღუპოსო. ეს ქარები აფუჭებენ არა თუ ნათეს პურეულობას, ისინი ხშირად სპობენ ხეხილებსაც. კავკასიის კლიმატოლოგი ი. ვ. ფიგუროვსკის მოწმობით, ზუკდილის მაზრის ზოგიერთ ადგილებში მცხოვრებლები იძულებული შეიქნენ მეთამბაქოობაზე ხელი აეღოთ, რადგანაც აქ ხშირათ ჰქრის ეს ქარი.

ქუთაისის გუბერნიის დაბალ ადგილებში ჰავის დამახასიათებელ თვისებათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ აქ მთელი წლის განმავლობაში ტემპერატურის სრული ცვალებადობა და უსწორ-მასწორობაა: ძველი მკვლევარნი ამ რაიონებსა თ-დი რაფიელ ერისთავი ამბობს: ამ ადგილებში ხანდახან დეკემბრის თვეებში ისეთი თბილი ამინდი იცის, რომ ყვავილები იფურჩქნებიანო (მაგალითად *Primula*, *Azalea pontica* და სხვა); ყვავილდება ქლიავი, მსხალი, ბალი, ფაშორი... ასე გგონიათ შუა ზამთარში ნამდვილი გაზაფხულიაო. მაგრამ სრულიად მოულოდნელათ დგება ცივი ამინდები და ყველა ეს აყვავილებული მცენარეები იღუპებიან. **ატმოსფერის ნალექის** საშუალო წლიური რაოდენობა ქ. ქუთაისში უდრის 1374 მილიმეტრს, ფოთში კი — 1626 მილიმეტრს.

გუბერნიის მაღლობი ზოლის ჰავა კი ცივი და მკაცრია. აქ ხშირათ სიძინდიც ვერ ასწრებს შემოსვლას; ზოგ ადგილას ის სულაც არ ხეირობს. მთებში უმეტეს ნაწილათ სთესენ ქერს; მთების ჩაკალთებზე კი — საზამთრო ხორბალს.

სოხუმის ოლქი კავკასიონის ქედით დაცულია ჩრდილოეთ — აღმოსავლეთის მკაცრო ქარების გავლენისაგან. ამ გარემოებას ჰავისი ჩინებული შედეგი აქვს ამ მხარისთვის, რომლის ჰავა სხვა ადგილების ჰავისაგან ძლიერ განირჩევა თავისი სიმსუბუქითა და სინესტიით. აქ ზღვის განაპირა ადგილებში თოვლი ძლიერ იშვიათათ მოდის; ზიგიერთ წლებში აქ სულაც არ იცის თოვლი. ზამთარი აქ მხოლოდ დეკემბრის თვის დამლევში იწყება; მარტის დასაწყისში კი უკვე ნამდვილი გაზაფხულია. მართალი რომ ითქვას, აქ ნამდვილი ზამთარი არასოდეს არ იცის: ძლიერ ხშირად იანვარსა და თებერვალში იმდენათ თბილა, რომ მცენარეები ამ დროს უკვე აყვავებულია. აქ ძალიან ძვირათ ახსოვთ ისეთი ზამთარი, როდესაც ტემპერატურას ნულზე დაბლა დაეწიოს. ამ მხრით დიდ გამოწაკლისს წარმოადგენდა 1910—1911 წლის ზამთარი, როდესაც ტემპერატურა — 7<sup>0</sup> დავიდა.

სოხუმის ოლქის ზოგ ადგილებში საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის: ზამთრობით — 6,1<sup>0</sup>, გაზაფხულით — 12,5 ზაფხულობით + 22,15 და შემოდგომაზე + 15,6<sup>0</sup>C. საშუალო წლიური ტემპერატურა კი უდრის 14,1<sup>0</sup>. გარდა მაღალი ტემპერატურისა ეს ოლქი ცნობილია თავისი სველი და ნესტიანი ჰავით; ასე რომ თვით ქალაქ სოხუმში ატმოსფერული ნალექის რაოდენობა 1921 მილიმეტრს უდრის.

აქ ხშირათ იცის ძლიერი თქეში წვიმები, რასაც მალე სცვლის ჩინებულ-ლი მზიანი ამინდი. აქაური ჰაერი თითქმის ზაფხულობითაც გაუღენთილია სისველით. ამ რიგათ ამ ოლქის ზოგიერთი ადგილები ჰავის მხრით ძლიერ უახლოვდება სუბტროპიკულ ქვეყნებს.

აქაური **მცენარეულობა** ერთობ საყურადღებოა თავისი სიმდიდრითა და სხვა და სხვაობით. ფართე ფურცლოვანი (широколиственный лес) ტყეები აქ ერთნაირათ ჭრის გავრცელებული, როგორც ბარში ისე მთებში. როგორც ვაკეში, ისე ზეგან ადგილებში, აქ თითქმის ყოველგან ხარობს: როდოდენდრონი, (შქერი) შირტი, დაფნა, სურო, გვიმრა, მაყვალი, მუღამ მწვანე მუხა (вечно зеленый дуб) ტისი (тисе), რამშიდი ბზა (აზალია), მაგნოლია, წაბლი, თხილი და სხვა. ხშირად აქაურ ტყეებში ხეები ერთმანეთზე გადაბულ-გადმოხლართულია ლიანითა და ტყის ვაზით. ასე რომ აქ ტყეში სიარულის დროს თუ ხელში ცული, წალდი ან რამე სხვა მჭრელი იარაღი არა გაქვთ, ბილიკიდან გადახვევა შეუძლებელია. ხეები და ჩირგვები ისე არიან ერთმანეთზე გადაბულ-გადახლართული, რომ ისინი ერთ განუყოფელ მწვანე ფოთლების მასას წარმოადგენენ. ეს მცენარეები (ლიანი და ვაზი) გარს ეხვევიან არა მარტო თითოეულ დიდ ხეს, ისინი თავისი მოქნილი და გრძელი შტოებით სწვდებიან ორს, სამს ან რამდენიმე ხეს, იხლართებიან მჭთ ტოტებში, საიდანაც დიდი ვეებერთელა მწვანე ბურთებათ ეშვებიან ძირს, უერთდებიან ჩირგვებს და შეუძლებლად ხდიან ტყეებში მიმოსვლას.

ასეთ ხეგანა მცენარეთა შორის აქ უფრო ხშირია: *Clematis vitalba* სმილაკი (*Smilax excelsa*), და აგრეთვე ტყის ვენახი (*Vitis vinifera*) და გაველოურებული ამერიკული (*Vitis labrusca*) ძურო (*Nedera helix* და *coechica*), ობვონიკი (*periploca graeca*), სვია (*Humulus lupulus*); ჩვეულებრივთ ამ მცენარეებს უერთდება მაყვალი (*Kubus discolor*); მაგრამ ყველაზე უფრო აძნელებს ტყეში სიარულს ეკალი (*Smilax* და *Rubus*)\*.

როგორც ქუთაისის გუბერნიაში, ისე სოხუმის ოლქში, 3.500—6.000 ფუტის სიმაღლეზე (ზღვის დონეს ზევით) შეხვდებით უზარ-მაზარ ჩინარს, უფრო ზემოთ კი ხარობს სოჭი. 7.000—7.500 ფუტის სიმაღლიდან ალპიური საძოვრების სარტყელია.

\*) იხილე გ. ტანფხლიევი, „აღწერა შავი ზღვის ნაპირების უმთავრესი რაიონებისა“, რომელიც მოთავსებულია კრებულში „თანამედროვე კითხვები რუსეთის სასოფლო მეურნეობისა“ ი. ა. სტებუტის 50 წლის მოღვაწეობის იუბილეს გამო 1904 წელი. გვერდი 128—129.

ტყის რაოდენობის მხრით ქუთაისის მაზრასა და სოხუმის ოლქს მთელ კავკასიაში პირველი ალაგი უჭირავთ. ი. ს. მეღვედვის გამოკვლევით, დასავლეთ საქართველოში ტყის სივრცე უდრის 1.248.000. ოთხ-კუთხ დესეტინას, ანუ მთელი ტერიტორიის 47<sup>0</sup>/<sub>100</sub>. მაზრებთა შორის ტყის რაოდენობა შემდეგ ნაირათ ნაწილდება:

მაზრები და სოხუმის ოლქი	დესეტინა	% მთელ მაზრაში
რაჭის	200.000	41,4
ქუთაისის	159.000	51,9
შორაპნის	154.000	55,1
ლეჩხუმის	113.000	53,5
სვანეთის საბოქ.	—	—
ზუგდიდის	94.000	35,0
ოზურგეთის	84.000	40,3
სენაკის	61.000	39,6
სოხუმის ოლქი	383.000	—
<b>სულ</b>	<b>1.248.000</b>	<b>—</b>

1915 წლის რუსეთის ძველი მთავრობის ოფიციალური ცნობებით კი დასავლეთ საქართველოში ტყეების სივრცის რაოდენობა მხოლოდ 817.490 ოთხ-კუთხ დღიურს უდრიდა.

დასავლეთ საქართველოდან დიდ ძალი ხე-ტყის მასალა გააქვთ საზღვარგარეთის ბაზრებზე—ფოთის, ოჩამჩირისა და გუდაუთის ნავთ-სადგურებიდან. ამ მხარეში ტყეებში ხშირათ გვხვდება სამშიდი (ბზა), ან როგორც რუსებმა ეძახიან „კავკასიის პალმა“. ეს ხე უფრო სოხუმის ოლქში ხარობს, იგი ძალიან ძვირათ ფასობს, რადგანაც მისგან აკეთებენ უმეტეს ნაწილათ სხვა და სხვა მანქანების ნაწილებს, მაგალითათ, ქალებს (ბლოკ), საქსოვი მანქანების მაქოებს, საგრავიორო ფიცრებს და სხვა მრავალ ნივთებს. აღდგილობრივი

მცხოვრებლები იშისგან აკეთებენ: სავარცხლებს, კოვზებს და სხვა ჯამ-ჭურჭელს, რაც აქ ძალიან ძვირათა ფასობს. ეს ხე უფრო დიდი იზრდება სოხუმის ოლქში, მაგალითათ, კოდორის რაიონში, ტყვარჩელის ტყეებში. ეს ხე უწინ უფრო ხშირათ გვხვდებოდა ამ ოლქში. წარსული მე-XIX საუკუნის 90 წლებში აქ, საშუალო რიცხვით, დესეტინა ტყეზე სამშიდის ხე მოდიოდა 900 ძირზე მეტი. ამ ძვირფასი ჯიშის ხე საგრძნობლათ გააჩანაგეს, მაგრამ ის კიდევ დიდ-ძალია მიუვალ ადგილებში, სადაც ტყის წარმოება შეუძლებელი ხდება გამოსატანი გზების უქონლობის გამო. სამშიდის ხე ხშირია ლეჩხუმის, რაჭის და შორაპნის მაზრების ტყეებში. ამ ძვირფასი ხის ექსპლოატაციას შეუძლია დიდი შემოსავლის წყაროთ იქცეს, თუ იგი რაციონალურ ნიადაგზე იქნება დაყენებული და არ იქნება ველური მტაცებლობის საგნათ, რასაც დღემდე ადგილი ჰქონდა. სამშიდი ბზიბის რაიონებში ხარობს 1—10 ფუტი სიმაღლეზე ზღვის დონედან, სხვა ადგილებში კი 3.000 ფუტის სიმაღლეზეც შეხვდებით. სამშიდს კირიანი და ცოტა ნაბლ-ნარევი ნიადაგი უყვარს (известковая с незначительн. примесью перегноя). იგი ყველაზე უკეთ ფოთლიან ტყეში, პატარა ტანის ხეების ჩრდილში, სველსა და ნესტიან ადგილებში ხარობს და ღია ადგილებში, გაშლილ მზის სხივებში სამშიდი ძლიერ პატარა ტანის იზრდება და ექსპლოატაციისათვის ინტერესს არ წარმოადგენს. ფოთლიანი ხეების ჩრდილში კი იგი იზრდება 6—7 საყენი სიმაღლე, დიამეტრით კი 5—8 ვერშოკი და მეტიც. ხე სწორია, მრავალ-ტოტებიანი და ხშირ ფოთლებიანი. რიონის განაპირა მცხოვრები სამშიდს წმინდა მცენარეთთვლიან. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ იმერეთში სოფლის ერთ ეკლესიასაც ვერ ნახავთ ისეთს, რომლის გალავანში ეს მცენარე მრავლობით არ იყოს დარგული სამშიდს გარდა დასავლეთ-საქართველოც ტყეში ხშირია ურთხელა (Тисс), რომელიც სულ რამდენიმე ხნის წინათ მრავლობით გაქონდათ აქედან საზღვარ-გარეთის ბაზარზე. ამ ხიდან აკეთებენ საუკეთესო მუსიკალურ ინსტრუმენტებს. სამწუხაროთ, ეს ძვირფასი მცენარეც აქ ნამდვილი ველური ექსპლოატაციის საგნათ იყო გადაქცეული და იგი თან და თან ნაკლებათ გვხვდება დღეს ისეთ ტყეებში, რომლის ექსპლოატაცია შესაძლებელია გზების პირობებით. ასეთსავე ძვირფას ხეთა ჯიშს ეკუთვნის ძელქვა (Zecova crenata), რომელიც ხარობს გურიისა და აჯამეთის ტყეებში. ეს ხე, როგორც მისი ქართული სახელიდანაც სჩანს, ქვასავით მაგარია და მისი ფიქარი შედეგის შემდეგ ოქროსავით ბრწყინავს და ელვარებს. ყურადღების ღირსათ მიგვაჩნია აგრეთვე დაუნა, რომელიც საგრძნობ შემოსავალს უძლევს

მცხოვრებლებს. ამ მცენარის რგვისა და მოვლის საქმე ამ უკანასკნელ წლებში ძალიან კარგად იქნა დაყენებული, რადგანც დაფნის ფურცელი ამ ბოლო წლებში ექსპლოატაციის საგნათ შეიქნა. ეს მცენარე ყველაზე უფრო გავრცელებულია სენაკის, ზუგდიდის და ქუთაისის მაზრებში, სადაც ხალხი ძალიან ეტანება მის მოშენებას. ეს მცენარე ყველაზე უფრო ბევრი ზუგდიდის მაზრაშია, სადაც მთელი მთის კალთები, მაგალითად, ურთას მთა, მითი თავიდან ბოლომდე მოფენილია. დაფნის ზეს დათესვისა და დარგვის საშუალებით ავრცელებენ. სამი-ოთხი წლის შემდეგ რხალ დარგული ან დათესილი დაფნა ზრდას ასრულებს; ფოთოლი სრულდება, რის შემდეგაც პატარ-პატარა ტოტებს ფოთლებიანათ სჭრიან და მზეზე ახმობენ. ფოთლების კრეფა ხაფხულში იწყება და შემოდგომის დამლევამდე გასტანს. დაფნის ფოთოლს აქვე ადგილობრივათ ყიდაან სხვა და სხვა ქვეყნიდან მოსულ ვაჭრებს, რომელთაც ეს ფოთოლი გააქვთ, როგორც რუსეთის, ისე ევროპის სხვა და სხვა ბაზარზე.

რასაველეთ საქართველოში, განსაკუთრებით შავი ზღვის განაპირათ, მცენარე საკვირველის სისწრაფით იზრდება და გაჭრილი ტყე სულ რამდენიმე წელიწადში ახლდება. „ამ ნესტიანსა და თბილ მხარეში მცენარე წარმოუდგენლის სისწრაფით იზრდება, — სულ რაღაც 5—8 წლის განმავლობაში ზოგიერთი ჯიშის ხე აქ 7 საყენზე მალლა იზრდება“ \*). შემდეგი მაგალითი ცხად ყოფს, თუ როგორის სისწრაფით წარმოებს ამ მხარეში ტყის განახლების პროცესი. „1835 წელს მთავრობამ ბიჭვინტიდან (Пицунда) გავრის მიმართულებით დიდი შოშის გზის გაყვანა უარდაწყვიტა. \*\*) გზას 100 ნაბიჯი განი უნდა ჰქონდა. გაჩაღდა მუშაობა. დაუზოგველათ კრიდენ ას წლოვან ხეებს. გზის ნაპირებზე რგავდენ ქაცვიან ეკალს, რომელიც გზის განაპირა ხეებში იხლართებოდა და ცოცხალ სანგარს ავლებდა ახალ გაყვანილ შარას, რომელიც ას წლოვან ხეთა ჩრდილში მიდიოდა. მალე, რაღაც მიზეზის გამო, ეს გზა მიტოვებულ იქმნა... ექვსის წლის შემდეგ, 1841 წელს, ამ ადგილებში გავლა მომიხდა. როგორი იყო ჩემი გაკვირვება, როცა დავინახე, რომ ეს ჩვენ მიერ გაჭრილი დიდი შარა გზა ისევ ისე დაფარულიყო დიდრონი ხეებით, ისევ ისე გაპურდულიყო ეკლითა და სხვა ხვეულა მცენარეებით; როგორც ის ექვსი წლის წინათ, ტყის გაჩეხამდე იყო... გაიარა კიდევ სულ რამოდენიმე წელიწადმა

\*) იხილე მეღვედიევი: „Очерк Закавказскаго леса“.

\*\*) იხილე: „Руководство к познанию Кавказа“, СПб. 1850 წელი, წიგნი III

და ეს ჩვენ მიერ გაქრილი გზა სულ ერთიანათ დაიკარგა ტყეში ისე, რომ მისი მოძებნა შეუძლებელი იყო, ისე გაუსწორდა ის სხვა ტყიან ადგილებს.

დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით, შავი ზღვის მახლობლათ მდებარე ტყეები იმ თავიდანვე იპყრობდნენ მრეწველთა ყურადღებას, განსაკუთრებით ის ტყეები, რომლის ექსპლოატაციაც მათი გეოგრაფიულ მდებარეობის მიხედვით შესაძლებელი იყო. ერთ ასეთ ტყეთ უნდა ჩითვალოს სვანეთის ტყე, ან ჩუბუსხევის აგარაკი. რომელიც მდებარეობს ლეჩხუმისა და ზუგდიდის მაზრებში, ენგურის შუა აუზში. ამ აგარაკში, სატყეო უწყების მიერ შესწავლილი ტყე უდრის 115 000 დესეტინას, რომლიდანაც 70.000 დესეტინა დაფარულია საუკეთესო ტყით. აქედან 50.000 დესეტინა დაფარულია შესანიშნავი ფოთოლ-ეკალა ჯიშის ტყით (Хвойной породы) ფიჭვით, ნაძვით, სოჭით, დანარჩენი 20.000 დესეტინა კი ფოთლოვან ტყეს უჭირავს, როგორც არის: ცაცხვი, წაბლი, წიფელა, რცხილა და სხვა...

ადგილობრივი მცხოვრებლები დიდი ხანია რაც ამ ტყეების ექსპლოატაციას ეწევიან: მოჭრილ ხეს ისინი თითო-თითოთ უშვებენ მდ. ენგურში სოფელ ჯვარამდე; აქ კი კრავენ ტივებათ, 8, 10, 14 ხეს ერთათ და მიაქვთ ქანაკლიაშბ, რომელიც შავი ზღვის ნაპირათ ენგურის ჩასართავთან მდებარეობს.

ჩრდბლო-საქართველო ერთობ მდიდარია ტყით, მაგრამ ჯერ ეს საქმე ვერ არის აქ სასურველ ნიადაგზე დაყენებულად მხოლოდ ამით შეიძლება ავხსნათ ის პირველ შეხედვით გაუგებარი მოვლენა, რომ ასეთ ტყით მდიდარ ქვეყანაში მცხოვრებლები ტყის ნაკლებობას განიცდიან. უწინ, რუსეთის აქ ბატონობას დროს, არა თუ ხალხი, თვით ისეთი დიდი წარმოება, როგორც რკინის გზებია, ხე-ტყის მასალის დიდ კრიზისს განიცდიდა და დიდ ომებამდე საჭირო მასალას ვოლგასა და კამის ტყეებიდან ეზიდებოდა. ასეთსავე კრიზისს განიცდიდენ ამ მხრით საქართველოს ქალაქებიც: ტფილისი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი და სხვები. ადერბეიჯანსა და სომხეთზე, სადაც ტყეები ძალიან ცოტაა, ლაპარაკიც მეტად საქართველოს გახალგაზდა რესპუბლიკამ თავისი არსებობის პირველ წლიდანვე შეუდგა ამ საქმის მოწესრიგებას. ტყეები სულ ერთიანათ სახელმწიფოთ იქნა გამოცხადებული, რა საქმე უნდა ეს დიდ ნაყოფს გამოიღებს და რესპუბლიკის ბიუჯეტში საგრძნობელ ადგილს დაიჭერს ტყეების ექსპლოატაციიდან შემოსული ფული.

**მცხოვრებთა რაოდენობა** დასავლეთ საქართველოში, 1915 წლის ძველი მთავრობის ცნობებით უდრიდა 1.244.139 სულს. თუ ამ ცნობებს შე-

ვადარებთ 1897 წლის მცხოვრებთა ერთ-დღიური აღწერით მიღებულ ცნობებს, აღმოჩნდება, რომ 18 წლის განმავლობაში (1897—1916 წ.წ.) დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა რიცხვს 361.730 სული მომატებია. \*) 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერით, ქუთაისის გუბერნიასა და სომხუმის ოლქში მცხოვრებთა რიცხვი უდრიდა 1.125.437 სულს.

**მცხოვრებთა სიმკვრივე** დასავლეთ-საქართველოში ოთხ-კუთხ ვერსზე უდრის 50,0. მცხოვრებთა სიმკვრივით დასავლეთ-საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს მთელს ამიერ-კავკასიაში რასაც უხადათ ამტკიცებს შემდეგი ცხრილი:

№ №	ჩ ა ი ო ნ ე ბ ი:	ერთ ოთხ-კუთხ ვერსზე (მცხოვრებთა სიმკვრივე).
1	აღმოსავლეთი საქართველო (ტფილისის გუბერნია).	33,9. სული
2	სომხეთი (ყარსის ოლქი და ერევნის გუბერნია)	29,0.
3	ადერბეიჯანი (ბაქოსა და განჯის გუბერნიები)	26,4.
4	დაღესტნის ოლქი	26,3.

ძირითად მკვიდრათ საქართველოში ქართველთა ტომი ითვლება. 1916 წლის 1 იანვარს საქართველოს ამ ნაწილის მცხოვრებთა ნაციონალურზე შე-

\*) 1897 წელს მცხოვრებთა აღწერის მიხედვით ქუთაისის გუბერნიასა და სომხუმის ოლქში ითვლებოდა 1.057.243 სული, მაგრამ მაშინ ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა ბათუმის ოლქიც, რომლის მოსახლეობის რიცხვი, იმავე აღწერით, უდრიდა 174.834 სულს. ამიტომ 1.057.243-ს უნდა გამოაკლდეს ეს რიცხვი და მაშინ მივიღებთ ქუთაისის გუბერნიისა და სომხუმის ოლქის ცოტათუ ბევრათ ნამდვილ რიცხვს, რაც უნდა უდრიდეს 882.409 სულს. ამ რიცხვის გამოკლებით 1.244.139 დან, მივიღებთ 361.730 სულს. ეს ციფრი, რა თქმა უნდა, არ ჩაითვლება 18 წლის განმავლობაში მომატების აბსოლიუტურად სწორ ციფრათ.

მადგენლობა შემდეგ სურათს წარმოადგენდა:

ქართველები იყვნენ:	1.033.795	სული;
რუსები	41.360	„
სომხები	25.348	„
ებრაელები	17.796	„

1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა კი ცოტა სხვა სურათს იძლევა. ამ აღწერით იყო: ქართველები — 941.050, სომხები — 24.334 და რუსები — 3.022 სული. საქართველოს ამ ნაწილის ორი უდიდესი ქალაქის — ქუთაისისა და ფოთის მცხოვრებთა ნაციონალური შემადგენლობა 1916 წლის ცნობების მხედვით ასეთია: ქუთაისში — ქართველები — 23.843 სული, რუსი — 10,975, ქართველი ებრაელები (ურები) — 10.479 და სომხები — 1.845. ფოთში — ქართველები — 12.441 სული, რუსები — 2.836 და სომხები — 1.529 სული. ერთი წლის შემდეგ, 1917 წლის აღწერით, ქუთაისში იყო: ქართველები — 34.078 სული, რუსები — 1940 და სომხები — 1.056 სული. სოხუმის ოლქში 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერით ითვლებოდა: ქართველები — 54.760 სული, აფხაზები — 39.915, სომხები — 13.837 და რუსები — 2.634 სული. დასავლეთ საქართველოში გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ტომებისა, სპორადიულად შეჩვენებით: თურქებს, ბერძნებს, ნემცებს, ესტონელებს, პოლონელებსა და სხვას.

**მცხოვრებთა მოსაქმეობა**

ქუთაისის გუბერნიისა და სოხუმის ოლქის მცხოვრებთა დიდი უმეტესობა მიწის მეურნეობით ცხოვრობს. 1915 წელს დათესილი მიწების რაოდენობა აქ უდრიდა 362.044 დესეტინას. 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით ქუთაისის გუბერნიისა და სოხუმის ოლქში დათესილი მიწების რაოდენობა მხოლოდ 305.201 დესეტინა იყო. დამუშავებული მიწის რაოდენობის ასე შემცირება დიდი ომის ნიშნით და შემდეგ რევოლუციით უნდა აიხსნეს.

1915 წელს ქუთაისის გუბერნიაში დათესილი იყო შემდეგი პურეულობა:

შემოდგომის პური	72.941	ჩეტვერტი (1 ჩეტვ 12 ფ. და 32 გირ.)
გაზაფხულის პური	6.120	”
ქერი	3.742	”
სიმინდი	294.018	”
ლომი	1.323	”
პოლბა	80	”
სხვა პურეულობა	4.365	” *)

იმავე წელს სოხუმის ოლქში დაუთესიათ 94,913 „ჩეტვერტი“ პურე-ულობა. ამ რიგათ საანგარიშო წელს მთელ ქუთაისის გუბერნიასა და სოხუ-მის ოლქში დაუთესიათ 477.504 ჩეტვერტი პურეულობა.

შემდეგი ცხრილი ნათლათ გვაჩვენებს 1917 წელს ქუთაისის გუბერნია-ში და სოხუმის ოლქში დათესილი მიწის რაოდენობას:

№ რიგ-ზე	პურეულობა:	დესეტინა:
1	შემოდგომის ქვაფი	810,71
2	გაზაფხულის ქვაფი	83,98
3	შემოდგომის პური	8.934,65
4	გაზაფხულის პური	2.307,62
5	შემოდგომის ქერი	158,00
6	გაზაფხულის ქერი	933,00
7	შვრია	481,80
8	სიმინდი	219.719,00
9	ფეტვი	431,00
10	ლომი	794,78
	<b>ს უ ლ</b>	<b>234.755,77</b>

\*) დასავლეთ საქართველოში დაბლობებში სთესენ აგრეთ წოდებულ „წვრილი პურის“ თესლს; მაღლობებში კი თეთრსა და წითელი ჯიშის გაზაფხულის პურს.

დასავლეთ საქართველოში მიწის მუშაობის კულტურა თავისებურია. აქ მიწას ძალიან იშვიათათ რწყავენ, რადგანაც უპამისოთაც მიწის ნიადაგი საკმაოდ სველი და ნესტიანია. მხოლოდ ქუთაისის გუბერნიის აღმოსავლეთ ნაწილში არის სარწყავი ადგილებიც; მაგალითათ, სოფელ მესხეთში, ყვირილის საზოგადოებაში, მთელი სახნავ-სათესი მიწების ნახევარი სარწყავია. სოფ. დიდი ჯიხაიშის გლეხები იძულებული არიან თავის სახნავ-სათესის  $\frac{2}{3}$  ხელოვნურათ მორწყონ. იმდენსავე ნაწილს სახნავი მიწებისა რწყავენ: კუხის, ხონისა და ეწრის საზოგადოებებშიც. ამ ადგილებში ცხენის წყლისა და სხვა მდინარეებიდან პატარ-პატარა თხრილებით გამოყვანილი წყლით რწყავენ სახნავ მიწებს. აქ მიწას ხნავენ პატარა სახნისით, რომელიც მხოლოდ მიწის ზედა პირს სულ ორი-სამი გოჯის სიგრძეზე აბრუნებს. დახვნის შემდეგ თესვენ მარცვალს და შემდეგ ფარცხვენ სათრიელა ფარცხით, რომელიც ბელტებსაც ამტვრევს და დათესილ მარცვალს ფარავს მიწაში. ეს სამეურნეო იარაღები ერთობ პირველყოფილია; იმას იქვე, ადგილობრივათ, თვითონ გლეხები აკეთებენ. მთებში, სადაც სახნისი არ მიუდგება, ყამირ ადგილებს თოხით ამუშავებენ და ისე სთესენ. აქ ხნავენ ერთი უღელი ხარით, ან ერთი ცხენით. დასავლეთ საქართველოში თქვენ ვერ შეხვდებით ისეთ გუთნეულებს, რომელსაც 6—8 უღელი ხარ-კამეჩი ძლივს მიათრევს, ურომლისოთაც წარმოუდგენელია აღმოსავლეთ საქართველოს მეურნეობა.

ყამირის დამუშავება დასავლეთ საქართველოში ერთობ საძნელო საქმეა. მიწის მუშას ერთობ დიდი შრომის დახარჯვა სჭირდება. ცოტაოდენი ყამირი ადგალის დასამუშავებლად, რადგან აქ, როგორც ზემოთაც ვთქვით, ტყე ადვილათ არ ემორჩილება ადამიანს და მოჭრილის ალაგას მალე ახალი ჩნდება. აგრეთვე დიდი შრომის დახარჯვა უხდება მიწის მუშას რომ თავი დააღწიოს დეზებიან ეკალს, რომელიც ლათინურათ *paliaris aculeatus*-ის სახელით არის ცნობილი და რომელიც აქ თითქმის ყოველგან არის გავრცელებული. ეს ეკალი ისე ღრმათ და ფართეთ უშვებს მიწაში ფესვებს, რომ მისი სამუდამო მოსპობა ერთობ ძნელი საქმეა. თუ მიწაში ერთი პატარა, სულ უმნიშვნელო, ძირიც დაარჩა, ის სულ მალე ამოყობს მალღა თავს და მთელ ჩირკვათ გადაიქცევა.

დასავლეთ საქართველოში უმეტეს ნაწილათ სიმინდს სთესენ, უფრო ამერიკული ჯიშისას, რომელსაც ცხენკბილას ეძახიან. სიმინდი აქ თითქმის ერთათ-ერთ დარგს შეადგენს პურეულ ნათესებში. მის მოსავალზეა დამოკიდებული აქაური გლეხის თითქმის მთელი კეთილდღეობა. სიმინდის საშუალო

მოსავალი საშუალო ღირსების დესეტინაზე ქუთაისის გუბერნიაში 120 ფუტამდე აღის. საუკეთესო სიმინდის მოსავალი იცის ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში და აგრეთვე სამურზაყანოს რაიონში, სოხუმის ოლქში.

მთიან ადგილებში, როგორც არის, მაგალითათ, რაჭის მაზრა, სთესენ ადგილობრივი ჯიშის წვრილ მარცვლებიან სიმინდს, რომელიც აქ ცნობილია მთის სიმინდის, ან კოწოლა სიმინდის სახელით. ეს წვრილ მარცვლოვანი სიმინდი ძალიან შეგუებულია მთა ადგილებთან. ის განირჩევა პატარა ღეროთი და პატარა ტაროთი. გამოსავალიც, შედარებით, ნაკლები აქვს, მაგრამ, სამაგიეროთ, მთებში ადვილათ ასწრებს დამწიფებასა და გახმობას. რაჭაში სთესენ აგრეთვე შემოდგომისა და გაზაფხულის ხორბალსაც. ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებში თესენ აგრეთვე ლომს (*Andropogon surgum auct.*), რისგანაც ფაფის მზგავს საქმელს აკეთებენ, რასაც პურისა და მჭადის მაგიერ ხმარობენ. ჭვავს სთესენ მხოლოდ ლეჩხუმის მაზრაში.

დასავლეთ საქართველოში მიწის მეურნეობაში ხრ არის მიღებული **თესლის შეცვლა**. აქ დაბალ ადგილებში წლითი წლობით ერთსა და იმავე მიწაზე უცვლელათ სთესენ სიმინდს; აღმოსავლეთის რაიონში კი სიმინდის ყოველ ორ-სამი წლის თესვის შემდეგ ერთი ან ორი წლის განმავლობაში პურს სთესენ. უფრო მცირე ნაყოფიერ და გამოფიტულ მიწებს ერთ-ორ წელიწადს დაასვენებენ და შემდეგ სიმინდს სთესენ. მთებში 4—5 წლის სიმინდის თესვის შემდეგ მიწას 3—10 წლამდე ასვენებენ. მხოლოდ რაჭის მაზრაში შეხვდებით უფრო რაციონალურათ დაყენებულ თესლის შეცვლის საქმეს. აქ სიმინდს სცვლის გაზაფხულის ქერი, ან შემოდგომის პური, რის მომკის შემდეგ თესენ ფაფის წვრილ-მარცვალა სიმინდს, რომელიც შემოდგომამდე ადვილათ ასწრებს შემოსვლას. აქ მიწას ხშირათ კიდევ აპატივებენ და ხელოვნურათ ანოყიერებენ.

ქუთაისის გუბერნიაში მიწის ხელოვნურათ ანოყიერებას არ მისდევენ. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ის ადგილები, სადაც მეჯოგეობა-მენახირეობას მისდევენ და სადაც საქონლის ნეხვი სათბობი მასალის მაგიტრობას არ უწყევს მცხოვრებლებს. ამ მხრით უკეთეს პირობებში ლეჩხუმისა და რაჭის მაზრებია, სადაც შედარებით მეჯოგეობასაც მისდევენ და ხალხიც ძლიერ მშრომელი და მუყაითია. ამ მაზრებში გლეხი თავის პატარა ხნულს ორ წელიწადში ერთხელ მაინც მოაყრის ნეხვს. ამისთვის ის არაფერ შრომას არ დაერიდება.

დასავლეთ საქართველოს ყველა სხვა ნაწილებში მხოლოდ ბალებსა და ბოსტნებს თუ ანოყიერებენ ხელოვნურათ; ყანების გაპატივება კი აქ ყოველ-

გან იშვიათი საქმეა. აქ ზოგ ადგილებში მიწის ხელოვნურათ გასანოყიერებ-  
ლათ ხშირათ შემდეგ ხერხს მიმართავენ: თუ საყანე მიწებს ახლომს მდინარე  
ჩაუღის, ჭინახულის მომკის შემდეგ, მდინარეს შავეგუბებენ. წყალი ნაპირები-  
დან გადადის, ყანებში ცოტაოდენ შლამ-ტალახს დასტოვებს და შემდეგ  
წლის მოსავლის გასაუქჯობესებლათ ესეც დიდი საქმეა.

**მებაღეობა, მეხილეობა და მებაღეობა** თუმცა საქმათ განვითარე-  
ბულია დასავლეთ საქართველოში, მაგრამ მაინც და მაინც დიდი მნიშვნე-  
ლობა არა აქვს ხალხის ბიუჯეტში. მებოსტნეობას ძალიან მისდევენ ქუთაისის  
მაზრაში, მებოსტნეობით აქ განთქმულია, მაგალითათ, ქვიტირი, გეგუთი, მეს-  
ხეთი, საყულია, ფარცხანაყანევი, სამტრედია და ბევრი სხვა სოფელი. ქუთა-  
ისის გუბერნიდან ტფილისის, ბაქოს, ბათუმისა და სხვა მაზრებზე დიდ ძალბ  
ადრეული მწვანილეულობა გააქვთ ამ საქმეს აქ მაინც. მტმთხვევითი ხასიათი  
აქვს, ვერ არის რაციონალურათ დაყენებული და მწვანილეულობის ჯიშის  
გაუმჯობესებაზე არ ფიქრობენ.

ბოსტნის მცენარეთა შორის უფრო გავრცელებულია: ლობიო (როგორც  
ბოსტნის ისე ყანის, რომელსაც სიმინდში ურევენ და ისე სთესვენ), ბადრიჯანი,  
მუხუნდო, ცერცვი, წითელი წიწაკა, ტარხუნა, ქინძი (*Coriandrum Sativum*),  
წიწმატი, სტაფილო, კიტრი, ხახვი, ნიორი, ქარხალი, კარტოფილი და სხვა.  
ნესვი და საზამთრო აქ ძლიერ მდარე ღირსების იცის: კომბოსტო, სტაბური,  
ანგინარი აქ ძლიერ ადრე შემობღს.

კარგათ გაშენებული და მოვლილი ხილეულობის ბაღებს მხოლოდ ქუ-  
თაისის მაზრაში შეხვდებიან. ბაღებით აქ ცნობილი არიან შემდეგი სოფლები:  
ბანოჯა, ჭომა, ქვიტირი და საზოგადოთ რკინის გზის ღიანდაგის გასწვრივ  
მდებარე სოფლები. მთელს გუბერნიაში 1917 წლამ აღწერთ ბაღების სივრ-  
ცის რაოდენობა უდრიდა 1641 დესეტინას.

აქ ხილი საქმათ ბევრ მოდის, მაგრამ ის ღირსებით მდარეა: მეტის  
მეტათ წყლიანი, მჟავე და უგემური. აქაური ხილი კარგათ ვერ მწიფდება,  
მალე ფუჭდება და გადატან-გადმოტანას ვერ იტანს. აქ კარგი ჯიშის არის  
მხოლოდ ადრეული ჯიშის ბალი, ატამი, ქლიავი და ლეღვი; ეს აქ დიდ-ძალი  
მოდის და ბევრსაც ეზიდებიან ტფილისის, ბაქოსა და ბათუმის მაზრებისაკენ.  
ატმით სახელ-განთქმულია: სორმონი, რიონი, გოდოგონი, კურსები, სამტ-  
რედია, კულაში (ქუთაისის მაზრაში). ოკრიბა ცნობილია ჩინებული ხარისხის

ბალით და საზამთრო ჯიშის ვაშლითა და მსხლით. იმავე ჯიშის მსხალი და ვაშლი ბევრი გამოაქვთ ბაზრებზე აგრეთვე ლეჩხუმისა და რაჭის მაზრებიდან. ამ მხრით ერობ ცნობილია სოფლები: მუხურა, უხუთი, საპანჩე; აქაურ ვაშლს ტფილისის ბაზარზე კარგი გასავალი აქვს. აქაური: თურაშეულორ, აბელაური, რაჭულა ვაშლები და ხეჭეჭურის მსხალი ცნობილია კავკასიის ყველა ბაზრებზე. ქუთაისის გუბერნიაში ბოლო დროს კარგათმოიღვა ფეხი საზღვარგარეთელი ჯიშის ვაშლმა: გურიაში ცნობილია ნაცრის ფერი ფრანგული რანეტი და პიპინი პარკრა.

აქ ძლიერ ბევრი მოდის და კარგი ჯიშისაც არის მარწყვი და ხენდრო. თხილის კულტურა უკანასკნელ ხანებში ძლიერ გავრცელდა ოზურგეთისა და ზუგდიდის მაზრებში. აქ თხილს რგვენ როგორც ცალკე პლანტაციებში, ისე ეზოებში ღობეებს ძირათ. აქ შესანიშნავია ტრაბიზონისა და ბერძნული ჯიშის თხილი. ამ ჯიშის თხილი უფრო სხვილ-კაკალაც არის და ადრეც შემოდის. თხილის კულტურას ყველაზე უფრო ზუგდიდის მაზრაში მისდევენ, ყველაზე უფრო კი დიდი ნექვის, დარჩელსა და კოკის საზოგადოებებში. მარტო ამ უკანასკნელში 1913 წელს 420 ქცევა\*) თხილი ითვლებოდა. თხილი დიდძალი მოდის აგრეთვე ქუთაისის მაზრაშიც, სადაც ამ მხრით ცნობილია: სადვალიშვილებო, ვანქი, ბაში და სხვა სოფლები.

**მევენახეობა და მელვინეობა** უხსოვარ დროიდან ყოფილა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში. კულტურის ეს დარგი დღესაც დიდ როლს თამაშობს აქაური მეურნის ზიუჯეტში.

აქ ვენახი ორგვარია: დაბლარი და მაღლარი; დაბლარი — ეს კულტურულათ გაშენებული ვენახია, კარგათ დამუშავებულ მიწაზე დარგული, უმეტეს ნაწილათ, ამერიკულ ძირებზე დამყნობი და ხარდანზე\*\*) ან მავთულზე გაკრული ვაზია. მეორე ჯურის ვენახი, მაღლარია, ეს მაღალ ხეებზე (თუთისხეზე ვაშლზე, მსხალზე, თრმელაზე, ტირიფზე და სხვა მაღალ ხეებზე, მირგული ვაზია) ასე ხეზე მირგული ვაზი ხშირათ დიდი ტანისაა, ტოტები მაღლა აღის, ეხლართება ზის ყველა ტოტებში და მართლაც სასიამოვნო სურათს წარმოადგენს, როცა დამწიფებული ყურძნის მტევნებით დატვირთული ხის ტოტები

\*) ქცევა უდრის 900 ოთხ-კუთხ საყენს.

\*\*) ხარდანს ქართლ-კახეთში ჭიგოს ეძახიან.

დაბლა მიწამდე ეშვება. სამაგიეროთ, მალლარი ერთობ მცირე მოსავალს იძლევა შედარებით. ძნელია მალლარი ვენახის საშვალო მოსავლის გამოანგარიშება; ეს იმაზე და მოკიდებული, თუ დესეტიანა მიწაზე რამდენი ხე, ან რამდენი ვაზია, ან ეს ხე რამდენათ დიდი და ტოტებ-გაშლილია და თვითონ ვაზი რამდენათ დიდათ არის დახლართული ხის ტოტებში. ისე კი ალაგ-ალაგ, უკეთეს შემთხვევაში, მალლარი 75 ვედრამდე ღვინოს იძლევა დესეტიანაზე, მაშინ, როდესაც დაბლარი ვენახი საშუალო რაოდენობით დესეტიანაზე 200-ზე მეტ ვედრო ღვინოს იძლევა.

ათი წლის განმავლობაში მარტო ქუთაისის გუბერნიის ვენახის ბაღების სივრცის რაოდენობა შემდეგი იყო:

წლები:	დესეტიანა:
1908	20.230
1911	19.916
1913	18.191
1914	18.233
1915	18.212
1916	18.163
1917	15.563

სოხუმის ოლქში ვენახის რაოდენობა უდრიდა: 1908 წელს — 3.184 დესეტიანას. 1911 წ. — 3.098; 1915 წ. — 3.098; 1917 წ. — 2.417 დესეტიანას. ეს ცნობები იმათ მოწმობენ, რომ ვენახის გავრცელების საქმე დასავლეთ საქართველოში ცოტ-ცოტათ კლებულობს. ეს იმით აიხსნება, რომ აქ ხალხი ძლიერ განიცდის მიწის სიმცირეს. მეორე მიზეზი ის არის, რომ აქ ფილოქსერამ ძალიან დააზიანა ვაზი, რამაც გამოიწვია მევენახეობის კულტურის ძირ-ფესვიანათ შეცვლა. მეურნე იძულებული შეიქნა ადგილობრივი ჯიშის ვენახი დაემყნა ამერიკულ ჯიშის ვაზზე, რასაც ფილოქსერა ვერაფერს აკლებს, მაგრამ ეს გარემოება იწვევს ორ წილ შრომასა და ხარჯს. ეს კი ყველას არ შეუძლია. ამიტომაც არის, რომ აქ მევენახეობაში კრიზისი თან და თან ახლოვდება. ფილოქსერა დიდ უბედურებათ მოეწვლინა ამ მხარეს და ეს უბედურება

კიდევ უფრო საშიშარია ამ დიდ ზომიანობისა და შემდეგ სამოქალაქო ომების ხანაში. მევენახეს საგაძნობელ სამსახურს უწევს ქუთაისის გუბერნიაში არსებული ვაზის რამოდენიმე სანერგე:

მელვინეობა-მევენახეობის საქმე აქ ყველაზე უფრო შორაპნის მაზრაშია გავრცელებული. სტატისტიკური ცნობების მიხედვით, ამ მაზრაში მოყავს ნახევარი იმ ღვინის რაოდენობისა, რაც მთელი ქუთაისის გუბერნიაში მოდის. საშუალო რიცხვით მაზრებში ღვინო მოდის:

მაზრები:	ვედრო:
შორაპნის	2.200.000
ქუთაისის	1.150.000
ოზურგეთის	430.000
ლენხუმის	400.000
რაჭის	130.000
სენაკის	40.000
ზუგდიდის	8.000
<b>ს უ ლ</b>	<b>4.358.000</b>

სოხუმის ოლქი წლიურათ საშუალო რიცხვით იძლევა 900.000 ვედრა ღვინოს.

აქაურ ღვინოებში ყველაზე უფრო კარგი ღირსების შორაპნის მაზრის ღვინოებია — ნამეტურ ცნობილია სვირისა და აგრეთ წოდებული ყიფიანის ღვინოები, რომელსაც სპეციალისტებმ ბურგუნდიის საუკეთესო ღირსების ღვინოებს ადარებენ. ამ მაზრეში ღვინის დაყენების საქმე ვერ სწარმოებს რატიონალურათ. ამიტომ აქაური ღვინოების უმეტესობა ვერ იტანს შორს გადატან-გადმოტანას. ბადაგის (ტკბილის) დუღილი თითქმის ყოველგან სწარმოებს ქუთაისში, ან ქვევრებში, რომლებიც გარეთ დიდი კაკლის ხის, ან ცაცხვის ძირშია მიწაში ჩაფლული. როგორც ვიცით, აქ შეჰოდგომაზე ამინდები ძლიერ ცვალებადია და გარეთ ქვევრებში ჩასხმული ღვინო ამ ამინდის ამარა დაგდებ

ბულო: დღეს რომ სიციხეა, ზვალ საშინელი სიტყვა. ამინდის ასეთი ცვა-  
ლებადობა ხელს უშლის ღვინის რივიანათ დადუღებას, რისთვისაც აუცილებ-  
ლათ საჭიროა ერთი ზომის ტემპერატურა. ამას გარდა ზოგიერთ ადგილობ-  
რივი ჯიშის ყურძენი მეტის მეტათ წყლიანი და შაქარ-ნაკლებია... ყოველი  
ამ ნაკლის მიუხედავად, ყველა ღვინის მეჭაშნიკეების (დეგუსტიორები) აზრი  
ისეთია, რომ აქაური თეთრი ღვინოები ძლიერ კარგი გემოსი და არომატის  
არიან და აქ რომ ღვინის დაყენების საქმე უფრო რაციონალურ წიადაგზე  
დადგეს, აქაური ღვინოები მთელ ქვეყანაზე საყურადღებო იქნებიან. წითელი  
ღვინო კი თავის ღირსებით თეთრზე დაბლა დგას. აქაურ ღვინოებს მაინცა  
და მაინც დიდი ბაზარი არა აქვს, რადგანაც, როგორც უკვე ვთქვით, შორს  
გადატან-გადმოტანას ვერ იტნს. აქაური ღვინოებიდან ჩინებული შამპანიუ-  
რის გაკეთება შეიძლება. ეს ოცდა ათის წლის წინათ კიდევ სცადა პრინცმა  
ოლდენბურგელმა, რომელმაც ქ. ქუთაისში გახსნა შამპანიური ღვინოების  
ქარხანა; რამაც სასურველი შედეგი მოიტანა. კიდევ უფრო კარგი შედეგი  
მოყვა ძმ. ანანოვების ცდას სადგურ რიონის მახლობლათ, აჯამეთის მამულ-  
ში, სადაც მათ ორმოციოდე წლის წინათ შამპანიურისა და კონიაკის ქარ-  
ხანა გახსნეს.

**სამრეწველო მცენარეთა კულტურა.** სამრეწველო მცენარეთა შორის  
დასავლეთ საქართველოში ყველაზე უფრო გავრცელებული თამბაქო და  
ბამბაა.

საუკეთესო ჯიშის თამბაქოს სამშობლო სოხუმის ოლქია. აქ თამბაქოს  
პლანტაციებს თითქმის მთელი შავი ზღვის განაპირა ნაწილი უჭერია, ყოველ  
შემთხვევაში ეს პლანტაციები აქ ზღვის პირათ 130 ვერსის მანძილზეა გაჭი-  
მული, გონიათ კი 25 ვერსი. ამ საქმეს აქ გარდა ადგილობრივ მკვიდრისა,  
გარეშე მოსული ხალხი ეტანება, ბერძნები, თურქები, სომხები და სხვა \*).  
სოხუმის ოლქში უფრო გავრცელებულია თათრული ჯიშის თამბაქო, ეგრეთ  
წოდებული „სამსონი“ და „ტრაპეზუნდი“, რომლის გავრცელებაც აქ მე-XIX  
საუკუნის 60 წლებში დაიწყო. „სამსონის“ ჯიშის თამბაქო დესეტინაზე სა-  
შუალო რიცხვით 30—60 ფუთამდე მოდის; „ტრაპეზუნდი“ კი უფრო მო-  
სავლიანათ ითვლება და დესეტინაზე საშუალოთ იძლევა 50—80 ფუთამდე.

\*) ნახე გაზეთი „Ворьна“ № 223, 1919 წელს. სტატია ბ. ე. კოზლოვსკისა.

საუკეთესო „სამსონი“ მოყავთ გუდაუთის რაიონის შემდეგ სოფლებში: მწარეში, ანუხვაში, ფრირცხაში, ეშერში, ჩალტულუკში, ბირწში, ლეჩყოფსა და იმტუხაში. საუკეთესო „ტრაპეზუნდი“ კი მოყავთ: იმტუხაში, ბირწში და მიხაილოვსკში. თამბაქოს პლანტაციებს სოხუმის ოლქში ექირათ: 1914 წელს—13.101 დესეტინა, 1915 წ.—8.825 დესეტინა; 1916 წელს კი—10.597 დესეტინა. იმავე წლებში თამბაქო მოსულა: 1914 წელს—600.700 ფუთი; 1915 წ.—430.000 ფ. და 1916 წ.—560.000 ფუთი.

სოხუმის ოლქში სცადეს ძვირფასი სიგარის ჯიშის თამბაქოს თესვაც, მაგრამ ჯერ ამის შედეგი არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში, ის იქვს გარეშეა, რომ სოხუმის ოლქის თამბაქო საუკეთესო ღირსების არის და ოსმალეთის თამბაქოს არ დაუვარდება. აქაური თამბაქოს ბაზარი რუსეთი იყო, მაგრამ ამ უკანასკნელ წლებში მთელი მოსავალი დასავლეთ ევროპის ბაზრებზე გააქვთ.

ბ. ე. კოზლოვსკის ცნობით სოხუმის თამბაქო გაუტანიათ:

წლები:	რუსეთში:	საზღვარ-გარეთ:	ადგილობრივ:
1915	285.577 ფ.	4.074 ფ.	797 ფ.
1916	408.000 „	7.576 „	2.915 „

უკანასკნელ წლებში სოხუმის ოლქის მეთამბაქოობამ საგრძნობლათ დაიკლო, რაც პოლიტიკურ-ეკონომიური კანიუნქტურით უნდა აიხსნას.

ქუთაისის გუბერნიაში კულტურის ეს დარგი ვერ არის სასურველათ განვითარებული. აქ ამ საქმეს მხოლოდ ძირითადი მკვიდრნი მისდევენ. უკეთესი ჯიშის თამბაქოდან აქ თესენ „სამსონს“, დაბალიდან—„ვირგილის“. მეთამბაქოობა უფრო ოზურგეთის მაზრაშია გავრცელებული. აქ, განსაკუთრებით, ჩოხატაურის რაიონში, შეხვდებით თამბაქოს დიდ პლანტაციებს. ცოტა საგრძნობლათ მიზდევენ ამ საქმეს ქუთაისისა და ზუგდიდის მაზრებში: შორაპნის მაზრაში კი მხოლოდ ადგილობრივი საქიროებისთვის თესვენ დაბალი ღირსების თამბაქოს.

გუბერნიაში თამბაქოს პლანტაციების საზოგადო სივრცე და მოსავალი უდრიდა:

წლები:	დესეტინა:	ფუთი:
1914	446	23.194
1915	383	19.041
1916	302	18.041

იმავე წლებში (1914—1916) თამბაქოს მოსავალი საშუალო რიცხვით დესეტინაზე ყოფილა 43—66 ფუთი. აქაური თამბაქოს ბაზარი უმთავრესათ ტფილისია. მისი ცოტა ნაწილი მიაქვთ ბაქოში, რუსეთისა და ევროპის ბაზრებზე აქაური თამბაქო სულაც არ მიდის.

**ბამბის კულტურას** \*, საქართველოში უხსოვარ დროდან მისდევენ. ეს მცენარე, როგორც ფიქრობენ, აქ შემოსულა სპარსეთიდან, სადაც იგი გავრცელებულია ინდოეთიდან, რომელიც ბამბის სამშობლოთ ითვლება. დასავლეთ საქართველოში ბამბას ძველათ სამრეწველო მნიშვნელობა არ ქონდა. თესდენ ადგილობრივი საჭიროებისთვის. მაგრამ წარსული, მე-XIX საუკუნის, 60 წლებიდან ამ საქმემ სამრეწველო ხასიათი მიიღო. მიზეზი ის იყო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ომიანობის გამო ევროპასა და რუსეთში ბაზა არ შემოდიოდა. ბამბის ფასმა ძლიერ აიწია (20—21 მანეთამდე ავიდა ფუთი). ამ გარემოებამ ბუნებრივად გამოიწვია საქართველოში და კერძოდ დასავლეთ საქართველოში მებამბეობის გამოცოცხლება. სანამ ეს ომიანობა იყო დასავლეთ საქართველოდან დიდძალი ბამბა გაქონდათ რუსეთში. მაგრამ ომები დამთავრდა და ამერიკამ ხელ-ახლა აავსო ბამბით ევროპისა და რუსეთის ბაზრები. ამერიკელ მწარმოებელს აბა აქაური მწარმოე-

\*) იხილე ს. ნ: ტიმოფეევის მონოგრაფია: 1) „Статистика хлопководства в Закавказ. крае за 1909—1911 г.г. და 2) „Статист. хлопк. в Закавказ. кра. за 1912 г. და სხვა.

ბელი კონკურენციას როგორ გაუწევდა. ხალხს მალე გული აუცრუვდა და მებამბეობის საქმეც მალე თითქმის ძველ დონეზე დავიდა. ქუთაისის გუბერნიაში ბამბის უდიდესი ცენტრები იყო: ბაღდადისა და სამტრედიის რაიონები ქუთაისის მაზრაში და აბაშის რაიონი სენაკის მაზრაში. მებამბეობას მისდევენ აგრეთვე შორაპნის, ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრებში.

ქუთაისის გუბერნიაში ბამბის პლანტაციების სივრცის რაოდენობას შემდეგი ცხრილი გვაჩვენებს:

წლები:	დესეტინა:
1909	850
1910	1 900
1911	2 700
1912	2 780

იმავე წლების (1909—1912 წ.წ.) განმავლობაში დესეტინაზე საშუალო მოსავალი ყოფილა 65 ფუთი. საშუალო წლიური მოსავალი 200.000 ფუთი ყოფილა.

აქაურ მებამბეობას ახასიათებს პატარ-პატარა პლანტაციები, რომლის სივრცე  $1\frac{1}{2}$ —2 ქცევას (1 ქცევა=900 ოთხ-კუთხი საყენია) ძვირათ აღემატება. აქ ბამბის კულტურა ვერ არის დაყენებული რაციონალურ ნიადაგზე და მიტომ მოსავალსაც შედარებით ნაკლებს იძლევა.

1912 წელს ქუთაისის გუბერნიაში 12 ბამბის საწმენდი ქარხანა მუშაობდა. აქ ბამბის მყიდველებათ დიდი ქარხნების აგენტები—უმეტეს ნაწილათ ებრაელები გამოდიან.

სოხუმის ოლქში მებამბეობას მისდევენ სამურხაყანოს, გუდაუთისა და კოდორის რაიონებში. მაგრამ აქ მეურნეობას სამრეწველო ხასიათი არა აქვს. აქაური ბამბა ადგილობრივ საჭიროებასაც ვერ აკმაყოფილებს.

— : —

**სპეციალური კულტურის დარგს ეკუთვნის:** ჩაის მცენარის მოშენება, მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა.

ჩაის ბუჩქის მოშენების საქმე ქუთაისის გუბერნიაში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ამ მცენარის კულტურამ აქ პირველად მიიქცია ყურადღება თ—დი ვორონცოვის ნამესტნიკობის დროს. მისი განკარგულებით ყირიმიდან ნიკიტას სახელობის სხუფლისწულო ბაღიდან მოიტანეს ჩაის მრავალი ბუჩქები, რომელიც დარგეს სოხუმისა და ოზურგეთის კლიმატიური სადგურების ბაღებში. ეს პირველი ცდა ჩინებული გამოდგა. ჩაის ბუჩქი მალე შეეგუა აქაურ ჰავას და თუმცა 1850 წლის ზამთარი აქაც ცივ და თოვლ-ყინვიანი იყო, მაგრამ ამით ბუჩქებს არაფერი არ დაზიანებია. სამაგიეროთ, რამდენიმე წლის შემდეგ, ყირიმის ომიანობის დროს, ამ მცენარის დიდი უმეტესობა დაიღუპა. დარჩა მხოლოდ 25-ოდე ბუჩქი ამ ძვირფასი მცენარისა და ისიც უპატრონოთ და მოუვლელათ. ეს 25 ბუჩქი გადიტანა და თავის მამულ „გორისაში“ დარგო ადგილობრივმა მემამულემ თ—დმა მ. ერისთავმა. მცენარემ ჩინებულათ იხარა. მაგრამ ერისთავის დამზადებული ჩაი ერთობ მდარე ღირსების გამოდგა, რადგანაც მას გამოცდილი და საქმის მცოდნე მუშები არა ყავდა. ერისთავის სიკვდილის შემდეგ, ამ ჩაის პლანტაცია სულ დაიღუპა უპატრონოთ. სწორეთ ამ დროს აქ მოხვდა ინგლისელი ლაელი, რომელსაც 15 წელი ინდოეთში გაეტარებია და ჩაის საქმეს კარგათ იცნობდა. აქაური ნიადაგისა და ჰავის გამოკვლევამ ლაელი დაარწმუნა, რომ ქუთაისის გუბერნიაში ჩინეთის საუკეთესო ღირსების ჩაი საუკეთესოთ იხეირებსო.

ენერგიით სავსე ინგლისელის აგიტაციამ ხელ-ახლათ აღძრა აქ ჩაის კულტურის განახლების სურვილი, ოზურგეთის მაზრის მეუნეებმა ხელ-ახლათ მოკიდეს ხელი ამ საქმეს. მართალია, საქმის უცოდინარეობას თავისი გაქონდა: ჩაი ერთობ დაბალი ღირსების იყო; მაგრამ მეურნეთა ენერგიამ თავისი გაიტანა; ერთხელ ენერგიულათ დაწყებული საქმე თან და თან განვითარდა და მე-XIX საუკუნის 90 წლებში მან კარგათ აიღვა ფეხი.

აქ ამ საქმის განვითარების საქმეს ცხადათ გვაჩვენებს შემდეგი ცხრილი:

წლები:	დესეტინა და საყენი	გირვანქებში:
1905	8 დეს. 1.700 ოთხ. საყ.	
1906	10 " 1.730 " "	
1907	15 " 2.230 " "	
1908	18 " — " "	
1909	— " — " "	
1910	20 " — " "	
1911	19 " 2.200 " "	
1912	26 " 700 " "	
1913	29 " 2.700 " "	
1914	29 " 2.200 " "	
1915	69 " 457 " "	

ამ საქმის გაუმჯობესებას საგრძნობლათ შეუწყო ხელი საცდელი პლანტაციის დაარსებამ, რომელიც იმყოფება სოფელ ზვანში, ოზურგეთის მაზრაში. ომიანობამდე აქ ორ ქარხანაში ამუშავებდნენ ჩაის ფოთლებს. ერთი ქარხანა თვითონ მთავრობამ გამართა საცდელ პლანტაციაში, მეორე ეკუთვნოდა კერძო მწარმოებელს თ - დ მიხეილ ნაკაშიძეს.

1915 წელს ამ ორ ქარხანას ჩაი დაუმზადებიათ ხარისხობით:

	I	II	III	მღარე ღირსების	ფხვნილი.
სახაზ. პლანტაციას	50 გირ.	200 გირ.	300 გირ.	300 გირ.	70 გირ.
ნაკაშიძეს	92 "	— "	4.213 "	— "	—
სხვა და სხვა პირთ (ხელით)	— "	— "	1.671 "	— "	—
<b>სულ</b>	<b>142</b>	<b>200</b>	<b>6.181</b>	<b>300</b>	<b>70</b>

**მეფუტკრეობას** დასავლეთ საქართველოში უმეტეს ნაწილად გლეხები ეწევიან. მაგრამ მათი მეფუტკრეობა ადამის დროინდელია მათ ისევ ძველებური ბუკის სკა აქვთ უმეტეს ნაწილად. ამიტომაც ამ მხარეში ყოველ წლოვით დიდ ძალი ფუტკარი იღუპება. მაგრამ, საბედნიეროთ, ამ ბოლო დროს აქ თან და თან ფეხს იკიდებს უფრო რაციონალური მეფუტკრეობა ახალის სისტემის საფუტკრეებით, თაფლის საწური მანქანებითა და სხვა ევროპიული იარაღებით, ხალხი თან და თან სწავლობს რაციონალურ მეფუტკრეობას და საქმეს გაუმჯობესება ეტყობა.

ქუთაისის გუბერნიაში ცნობილნი არიან სურბელი მეფუტკრეები (ოხურგეთის მაზრაში); სამეგრელოს მხარეში მეფუტკრეობას ეწევიან ცხენის წყლის, ინგურისა და ტეხურის განაპირა სოფლები.

ჩვეულებრივი თაფლის გარდა დასავლეთ საქართველოში ხშირათ შეხვდებით აგრეთ წოდებულ ქვა-თაფლს (Камен мед) და მათრობელა თაფლს. ქვა-თაფლამ თავისი სახელ-წოდება ალბათ იქედან მიიღო, რომ ის ისე ძლიერათ ეკვრის ფიჭის უჯრედებს, რომ ჩვეულებრივი თაფლის საწური მანქანით იქედან იმის ამოღება ერთობ ძნელია. ამ თაფლს ფუტკარი აკეთებს, ჩვეულებრივათ, გაზაფხულზე, დაახლოვებით აპრილში. ის ჩვეულებრივი თაფლიდან განირჩევა რუხი ფერით; გემო საკმაო სასიამოვნო აქვს. მისი ჭამის დროს სანთლის გემოს სულაც ვერა გრძნობთ, თუმცა ეს თაფლი ფიჭიანათ უნდა ჩაიდოთ პირში და სწუწნოთ. ამ თაფლში, პროფესორი კაბლუკოვის გამოკვლევით, 54% ღვინის შაქარია, მიშინ, როცა ჩვეულებრივ თაფლში ღვინის შაქრის რაოდენობა 30% არ აღემატება.

მათრობელა თაფლს მხოლოდ აქა-იქ შეხვდებით, უფრო კი გურიაში. ეს თაფლი თხელია და მოშავო ფერი აქვს. ჭამის შემდეგ ის იწვევს გულის რევას და თავის ბრუებას. მიზეზი ჯერ გამოურკვეველია. ფიქრობენ, რომ ამ თაფლს ფუტკარი ყვავილების მტვერიდან კი არ ამზადებს, არამედ ლელვის წვენიდანო. ამას ვითომ იმით ადასტურებენ, რომ გურიის იმ ადგილებში, სადაც მათრობელა თაფლი იცის, ლელვის ხე ერთობ ხშირია.

სოხუმის ოლქში მეფუტკრეობა შედარებით უფრო რაციონალურათ არის დაყენებული. აფხაზეთის ტყეებში ხშირათ შეხვდებით დიდ ძალ თაფლს, ფუტკროიან ხეებში დაგროვილს ფუტკრების მიერ.

1910 წელს ქუთაისის გუბერნიაში 22.280 სკა ითვლებოდა, აქედან 17.839 ძველებური ბუკის სკა იყო, 5.131 კი ახალი სისტემის ჩარჩოიანი

სკები. იმავე წელს მთელ გუბერნიაში თაფლი გაუყიდიათ 5,606 ფუთი, ფიჭი—1.605 ფუთი.

—:—

**მეაბრეშუმეობას** ქართველები უხსოვარ დროიდან მისდევდნ. ძველი გარდმოცემის მიხედვით, აბრეშუმის თესლი საქართველოში მოუტანია მე-V საუკუნეში მეფე ვახტანგ გორგ-ასლანს ინდოეთიდან, სადაც ის სპარსეთის მეფესთან ერთათ იღებდა ომებში მონაწილეობას.

მეაბრეშუმეობა ქალების ხელობას შეადგენს. იგზ ყველაზე უფრო გავრცელებულია გურიაში, სადაც მეაბრეშუმეობით დიდათ ცნობილია ოზურგეთის რაიონი და განსაკუთრებით სოფელი ბახვი, აგრეთვე ძლიერ გავრცელებულია იგი ბაღდათში, სვირში, ვანში და კუხში, (ქუთაისის მაზრაში). რადგანაც ქუთაისის გუბერნიაში აბრეშუმის ქსოვილების ფაბრიკები არ არსებობდა, მეურნე იძულებული იყო თავისი პარკი ადგილობრივი ჩარჩებისათვის მიეყიდა. ბოლო დროს აქა-იქ დაბა-ქალაქებსა და სოფლებში გაჩნდა პარკის სახმობი ფარდულები და ადგილობრივ ნაწარმოებ პარკს აქვე ახმობენ. ქ. სამტრედიაში დიდი ხნის წინათ დაარსდა ძაფის სართავი ჩინებულათ მოწყობილი ფაბრიკა. მაგრამ ვერც ამან გაანთავისუფლა მწარმოებელი ჩარჩების მძიმე უღლიდან. ამ ბოროტებასთან საბრძოლველათ მეაბრეშუმეებმა თან და თან შეიგნეს შეერთებული მოქმედების მნიშვნელობა და დაარსეს მეაბრეშუმეთა ამხანაგობები. მეურნეობის ამ ძვირფასი დარგის ისტორია ამ მხარეში არ დაივიწყებს ამ ამხანაგობათა პიონერის ნესტორ წერეთლის ღვაწლს, რომელმაც პირველმა დაარსა სოფელ კუხში ასეთი ამხანაგობა ყველაზე დიდი ბაზარი აბრეშუმის პარკისა ადგილობრივათ არის: ქ. ხონი, ქ. სამტრედია და ქ. ლანჩხუთი. სტატისტიკური ცნობების მიხედვით, ქუთაისის გუბერნიაში 1910 წელს გაუყიდიათ 113.000 ფუთი აბრეშუმის პარკი.

**მესაქონლეობა.** მეურნეობის ეს დარგი დასავლეთ საქართველოში ერთობ სუსტათ არის განვითარებული. იმას აქ ყველაზე უფრო სამეგრელოში მისდევენ. აქ ამ დარგს მხოლოდ ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ მისდევენ. სამეგრელოდან და გურიიდან ზაფხულობით პირუტყვს აქარა-გურიის მთებში მიერეკებიან. სხვა მაზრებიდან ნახირს იალაღზე (საზაფხულო საძოვარზე) არ მირეკავენ. სვანეთშიაც მისდევენ

მესაქონლეობას. გუბერნიაში 250:000 დესეტინა საზაფხულო საძოვარი ითვლებოდა; სოხუმის ოლქში კი ასეთ საძოვარს 120.000 დესეტინას ანგარიშობენ.

აქ პირუტყვი პატარა ტანის არის, ადგილობრივი მთიელი ჯიშისა. ხარის შედარებით სუსტი, ძროხა ცოტა მეწველი. სამაგიეროთ ამ ჯიშის პირუტყვი ადვილი შესანახავია, რადგანაც ადგილობრივი ჰაერს კარგათ იტანს და საკვებიც ცოტა უნდება.

მეცხვარეობას უმეტესათ მთებში მისდევენ, რადგანაც აქ ხშირია ალპიის მთებისებური საძოვარი ადგილები. ეს დარგი უფრო გავრცელებულია რაჭისა და შორაპნის მაზრებში. აქაური ცხვარი დაბალი ხარისხის მატყლს იძლევა. მაგრამ მატყლი არც წონით იცის ბევრი. თითო ცხვარი საშუალო რიცხვით 4—5 გირვანქაზე მეტ მატყლს არ იძლევა. სამაგიეროთ აქაური ჯიშის ცხვარი შედარებით კარგათ მრავლდება.

1917 წლის სამეურნეო აღწერის მიხედვით ქუთაისის გუბერნიაში ითვლებოდა: ცხენი—14.945, ხარი და ძროხა—100.082, კამეჩი—22.507, ცხვარი—25.058, თხა—20.100, ლორი—37.056, ჯორი—93 და ვირი—411.

—:—

**მეთევზეობა** \*) დასავლეთ საქართველოში პირველ-ყოფილ მდგომარეობაშია. ოზურგეთის მაზრაში, მდ. ნატანებში, სუფსასა და მალთაყვაში იჭერენ ეგრეთ წოდებულ წითელ თევზს (красная рыба). 1914—1918 წლებში თევზის ჭერა სწარმოებდა ამ მდინარეების ზღვაში ჩასართავამდე, 3—10 ვერსით ზემოთ. აქაური მეთევზეები უმეტეს ნაწილათ თურქებია; აქ მეთევზეობენ აგრეთვე ანაპიდან მოსული რუსებიც. ადგილობრივი მცხოვრებლები ამ საქმეს არაფერ ყურადღებას არ აქცევენ. სენაკის მაზრაში ეს საქმე ასე თუ ისე გავრცელებულია მდ. რიონისა და ხოპის ზღვის ჩასართავთან და აგრეთვე პალიასტომის ტბაში. როგორც ვიცით, ზაფხულობით პალიასტომის ტბის წყალი ღებება და ფუჭდება. ამიტომ აქ ზაფხულობით თევზი არ იცდის. ის მიეშურება შავ ზღვაში და ბრუნდება მხოლოდ ოქტომბრისა და ნოემბრის თვეებში. პალიასტომში მრავლად იჭერენ კობრებს, ღლავეებს, ფარგასა და

\*) ნახე როდზვეიჩ-ბელვეიჩის სტატია: „Рыбный промысел в зак. побережии Черн. моря“ კრებულში „Весь Кавказ“ თბ. 1903 წელი.

კაპარკინა თევზს. მდ. რიონში თევზის ქერა სწარმოებს ქ. ფოთის ზემოთ 3—5 ვერსის მანძილზე. თებერვლის თვეში ზღვიდან რიონში დიდ-ძალი ცქვინი (ბაყრა) შემოდის; აპრილში ჩნდება თართი და ფორეჯი; მაისის შუა რიცხვებში გამოჩნდება ზუთხიც... წითელი თევზი აქ ქვირითის ყრას ძალიან გვიან იწყებს; ზუთხი, მაგალითათ, ქვირითს ივნისის თვეზე აღრე არ დაყრის. ეს ი'ით აიხსნება, რომ რიონის წყალი ერთობ ცივია რადგანაც ეს მდინარე თავისი ტოტებით კავკასიის მაღალი მთებიდან გამოდის და მთებში თოვლის დნობა ღიდხანს გრძელდება. ეს გარემოება კი ხელს უშლის თევზს ქვირითი აღრე დაყაროს. ზუგდიდის მაზრაში თევზს იქერენ ინგურისა და ოკუმის ჩასართავებში. ეს საქმე აქაც გარედან მოსული ხალხის ხელშია. ადგილობრივი მცხოვრებლები არც აქ ეტანებიან მეთევზეობას.

სოხუმის ოლქში მეთევზეობა უმეტეს ნაწილათ სოხუმის ნავთსადგურში სწარმოებს. ეს საქმე აქაც თურქების ხელშია, რომლებიც თევზს იქერენ მთელი წელიწადი, გარდა ზაფხულის თვეებისა. აქ დიდძალ თევზს იქერენ, რითაც არა თუ ადგილობრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, რუსეთშიაც ბევრი გაქონდათ უკანასკნელი ომიანობის დაწყებამდე. სოხუმის ოლქის ჩრდილო ნაწილებში თევზის ქერა ჩვეულებრივათ წარმოებდა გაგრის და ბიჭვინტის ნავთ-სადგურებში. მცოდნე პირების დაკვირვებით, აქ თურმე ყოველგვარ საუკეთესო ჯიშის თევზს შეხვდებით. მაგალითათ, ბზიბსა და შავ წყალში ძალიან ბევრია კალმახი და კეთილშობილი ორაგული. ამის და მიუხედავათ, აქ მეთევზეობა სრულებით არ არის განვითარებული. საქართველოს ამ ნაწილის მკვიდრი ჯერ კიდევ ვერ აფასებენ ღირსეულათ ბუნების ამ დიდ განძს და სრულიად უხალისოთ ეკიდებიან ამ საქმეს.

დასავლეთ საქართველოში შეიძლება აგრეთვე კარგ ნიადაგზე დამდგარიყო ხამანწყას ქერის საქმეც (Устричное дело). რამდენიმე წლის წინათ ეს საქმე კიდევ სცადეს და ამ საქმემ ჩინებული შედეგიც მოიტანა. ამ წარმოების ცენტრი გუდაუთია, სადაც ეს საქმე 1887 წელს დაიწყო. ამ წარმოებისთვის აგრეთვე მოხერხებულ ალავს წარმოადგენს სოხუმისა და ბიჭვინტის ნაპირები. გუდაუთაში ხამანწყას იქერდენ ნაპირის მახლობლათ ზღვის სილიან ძირზე, სულ ცოტა მანძილზე, რომლის განი მხოლოდ 50 საყენს უდრის და სიგრძე კი—4 ვერსს. ეს ადგილი ნაპირზე ორი ვერსით არის დაშორებული. აქ წყლის სიღრმე უდრის 7—12 საყენს. ხამანწყას აქ იქერენ სექტემბრის თვიდან და გრძელდება აპრილისთვის დამლევამდე. ეს წარმოება განვითარებული იყო აგრეთვე სოხუმის ნავთსადგურში, მაგ-

რამ აქ უფრო არა რაციონალურათ წარმოებდა იგი. იქერდენ ხამანწყას აგვისტოსა და სექტემბრის თვეებში, როცა მისი გამრავლების დროა. ამ გარემოებამ სულ ერთიანათ მოსპო აქ ეს წარმოება.\*)

მეტი არ იქნება, რომ ცოტა დელფინის (ზღვის ღორი) დაქერაზეც შეეჩერდეთ. ზუგდიდის, სენაკისა და ოზურგეთის მაზრებში შავი ზღვის განაპირა მცხოვრებლებს კარგ შემოსავალს მისცემს თუ ისინი დელფინების ხოცვას დაიწყებენ. სამწუხაროთ, ჯერ-ჯერობით, ამ საქმეს ადგილობრივი მცხოვრებლები სულაც არაფერ ყურადღებას არ აქცევენ. ეს საქმე ჯერაც ტრაპიზონის ვილაეტიდან მოსულ თურქების ხელშია და ისინი დიდ სიმდიდრესაც იძენენ ამ წარმოებით. თურქები აქ შემოდგომაზე მოდიან; მარტამდე ისინი თევზს იჭერენ. შემდეგ კი დელფინების ხოცვას იწყებენ, რისთვისაც მთელ ამხანაგობებსა და არტელებს ადგენენ. ამ საქმისთვის აქ მრავალ-რიცხოვანი ამხანაგობები დგება, რადგანაც ამ საქმეს სჭირდება დიდი ბადე (განით 40 საყენს აღემატება, სიგრძით კი 350 საყენია), რომელიც ერთს ან ორ კაცს არ შეუძლია შეიძინოს. ასეთი ბადის ზღვაში გაშლა არა ნაკლებ ხუთი ფილიუგასა მოითხოვს; თითო ფილიუგის ეკიპაჟი კი უნდა იყოს არა ნაკლებ ხუთი კაცისა. ამ რიგათ თითო ბადეს უნდა არა ნაკლებ 25 კაცისა და ამხანაგობაც ამაზე ნაკლებ რიცხოვანი არ იქნება.

დელფინებზე ნადირობა აქ ასე სწარმოებს. წყნარ ზღვაზე მიმოსრიალე ფელიუგები ათვალიერებენ თავის მსხვერპლებს; და ლაინახავენ თუ არა დელფინების დიდ გროვას, ხუთივე ფელიუგა გარს შემოერთყმის მათ და მთელ იმ არეს მოსდებენ უხარ-მახარ ბადეს, რომელსაც ყველა ნავებიდან თან და თან მალლა ეზიდებიან. დელფინებიც ერთათ იყრიან თავს ბადეში. ბადესულ უფრო და უფრო ნაპირებისკენ იწევს. დელფინების მთელი ეს კრება დაბალ წყალში გამოაქვს. აქ მათ უშენენ თოფებს, მარცახებს, კეტებს და ხოცავენ. დახოცილ დელფინებს, რომელსაც წყალი ზედა პირზე იტივტივებს, კონჯოებით ითრევენ ფელიუგებში. აქვე აცლიან მათ ქონს, მძორს კი ზღვაში ყრიან. ქონის გადაღობა ერთობ პრიმიტიულათ წარმოებს. მას აღნობენ ქვაბებში ან რკინის კეცებზე. ქონი იწვის და დაბალი ღირსების გამოდის.

დელფინების ხოცვის სეზონი თებერვლიდან იწყება, რაც დამოკიდებულია იმ გარემოებაზე, რომ სწორეთ ამ დროს ზღვიდან მდინარეებში მიეშურება ხამსა

\*) იხილე როდზევიჩ-ბელევიჩი: „Описание устричного промысла в Зак. побережье Черн. Моря“.

(ანჩოუსი) და სხვა წვრილმანი თევზი, რომლითაც დელფინი იკვებება. ამ წვრილმან თევზებს ყოველთვის თან მისდევს დელფინების მთელი ჯარები. ესენი ისე მალლა დაცურავენ ზღვაში, რომ ზურგი წყალს ზემოთ მოუჩანთ. უკანასკნელი გარემოება ძლიერ ხელს უწყობს მონადირეს დელფინების ჯოგების აღმოჩენაში. დელფინებზე ნადირობის უფრო ხელსაყრელ სეზონათ უნდა ჩაითვალოს მარტი, აპრილი და მაისის პირველი ნახევარი, როცა დელფინი მეტათ მსუქანია და ქონით სავსე. შემოდგომაზე წვრილი თევზი მიდის ზღვაში და დელფინიც თან მისდევს. ღრმა წყალში იმის მოძებნა და ხოცვა კი მეტის მეტათ სიძნელო საქმეა.

დელფინებზე ნადირობა სწარმოებდა ბიჭვინტასა და სოხუმის ნავთსადგურში და აგრეთვე მდ. კოდორის შესართავში.\*)

**მადნეულობით** საკმაოთ მდიდარია დასავლეთი საქართველო. აქ მრავლათ არის მარგანეცი, ქვა-ნახშირი, რკინა, ნავთი, ტორფი და სხვა. ჭიათურის მარგანეცი, რომელიც აღმოჩენილი იქნა 1849 წელს, 1878 წლიდან შეიქნა ფართო ექსპლოატაციის საგნათ. ამ მადნეულის სამშობლო ჭიათურის რაიონია. აქ პირდაპირ ხელავეთ ამ მადნეულის მთებს. მარგანეცზე დიდი მოთხოვნილება შეიქნა მას შემდეგ, რაც მეტალურგიაში ფოლადის **ბესემერვა** შემოიღეს. მას შემდეგ რაკი რკინის მწარმოებლები დარწმუნდნენ, რომ ამ რიგათ გაკეთებული ფოლადი საუკეთესოა, მარგანეცზე დიდი მოთხოვნილება გაჩნდა... 1879 წელს ჭიათურას ესტუმრენ მთელ ქვეყანაზე ცნობილ გერმანელ მეტალურგისტის, კრუპის წარმომადგენლები—გოლბაუერი და ბარონი მერცენფელდი, რომელთაც ძლიერ მოიწონეს აქაური მარგანეცი. მართლაც ქიმიურმა ანალიზმა აღმოაჩინა, რომ ჭიათურის მარგანეცი ერთი უკეთესთაგანია მთელ დედამიწაზე.

მარგანეცის აუზი ჭიათურაში რვა მალლობიდან შესდგება. მათში მადნეულს სიმდიდრით ყველაზე უფრო შესანიშნავია მღვიმის მალლობი; მას მისდევს დარკვეთის რაიონი. მადნეულობის სხვა და სხვა რაიონი ადგილობრივათ სხვა და სხვა სახელითაა ცნობილი, მაგალითათ: ნაბერავი, ნასაკირალი, საგონისა, სახეო, ვირის-კენჭა, ქვა-ბელაური, მონასტრის თავი, თავ-დიდი, კილოვართა და სხვა. ჭიათურიდან ქვა გამოაქვთ რკინის გზით. რკინის გზის სადგურამდე კი მალაროებიდან ჩაღვადრებს ცხენებითა და ვირებით ჩამოაქვთ.

\*) ნახე როდზევიჩ-ბელევიჩი: „Бой дельфинов в пределах Сухумского округа“.

აქ მარგანეცს იღებენ დაბალი მაღაროებიდან; აგრეთვე ცდილობენ ილონ მხოლოდ საუკეთესო მადანი; დაბალი ღირსების მადანს იქვე ტოვებენ და ხელახლა აკეთებენ ახალ მაღაროებს. უნდა ითქვას, რომ ეს წარმოება ჯერაც ვერ არის სასურველ ნიადაგზე დაყენებული, ბევრი მწარმოებელი, უმეტეს ნაწილათ, წვრ-ლი მწარმოებელი, მუშაობდა უპლანოთა და უსისტემოთ. ამიტომაც ჭიათურაში ძლიერ იშვიათათ შეხვედებით მაღაროებს, რომელიც მთაში 10 — 15 საყენზე შორს მიდიოდეს.

მარგანეცის მადნის რაიონის სივრცე, სამთო ინჟინერის, ბ. ყიფშიძის გამოკვლევით უდრის 126 ოთხ-კუთხ ვერსს, ან ღაახლოებით 13.000 დესეტინას.

ქვემო მოყვანილი ცხრილიდან ვხედავთ, თუ რამდენი მარგანეცი ამოუღიათ ჭიათურაში 1900.—1919 წლებში:

წელიწადი:	ფუთი:	წელიწადი:	ფუთი:
1900—	3.000.000	1914—	40.446.000
1906—	50.024.000	1915—	15.737.390
1912—	35.299.686	1918—	1.583.300
1913—	69.700.000	1919—	3.345.000

1915 წელს მარგანეცის დამუშავების სჯქმე ერთობ შემცირდა. ამ წელს 24.708.610 ფუთით ნაკლები მადანი ამოუღიათ წინა წელთან შედარებით. ეს იმით აიხსნება, რომ დიდმა ომიანობამ მოსპო მარგანეცის ბაზარი.

ჭიათურის რაიონის მადანის სიმდიდრე ჯერ-ჯერობით კარგათ შესწავლილი და გამოკვლეული არ არის. ისე კი, მცოდნეების აზრით, 6,5 მილიარდ ფუთ მარგანეცს ვარაუდობენ, ერთათ-ერთ მეტოქეთ ჭიათურის მარგანეცისა საქვეყნო ბაზარზე ჯერ-ჯერობით მხოლოდ ინდოეთში ბრიტანეთის პროვინციის მარგანეცი გამოდის. მაგრამ ინდოეთის მადანს არც დიდი მეტოქეობის გაწევა შეუძლია ჭიათურისთვის, რადგანც იქ მარგანეცის რაოდენობა ძლიერ ცოტაა. გამოკვლევამ იქ სულ 300—400 მილიონი მარგანეცი აღმოაჩინა, რაც ევროპის ბაზრისთვის ზღვაში წვეთია.

1893 წლიდან 1916 წლამდე ჭიათურიდან 635.295.000 ფუთი მარგანეცი გაუტანიათ. უმთავრესი მომხმარებელი ჭიათურის მარგანეცისა დასავლეთი ევროპის სახელმწიფოებია, რასაც შემდეგი ცხრილიც ამტკიცებს:

სახელმწიფოები: ფუთი (მილიონობით):

გერმანია	16,1.
ინგლისი	9,1.
ბელგია	5,0.
ამერიკა	2,8.
საფრანგეთი	1,9.
სხვა სახელმწიფოები	1,7.

ს უ ლ . . . . . 37,6.

მთელ დედამიწაზე ამოულიათ:

ქვეყნები:	1904 წელი:	1913 წელი:
საქართველო . . . . .	47.000.000 ფუთი	53.000.000 ფუთი
ბრიტანეთის ინდოეთი	16.000.000 „	38.000.000 „
ბრაზილია . . . . .	12.000.000 „	6.000.000 „
სხვა სახელმწიფოები .	16.000.000 „	3.000.000 „
მთელ ქვეყანაზე .	100.000.000 „	100.000.000 „

**ქვა-ნახშირი.** ამ მადნეულით მდიდარია მდ. ტყიბულის სათავე, სოფელი ოკრიბის რაიონი, რომელიც ქ. ქუთაისიდან 40 ვერსზე მდებარეობს. მაგრამ კიდევ უფრო მდიდარი ქვა-ნახშირის მადანით ტყვარჩელის რაიონია, სოხუმის ოლქში. ტყიბულის ნახშირი აღმოაჩინეს 1830 წელს; წარმოება კი 1847 წელს დაიწყო, რაც გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ შავი ზღვის სამხედრო გემებისთვის ამ ნახშირს ხმარობდნენ. გეოლოგების გამოანგარიშებით, აქ ნახშირის რაოდენობა 6 მილიარდ ფუთს აღემატება. მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ტყიბულში ამოღებული ნახშირის რაოდენობა თან და თან მატულობს, რასაც შემდეგი ციფრებიც მოწმობენ:

1860	წელს	150.000	უფთი
1880	"	320.000	"
1900	"	3.857.144	"
1901	"	3.358.090	"
1902	"	2.941.398	"
1903	"	3.053.623	"
1904	"	4.162.931	"
1905	"	—	"
1906	"	2.300.000	"
1907	"	2.800.000	"
1908	"	3.111.463	"
1909	"	2.439.475	"
1910	"	2.807.579	"
1911	"	3.884.862	"
1912	"	4.132.117	"
1913	"	4.192.886	"
1914	"	3.895.301	"
1915	"	4.487.121	"
1916	"	—	"
1917	"	—	"
1918	"	—	"
1919	"	2.125.469	"
1920	"	4.327.610	"
1921	"	4.599.427	"

ამ ნახშირის უმთავრესი მომხმარებელი თვით საქართველოს უმთავრესი ქალაქებია. 1919—1920 წლებში, როცა ადერბეიჯანი კომუნისტური რუსეთის ხელში გადავიდა და საქართველოს რესპუბლიკას ნავთი არ მისცეს, რესპუბლიკის რკინის გზები ამ ნახშირით მუშაობდნენ.

საქართველოს ერთ-ერთ უდიდიდეს სიმდიდრეს ტყვარჩელის ქვა-ნახშირის მადნები წარმოადგენს. ეს მადნები ზღვიდან სულ 30 ვერსის მანძილზე მდებარეობს, ქ. ოჩემჩირის ჩრდილო—აღმოსავლეთით, ქ. სოხუმიდან სულ 50 ვერსის მანძილზე. ამ მადნეულობის რაიონს მდ. გალიზლა ყოფს ორ თითქმის თანასწორ ნაწილად. ეს მდინარე თავისი ტოტებით აქაური ქვა-ნახშირის წარ-

მოებისთვის დიდ საგანძურს შეადგენს, რადგანც ელექტროფიკაციისათვის მისი გამოყენება სულ ადვილი საქმეა. ტყვარჩელის აგარაკი დაფარულია ხშირის ტყით—აქ არის: რცხილა, მუხა, ცაცხვი, უფრო მაღლობებში აქ არის ფიჭვი და ნაძვი.

ტყვარჩელის ქვა-ნახშირი კარგათ არის მეცნიერულათ შესწავლილი და გამოკვლეული. ის გამოიკვლიეს ინგლისელმა ინჟინერმა პროფესორმა გალოოვეიმ, რუსის პროფესორმა ლუტუგონმა და სამთო ინჟინერმა ჩერნევსკიმ. პროფესორი გალოოვეი ამ ნახშირს ღირსებით მონმუტშირის (ინგლისის) ნახშირის დარათ თვლის, იმ ნახშირის დარათ, რომელსაც ინგლისის მწარმოებლები მთელ ქვეყნიერებაზე სახელ-განთქმული „შავი ძარღვიდან“ (Blanc Yeine) იღებენ და, რომელიც კარდიფის ნახშირათ არის ცნობილი. ინჟინერი ჩერნევსკის გამოკვლევით, ნახშირის მადანს აქ 42 ოთხ-კუთხი ვერსი უჭირავს და 13<sup>1</sup>/<sub>2</sub> მილიარდ ფუთს შეიცავს\*).

—:—

**ტორფი.** გარდა ქვა-ნახშირისა დასავლეთი საქართველო მდიდარია მეორე ისეთი მაგარი სათბობი მასალით, როგორც არის ტორფი. იგი უმეტეს ნაწილათ ქ. ფოთის მახლობლათ მდებარეობს და მისი რაიონის რაიადენობა 50.000 დესიატინას უდრის.

—:—

**რკინის მადანი.** რკინის წარმოება დასავლეთ საქართველოში უხსოვარის დროდან არსებობდა. ამ მხრით უმთავრესათ ცნობილი იყო შორაპნისა და რაჭის მაზრების სოფლები: წედისი, სვანარი და ქვადი. თუ აქ მახლობლათ კოკსი ან ნახშირი აღმოჩნდა (რის ნიშნებიც არის), სულ მალე გაჩაღდება რკინის დიდი წარმოება.

—:—

**ოქრო.** დასავლეთი საქართველო რომ ოქროს მადნებით ძველთაგანვე მდიდარი იყო, ამას იაზონების ლეგენდაც გვიმტკიცებს. დღეს ყველასთვის ცხადია კოლხიდაში ოქროს მატყლოვანი ვერძი, რის საძებრათაც იაზონები მოვიდენ,

\*) იხილეთ: 1) Report of the Coalfield of Tkvarchely near Otchemchiri on the Black Sea, by W. Dalaway. J. Q. S. Mining Engineer;

2) „Каменный уголь в Ткварчельской казенной даче; от горного инженера К. Ю. Черновскаго. 3-ее издание С.П.Б. 1908 г.

ეს ოქროს მადანი იყო. ამ ლითონის ადგილები დღესაც მრავლობით არის აღმოჩენილი ამ მხარეში. ოქროთი მდიდარ ადგილებათ: ითვლება მდ. რიონისა და ინგურის ზემო ნაწილები და უფრო კი სვანეთი. 1919 წელს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ სვანეთში სპეციალისტებისაგან შემდგარი ექსპედიციის გაგზავნა ამ საქმის გამოსაკვლევათ. ამ ექსპედიციის შრომის ნაყოფი, სამწუხაროდ, ჯერ არ გამოქვეყნებულა.

სხვა მადნეულთა შორის არ შეიძლება არ დავასახელოთ მძიმელო (ბარიტ) ქუთაისისა და შოროპნის მაზრებში; ლიტოგრაფიის ქვა-რიონის ხეობაში, სოფელ მექვენას მახლობლათ; მარმარილოს ქვა — სოფელ რკვიას მახლობლათ; მარცვლიდი (გრანიტ) — სოფელ კურსებში და სხვ.

ნავთი დასავლეთ საქართველოში ძველთგანვე ყოფილა ცნობილი. ინტენური გულიშამბაროვის გამოკვლევით, ქუთაისის გუბერნიაში ნამდვილი ნავთის ადგილებია იქ, რომელიც უხსოვრის დროიდან იწოდება „საკუპრეთ“. მკვლევრები აქა-იქ მთებში ნახულობენ დიდი ხნიდან თავ-შინებებულ ნავთის ჭებს, რომლებიც ნავთით არის სავსე. ყოველი ეს ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დასავლეთ საქართველოში ხალხი თავის საკუთარ საჭიროებისათვის ნავთის წარმოებას ეწეოდა. იმერეთში ბევრგან არის ნავთის ნიშნები, მაგრამ ამ მხრით ყველაზე უფრო საიმედო ადგილათ მდ. თედელეთის ხეობა ითვლება. ყვერლის მახლობლად.

თუ საქართველოს ახალგაზდა რესპუბლიკა ამ საქმეს სერიოზულათ მიუკიდება, მას არა თუ თავის შანაური საჭიროებისათვის აღმოაჩნდება საკუთარი ნავთი, ბევრსაც გაიტანს ევროპის ბაზარზე და მით თავის სახელმწიფო შემოსავალს ერთი ორათ გაადიდებს.

**მადნეული წყლები.** მარტო ქუთაისის გუბერნიაში 70-მდე შესწავლილი და გამოკვლეული მადნეულის წყლები ითვლება, რომელთა შორისაც ყველაზე მეტათ ცნობილია წყალტუბოს რადიაქტიული აბანოები, ქ. ქუთაისიდან სულ 9 ვერსის მანძილზე და უწერის წყლები, ქ. ონიდან 10 ვერსის მანძილზე (ზღვის დონედან 1.042 მეტრის სიმაღლეზე). უწერის წყლები ცივია, ნახშირბადი რკინის წყლები (Углекисложелезные). შოვის წყლები რაჭის მაზრაში, სო-

ფელ გლოლის მახლობლათ, საკვირველ ლამაზ ადგილებში, ისეთივე ნახშირბადი რკინისაა, როგორც უწერის წყლები; ასეთივე წყლებია ახალ სენაკის მახლობლათ, ნაქალაქევი; ზუგდიდის მაზრაში ცნობილია წალმის გოგირდის წყალი. ქუთაისის მაზრაში — დვალის მთების გოგირდის აბანო, ქ. ქუთაისიდან 29 ვერსის მანძილზე; ტყვარჩელის გოგირდის ცხელი წყლები, ოჩემჩირიდან 40 ვერსის მანძილზე და ბევრი სხვა.

მიუხედავად ასეთი სიმდიდრისა დასავლეთ საქართველოში ჯერაც არ არის ერთი კარგათ დაყენებული კურორტიც კი.

**შინამრეწველობა.** \*) დასავლეთ საქართველოში შინამრეწველობას უხსოვრის დროდან მისდევდნ. დასავლეთი საქართველო, როგორც ვიცით, უაღრესათ მიწის მოქმედების ქვეყანაა. აქაური მცხოვრებთა 80% მიწის მუშაობით ირჩენს თავს. აქაური ნიადაგისა და ჰავის პირობები ისეთია, რომ მუშას აქ მხოლოდ 6—8 თვე უნდება მიწის მეურნეობისათვის. ხალხი იძულებულია დანარჩენი 4—6 თვე ძილში ან ცუდათ ყიალში ატაროს, ან და რამე საქმე გაიჩინოს. ჩვენ ვიცით, რომ დასავლეთ საქართველოში გლეხს ერთობ მცირე მიწა აქვს, მაგრამ ბევრიც რომ ქონდეს, მას მაშინაც საკმაო თავისუფალი დრო დარჩებოდა, მიწა მუშის შრომას მხოლოდ განსაზღვრულ სეზონში მოითხოვს და ზოგჯერ დღე და ყოველ თვე. გლეხი იძულებულია ზამთრის გრძელი ღამეები და დღეებიც რამე მუშაობაში გაატაროს. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ მარტო მიწის მეურნეობა მას ათასგვარ მოთხოვნილებას ვერ დაუკმაყოფილებს. ის იძულებულია ან სადმე წავიდეს, გაქირავდეს და ფულის დამატებით შემოსავალი გაიჩინოს, ან და სახლში დარჩეს და შინამრეწველობას მოკიდოს ხელი. ასეთ მიზეზებს უნდა შეექნა აქ შინამრეწველობა, რომლის სხვა და სხვაობა დამოკიდებული უნდა ყოფილიყო ამისთვის საჭირო ნედლი მასალის სხვა და სხვაობაზე.

ჩქ, სადაც მატყლი იყო, ხალხმა ხელი მიყო ნაბდებისა და შალების კეთების საქმეს. ქუთაისის, სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში ეს საქმე ძალიან იყო გავრცელებული და ტექნიკურის მხრივაც გვარიან მაღლა იდგა იგი. ამისდა

\*) იხილე: ა. ს. ჭირალოვის: Краткий очерк кустарной промышленности Кавказа, " изд- 2-ое СПб. 1913 г.

მიუხედავად, იმერულმა ნაბადმა ვერ დაიმსახურა მომხმარებლის ყურადღება და, აგრონომი ფირალოვის აზრით, ამ საქმეს არ შეძელია დიდი განვითარება მიიღოს, რადგანაც ამ რაიონში მეცხვარეობის თან და თან შემცირების გამო, აქ მენაბდობისათვის საკმაო მატყლი არ მოიპოვება. სენაკის მაზრაში, სახელდობ სოფლებში: მარტვილში, ლიხაინდრაოში, აბედათში, ნახარებოვოში, ბანძაში და ჯვარში და აგრეთვე ზუგდიდის მაზრის რაძდენძე სოფელში, დედაკაცები ამზადებენ კარგი ღირსების ნაბდის ქუდებს, რასაც დიდ ძალს ასაღებენ სამტრედიისაში, ხონში, ზუგდიდში და სენაკში, საპარასკეო იარაღებში.

ყურადღების ღირსია აგრეთვე იმერული შალეები (მაუდი), რასაც ქუთაისის, რაჭის, სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში ამზადებენ, ამ ადგილობრივი შალის ტანისამოსი უწინ მთელ დასავლეთ საქართველოს ხალხს ეცვა. ბოლო დროს კი ამ შალეების მოთხოვნა ადგილობრივ შემცირდა, რადგანაც მათი ადგილი ფაბრიკატებმა დაიჭირეს, მაგრამ სამაგიეროდ იმერულმა შალმა რესპუბლიკის გარეშე მოიპოვა ფართე ბაზარი: ის მრავალი გააქვთ რუსეთის დიდ ქალაქებში და საზღვარ-გარეთაც.

აბრეშუმისას აკეთებენ ჩინებულ ნაქსოვს „ჩესუჩისა“ და სხვას. ტანისამოსის მასალის გარდა აქ აბრეშუმიდან აკეთებენ: მოსასხამებს, ცხვირსახოცებს, ხელთათმანებსა და ლენტებს. ყველა ეს ნაწარმოები ლამაზი და ჩინებული ღირსების ნაქსოვია.

ქუთაისის გუბერნიისაში დიდად არის გავრცელებული მექურჭლეობა. ამით განსაკუთრებით ცნობილია: სოფელი „შროშა“, ხარაგაული და მარელიისი (შოპანის მაზრაში).

—:—

**გარეთ მუშაობა (Отхожий промысел).** მიწის სივიწროვე და სიღარიბე იმერელს იმ თავითვე აიძულებდა ზამთრობით სადმე წასულიყო და სამუშაო ეძებნა. განსაკუთრებით დიდ ძალი იმერელი მუშა მოდიოდა ტფილისისაკენ, რომელიც სავსე იყო იმერეთიდან მოსული მებუღეებით, ხელზე მოსამსახურეებით და სხვა. მთელი კახეთის ბადები იმერლებით იყო სავსე. იმერელმა გლეხმა ძალიან მალე შეაღო ქარხანა ფაბრიკის კარებიც და ინდუსტრიის ორონტრიალს მოყვა. თბილისის რკინის გზის სამოხელოები და სხვა ქარხანა-ფაბრიკები გაივსო იმერელი მუშებით. მალე შეიქნა იმერლებისგან ნამდვილი მუშათა კადრი... მაგრამ ჩვენ აქ გვაინტერესებს მხოლოდ სეზონის

მუშები, ან ისეთი მუშები, რომლებიც მიწის მეურნეობის დასრულების შემდეგ, ზამთრის თვეებში ეძებენ დროებით სამუშაოს. ასეთი მუშები ყველაზე უფრო ბევრი იყო და არის შავი ზღვის განაპირა ქალაქებში. ბათუმიდან დაწყებული ოდესამდე დასავლეთ საქართველოდან გამოსული მუშების ხელშია გემების დატვითვისა და დაკლის საქმე.

იმერლები, გურულები და მეგრელები დიდ ნიქს იჩენენ ვაჭრობასა და აღებ მიცემობის საქმეშიაც, და ენერგიულ მონაწილეობას იღებენ მრეწველობაში.

**საქართველო და საფაბრიკო მრეწველობა** დასავლეთ საქართველოში ერთობ განუვითარებელია. 1915 წელს, ადმინისტრაციის ცნობებით, აქ ითვლებოდა 1.885 ქარხანა და ფაბრიკები, რომლის დიდი უმრავლესობა: შინამრეწველობის ტიპის იყო და არა კაპიტალისტური მრეწველობისა. ამ რიცხვიდან ქუთაისის გუბერნიაზე 1.421 სამრეწველო მოდიოდა, 464 კი სოხუმის ოლქზე. ყველა ამ ფაბრიკებისა და ქარხნების იმავე წლის განმავლობაში ნაწარმოების ფასი უდრიდა 2.240.075 მანეთს. იმავე წლის განმავლობაში მუშის რიცხვი იყო: 4.197; ამათგან ქუთაისის გუბერნიაში — 3.317 და სოხუმის ოლქში — 880.

## II. აღმოსავლეთის საქართველო.

აღმოსავლეთის საქართველოს შეადგენს თბილისის გუბერნია, რომელიც ოროგრაფიისა და ტოპოგრაფიის მხრით კიდევ უფრო ჭრელ სურათს წარმოადგენს ვიდრე დასავლეთი საქართველო.

ტფილისის გუბერნია მდებარეობს ქართლ-იმერეთის მთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთით, გაჭიმულია დიდ მანძილზე და ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხრით ებჯინება დიდ კავკასიონის ქედს; **სამხრეთ-დასავლეთით** თითქმის უწევს შავ ზღვას, რომელზედაც მხოლოდ 60 ვერსით, ბათუმის ოლქით, რომელთანაც აჭარისა და ჩილდირის მთები. სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით ტფილისის გუბერნია პატარა კავკასიონის მთების შეკალთებამდე მიდის და უწევს ბეზაბდალის, ჩიბუხლოს, აგლაგნისა და დალიგადოს მთებანდე. აღმოსავლეთის საზღვარი კი-ყარაიახის უდაბნოებში.

ტფილისის გუბერნიას შეადგენს: ჯავახეთი, სამცხე-საათაბეგო, ქართლი, კახეთი, ქიზიყი, ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი, საინგოლო და სომხეთი.

ეს გუბერნია გაყოფილია 9 ადმინისტრაციულ ერთეულათ, ან მაზრათ: ახალ-ქალაქის, ახალ-ციხის, ბორჩალოს, გორის, დუშეთის, თიანეთის, სიღნაღის, თელავის და ტფილისისა.

აღმოსავლეთის საქართველოს ტერიტორიის სივრცე უდრის 35.900.9 ოთხ-კუთხ ვერსს.

გუბერნიის დასავლეთ ნაწილს შეადგენენ ახალ-ციხისა და ახალ-ქალაქის მაზრები, რომლებიც მდებარეობენ მდ. მტკვრის აუზის ზემო ნაწილში და წარმოადგენენ ეგრეთ წოდებულ ახალ-ციხის ხნარცვას. ამ ხნარცვის აღმოსავლეთის ნაწილს შეადგენს ახალ-ქალაქის მაზრა, ჩრდილოეთ-დასავლეთისაჲს კი — ახალ-ციხისა. ახალ-ქალაქის მაზრა შეიძლება ორ ნაწილათ გავყოთ: ერთსა აქვს ტალღებრი ზედა-პირი და წარმოადგენს სრულიად ტიტველ (უტყეო) მალლობს, რომელიც დაქანებულია დასავლეთისაკენ და თავდება ხერთვისთან, მტკვრის ღრმა ხეობაში. ეს არის მაზრის მეორე ნაწილი; ეს არის მთავაკე ადგილი (горная равнина); იგი გარ შემორტყუმლია მტკვრის ხეობით, თრიალეთის ქედით და სველი მთების ქედით\*) ახალქალაქის მაზრა უდრის სიგრძით 50 ვერსს, სიგანით — 40 ვერსს. ტალღებრ უსწორ-ძასწორო ზედა პირი მაზრის პირველი ნაწილისა იქიდან წარმოსდგება, რომ აქ ერთობ ხშირია ვულკანიურათ წარმოშობილი დიდი და პატარა მთები. აქ ატმოსფერულ ნალექს არა აქვს ჩქარი გამოსავალი, ამიტომ იგი იქვე რჩება და გროვდება ჩაღრმავებულ ადგილებში. ამიტომ აქ ბევრი ტბები და ჭაობებია. ეს ვაკე მდებარეობს 5.700 ფუტის სიმაღლეზე ზღვის დონედან — თაფაროვანის ტბასთან, ხანჩალი-ღელესთან და მადა ტაპლინს შუა ეს ვაკე იწევს 6.500 ფუტზე ზღვის დონეზე. ამიტომაც აქ ჰავა ერთობ მკაცრია.

ახალციხის მაზრა სულ არდი-გარდა დასერილია პატარ-პატარა ღელეების ხეობებით, რომლებიც იმავე ღელეების სახელით არიან ცნობილი. ამ ხეობათა შორის უფრო თვალსაჩინოა: ხერთვისის, ქვაბლიანის, აბასთუმნის, ჟრაველისა და აწყურისა. ეს ხეობები ტყეებით არის დაფარული. ამათ გარდა ახალ-ქალაქის მაზრაში შეხვდებით ბრტყეფართულ მალლობებს (плоская возвышенность), როგორც არიან: ლეპისის, მდებარე მაზრის სამხრეთის საზღვარზე და პირსაათისა — ჩრდილოეთით მდებარე. ზემო ჩამოთკლილი ხეევები შეადგენენ

\*) ამ მთებს სველი მისთვის ქვია, რომ იქედან მრავალი პატარ-პატარა მდინარეები ჩამოდის, რომლებიც ხშირათ ბალახებში არც კი მოსჩანს.

მაზრის ცენტრალურ ნაწილს. მაზრის განაპირა ნაწილები კი, განსაკუთრებით დასავლეთით და სამხრეთით, ტყეებით ან საძოვარი ველებით დაფარული მთა ადგილებია.

ახალ-ციხის ხნარცვნარის ჩრდილო აღმოსავლეთით, მიიზღაზნება ქართლის დიდი ხნარცი, რომელიც იტევს გორისა და დუშეთის მაზრებს. გორის მაზრა ჩრდილოეთით მიბჯენილია დიდი კავკასიონის ქედს, სამხრეთით უწევს პატარა კავკასიონის ქედს. მდ. მტკვარი ამ მაზრას ორ ნაწილათ ყოფს. ტოპოგრაფიულათ ამ მაზრის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილები წარმოადგენენ მაღლობიან ზოლს; საშუალო ნაწილი — ქართლის ვაკე, რომელიც მისდევს მტკვრის ნაპირებს. მტკვარსა და თრიალეთის მთებს შორის მდებარეობს ორი ვაკე — ქარელისა და ახალ-ქალაქისა. \*) ქარელის ვაკე გაჭიმულია სოფელ ცხისიდან სოფელ ბანტაშდე 25 ვერსის მანძილზე; სიგანით კი 27 ვერსს უდრის. სამხრეთით ის შემოზღუდულია თრიალეთის ქედით და დასერილია მრავალი ღელებით. ეს ვაკე სივრცით 100 ოთხ-კუთხ ვერს უდრის და მდებარეობს 2.300 ფუტით ზღვის დონზე მაღლა. მისი ზიადაგი ცნობილია კარგის ღირსებათ. დასავლეთის მხრით იგი ტყეებით დაფარულია. ახალ-ქალაქის ველი გადაშლილია 20 ვერსის მანძილზე. სამხრეთით ის მიდის თრიალეთის ქედამდე, რომელიც მტკვარზე მხოლოდ 2—5 ვერსით არის დაშორებული. ამ ვაკის სივრცე უდრის 55 ოთხ-კუთხ ვერსს და მდებარეობს 1.885 ფუტით ზღვის დონეზე მაღლა. აქაურ ცხელ ჰაერს საკმაოთ ანელებს თრიალეთის მთების ტყეები. ეს გარემოება თავისთავათ ხელს უწყობს მებაღეობას, რასაც ძლიერ ეტანებიან აქაური მცოვრებლები. ხიდისთავისა და ახალ-ქალაქის რაიონები ცნობილნი არიან ხეხილისა და ვენახის დიდი ბაღებით.

ხეობათა შორის ყურადღების ღირსია; დიდი ლიახვის (ჯავის ხეობა), პატარა ლიახვის, ჩირაქ-ხევის (მდ. ფცის ხეობა) და ქსნისა.

დუშეთის მაზრა გორის მაზრის აღმოსავლეთით მდებარეობს და გაჭიმულია სამხრეთისაკენ დიდ კავკასიონის ქედამდე. ეს მაზრა მაღალ მთიანია; ვაკეს შეადგენენ რამდენიმე ველები, რომლებშიც უფრო საყურადღებოა საგურამოსა და მუხრანის ველები; მათი სივრცის რაოდენობა უდრის 155 ოთხ-კუთხ ვერსს. მუხრანის ველი გაჭიმულია მდ. რეხულიდან აღმოსავლეთის მიმართულებით მდ. არაგვამდე. ამ ველს რწყავენ: მდ. რეხულა, ლიახვი, ნარეკვავი და არაგვი, რომელიც მთებიდან გამოსვლის თანვე იყოფა რამდენიმე ტოტათ და

\*) ეს ახალ-ქალაქი გორის მაზრაში მდებარეობს.

მიდის დაბალ ნაპირებში. ეს გარემოება საშუალებას აძლევს მცხოვრებლებს მოწყონ თავისი ყანები პატარ-პატარა არხის მეხობებით. ამ დიდი ველის ჩრდილოეთის მხარე დაფარულია პატარ-პატარა ტყე ბუჩქებით, აღმოსავლეთით კი დაფენილია ჩინებული საყანე მიწები. აქ ზეადაგი ერთობ ნაყოფიერია.

დუშეთის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს, თიანეთის მაზრა, რომელსაც ტფილისის გუბერნიის ჩრდილო ნაწილი უჭირავს და გაწოლილია კავკასიონის ქედის კალთებში. ამ მაზრის მთიანი ზოლი დაყოფილია მრავალი ხნარცვებით; უკანასკნელები გარს შემორტყმულია კლდეებით, რომელთა შორისაც მხოლოდ პატარ-პატარა სწორი ადგილებია, როგორც მაგალითა: ბარისახო, დიკლო, ამალო, სახანო და სხვ. ეს სწორი ადგილები იმდენათ პატარებია, რომ სივრცით მხოლოდ ზოგი მათგანი შეიცავს 40 ოთხ-კუთხ დესეტინას. ამ მთიანი ზოლის სხვა და სხვა ნაწილები სხვა და სხვა სახელებით არის ცნობილი. მისი აღმოსავლეთის მხარეს შეადგენს—თუშეთი, დასაქლეთისას—ხევსურეთი, ფშავეთი და ქისტეთის ნაწილი. ხევსურეთი დიდ კავკასიონის ქედის ორივე მხარეზე მდებარეობს და უჭირავს შუა ადგილი ქისტეთსა, ფშავეთსა და თუშეთს შორის.

ამ მაზრის ქვედა ზოლი მთის გრებილით განიყოფება ორ ნაწილად: აღმოსავლეთისა და დასავლეთის. უკანასკნელი უფრო მალეობია, რომლიდანაც ჩამოდის მდ. იორი თავისი სამი ველით: ყრწოთი, ქვემო-თიანეთით და ზემო-თიანეთით. ეს ველი მდებარეობს 3—4 ათასი ფუტით ზღვის დონეზე მაღლა. ამ ზოლიდან აღმოსავლეთით მდებარეობს მთელ მაზრაში ყველაზე უფრო დაბალი ალაზნისა და მისი ტოტების ველები. ამ ნაწილს შეადგენენ ილტოსა და პანკისის ხეობები, კახეთის ის ნაწილი, რომელსაც თიანეთის კახეთი ეწოდება.

თბილისის გუბერნიის აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ალაზნისა და მისი ტოტის იორის აუზებში გაქიმულია ორი მაზრა: თელავისა და სიღნაღისა.

თელავის მაზრა გომბორის მთ-გრებილით განიყოფება ორს უსწორ-მასწორო ნაწილად. უდიდეს ნაწილს შეადგენს ალაზნის ველი, მდებარე გომბორის ქედსა და დიდ კავკასიონის შუა და გაქიმულია 150 ვერსის სიგრძეზე; სიგანით კი 15—25 ვერსს უდრის. მდინარეებისა და სარწყავი წყლების სიმრავლის გამო ალაზნის ველები მთელს კავკასიაში უნაყოფიერეს ადგილათ ითვლება. მეორე, უმცირესი ნაწილი თელავის მაზრისა დაყოფილია მთა-გორებით, ხევებით, კლდეებითა და პატარ-პატარა ველებით. მაზრის ეს ნაწილი

ტყეებითა და საძოვარი ველებითაა დაუარული და იქ ძალიან ცოტა მცხოვრებლებია.

გომბორის მთა-გრეხილი სტლნალის მაზრასაც იორისა და ალაზნის მიმართულებით ყოფს ორ ნაწილად: 1) ჩრდილოეთის წინა-მხარე, რომელიც მდ. ალაზნის ველს შეადგენს და 2) სამხრეთის უკანა-მხარე, რომელიც მდ. იორის ხეობაში მდებარეობს. მაზრის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ნაწილის მთები ტყეებითაა დაუარული. მაზრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს ქიზიყი, უკანა-მხარის ნაწილს რამდენიმე მალლობი ვაკე შეიცავს, დედოფლის წყაროდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ნიკორ-ციხის, გუშებისა და კალაღარის მთა-გრეხილიდან მდებარეობს იორის უხარ მაზარი ვაკე-გორა, რომელსაც შირაქის ველი ჰქვია და რომელზედაც თუშები, ფშაველები, ხევსურები და ადერბეიჯანელი თათრები ცხვარს აძოვებენ. აქედან სამხრეთით კალაღარას მთა-გრეხილიდან გაწოლილია მეორე უფრო პატარა ხნარცივი, რომელსაც მცირე შირაქს უწოდებენ. გუშების მთა-გრეხილიდან მდ. იორამდე გაჭიმულია ტარიმანას ვაკე, რომელსაც — ელდარის ველს ეძახიან.

თბილისის მაზრის ზედა-პირი მრავალი მთა-გრეხილებითაა დაჭრილ-დასერილი. ამ მაზრაში მეტის მეტათ ბევრია ხევები, კლდეები, დაბალი ველები და პრტყელი მალლობები. ამ უკანასკნელებში ყველაზე შესანიშნავია სამ-გორისა და საგარეჯოს ველები. სამ-გორის ველი მდებარეობს რკინის გზის სადგურებ ვახიანსა და იორს შორის და დაშორებულია ყარაიაზის უხარ-მაზარი უწყლო ველისგან მთა-გორებით. ყარაიაზის ველი გაჭიმულია მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ყარაიაზისა და ივრის შუა მდებარეობს გარეჯის მალლობები, რომელიც შესდგება პარალელულად მიმართული ხევებისა და ველებისაგან და დაყოფილია მთა-გრეხილებით.

ამ მაზრის ვაკეთა შორის უფრო საყურადღებო კოდის ველია (სოფელ კოდასთან); ეს ველი სივრცით 120 ოთხ-კუთხ ვერს შეიცავს და მდებარეობს თრიალეთის მთა-გრეხილის კალთებში. ეს ველი მტკვრის მახლობლად წარმოადგენს ერთ-ფეროვან უდაბნოს, სადაც აქა-იქ შეხვდებით მლაშე წყლიან ტბებს, რომელთა შორისაც ყველაზე უფრო თვალსაჩინო კუმისის ტბაა.

გუბერნიის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილს ბორჩალოს მაზრა შეადგენს. თავის ზედა-პირის მოხაზულობით წარმოადგენს საკმაოდ დიდ მთის ვაკე-გორას. ამ მაზრის თითქმის ყველა მცხოვრებლები მოსახლეობენ: წალკის, ლორისა და ბორჩალოს მაღალ ველებზე, რომელთა შორის ყველაზე უმაღლესი

წალკის მიდამოა; ყველაზე დაბალი—ბორჩალოს. ყველა ამ სამი რაიონის სიგრძე უდრის 1.190 ოთხ-კუთხ ვერსს. დანარჩენი ნაწილი ბორჩალოს მაზრისა მოფენილია მთებითა და ხეობებით.

წალკა მდებარეობს თრიალეთისა და სველი მთის ქედებ შუა; სიგრძით 40 და სიგანით 15 ვერსი. ის წარმოადგენს მაღალ ხნარცვს, რომლის ირგვლივ მდებარე მთებიც ბანურათ ეშვებიან ძირს. მაზრის ამ ნაწილს რწყავს მდ. ხრამი თავისი მრავალი ტოტებით, რომლებიც ახლო მდებარე მთებიდან გამოდიან. წალკის ხნარცივი 5.000 ფუტით ზღვის დონეზე მაღლა მდებარეობს. ამიტომ აქ ჰავა ცივი და მკაცრია.

აქ საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის  $7,9^{\circ}/C$ . მაგრამ ზამთრობით ტემპერატურა ხშირათ აღის— $22^{\circ}/-$ მდე. ატმოსფერული ნალექის რაოდენობა აქ 700 მილიმეტრს უდრის. ელვა, მენხი, ღრუბლები და სეტყვა აქ ერთობ ჩვეულებრივი მოვლენაა, უფრო კი აგვისტოს. თვეში. ასეთი ბუნებრივი პირობები ვერ არის საკმაოდ ხელსაყრელი პურის კულტურისათვის; აქ ნათესები ხშირათ ძლიერ ფუჭდება, უმეტესად სეტყვისა და ადრე ყინვებისაგან. პური აქ ცუდი მოდის; უფრო ხშირათ ეგრეთ-წოდებული მათრობელა პური მოდის. სამაგიეროდ აქაური ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს მეჯოგეობას და მესაქონლეობას აქ პირუტყვის. მოვლა-მოშენების საქმე მართლაც გვარიან მაღალ საფეხურზეა დაყენებული.

ლორის ველი დიდ ხნარცვს წარმოადგენს, რომელიც გამომწყვდეულია სველი მთისა და ბეზობდალის მთის გრეხილებს შუა და ვაკიძეულია 50 ვერსის სიგრძეზე; სიგანით უდრის 3—13 ვერსს. სიმაღლით საშუალოთ 4.700 ფუტით მაღალია ზღვის დონეზე, ზადგანაც აქ ველები საკმაოდ, მცხოვრებლები, გარდა პურის კულტურისა, მესაქონლეობასაც მისდევენ. ამზადებენ აგრეთვე დიდძალ თივას. ამ მაზრაში ერბო-ყველის კეთების საქმეც შედარებით რიგიანათაა დაყენებული. მარტო რუსების სოფელ ვორონცოვკაში ოცამდე ყველის საკეთებელი ქარხანაა.

ბორჩალოს ველებში ყურადღების ღირსია ბაშკიჩეთისა და გომარეთის მინდვრები. პირველი გაწოლილია ლოკის მთის ჩრდილო კალთებზე, მდ. მაშავერის ნაპირებზე და მიდრს მდ. ჩოჩინამდე. გომარეთის ველები აერთებენ ბაშკიჩეთის ველებს წალკის მაღლობებს.

თბილისის გუბერნიის ეს მოკლე მიმოხილვა ცხადია იმ ბუნებრივ მრავალფერობის, რომელიც სუფევს აღმოსავლეთ საქართველოში. მაგრამ ბუნების ასეთ დაუსრულებელ სხვადასხვაობაში დაკვირვებული თვალი მაინც გა-

არჩევს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია განიყოფება სამ თვისებრივ კატეგორიათ: დაბლობით, მთის კალთებით და მთიანათ.

**მიწის ნიადაგი.** როგორც ზედა პირის მოხაზულობით, ისე ნიადაგის სხვა და სხვაობით აღმოსავლეთ საქართველო დიდი ყურადღების ღირსია. ახალქალაქის მთიან ნაწილებში სჭარბობს მიწა-შავი, რომელიც უმეტეს ნაწილათ, ვულკანისაგან არის წარმოშობილი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მაზრის ირგვლივ, უმეტეს ნაწილათ მის აღმოსავლეთ მხარეზე, ერთობ ხშირია ჩამქრალი ვულკანის მთები, მაგალითათ: ემლიკლი (3.054 მეტრით ზღვის დონეზე მაღლა), გოდორები (3.302 მეტრი) და სხვა \*).

ამ მაზრაში ყოველგვარი ნიადაგი შეგხვდებათ, დაწყებული თიხიდან, გათავებული ქვიშნარით, ზოგი რაიონი კი ერთობ მდიდარია ბლანტი თიხით. მიწაშავი აქ დაბლობსა და მთა-ვაკიან ადგილებშია. აქ ნიადაგში საგრძნობი პროცენტი კირი ურევია.

ბორჩალოს მაზრის ნიადაგი შემდეგი შემადგენლობისაა: **ლესი**, (Лесс) მიწაშავი და მოთიხნარი; მაზრის დასავლეთ ნაწილში და მთა-ვაკიანი ადგილებში ქვიანი და კირნარი ზედადათ სჭარბობს. წალკის რაიონში ზედადაგი წმინდა ვულკანურია და დაფარულია მიწაშავი საგრძნობლათ სქელი ზედა პირით. გორის მაზრის ვაკე-მინდვრების ზედადაგი ზედმიწევნით კარგი და ნაყოფიერია. აქ საგრძნობათ სქელი მიწის ზედა პირი შესდგება უმეტეს ნაწილათ ნალპი ნეშარ ნარევი მოთიხნარით. ალაგ-ალაგ ხვდება კირნარევი ნიადაგიც. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ზედადაგის მხრით მდ. ლიახ-ვზე მდებარე სოფლები, დაწყებული სოფელ ქვემო-ნიქოზიდან. აქ ნიადაგი მდიდარია ლამით, ამიტომაც ამ რაიონში ზედ-მიწევნით მდიდარი მოსავალი იცის. აქაური ხორბალი თავისი კარგის ღირსებით გაცილებით მაღლა სდგას

\*) ქ. ახალქალაქიდან სულ 3—5 ვერსის მანძილზე, აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის მხრით, მდებარეობს დიდი მაღალი მთა, რომელიც წვერ-გადაჭრილ დიდ შაქრის თავს გვაგონებს და რომელსაც მცხოვრებლები „აბოლს“ უწოდებენ. ეს სახელი ცხადათ ამტკიცებს, რომ ამ მთის შუა გული ჩამქრალი ვულკანის კრატერია. არც ისე დიდი ხანია მას აქეთ, რაც თურმე ამ მთიდან ბოლი ამოდროდა. სამწუხაროთ, ეს ჯერ მეცნიერულათ არ არის გამოკვლეული.

საქართველოს სხვა ადგილების ხორბალზე. მთებში და მთის კალთებში ნიადაგის ნაყოფიერი შლე ერთობ სქელი და ღრძა არის. ამ რაიონებში ქვანიადაგი შესდგება ან პიტალო ქვიდან ან მთის ხრტილიდან.

სამაგიეროთ დუშეთის მაზრაში ერთობ ცოტა მიწაშავი ზეადაგი. ის ხშირათ არეულია მთის კაქარში. მთების შეკალთებებსა და ზოგან დაბლობშიც შეხვდება მოთიხნარი და კაქარნარევი ნიადაგი. სიღნაღის მაზრაში, წინა-მხრის რაიონებში სქარბობს მოთიხნარი და შუშა ნარევი ნიადაგი. შეგვხვდებათ აგრეთვე მიწაშავიც, მაგრამ იშვიათათ. ამ მაზრის უკანამხარის რაიონებში უფრო მდიდარი და ნაყოფიერი ნიადაგია; აქ ხშირათ გვხვდებათ მიწაშავი ზეადაგი. თელავის მაზრის, მდ. ალაზნის მარჯვენით მდებარე ველების ნიადაგი მდიდარია თიხნარით; მარცხენა მხრის ველების ნიადაგი კი არეულია და სხვა და სხვა ღირსების აჩის. თბილისის მაზრაში კი სქარბობს თიხნარი და მოთიხნარი, რომელიც არეულია ნალში. აქა-იქ შეგვხვდებათ მოქვიშნარი და მუჯა ნიადაგი.

**ჰავა.** აღმოსავლეთ საქართველოში ჰავა ისეთივე ჭრელი და სხვა და სხვა გვარია, როგორც ჭრელია თვით ამ მხარის რელიეფი. ზოგიერთ მთიან რაიონებში, 7.000 ფუტის სიმაღლეზე (ზღვის დონეზე მაღლა), ერთობ მკაცრი და სუსხიანი ჰავაა. ამ ნაწილებში მაღალ თოვლიანი და ყინულიანი ზამთარი 7—8 თვე გრძელდება. აქ ზაფხული მოკლე, ცივი და წვიმებიანი იცის. ისეთ ადგილებში კი, რომლებიც 4—7 ათასი ფუტის სიმაღლეზე მდებარეობენ ჰავა საკმაოდ მსუბუქია. ამ ადგილებში ზამთარი 5—7 თვე გასტანს; ზაფხული წვიმიანია; ჰაერი ცვალებადი: სიტბოს ხშირათ მოულოდნელათ ცვლის სიცივე. ეს ალპიური საძოვრების რაიონია, მთების კალთები, ტყით დაფენილი ან უტყეო მინდვრები და ხეობები და კიდევ უფრო დიდ სხვა და სხვაობას წარმოადგენენ ჰავის მხრით. ამ ადგილებში ზამთარი ცივი და მრავალთოვლიანია; ზაფხული—ცივი და ნესტიანი. აღმოსავლეთ საქართველოს დაბალი ზონა ცნობილია ხმელი ზაფხულით და თბილი და მსუბუქი ზამთრით. გაზაფხული აქ მოკლე და ნესტიანი იცის.

**ხელოვნური რწყვა.** ეს მხარე უმეტეს ნაწილათ განირჩევა თავისი კონტინენტალური თვისებით, რასაც ახასიათებს ხმელი ჰაერი და ზაფხულისა და ზამთრის ტემპერატურის დიდი სხვა და სხვაობა (колебания). მაღლა მდე-

ბარე რაიონებში, სადაც სინესტე საკმაოა, აქაური მზის ცხოველი სხივები ხელს უწყობენ მცენარეულობათა დღესასწაულს; მაგრამ დაბლობ რაიონებში, სადაც სინესტე უფრო ცოტაა, ზაფხულობით ნიადაგი ადვილათ შრება. ეს გარემოება ხელს უშლის ბალახისა და მცენარეთა აღმოცენებას და ზრდასა... რადგანაც ეს დაბალი ადგილები მეურნეობისათვის უფრო ხელ-საყრელია, მცხოვრებლები იძულებული ხდებიან ეს ბუნებრივი ნაკლი ხელოვნურათ შეავსონ და ხელოვნურ მორწყვას მიმართონ... ნათესების ხელოვნურათ მორწყვა აქ იწყება მარტის თვიდან. ამ დროს იწყება ბაღებისა და შემოდგომის ნათესი პურეულობის რწყვა. აპრილის თვიდან კი რწყავენ ბაღებსა და ყველა პურეულებს. მაისის დამლევსა და ივნისის პირველ რიცხვებში უკვე ათავებენ პურის ყანების რწყვას. აგვისტოსა და სექტემბერში რწყვენ ბრინჯს, (ჩალტიასა) და ბამბის პლანტაციებს. სექტემბრის ნახევრიდან ოქტომბრის შუა რიცხვებამდე რწყვენ შემოდგომის პურის ყანებს. ამ რიგათ წელიწადში რწყვის საქმე  $7\frac{1}{2}$  თვე გრძელდება. მაღლობ ადგილებში რწყვის პერიოდი შედარებით უფრო მცირეა. მისი რაოდენობა დამოკიდებულია ჰავის პირობებზე და კულტურის ხასიათზე. ბრინჯის ჩალტიაებს რწყვენ  $6\frac{1}{2}$  ჯერ; პურსა და ქერს—5 ჯერ; ბამბას—4—5 ჯერ; ბაღებს—5—6 ჯერ. პურისა და ქერის მოსარწყავათ საშუალო რიცხვით საჭიროა 65 კუბიკური საყენი წყალი; ბაღებს დესეტიანზე 70 კუბ. საყენი წყალი სჭირდება თითო მორწყვაზე. ყველაზე მეტ წყალს ბრინჯის პლანტაცია მოითხოვს: საშუალო რიცხვით დესიატინაზე 500—700 კუბ. საყენი წყალი უნდა თვიურათ. მაღლობ ადგილებში ხელოვნურათ მორწყვას ფართე ხასიათი არა აქვს. სარწყავი არხები აქ პრიმიტიულია. დაბალ ადგილებში, მაგალითათ, მდ. მტკვრისა და ივრის რაიონებში ხელოვნური რწყვის საქმეს ფართე ხასიათიც აქვს და უფრო რაციონალურათაც არის დაყენებული. ყველაზე უფრო კარგათ ეს საქმე ყარაიაზის ველებშია დაყენებული. აქ მტკვრიდან და ივრიდან გამოყვანილი არხები დიდ რაიონს იქერს. ამ არხებს წყალი სრულიად უშუალოთ გამოყავს დასახელებულ მდინარეებიდან და მეურნე აქ სრულიადაც არ განიცდის წყლის ნაკლებულებობას. დაბალი მიწები აქ ორ ჯგუფათ განიყოფება: ერთი მდებარეობს ზღვის დონეზე მაღლა 1.400 ფუტზე, მეორე ჯგუფის კი უფრო დაბლა. პირველ ჯგუფს ეკუთვნის ახალ-ქალაქის, ახალ-ციხის და გორის მაზრის სარწყავი მიწები, მეორეს — დიღმის, ავქალის, კოდისა და ბორჩალოს განაპირი ადგილები, ყარაიაზის, ელდარის და ალაზნის ველები. უფრო დაბალ ადგილებში ჰავა უფრო ღმობიერია; ამიტომ აქ ხანგრძლივ რწყვა სა-

ჭიროც არ არის. 1.400 ფუტის სიმაღლეზე მდებარე ადგილებისთვის ხელოვნურათ მორწყვა ერთათ-ერთი საშუალებაა მეურნეობისათვის.

**მცენარეულობა (ფლორა)** აღმოსავლეთ საქართველო მცენარეთა სიმდიდრითა და მრავალ-ფერობით ერთობ დაბლა დგას დასავლეთ საქართველოზე. ტფილისის გუბერნიაში შეიძლება ნახოთ ყოველგვარი მცენარეულობა, რაც კი შეიძლება ხარობდეს 40 პარალელიდან კიდური წრემდე (полярный круг). მაგრამ ამ მცენარეთა შვეული მიმართულება (вертикальное направление) მხოლოდ ნაწილობრივით ექვემდებარება განაწილების საზოგადო კანონს და კერძო შემთხვევაში დამოკიდებულია ადგილობრივი ჰავის პირობებზე. თქვენ აქ ნახავთ ფლორის ყოველგვარ წარმომადგენელს: მთელი წლობით მწვანე კიპაროსს, მაგნოლიას, ხავს, ხის-მუშკს, სინესტის მოყვარულ სოქს გვალვის ადვილათ ამტან კაპარს; სხვა და სხვა სიმაღლეზე ქერი, დაბლობებში — ბამბა, ბრინჯი, ლეღვი, ბროწეული, ყურძენი და სხვა.

თბილისის გუბერნია მცენარეულობის მიხედვით შეიძლება შემდეგ სარტყლებათ გავყოთ: 1) 11.000 სიმაღლე (ზღვის დონეზე მაღლა)—ბამბისა და ბრინჯის სარტყელი; 3.500 ფუტზე—ვაზის სარტყელი; 7.000 ფუტზე—ტყის, ქერისა და პურტს სარტყელი და 7—10 000 ფუტამდე — ალპიური საძოვრების სარტყელი. ტფილისის გუბერნიაშია ტყე უფრო მთებშია; მთავაკე ადგილებში და დაბლობებში სჭარბობს ჩირვანარი და ბალახეულობა. ჰაერისა და ნიადაგის სიმშრალის გამო მცენარეულობათა ჯიში რაც უფრო ზევით იწევთ, მით უფრო და უფრო იცვლება. რაც უფრო შორდებით სურამის უღელტეხილს და მიდინხართ აღმოსავლეთისაკენ, თან და თან უფრო და უფრო ქრებიან ისეთი მცენარეები, რომელთაც ნესტიანი ადგილები უყვართ და მათ ალავს თან და თან იქერს ისეთი მცენარეულობა, რომელსაც გვალვის ატანა ადვილათ შეუძლია. პირველათ თან და თან ქრებიან მუდამ ამწვანებული ბუჩქნარი და სურო; შემდეგ სოჭი და ბოლოს წიფელა. ამ მცენარეების ადგილს თან და თან იქერს მუხა და სხვა მშრალი ნიადაგის მოყვარე მცენარეები. უნდა აღინიშნოს, რომ სოჭი შეგვხვდებათ კავკასიონის ქედზედაც, განსაკუთრებით ლიხხვსა და ქსნამდე. მაგრამ ეს მხოლოდ აქა-იქ. ქსნის ხეობის აღმოსავლეთით ფოთოლ-ნემსა (Хвощиний лес-წიწვი?) მცენარეულობა სულაც არ შეგვხვდებათ. მაღლა მთებში ხარობს წიფელა, დაბლა-რცხილა და მუხა თრიალეთის მთებში პიხტის ალავს; იქერს ფიჭვი და ნაძვი. ალაზნისა და ივრის რაიონები განთქმულია მდიდარი

ტყეებით. გუბერნიის აღმოსავლეთ ნაწილებში ისეთი ძვირფასი ხე, როგორც არის ეგრეთ წოდებული ელდარის ფიჭვი, რომელიც ამ სახელს იღებს ელდარის ველიდან; ამ ჯიშის ფიჭვი საუკეთესოდ ხარობს მდ. იორის ნესტიან ადგილებში, 1.5000 ფ. ზღვის დონეზე მაღლა. სამწუხაროთ, ამ ჯიშის ფიჭვი თან და თან ისპობა და დღეს იგი შენახულა მხოლოდ ქორ-ოდლის მთის მიუვალ ადგილებში. ბოტანიკ ბ. სოსნოვსკის დაკვირვებით ელდარის ფიჭვი დღეს ძლიერ ცოტა დარჩენილა, სულ იჭერს 30-ოდე დესეტინას და რიცხვით 1.500—2.000 ეგზემპლიარს არ აღემატება. ელდარის ფიჭვი მდიდარია ფისით და თვით ხეც ძვირათ ფასობს.

აღმოსავლეთ საქართველო საერთოთ ტყით მდიდარია. ტყეს აქ მთელი ტერიტორიის 30% უჭირავს. 1915 წლის ცნობებით, ტფილისის გუბერნიაში ტყე ითვლებოდა 730.561 ოთხ კუთხი დესეტინა. ტყე მაზრების მიხედვით შემდეგნაირათ იყოფა;

	მ ა ზ რ ა :	დესეტინა:
1	ახალ-ქალაქის:	• 15.611
2	ახალ-ციხის	64.970
3	ბორჩალოს	147.126
4	გორის	30.973
5	დუშეთის	61.720
6	სიღნაღის	66.110
7	თელავის	109.891
8	თიანეთის	131.624
9	ტფილისი	92.536
	სულ	720.561

ტყეების რაციონალური ექსპლოატაცია სწარმოებს მხოლოდ ბორჯომის ხეობაში, სადაც ხე-ტყის მასალების მზადების საქმე ერთობ კარგათ არის დაყენებული. ბორჯომის სახელმწიფო სახერხავ ქარხნებში ამზადებენ რესპულიკის რკინის გზისთვის საჭირო შპალებს, ყოველგვარ საშენ ფიჭვებს, სახლების სახურავ მასალას და სხ. უკანასკნელ წლებში აქ შემოდებულ იქნა ფისის კეთებაც და კიდევ უფრო გაუმჯობესდა დაუწმენდელი და დაწმენდილი სკიპიდარის (ფრანგული სკიპიდარი) წარმოების საქმე წარმოების ეს დარგები დაყენებულია ჩინებულათ, ამერიკულ სისტემაზე, რაც უნდა მიეწეროს აწვან-

სვენებულ მეცნიერ აგრონომს პახარს, რომლის დიდი ენერჯისა და საქმის სიყვარულებს ნაყოფია აგრეთვე ბორჯომის ძველ სასახლეში ჩინებულათ მოწყობილი ადგილობრივ—ყოველგვარ მცენარეთა მუზეუმი.

აღმოსავლეთის საქართველოს ტყეს დიდ ზიანს აყენებს ცეცხლი, რაც უმეტეს ნაწილათ, ადგილობრივ მცხოვრებთა დაუდევრობას უნდა მიეწეროს. დიდ ძალ ტყეს აჩანაგებენ მცხოვრებლები ნახშირისთვის უთავ-ბოლო და უსისტემო მეურნეობით. მაგრამ ახალგაზდა რესპუბლიკს თავის არსებობის პირველ დღიდანვე შეუდგა ამ საქმის მოწესრიგებას და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მისი ცდა ამ სფეროშიაც კეთილათ დაგვირგვინდება. ყველა ტყეების სახელმწიფო საკუთრებათ გამოცხადება და მეურნეობის ამ დარგის რაციონალურათ დაყენებისაკენ გადადგმული ნაბიჯები რესპუბლიკის მთავრობისა იმისი უტყუარი საბუთია, რომ ხალხს ტყეც შეენახება, მდინარეებიც და ჰავაც რიგიანი ექნება.

**მოსახლეობა** \*) 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოში ითვლებოდა 1.218.382 სული მცხოვრები. მცხოვრებთა რაოდენობა თითოეულ ოთხ-კუთხ ვერსზე უდრიდა 33,9 სულს. მოსახლეობის რაოდენობა თითოეულ ვერსზე მაზრებში შემდეგ სურათს წარმოადგენდა:

მ ა ზ რ ე ბ ი:	თითოეულ ვერსზე მცხოვრებთა რაოდენობა
თბილისის ქალაქი.	84,7
თბილისიანათ . . . . .	40,9
ახალ-ქალაქის . . . . .	37,1
გორის . . . . .	35,5
ახალციხის . . . . .	29,5
ბორჩალოს . . . . .	33,5
თელავის . . . . .	22,9
სიღნაღის . . . . .	0,9
თიანეთის . . . . .	19,9
დუშეთის . . . . .	

\*) იხილე „საქართველოს სტატისტიკური მოამბე“, № 1, 1921 წ. „საქართველოს მოსახლეობა 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით“, სტატია გ. ფერაძისა.

1897 წლის სტატისტიკური აღწერით თბილისის გუბერნიაში ითვლებოდა 957.775 სული მცხოვრები. იგი წლის განმავლობაში (1897—1917 წ.წ.) ამ რიცხვს მიმატებია სულ 259.607 სული მცხოვრები.

1916 წლის 1 იანვარს გუბერნიაში მცხოვრებთა ნაციონალური შემადგენლობა შემდეგი იყო:

მოდგმა:	რიცხვი:
ქართველები . . . . .	642.636
სომხები . . . . .	411.741
რუსები . . . . .	152.809
აზიის სხვა და სხვა მოდგმის ხალხი:	
ქრისტიანები . . . . .	55.970
მაჰმადიანები (შიიტები)	38.970
„ (სუნეტები)	67.517
<b>ქურთები:</b>	
მაჰმადიანები . . . . .	5.932
ეზიდები . . . . .	4.697
ებრაელები . . . . .	19.244
დანარჩენი ევროპელი მოდგმისა . . . . .	24.903
<b>კავკასიის მოიულები:</b>	
მაჰმადიანები . . . . .	4.131
სხვა რჯულის მალირებლები . . . . .	43.620
ციგნები . . . . .	1.120

ეს ცნობები, ჩვენის აზრით, სწორათ სარ ჩაითვლება. რაც იქედანაც სჩანს, რომ ამ ცხრილში დასახელებული „კავკასიის მთიელები“: ა) „მაკ-მადიანები“ და „სხვა რჯულის მალიარებლები“ ჩვენთვის ერთობ გაურკვეველია. ვინ უნდა ვიგულისხმოთ ამ „სხვა რჯულის მალიარებლებათ“? ალბათ ეს ქართველებია: ფშაველები, ხევსურები და სხვები და აგრეთვე ქრისტიანი ოსები. სხვა რომელიმე რჯულის მალიარებლები აქ არ არიან.

იმავე 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით ნაციონალური შემადგენლობა აღმოსავლეთ საქართველოსა შემდეგი იყო:

ქართველები	418.651
სომხები	139.939
რუსები	24.261
ოსები	88.831
თათრები	77.109
სხვა ტომის	85.694

სულ 834.485 სული

1916 წელს ადმინისტრაციის ცნობებით აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში ნაციონალური შემადგენლობა შემდეგი იყო:

ქალაქები:	ქართველი:	სომეხი:	რუსი:	ებრაელი:
ახალ-ქალაქი . . . . .	265	6.151	429	204
ახალ-ციხე . . . . .	2.783	18.165	716	3.246
გორი . . . . .	9.569	5.959	1.377	104
დუშეთი . . . . .	1.165	993	52	3
სალნალი . . . . .	8.470	8.975	179	7
თელავი . . . . .	2.757	7.063	135	—
თბილისი . . . . .	38.584	149.294	91.997	10.762
<b>სულ</b>	<b>62.593</b>	<b>196.600</b>	<b>95.885</b>	<b>14.326</b>

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში, უფრო კი საქართველოს რესპუბლიკის სატახტო ქალაქ თბილისში, მცხოვრებთა უმეტესობას შეადგენდნენ სომხები და რუსები. ასეთი ვარემოება დიდ ომიანობასთან იყო დამოკიდებული. ოსმალეთთან ომებმა სომხების ერთობ საგრძნობი რიცხვი აყარა თავის სამშობლოში, მიატოვებია თავისი კარმიდამო და საქართველოს დაბა-ქალაქებს, უმეტეს ნაწილათ, თბილისს შემოახიზნა. იმავე ომიანობის მიზეზით გაიზარდა საქართველოს ქალაქებში რუსების რიცხვიც. მაგრამ სომხები, რომელთა ხელშიაც იყო ომიანობამდეც აქაური ვაჭრობა-აღებ-მიცემობის საქმე, თბილისში ქართველებზე მეტნი იყვნენ. ახალქალაქსა და ახალ-ციხეში სომხების რიცხვის გადიდება იმავე ომიანობასთან იყო დამოკიდებული. ოსმალეთის სომხეთიდან და აგრეთვე ალექსანდროპოლიდან გადმოხვეწილ სომხების დიდი ტალღა მოაწყდა საქართველოს საზღვრებს და ამ ტალღამ უმეტეს ნაწილათ ამ მაზრებსა და მის ქალაქებში ნახა თავშესაფარი. აღსანიშნავია, რომ ეს მაზრები წარსული, მე-XIX საუკუნის, პირველ ნახევრიდანვე შეიქნა ლტოლვილ სომეხთა თავშესაფარ ადგილათ. იმავე საუკუნის 30 წლებში კავკასიის მთავარმართებელმა პასკევიჩმა რუს-თათრების ომიანობის დროს გაქცეულ ქართველ მაჰმადიანების ნაცვლათ ამ მაზრებში არზრუმისა და ყარსის ოლქიდან გადმოხვეწილი სომხები დაასახლა.

1917 წლის სამეურნეო აღწერის დროს სურათი საგრძნობლათ შეიცვალა. ამ აღწერის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების ნაციონალური შემადგენლობა შემდეგია:

ქ ა ლ ა ქ ე ბ ი	ქართველები:	სომხები:	რუსები:
ახალ-ქალაქი . . . . .	412	4.518	71
ახალ-ციხე . . . . .	1.559	7.077	304
გორი . . . . .	7.747	3.033	878
დუშეთი . . . . .	916	340	46
სიღნაღი . . . . .	5.634	2.214	139
თელავი . . . . .	5.109	4.064	288
თბილისი . . . . .	62.377	83.977	—
<b>ს უ ლ</b>	<b>91.854</b>	<b>90.255</b>	—

როგორც ამ ცხრილიდანა სჩანს, ერთი წლის განმავლობაში სურათი ძალიან გამოცვლილა. ქართველების რიცხვი ძალიან გადიდებულა, მაშინ როცა სომხებისა და, განსაკუთრებით, რუსების რიცხვი ყოველგან საგრძნობლათ დაკლებულია.

**მცხოვრებთა საქმიანობა.** აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც დასავლეთში, მცხოვრებთა დიდი უმეტესობა მიწის მეურნეობით ცხოვრობს. გარდა პურეულობის კულტურისა, აქ ძალიან გაჭრცელებულია: მებაღეობა-მებოსტნეობა და მევენახეობა-მელვინეობა. უმეტეს ნაწილათ აქ თესვენ ვგრეთ წოდებულ „თავთუხს“ (მაგარი შემოდგომის პური), „დოლის პურს“ (შემოდგომისა) და „დიკას“ (გაზაფხულის), ქერს, ჭვავს, ფეტვს და სხ. სამრეწველო მცენარეებიდან თესენ: ბამბას, თამბაქოს, მზესუმზირას (ПОДСОЛ-НЕЧНИК) კუნჭუთს, სალაფსა და სხვას.

1915 წელს, ოფიციალური ცნობების მიხედვით, დამუშავებული იყო 409.189 ოთხ-კუთხი დესეტინა; სათესლე დაუხარჯავთ;

ხორბლეულობა:	დ. ფ. უ. თ. ი. ზ.
შემოდგომის პური .	617.758 ჩეტვერთი
გაზაფხულის პური .	145.793 „
ქერი . . . . .	151.281
სიმინდი . . . . .	6.345

1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერით კი ამ წელიწადს დამუშავებული ყოფილა მხოლოდ 226.896 ოთხ-კუთხი დესეტინა, როგორც სარწყავი, ისე ურწყავი მძწებისა. (სარწყავი 29.873,93 და ურწყავი—197.024,07 დესეტინა). ასეთი შემცირება ნათესებისა აიხსნება ომიანობითა და რევოლიუციით; ახალ-ქალაქისა და ახალ-ციხის მაზრები თათრის ჯარებს ეჭირათ და იქ მეურნეობა სულაც არ იყო.

საანგარიშო წელს, იმავე სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, უმთავრეს პურეულობას ექირა 202.816,76 ოთხ-კუთხი დესეტინა.

ხორბლეულობა:	დ ე ს ე ტ ი ნ ა :		ს უ ლ
	სარწყავი	ურწყავი	
შემოდგომის კვაი	1.207,39	3.784,85	4.992,24
საზაფხულო კვაი	69,79	1.275,54	1.345,39
საზამთრო პური	15.884,39	69.814,53	85.698,92
საზაფხულო პური	745,94	35.495,01	36.240,95
საზამთრო ქერი	2.938,46	6.308,74	9.247,20
საზაფხულო ქერი	1.411,91	38.917,04	40.328,95
შვრია	92,99	853,34	946,33
სიმინდი	5.856,03	16.335,74	23.191,77
ფეტვი	81,48	1.743,45	1.824,93
<b>ს უ ლ</b>	<b>28.288,38</b>	<b>174.528,34</b>	<b>202.816,72</b>

რესპუბლიკის ცენტრალურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა ცნობები 1919 წლის პურის მოსავლის შესახებ, რომლის მიხედვით საანგარიშო წელს მოსავალი ყოფილა:

ხორბლეულობა:	ფ უ თ ი :
შემოდგომის პური	3.296,849
გაზაფხულის პური	929.135
შემოდგომის ქერი	404.757
გაზაფხულის ქერი	731.236
შემოდგომის კვაი	59.742
გაზაფხულის კვაი	71.213
სიმინდი	1.497.642
შვრია	17.348
ფეტვი	120.282
„პოღობა“	46.677
<b>ს უ ლ .</b>	<b>7.174.899</b>

აღმოსავლეთ საქართველოში ხორბლეულობის კულტურა საკმაოდ მაღალ საფეხურზე დგას. ჩვეულებრივად აქ მიწას 3—4 გოჯის სიღრმეზე ხნამენ; ხნავენ მძიმე გუთნით, რომელშიც 5—8 უღელი ხარები ან კამეჩები უბია, რადგან ყოველ გლეხს ერთი გუთნის საყოფი საქონელი არ ეყოლება, აქ ხშირად დგება მიწის ხენელთა ამხანაგები და არტელები. აღსანიშნავია, რომ საქართველოში საზოგადოთ ერთობ გავრცელებულია შრომით დახმარება (ТРУДОВАЯ ПОМОЩЬ), რაც უფრო გავრცელებულია ნათესაეთა, მეგობართა და მეზობელთა შორის, მიწის სახნავათ ორი ან სამი-ოთხი ოჯახი გამოდის შეერთებულის ძალით, რადგანც, როგორც ვიცით, თითო გუთნეულს 5—8 უღელ ხარ-კამეჩის შრომჭ უნდა და 5—6 მუშისა ასეთი დახმარების გარეშე აქ მიწის მუშაობა შეუძლებელია... პროფესორი ხახანაშვილის დაკვირვებით ზოგ გლეხს ყავს მხოლოდ უღელი, ზოგს ხარი არა ყავს, არც მთელი გუთანი აქვს, მაგრამ მას საკვეთი აქვს, მესაძეს-გუთნისთვის საჭირო ღვედის მუტი არაფერი აბადია. ცალ-ცალკე ვერც ერთი ასეთი გლეხი ყანას ვერ დაამუშავებს. ამიტომაც ისინი იძულებული არიან შეერთდნენ და ერთი გუთნეული შეადგინონ... ასეთ შეერთებულის ძალით მუშაობას ადგილი აქვს პურის მკის დროსაც. გლეხების ასეთი კოლლექტიური მუშაობა წლიურად საშუალო რიცხვით 21—23 დღე გრძელდება. ამ დროს განმავლობაში კოლლექტივის ყოველ წევრს, თუ მას გუთანში ერთი უღელი ხარი, ან კამეჩი უბია, — უხნავენ სამ დღიურს (1½ დესიატინს); ყველას კი სათითაოდ უხნამენ არა ნაკლებ ორი დღიურისა...

მთის შეკალთებებზე და მთა-ვაკე ადგილებში მიწას ხნავენ იმერული პატარა სახნისით. ფარცხვენ ისეთისავე იარაღებით, როგორც დასავლეთ საქართველოში. პურს კალოებზე ლეწავენ კევრებით. კვერი წარმოადგენს დიდ ფართე ფიცარს, რომელიც ქვეშიდან მოკენჭილია მთელი რიგი მაგარი და მჭრელი ქვის ნატეხებით, უფრო ხშირად კი კაყის ნატეხებით. ბზე ჰირუტყვის სახამთრო საკვებ მასალათ მიდის და კარგათაც ფასობს...

მთიელები ხშირად უფრო პრიმიტიულათ ლეწენ პურს. კალოზე გაფენილ გამხმარ პურის ძნებზე ისინი ხარებს, ძროხებს, ან ცხენებს არბევინებენ და ამ გვარათ ილეწება პური. კალოზე პურის ასე ლეწვა აქ უხსოვრის დროდან არის დარჩენილი. თურმე ასე ლეწდენ პურს სხვა ძველის ძველი ერებიც.

მე XIX საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში საკმაოდ გავრცელდა აღმოსავლეთ საქართველოში ევროპიული სასოფლო სამეურნეო იარაღები,

აქ დიდი მოთხოვნილებაა გერმანული და რუსულ გუთნებზე; საქრელი, სალენჯავი და საბერტყი მანქანებზე, ხალხი ყველა ასეთ სამეურნეო ჩარაღებს ძალიან აფასებს და მის შესაძენათ ხარჯს არ იშურებს.

ურწყავ მიწებზე ზოგ ადგილას შემდეგ ოთხნაირ მეურნეობას ეწვევიან: 1) დასვენებითი, — ასვენებენ მიწას; 2) საძოვარი, 3) საბალახო და 4) ხორბლეულობისა.

მიწის დასვენების სისტემა ყველაზე უფრო გავრცელებულია: ახალქალაქის მაზრაში (დუხნობორებში), თიანეთის მაზრაში მწირ მიწებზე და გორის მაზრაში ოსების ზოგიერთ სოფლებში. ყამირსა და უფრო ნაკიერ ადგილებში ხორბლეულებას სთესენ; მთებში, სადაც ნიადაგი კარგი ბალახით იფარება, მიწას ყოფენ საბალახოთ და სათიბათ. ყველაზე უფრო გავრცელებულია ერთ-მინდვრიან, ორ-მინდვრიან და მრავალ-მინდვრიან (ОДНОПОЛЬНАЯ ДВУХПОЛЬНАЯ) მეურნეობის სისტემა. თბილისისა და სიღნაღის მაზრებში მისდევენ უფრო ერთ-წლიური მეურნეობის სისტემას; დუშეთისა, თელავისა და ახალქალაქის მაზრებში სამ-წლიური სისტემის მეურნეობას. \*)

რადგანაც აღმოსავლეთის საქართველოს ჰავა ხმელია, აქ ნათესი ხელოვნურათ მოუხნავათ ნაკლებათ ხეირობს. ამიტომ აქ სარწყავი მიწები ერთი-ორათ და სამათ მეტათ ფასობს ურწყავ მიწებზე.

**მებოსტნეობა და მებაღეობა** აქ საკმაოთ განვითარებულია. მაგრამ მეურნეობის ამ დარგს განსაკუთრებული სამრეწველო ხასიათი არა აქვს, თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ თბილისისა და მის ახლო-მახლო სოფლების ბოსტნებსა და ბაღებს, რომელებიც თბილისის მცხოვრებლებს დიდ ძალ წვანილეულობას აწვდიან.

ადმინისტრაციული ცნობების მიხედვით, რომლის სინამდვილე ჩვენ თვითონ მიგვაჩნია საეკვოთ, თბილისის გუბერნიაში ბოსტნების სივრცის რაოდენობა უდრიდა 703,4 ოთხ-კუთხ დესიატინას (სარწყავი — 522, ურწყავი — 180,47 დ.) ბაღების სივრცე კი უდრიდა 178,18 ოთხ-კუთხ დლიურს (75,93 სარწყავი, ურწყავი — 102,25). თუ ამ ციფრებს დავუჯერებთ, მეურნეობის ეს დარგი გუბერნიაში ვერ ყოფილა განვითარებული. მაგრამ, ვიმეორებთ, ჩვენ

\*) იხილეთ: Сборник статическ. данных о земледелии и способах хозяйства в 5 губерниях Закавказья, изд. Стат. Ком. под. ред. Б. Кондраденко, стр. 36.

ეს ცნობები საექვოთ მიგვაჩნია და ვფიქრობთ, მებოსტნეობა-მებაღეობას აქ უფრო დიდი ადგილი უჭირავს. ყოველ შემთხვევაში ის კი ყველასათვის აშკარაა, რომ თბილისის გუბერნიაში ძნელი წარმოსადგენია ისეთი ოჯახი, რაც უნდა ღარიბი იყოს იგი, რომ მას ცოტა ბოსტანი და ბაღია მაინც არ ქონდეს. აქ მებოსტნეობა შესაძლებელია 500—7.600 ფუტის სიმაღლეზე (ზღვის დონეზე მაღლა).

კახეთში, თბილისის მაზრის სამხრეთ ნაწილებში და ბორჩალოს მაზრის დაბალ რაიონებში ძლიერ ბევრი მოდის: სახამთრო, ნესვი, კვახი (გოგრა) და სხვა, რაც უმეტეს ნაწილათ თბილისის ბაზარზე გამოაქვთ. უკანასკნელი 30—40 წლის განმავლობაში ქართლელი გლეხი ძალიან ეტანება კომპოსტოს, ქარხლისა და კარტოფილის თესვას. მთიულეთში, სადაც კარტოფილი ჰურის მაგიერობას ეწევა, თანდათან იზრდება კარტოფილის პლანტაციები.

**მებაღეობა.** კულტურის ხასიათის მიხედვით დასავლეთ საქართველოს მებაღეობის რაიონი შეიძლება გავყოთ: 1) ახალციხე-ახალქალაქის რაიონათ მდ. ფოცხოვზე, ქობლიანსა და მის ტოტებზე, ურაველზე და ახალ-ქალაქ-ჩაიზე). ახალ-ციხის მაზრაში მებაღეობა მეურნეობის ერთ უდიდეს დარგთაგანს შეადგენს. უკანასკნელ ომიანობამდე აქ ძლიერ ბევრი იყო ხენილის ბაღები. სტატისტიკური ცნობების მიხედვით ამ მაზრაში 115 სოფელში 600 ოთხკუთხი დესიატინა ბაღი ითვლებოდა. აქ უფრო გავრცელებულია ვაშლი და მსხალი, რაც ძლიერ კარგი ღირსების არის, უძლებს შორს გადატან-გადმოტანას და ადვილათ ინახება ხილის მეორე მოსავლამდე. აქაური ხილი, უმეტეს ნაწილათ, თბილისის ბაზრებზე მიდის. გააქვთ აგრეთვე აქაური ხილი რუსეთის ზოგიერთ მაზრებზეც, სადაც კარგათავე იყიდება; 2) ქართლის რაიონი, რომელშიც შედიან გორისა და დუშეთის მაზრები. გორის მაზრიდან უმეტეს ნაწილათ გააქვთ ბაზარზე სახამთრო ჯიშის მსხალი და ვაშლი და აგრეთვე თხილი. გორის მაზრაში ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს მეურნეობის ამ დარგის აყვავებას. აქ შეიძლება მრავალი საუკეთესო ჯიშის ხილის კულტურა, რომელიც დიდ შემოსავალს მისცემს მეურნეს. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა დაულალავი მეურნე. ბ. ფურცელაძე, რომელმაც აქ შექმნა სამაგალითო ბაღი. სამი წლის წინათ ბ. ფურცელაძემ თავისი ბაღი, რომელსაც განცვიფრებაში მოყავდა სპეციალისტები, რესპუბლიკას შესწირა იმ მიზნით, რომ აქ სამაგალითო საბაღოსნო სასწავლებელი დაარსებულიყო. მთავრობამ მადლობით მიიღო ეს ძვირფასი საჩუქარი და სიამოვნებით აღუთქვა ბ. ფურცელაძეს მისი სურვილის აღსრულება; 3) მესამე რაიონს მებაღეობისას შეა-

დგენს თბილის-ბორჩალოს რაიონი (მდ. მტკვრის, ალგეთის და ივრის ნაპირებზე). 4) კახეთის რაიონი, რომელშიც შედიან თელავის, სიღნაღისა და თიანეთის რაიონები. ეს რაიონი ძლიერ მდიდარია სხვა და სხვა კარგი ჯიშის ხილეულობით. აქ ბევრი ლეღვი იცის, რასაც ახმობენ და კარგ ფასებში ყიდიან თბილისის ბაზარზე.

**მევენახეობა და მეღვინეობა.** აღმოსავლეთ საქართველოს ღვინო თავისი ღირსებით გაცილებით მაღლა დგას დასავლეთ საქართველოს ღვინოზე. კახეთი მთელ ქვეყანაზე განთქმული თავისი ღვინოებით. ჟუანასკნელი 30—40 წლის განმავლობაში კახეთისა და ქართლის მეურნეებს დიდი ზარალი მიაყენა ფილაქსერამ. აქაური წვრილი მეურნეები ჯერაც ვერ გასწორებულან წელში ამ ვაზის საშინელი სენისაგან. ამ უბედურების მიუხედავად ვაზის კულტურა აქ მალე გამოსწორდა და დღეს იგი ძალიან მაღალ საფეხურზე დგას როგორც ქართლში, ისე კიდევ უფრო კახეთში. მარხალია დიდი ზიანი მიაყენა მევენახობას ფილაქსერამ, მაგრამ იმანვე აიძულა მეურნე თავისი ვაზი ამერიკულ ძირებზე დაემყნა და მით გამკლავებულ კარს მომდგარ უბედურებას. რა თქმა უნდა მეურნეობის ასეთი გართულება დიდ ხარჯსა და შრომას მოითხოვდა მეურნისაგან, მაგრამ სამაგიეროდ ასეთი დამყნობის ვენახი ფილაქსერიდან უზრუნველ ყოფილი გამოდგა.

**მეღვინეობის** საუკეთესო რაიონათ მთელ საქართველოში და მთელ კავკასიაშიც კახეთი ითვლება. ეს საუკეთესო ღვინის რაიონი შესდგება თელავის, სიღნაღის და აგრეთვე თიანეთის მაზრის აღმოსავლეთ ნაწილიდან. ამ რაიონებში მოდის საუკეთესო ხარისხის ღვინოები. სპეციალისტების გამოკვლევით, აქაური რიგიანათ დაწურული და კარგათ დადუღებული თეთრი ჯიშის ღვინო არაფრით არ ჩამოუარდება ბურგუნდისა და პორტვინის ღვინოებს. კახური წითელი ჯიშის ღვინოები კი გაცილებით ჯობს წითელსვე ჯიშის ფრანგულ ღვინოებს. სამწუხაროთ სოფელის მეურნეთა უმეტესობა ჯერ კიდევ პრიმიტიულის საშუალებით აკეთებს ღვინოს. ხშირათ არც დამწიფებას აცლიან ხეირონანათ. ამიტომ ღვინო ხშირათ მყავე გამოდის. ღვინოს ასხამენ თიხის დიდრონ ქვევრებში, რომლებიც ჩაფლული აქვთ მიწაში. ეს გარემოება ხელს უშლის ღვინის დუდილის პროცესს. აქ ღვინოები ხშირათ გადააქვთ დიდრონ შიგნით გამოკუპრულ რუმბებში, რაც ღვინოს ერთობ არასასიამოვნო გემოსა და არამატს აძლევს.

ამ საუკუნის დასაწყისიდან ძალიან მოიკიდა ფეხი მევენახეობა-მეღვინეობამ გორისა და ბორჩალოს მაზრებშიაც. გორის მაზრაში საუკეთესო ღვინის რაიონ-

ნებათ ითვლება: ატენის, ხიდისთავისა და მუხრანის რაიონები; ტფილისის მაზრაში—დილომისა და ბორჩალოში—შულავერისა და ეკატერინოფელდის რაიონებში. თიანეთის მაზრაში მევენახეობა-მელვინეობით უმეტეს ნაწილათ სახელგანთქმულია: ახმეტა-ბახტრიონი და მატაანი. ახმეტის ღვინოები ზედმიწევნით უმაღლესი ხარისხისაა.

საქართველოს ახალგაზდა რესპუბლიკამ მდიდარი ვენახები მიიღო რუსეთის ყოფილი საუფლოს წულო მამულების უწყებიდან. ტფილისის გუბერნიაში რესპუბლიკას ჩინებული ბაღები აქვს: სოფელ მუკუხანში (სიღნაღის მაზრაში), სოფელ წინანდალში, ურიათ-უბანში და ნაფარეულში (თელავის მაზრაში), და სოფელ მუხრანში (დუშეთის მაზრაში).

ამ მამულში მევენახეობა-მელვინეობა ნამდვილ ევროპულათ არის დაყენებული. ვაზი აქ უმეტეს ნაწილათ დამყნილია და მავთულებზე გაბმული. ღვინის დაწურვა და დადუღება სწარმოებს საუკეთესო მანქანების საშუალებით. სარდაფები, რომლებშიც ღვინო დუღს და ინახება, საუკეთესოთ არის მოწყობილი. ამ მამულებიდან გასაყიდათ ღვინო გამოაქვთ არა ადრე 3—5 წლისა. აქაური ღვინოები ევროპულ გემოვნებაზეა მომზადებული. უკანასკნელ წლებში აქაური სახელმწიფო მამულების ღვინოები მრავლობით გააქვთ როგორც რუსეთში, ისე ევროპის ბაზარზე: ამ საზოგადო კრიზისის დროს ეს ღვინოები საუკეთესო სავალიუტო-საქონელს წარმოადგენს.

სტატისტიკური ცნობებით დასაველეთ საქართველოში ვენახის ბაღების სივრცე უდრიდა:

წელიწადი:	დესეტინა:
1908	21.252
1911	20.578
1913	20.798
1914	21.402
1915	21.301
1916	21.369

1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერით გუბერნიაში ვენახების ბაღების სივრცე უდრიდა 16.333 ოთხ-კუთხ დესეტინას.

1908—1916 წლებში ღვინის მოსავალი წლიურად ყოფილა:

წელიწადი:	ვ ე დ რ ო:
1908	5.584.340
1911	2.469.198
1913	5.182.624
1914	3.567.319
1915	581.690
1916	1.961.000

ღვინის მოსავლის საშუალო რაოდენობა მაზრებში ყოფილა:

მაზრები:	ვ ე დ რ ო:
გორის	200.000
თბილისის	250.000
ღუშეთის	270.000
ბორჩალოს	260.000
თიანეთის	55.000
თელავის	890.000
სიღნაღის	500.000
<b>ს უ ლ</b>	<b>2.425.000</b>

მევენახეობასა და მეღვინეობის საქმეს აქ საგრძნობლათ ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ სოფლის მეურნეს აკლია ამ საქმის ცოდნა. საქართველო უხსოვრის დროიდანვეა ცნობილია როგორც ღვინის ქვეყანა, მაგრამ აქ არ

რყო ერთი სპეციალური სასწავლებელიც, რომელსაც ამ საქმის ცოტაოდენი სპეციალური ცოდნა მაინც მიეცა მეურნისათვის. უნდა ვიფიქროთ, ძველ რუსეთის ძველ მთავრობას არ სურდა საქართველოში ამ საქმის ცოდნის გაუმჯობესება. ალბათ ეშინოდა ადგილობრივმა მეურნეებმა საუფლისწულო მამულებში მევენახეობა-მეღვინეობას მეტოქეობა არ გაუწიოსო.

გარდა ფილოქსერისა, რომლითა ბრძოლის საშუალება ერთათ-ერთია... ადგილობრივი ჯიშის ვაზის ამერიკულ ძირებზე დამყნა, ვაზს ძლიერ აზიანებს სხვა და სხვა სოკო, რომელიც სისტემატიურ წამლობას მოითხოვს. ყურძენს ხშირათ ღუპავს სეტყვა, რომელთან ბრძოლაც დიდ სიძნელეს წარმოადგენს მეურნისათვის. ამ სტიქიურ უბედურებას რესპუბლიკის მამულებში ებრძვიან სეტყვიანი ღრუბლების გამფანტავი ჯაზაირების საშუალებით (Градобитные мортыры), რომლითაც ხშირათ შესაძლებელი ხდება სეტყვის თავიდან აცილება თუ არა, მისი შესუსტება მაინც. ხანგრძლივი და ცივი ზამთარი ხშირათ აფუჭებს ვაზს, როგორც ეს მოხდა 1910—1911 წლის მკაცრ ზამთარში. ვენახს გაზაფხულზე ორჯერ აპკურებენ გოგირდისა და შაბიამანის სითხით; უამისოთ ის ძლიერ ზიანდება. შენიშნულია, რომ როცა მეურნეს ეს საშუალება არა აქვს თავ-თავის დროზე, მას ვენახი სრულიად ეღუპება. ამიტომ მეურნეს ყოველი ღონე იმაზეა მიმართული, რომ თავ-თავის დროზე შაბიამანი და გოგირდი მოიმარაგოს. ამისთვის ის არაფერ ხარჯს არ დაერიდება. აქ ყურძნის ჭკაც ძვირათ ფასობს, რადგანაც იმისგან ხლიან ჩინებულ ღირსების არაყს.

კახეთის ღვინოებს იცნობენ ევროპის საუკეთესო ბაზრებზე, როგორც საუკეთესო ღვინოებს.

**სამრეწველო მცენარეთა კულტურა** აღმოსავლეთ საქართველოში ძალიან გავრცელებულია ბამბის, თამბაქოს, სალაფის (Клещевина), კუნეუტისა და სხვათა კულტურა. ბამბასა და თამბაქოს აქ დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

თამბაქოს კულტურა ყველაზე უფრო გავრცელებულია თელავისა და სიღნაღის მაზრებში. ამ რაიონებში მეურნეობის ამ დარგს მრეწველობითი ხასიათი აქვს, გუბერნიის სხვა რაიონებში კი ადგილობრივი მცხოვრებლები მხოლოდ თავის საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ ეწევიან თამბაქოს თესვას... აქ თამბაქოს თესვს არ აახლებენ. ამიტომ შემუშავდა ადგილობრივი ჯიშის თამბაქო, რომელიც ერთობ მდარე ღირსებისაა და „ტრაპეზონის“ ან „სამსონის“ ჯიშის თამბაქოსთან მისი შედარება შეუძლებელია\*).

\*) იხილეთ ბ. კოზლოვსკის სტატია გაზეთ „Борьба“-ში რომლიდანაც ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ციტატები.

თელავისა და სიღნაღის მაზრებიდან უმეტეს ნაწილათ თამბაქო გააქვთ თბილისისა და ბაქოს მაზრებზე.

შემდეგი ცხრილი ნათლათ გვჩვენებს კახეთში თამბაქოს მეურნეობის მოსავალს:

წლები:	დესეტინა:	ფ უ თ ი:
1913	708	48.073
1914	1.316	107.470
1915	1.344	110.931
1916	1.527	126.355
<b>ს უ ლ</b>	<b>4.895</b>	<b>392.829</b>

ბ. კობლოვსკის ცნობებით\*) აღმოსავლეთ საქართველოში თამბაქოს პლანტაციების სივრცის რაოდენობა თვალსაჩინოთ გაზრდილა ომიანობის პირველ წლებში (1914—1918) 1916 წელს თამბაქოს პლანტაციები მაზრებათ და სოფლებათ შემდეგ ნაირათ ნაწილდება:

მაზრები:	სოფლები:	პლანტაცი- რიცხვი:	დესეტინა:
თელავის	3	52	48,0
სიღნაღის	30	1.755	1.330,3
ახალ-ციხის	40	601	82,0
ბორჩალოს	5	34	45,8
ახალ-ქალაქის	3	29	1,1
<b>ს უ ლ</b>	<b>81</b>	<b>2471</b>	<b>1.527,2</b>

\*) იხილეთ: ე. კობლოვსკის: „Культура табака в Кавказе“, გაზეთ „Борьба“-ში, № 106 (661), 1920 წელი.

შემდეგი ცხრილი ცხადათ გვაჩვენებს შეკრებილ თამბაქოს რაოდენობას და საშუალო მოსავალს დესეტინაზე:

მ ა ზ რ ე ბ ი:	შეუკრებიათ ფუთობით:	საშუალო დესეტინაზე:
თელავის	4.900	102
სიღნაღის	117.501	94
ახალ-ციხის	2.703	33
ბორჩალოს	1.210	27
ახ. ლ-ქალაქის	36	33
<b>ს უ ლ</b>	<b>126.360</b>	<b>289 ფ.</b>

ეს ცხრილი ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მეთამბაქოების ცენტრი სიღნაღის მაზრაა.

1914 წელს ტუილისის გუბერნიიდან თამბაქო გაუტანიათ: რუსეთში—440 ფუთი, ბაქოს გუბერნიაში—2619 ფუთი, განჯისაში—204 ფუთი, სოხუმის ოლქში—480 ფუთი. 1916 წელს კი მარტო რუსეთში გაუტანიათ 65.076 ფუთი თამბაქო. 1914 წლიდან თამბაქოს ფასსაც უმატია; ასე რომ 1919 წლის დამლევს აქ თამბაქო ღირდა I, II და III ხარისხისა 700—800 მანეთამდე.

— : —

**მებამბეობა.** საქართველოს გეოგრაფიაში ვახუშტი ამბობოს, რომ „კახეთი, განსაკუთრებით გაღმა მხარე და მდ. ივრის ნაპირებზე, უხსოვრის დროდან მისდევდენ მებაბრეშომეობას და მებამბეობას და ბევრიც მოყავდათო“ შოპენის გამოკვლევაც ამოწმებს, რომ ბამბის მოყვანა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ უდიდეს დარგს წარმოადგენდა საქართველოში. ეს მართლაც ასე უნდა ყოფილიყო, რადგანაც ძველ საქართველოში ნაქსოვები ალბათ ძვირათ შემოქონდათ, ის ერთობ ძვირი იყო და ხალხი იძულებული იყო თვითონ ეზრუნა ტანისამოსისთვის მასალის შექმნაზე. გლეხი ძველათგანვე ატარებდა თავისი შრნ მოყვანილი ბამბისაგან. თავისივე ოჯახში მოქსოვიდნა და შე-

ქერილ ტანისამოს. ეს ასე იყო საქართველოში არა თუ ძველათ, ასე იყო წარსული, მე-XIX საუკუნის მიწურულშიაც. თვით ჩვენ თაობას კარგათ ახსოვს, რომ არა თუ მთებში და სადმე მივარდნილ კუთხებში, — თვით ქალაქების მაზლობლათ დიდი სოფლებისა და დაბების მცხოვრებლებიც თითქმის სულ ბამბისაგან გაკეთებულსა და შეღებილ ხამ-ლაინის ტანისამოსს ატარებდა. სამწუხაროთ, ხელთ არა გვაქს საკმაო ცნობები ბამბის კულტურის შესახებ საქართველოში წარსულში, მაგრამ ერთი ცნობა, რომელიც ჩვენ ხელთ არის, ცხადათ გვეუბნება, რომ მე-XIX საუკუნის დასაწყისში მარტო სიღნაღის მაზრაში 1.000 დღიური (დღიური ნახევარი დესიატინაა) ბამბის პლანტაცია იყო. იმავე ცნობიდან ვტყობილობთ, რომ დღიურზე საშუალო რიცხვით მოდიოდა 50 ფუთი დაწმენდილი ბამბა... ბოლოს, როცა ამ მაზრაში, ტყეების გაჩანაგების მიზეზით, კლიმატიური პირობები შეიცვალა და ნიადაგი საგრძნობლათ გამოხმა, ბამბის მეურნეობის საქმეც დაეცა. მხოლოდ იმავე მე-XIX საუკუნის 90 წლებში ლაგოდახის რაიონში სცადეს ბამბის მეურნეობის აღდგენა და ამ ცდამ ჩინებული შედეგიც მოიტანა.

1901 წელს ს. „ქიაურში“ დ. ე. ჩოლოყაშვილის მამულში, აგრონომმა ს. ყაზახიშვილმა სცადა ბამბის თესვა ურწყავ ადგილებში; ბამბა ბლომათ და კარგი ღირსების მოვიდა. ამან და სხვა კიდევ ბევრმა ცდამ ცხადყო, რომ კახეთში ბამბის კულტურას შეუძლიან ფართე ხასიათი მიიღოს, მაგრამ ამ რაიონში მას არ ეპყრობოდენ შესაფერის ყურადღებით. სულ სხვა იყო ყარაიაზისა და ბორჩალოს რაიონებში, სადაც 30 — 35 წლის წინათ ბამბის კულტურა ძლიერ განვითარდა, რაც მხოლოდ წარსულმა დიდმა ომიანობამ შეაფერხა. ყარაიაზში მიწის მესაკუთრეები იშვიათად ეწეოდენ მებამბეობას. აქ ყოფრო ხშირათ მოსულ სომხებს, სპარსელებსა და აისორებს აძლევდენ მიწას ერთი წლის ვადით. აქ ხშირი იყო მიწის ისეთი მოქირავე, რომელსაც 100 და მეტი დესეტინა ბამბა ეთესა. მაგრამ მიწის ასეთი მსხვილი მქირავებლები თავის მხრით აქირავებდენ მიწას უფრო წვრილებზე (2 — 3 დესეტინას), რომლებსაც აქ „რაჩპარებს“ ეძახიან. ეს „რაჩპარები“ მიწასთან ერთათ იღებდენ ფულათ დახმარებასაც. ბამბის მოკრეფისა და გაყიდვის შემდეგ მიწის მსხვილი მოიჯარადრე ჯერ თვითონ ინაზლაურებდა (რა თქმა უნდა ერთს ორათა და სამათ) თავის დანახარჯს და დამარჩენ შემოსავალს თანასწორათ იყოფდა მიწის მეპატრონესთან. ყარაიაზში ბამბას ჩვეულებრივათ გაზაფხულზე თესვენ. ბამბას თოხნიან და ანთავისუფლებენ ყოველგვარი ბალახიდან. ბორჩალოს მაზრაში მხოლოდ მიწის იშვიათი მესაკუთრე თესავს ბამბას. მათი უმეტესობა მიწას წილზე (ИЗ

დოლი) აძლევდა ერეენიდან მოსულ გლეხებს. ამ რაიონში პატარ-პატარა ნაკერ მიწებზე არ თესვენ ბამბას. აქ ბამბის პლანტაცია 8—10 ოთხ-კუთხ დასეტინაზე ნაკლები არ იცოიან. ერთსა და იმავე ადგილზე ბამბას რამდენმე წლობით უცვლელათ თესვენ. ხშირათ ბამბას ხორბლეულობით ცვლიან: თუ ერთ წელიწადს ბამბა მოყავთ, მეორე წელიწადს იმავე მიწაზე ხორბალს თესვენ. უწინ აქ თესდენ სპარსული ბამბის თესლს, რომელიც ცნობილი იყო „კარაკოზის“ სახელით. ჟუანასკნელ წლებში კი ამერიკული ჯიშის თესლი: (*Uplandia gossipium hirsutum* და king).

აგრონომ ს. ტიმოფეევის გამოკვლევით, აღმოსავლეთ საქართველოში ჟუანასკნელ წლებში ბამბის პლანტაციების სივრცის რაოდენობა და მოსავალი ყოფილა.

წლები:	დათესილი იყო:	მიუღიათ ფუთობით:
1909	520	7.800
1910	1.600	27.000
1911	5.000	68.000
1912	5.370	80.000

აღმოსავლეთ საქართველოში 1914 წლამდე ბამბის კულტურა თან და თან ვითარდებოდა და იზრდებოდა 1917 წელს კი ომიანობისა და პოლიტიკური მდგომარეობით გამოწვეულ მიზეზების გამო, მებამბეობა თითქმის სრულდებით დაეცა.

გამოცდილება გვეუბნება, რომ აღმოსავლეთ საქართველოში შესაძლებელია მეურნეობის ამ დარგის უფრო ფართე ნიადაგზე დაყენება. ამიტომ შეიძლება გამოყენებული იქნეს თავისუფალი მიწები ალაზნის ველებში და აგრეთვე შირაქისა და ყარაიახის ველები. რა თქმა უნდა, ეს ზოგ ალაგას ხელოვნურ ირრიგაციონულ სისტემის შექმნას მოითხოვს, რასაც დიდი ხარჯი დასჭირდება; მაგრამ საქართველოს რესპუბლიკა ასეთ ხარჯს არ უნდა შეუშინ-

დეს, რადგანაც ასეთი ხარჯები ერთი ასათ და ათასათ იქნება ანაზღაურებული ბამბის კულტურის აყვავებით.

**სპეციალური კულტურას,** როგორც ვიცით, ეკუთვნის მეფუტკრეობა და მებარეშუმეობა ტფილისის გუბერნიაში. მეფუტკრეობას თითქმის ყველგან მისდევენ; მაგრამ იგი უფრო განვითარებულია სიღმალისა და ბორჩალოს მაზრებში, საიდანაც ტფილისის ბაზარზე საუკეთესო ჯიშის დაფლი გამოაქვთ.

უნდა შევნიშნოთ, რომ კავკასიის დედა-ფუტკარი საუკეთესოთ ითვლება მთელს დედა-მიწაზე. 1910 წელს გუბერნიაში ყოფილა 29.355 სკა, რომლის უდიდესი ნაწილი (24.214) კოდის სკა ყოფილა; დანარჩენი (5.131) ყოფილა ევროპიული სისტემის ჩარჩოიანი სკა.

**მებარეშუმეობა** გუბერნიაში საკმაოდ არის გავრცელებული, მაგრამ მეურნეობის ეს დარგი ყველაზე უფრო კარგათ თელავის, სიღნაღის და გორის მაზრაში დგას. მეურნეობის ეს დარგი გუბერნიაში ძველის ძველთაგანვე ყოფილა გავრცელებული. მაგრამ ის თან და თან დაცემულა და დღეს საგრძნობლათ დიდ როლს არ თამაშობს სოფლის მეურნის ბიუჯეტში.

**მესაქონლეობა** გუბერნიის ზოგ რაიონში სასოფლო მეურნეობის უმთავრეს დარგს შეადგენს. იგი უმეტეს ნაწილათ გავრცელებულია თუშებში, ფშავლებში, ოსებში, თათრებში და საზოგადოთ ბორჩალოს მაზრის ზემო ნაწილში. ალპიური საძოვრები აღმოსავლეთ საქართველოსა ხელს უწყობს მეურნეობის ამ დარგის განვითარებას. საქონელი გაზაფხულობით და ზაფხულობით მთებშია (იალალეზზე), ოქტომბრიდან მარტის დამლევამდე ძირს, ვაკეებისაკენ მოუდით.

გუბერნიაში საზაფხულო საძოვრის სივრცე ითვლება 510.000 ოთხკუთხი დესეტინა, საზამთრო-კი—350.000 დესეტინა. ზაქათალის ოლქში საზაფხულო საძოვარი უდრის 50.000 ოთხ-კუთხ დესეტინა, საზამთრო კი—55.000 დესეტინას. საზოგადოთ გუბერნიაში საზაფხულო საძოვრის სივრცე უდრის მთელი ტერიტორიის სივრცის 7<sup>0</sup>/<sub>10</sub>.

აქაური მესაქონლეები ავრცელებენ როგორც მუშა, ისე სამრეწველო ჯიშის პირუტყვს აქ უმეტეს ნაწილათ მომთაბარეულ მესაქონლეობას ეწევიან.

მეურნეობის ეს დარგი განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ბორჩალოს მაზრაში, სადაც დიდი ხანია საუკეთესო-ჯიშის პირუტყვის გაფრცელებას მისდევენ. აქ ხშირათ შეხვდებით შვეიცარიისა და რუსეთის საუკეთესო ჯიშის საქონელს. აქაურმა გერმანელმა კოლონისტებმა და რუს-სექტანტებმა ძალიან გააუმჯობესეს საქონლის ჯიში; აქვე აღსანიშნავია ამ დარგში მოღვაწეობა ვინმე გერმანელ კუჩენბახისა, რომელმაც 1864 წელს სოფელ მამულლოში დაარსა სამაგალითო ფერმა (1.500 ოთხ-კუთხ დესეტინაზე). მან აქ შემოიღო ალპიური სარძეო მეურნეობა, რა თქმა უნდა, ადგილობრივი პირობების მიხედვით მოწყობილი. აქ ადგილობრივი ჯიშის ძროხების შვეიცარიულ ბუღასთან შეუღლებით წარმოსდგა სულ ახალი, ადგილობრივი ჰავისა და პირობების საუკეთესოთ ამტანი საქონლის ჯიში. იმავე ფერმაში გარდა ადგილობრივი ერბოსი კარაქისა და ყველისა, შემოიღეს კავკასიურ-შვეიცრული ყველის კეთება, რომელმაც დიდი ყურადღება დაიმსახურა როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთის ყველა ბაზრებზე. სამწუხაროა, რომ ეს მშვენივრათ დაყენებული სარძეო მეურნეობა სრულიად გაანადგურეს ადგილობრივმა თათრებმა 1905—1906 წლების რევოლიუციონური მოძრაობის დროს.

გერმანელების კოლონია ალექსანდერს გილფშიც ყველგულობის კეთების საქმე ევროპიულ სისტემაზეა დაყენებული. აქაური მეურნეები არტელობით მუშაობენ.

საზოგადოებრივ რევოლიუციონურმა მოძრაობამ დიდათ დააზიანა მეურნეობის ეს დარგი გუბერნიაში. 1917—1918 წლებში აქ თათრების მიერ დანგრეული და განადგურებული იქნა არა თუ ყველის დიდი ქარხნები, პატარა პატარა ქარხნებიც კი არ იქნა დაზოგილი. აღსანიშნავია ბ. ნ. ყავრიშვილის მოღვაწეობა ამ დარგში. მან სოფელ მოხისში, მანგლისის მახლობლათ, დაარსა ევროპიულად მოწყობილი ფერმა; მალე საქმე ძალიან გაფართოვდა; ფერმაც სამაგალითო შეიქნა.

გარდა ერბო-კარაქისა და კავკასიურ-შვეიცრული ყველისა, გუბერნიაში აკეთებენ ეგრეთ წოდებულ თუშურ, ოსურ და თათრულ ყველს. ამ ხარისხის ყველებს აკეთებენ როგორც ცხვრის, ისე ძროხის რძისაგან; აკეთებენ, უმეტეს ნაწილათ, პრიმიტიულათ.

აქაური ჯიშის ცხვარი რძეს იძლევა:

ჯ ი შ ი:	საწველ დღე- ების რიცხვი:	რძე გირვან- ქობით:
ბოზახი . . . . .	100	60—100
თუშური . . . . .	40—60	30—60
გირიკი . . . . .	80	40—70
ოსური . . . . .	75	50—90

გარდა მერძეობისა მეცხვრეობა აქ დიდ ძალ მატყლს იძლევა, იკრისგანაც აკეთებენ: ნაბღებს, შალებს, თუშურ ქუდებს, წინდებს და მატყლსაც კარგ ფასებში ყიდიან, აქაური მატყლის საგრძნობი რაოდენობა გადის საროგორც რუსეთის, ისე ევროპის სხვა სახელმწიფოების მაზრებზეც.

აქ უფრო გავრცელებულია ცხვარი შემდეგი ჯიშისა: ბოზახი, თუშური, გირიკი, იმერული და ოსური.

აქაური ცხვარი მატყლს იძლევა:

ჯ ი შ ი:	საშუალო	მაქსიმუმი
	გ ი რ ვ ა ნ ქ ო ბ ი თ:	
ბოზახი . . . . .	4	6
თუშური . . . . .	5—6	8
გირიკი . . . . .	4	5
ოსური . . . . .	4	5—6

აქაური მატყლი მოკლე და წვრილი ბალნიანია. აქ უფრო დიდი ღუმთან ჯიშის ცხვრის გაშენებას მისდევენ. აქაური ცხვრის ხორცი ჩინებული ლირსებისაა; მას სულაც არა აქვს ის სპეციფიური სუნი და გემო, რომლითაც განირჩევა ცხვრის ხორცი სხვა ქვეყნებში. საუკეთესოთაგანთაგან ოსური ცხვრის ხორცი და ძროხაზეც ძვირათ ფასობს.

დაკლული ცხვარი საშუალოთ ხორცს იძლევა:

ჯ ი შ ი:	ხ ო რ ც ი:		დ უ შ ა:	
	საშუალო	მაქსიმუმი	საშუალო	მაქსიმუმი
	გირვანქები		გირვანქები	
ბოზახი	35—40	60—80	10—15	20—30
თუშური	30—35	50	7—10	15—20
გირიკი	30—35	50	10	15—20
ოსური	35—40	40—60	8—10	15—20

დაკლული და გაწმენდილი ცხვარი ცოცხალი ცხვრის მხოლოდ 50% იწონის.

მეცხვარეობს გუბერნიაში თან და თან ეცემა, რაც აიხსნება საძოვარი ადგილების შემცირებით. სოფლები მიწის სივიწროვის გამო თან და თან აძვირებენ საძოვარ ადგილებს და მეცხვარეობაც თან და თან ეცემა.

ეს კარგი ხარისხის სახორცე პირუტყვი თბილისის გუბერნიაში ძლიერ კოტაა. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აქ პირუტყვის სუქება არ იცინა. ამიტომაც აქაური პირუტყვი შედარებით მცირე და დაბალი ღირსების ხორცს იძლევა. სინოციერის მხრით, სუქანსა და მქლე ხორცს შორის დიდი განსხვავებაა. მსუქანისა და მქლე პირუტყვის ხორცის ერთი და იგივე ნაწილი ერთისა და იმავე წონისა რომ გამოვიკელიოთ სულ სხვა და სხვა შედეგს მიიღებთ. მქლე ხორცში წყალი დაახლოებით 50% უდრის, მაშინ, როცა მსუქან ხორცში წყალი მხოლოდ 40%. ქონი კი მსუქან ხორცს სამჯერ მეტი აქვს მქლესზე. სინოციერით კი მსუქანი ხორცი რამდენჯერმე აღემატება მქლე ხორცს.

1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით თბილისის გუბერნიაში საშუალო რიცხვით ითვლებოდა 2.100.000 თავი პირუტყვი. პირველი ადგილი პირუტყვების რიცხვით ბორჩალოს მაზრას უჭირავს (აქ ჩთვლებოდა 400 ათასი სული პირუტყვი); უკანასკნელმა ადგილი კი თელავის მაზრას უჭირავს (64.000).

გუბერნიაში პირუტყვი იყო:

პ ი რ უ ტ ყ ვ ი:	რაოდენობა:
ცხენი . . . . .	50.213
ხარი და ძროხა . . . . .	53.561
კამეჩი . . . . .	93.415
ცხვარე . . . . .	1.297.137
თხა . . . . .	92.853
ღორი . . . . .	61.895
აქლემი . . . . .	1.102
ვირი . . . . .	15.529
ჯორი . . . . .	1.073

ასეთია 1917 წლის სამეურნეო აღწერის ცნობები. მაგრამ ეს ცნობები არ უნდა შეიცავდეს სინამდვილეს, რადგანაც 1918—1919 წლებში გუბერნიაში მძვინვარებდა ეპიზოოტია, რომელმაც დიდი ზიანი მიიყენა მესაქონლეობას.

**მეთევზეობას** ტფილისის გუბერნიაში დიდი მნიშვნელობა აქვს. მდ. მტკვრისა და მის ტოტებზე მცხოვრებთა ერთი საგრძნობი ნაწილი მეთევზეობით ირჩენს თავს. თათარავანზე, ტაბაწყურის ტბაზე და აგრეთვე მდ. ხჩამზე (რომელიც განთქმულია თავისი ხრამულით) თან და თან ფეხს იდგამს სამრეწველო მეთევზეობა. საქმის მცოდნეთა დაკვირვებით, ტფილისის გუბერნიის თევზის სიმდიდრე თან და თან კლებულობს. ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზათ ასახელებენ იმ გარემოებას, რომ აქ ვერ არის ეს საქმე რაციონალურათ დაყენებული. აქ ხშირათ ისეთ დროს აწარმოებენ თევზის ჭერას, როცა იგი კანონის ძალით აკრძალულია. აგრეთვე აქ ერთობ ხშირია ძველებური, პირდაპირ ბარბაროსულათ თევზის ჭერა. წამლავენ მდინარეს გახრწნილი კირით; თევზს კირი სწვავს თვალებს და ის ეტანება ნაპირებს, სადაც მას მრავლობით ხოცვენ და იჭერენ. მაგრამ ეს ველური თევზაობა მით უფროა მაზარალებელი,

რომ პატარ-პატარა თევზებს სულ ერთიანათ ხოცავს. კიდევ უფრო დიდ ზარალს აძლევს მეთევზეობას დინამიტი, რომელსაც აქაური მეთევზეები ხშირათ ხმარობენ. გადაადგებენ დიდ ძალ დინამეტს ღრმა წყალში, სადაც ის სპინგლის ძალით სკდება. დახოცილი თევზი წყლის ზედა ნაპარებზე ამოტრეტივდება და იქერენ. მაგრამ დინამიტი ერთიანათ ანადგურებს როგორც დიდრონს, ისე პატარ-პატარა თევზებსაც.

გუბერნიის ზოგიერთ მაზრებში, მაგალითათ ახალ-ქალაქის მაზრაში, მეთევზეობამ შეიძლება ძალიან დიდი შემოსავალი მისცეს, თუ იგი უფრო რაციონალურ ნიადაგზე იქნება დაყენებული.

1101 კობუსლონ ნაოგან ...

**მადანი და მადნეული წყლები.** საკმაოთ ბევრია. აქ სამთო მრეწველობას დიდ მნიშვნელობა აქვს. სამთო მრეწველობისათვის ორი პირობაა საჭირო: მადანის რაოდენობა და ღირსება და მრეწველობის საზოგადო განვითარება. აქ პირველი პირობა არის, მეორე კი ახლა იდგამს ფეხს. სწორეთ ეს არის მიზეზი, რომ აღმოსავლეთ საქართველოს აუარებელ სიმდიდრეს ჯერ კიდევ სძინავს მიწის წიაღში.

ბორჩალოს მაზრა მდიდარია სპილენძის მადანით, რომლის ჩანაწოლი (ბუდობი) არის ალავერდის ცნობილი სპილენძის ქარხნებთან. ამ რაიონის მადანი წარმოადგენს სპილენძის ალმადონის, კრელი სპილენძის მადანისა, თუთიასა, ტყვიკრიალას და კეთილაბილი ლითონის შენარევს. ალავერდის ქარხნები უკასაკნელ ომიანობამდე წლიურათ ამზადებდა 200.000 ფუთ სპილენძს. ალავერდის მადნების ჯგუფს ეკუთვნის შამბლულისა და შავალიელიარის მადნებიც, რომელიც ალავერდიდან 14 ვერსის მანძილზე მდებარეობენ.

საკმაოთ მდიდარი სპილენძის მადნებია აგრეთვე თელავის მაზრაში, სოფელ არტანის მახლობლათ და დუშეთის მაზრაში, სოფელ ყაზბეგის მახლობლათ.

ბორჩალოს მაზრა მდიდარია აგრეთვე ოქროს მადანით; სამთო ინჟინერის ბ. ყიფშიძის გამოკვლევით, დამბლუდში (ალავერდის მადნების ჯგუფში) არის ოქროს სილა, რომლის ბუდობიც 1875 წელს აღმოუჩენია ვინმე ტრესკოვსკის. ასეთივე ოქროს ბუდობი აღმოაჩინა სამთო ინჟინერმა წულუკიძემ ბაშკიჩეთისა და მაშავერის მდინარეებში.

ტფილისის გუბერნიაში ბევრია ლიტოგრაფიული ქვა. ეს ქვა ბევრია: დუშეთის მაზრაში, სოფელ ფასანაურთან, თფილისის მაზრაში, სოფელ თეთრ-წყაროსთან (Белый ключ), მდ. ალგეთის ნაპირებზე და თიანეთის-მაზრაში — მდ. არაგვის პირათ. ინჟენერი სიმონოვიჩის აზრით აქაური სალიტოგრაფიო ქვა ძალიან კარგი ღირსებისაა, ბევრიცაა და შეიძლება გახდეს ფართო ექსპლოატაციის საგანათ.

• გორის მაზრაში, კასპისა და კავთის ხევის მახლობლათ, მტკვრის ნაპირზე, აღმოაჩინეს მჭიდა ქვა-კირის დიდი ბუდობი. ამ მხრით ეს რაიონი სპეციალისტების მიერ იქნა შესწავლალი და ვინმე მანთაშევმა განიზრახა აქ ცემენტის ქარხნის დაარსება. გაიყვანა ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა მთავარი გზის ლიანდაგიდან, გამოიწერა საჭირო მანქანები. მაგრამ მოუსწრო. 1914 წლის ომიანობამ და ეს საქმე დღემდეც შეჩერებულია.

რკინის გზის სადგური ქსანის მახლობლათ კარგა ხანია რაც აღმოჩენილ იქნა უმაღლესი ღირსების ცეცხლმძლე თიხა და თიხა თეთრი (Каолин). ვინმე იტალიელმა ანდრეოლეტიმ აქ ააშენა მსუბუქი აგურისა და კრამიტის ქარხანა, რაც დღესაც ჩინებულათ მუშაობს.

მდ. ალგეთის ნაპირებზე მაღალი ღირსების საშენი ქვა არის, რასაც ტფილისის ტროტუარებისათვის ხმარობენ. ამ ქვიდან აკეთებენ აგრეთვე საუკეთესო ღირსების წისქვილის ქვებს.

სოფელ მუხროვანის მახლობლათ ტბიდან დიდ ძალ გლაუბერის მარილს იღებენ. ამ ტბაში მარილის რაოდენობა სპეციალისტების გამოკვლევით, ფდრის 11 მილიონ ფუთს. 1887 წელს ინჟენერმა ბახმეტიევმა აქ 700.000 ფუთი გლაუბერის მარილი ამოიღო. 1897—1899 წლებში ამოიღო 300.000 ფუთი. გლაუბერის მარილით მდიდარია აგრეთვე სოფელ აზამბურთან მდებარე ტბა. სპეციალისტები აქ ამ მარილის რაოდენობას 80 მილიონ ფუთს ანგარიშობენ.

ნეფთის ნიშნები ტფილისის გუბერნიაში ძლიერ ხშირათ გხვდებათ. სპეციალისტებს საეჭვოთ არ მიაჩნიათ, რომ აღმოსავლეთი საქართველო მდიდარია ნეფთით, მაგრამ სამწუხაროთ, ამ საქმემ ჯერ-ჯერობით ვერ მიიღო პრაქტიკული ხასიათი. ნეფთის დიდი და უეჭველი ნიშნებია: ქსნის ხეობაში, სოფელ ნადარბაზევთან არაგვის ხეობაში, სოფელ კავთისხევის გარშემო, ტფილისის ახლო მდებარე ადგილებში, მაგალითათ ნავთლულში, რომელსაც თვითონ სახელი „ნავთ“ — ლული მიუღია ქართული სიტყვა „ნავთი“ — საგან და

სოფელ საკუბრესთან, რომელიც აგრეთვე კუპრის ანუ ნავთის ადგილს ნიშნავს ქართულათ.

ნავთის რაიონები უმეტეს ნაწილათ გვხვდება ტფილისის მაზრის აღმოსავლეთ ნაწილებში, მაგალითათ, სოფელ მუხროვანის მახლობლათ, ნორიოში და სხვაგან. აგრეთვე ნევით მდიდარი ადგილებია კახეთში, შირაქის უდაბნოში, სახელდობ იქ, სადაც პატარა ხნარცივი კალადარის მთაგრეხილით არის უდაბნოდან გამოყოფილი. ეს ხნარცივი გარემოცულია მაღალი მთებით და იწოდება მცირე შირაქის ველათ. აქ ერთობ ხშირია მდიდარი ნევთის წყაროები. ამ რაიონის დაბლობებში ნევთი 20—30 საყენის სიმაღლეზე გათხრილი ქვებში ამოდის. იქვე მაღლობ ადგილებში ნევთი არის 6 საყენის სიღრმეზე. უწინ აქ არსებობდა ნევთის წარმოება. ძველათ უბრალო ქვებს თხრიდენ და იქედან იღებდენ ნევთს. წარსულ საუკუნის 60 წლებში კი ნევთის ამოსაღებათ უფრო რაციონალური საშუალებები შემოიღეს. 1908 წელს ტფილისის გუბერნიაში ნევთის წარმოების რაიონი უდრიდა 25 ოთხ-კუთხ დესეტინას. უფრო დიდი ნაწილი ნავთისა ამოდებოდა სიღნაღის მაზრაში, სადაც ამ საქმეს უფრო მრეწველობითი ხასიათი ქონდა.

წარსული, მე-XIX საუკუნის, დასასრულს შირაქის ველზე, დედოფლის წყაროსთან, დაიწყო ნევთის წარმოება ვინმე ოთაროვმა, რომელმაც აქ ნავთის ქარხანა ააგო. ეს ფირმა იღებდა: მძიმე მაზუთს, ნავთს და ბენზინს. ქვემო-მოყვანილი ცხრილი იძლევა ამ წარმოების სურათს:

წლები	ამოულიათ ნევთი ფუტობით:	რამდენი დღე მოქმედებდა ქარხანა	მოულია დაწმენდილი პროდუქტი ფუტობით:			
			ნავთი:	ბენზინი:	ქონი:	მაზუთი:
1902	19.950	122	4.136	321	1.650	12.785
1903	18.520	116	4.012	321	1.440	10.054
1904	14.820	91	3.189	319	1.237	7.800
1905	13.300	79	3.039	251	1.267	6.900
1906	11.460	85	3.274	185	1.028	6.100
1907	7.615	8	320	105	81	904
1908	6.510	33	1.442	116	794	4.300
	92 075	534	19.412	1.617	7.397	49.443

ამ ცხრილიდან ვხედავთ, რომ ქარხანას წელიწად ნახევარზე ნაკლები უმუშავენია და 92.075 ფუთი ნევთი მიუღია. ეს ციფრი რა თქმა უნდა, თავის თავით ერთობ მცირეა; მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ საქმის სიახლეს და ამ გარემოებით გამოწვეულ ათასგვარ დაბრკოლებებს, ესეც დიდი საქმეთ უნდა ჩაითვალოს. სამწუხაროთ, ოთაროვი ვერ გამოდგა ისეთი ძლიერი კაპიტალისტი, რომელსაც დიდი სიღრმის ქების ამობურღვა შესძლებოდა. ის ერთობ დაბალი ქებიდან იღებდა ნევთს. ოთაროვს არ აღმოაჩნდა ქონებრივი ძალა არც ნევთის ახალი, უფრო მდიდარი ძარღვების აღმოსაჩენათ, ამიტომაც ამ ქარხანამ ოცი წელიწადი იბოგინა დიდის ვაი-ვაგლახით და 1908 წელს საუკუნოთ დაიხურა.

საზოგადოთ საქართველო მდიდარია ნევთით და თუ ახალგაზრდა რესპუბლიკამ ეს თავისი ბუნებრივი სიმდიდრე ვერ გამოიყენა და სულ ადერბეიჯანის ნევთის შემყურე დარჩა, ის ვერასოდეს ვერ დაახწევს თავს კრიზისს, რომლის სიმკაცრეც მან უკვე განიცადა თავისი არსებობის პირველ წლებშივე, როცა ადერბეიჯანის რესპუბლიკამ საქართველოს ნევთი არ მისცა.

—:—

**მინერალური წყლებითაც** დიდათ დაუჯილდოებია ბუნებას აღმოსავლეთი საქართველო; მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ წყლების უმეტესობა უაღრესათ მაღალი სამკურნალო ღირსებისაა, ამ სიმდიდრით სარგებლობის საქმე ჯერაც პირველ-ყოველ მდგომარეობაშია. კარგათ მოწყობილი სამკურნალო კურორტი აქ ჯერჯერობით მხოლოდ ორია:—ბორჯომი და აბასთუმანი. ბორჯომში არის ორი წყარო მომლაშო ტუტიანი წყლისა (СОЛЯНО-ЩЕЛОЧНЫХ); ორივესი შემადგენლობა ტუტიანი იოდით და ბრომით (ИОДИСТЫЙ И БРОМИСТЫЙ НАГР). პირველის ტემპერატურა უდრის 23,6°/C; მეორესი—29,9°/C. ბორჯომის წყალი, როგორც სამკურნალო წყალი, არა თუ მარტო კავკასიაშია დიდ ხმარებაში, მისი დიდი ექსპორტი ხდება რუსეთისა და ევროპის ყველა სახელმწიფოების ბაზრებზე. საქმაოა ვთქვათ, რომ 1914 წლის ომის დაწყებამდე ეს წყალი რუსეთისა და ევროპის ბაზრებზე 13.000 დიდი ბოთლი გადიოდა. აბასთუმანში წყაროების სამი რიგია: გოლიათის, გველისა და სურავანდის წინააღმდეგ. პირველი გოგირდის წყალია და, როგორც მისი სახელწოდებაც გვიჩვენებს, მდიდარია წყლით. მისი ტემპერატურა უდრის 48,2°/C.

თვით ქ. თბილისში 31 სამკურნალო ცხელი და თბილი გოგირდის აბანოებია (серно-щелочная). ყველა ეს წყაროები ძლიერათ ამოჩუხჩუხებენ დაბახანის მთების ფერდოებში, რომლის ძირშიაც ჩამოდის მდ. წავკისი და ერთვის მტკვარს. ამ აბანოების წყლის ტემპერატურა 31—47°/C აღწევს.

საყურადღებოა აგრეთვე: ზეკარის უღელტეხილის გოგირდის წყალი (сернистый источник), რომლის ტემპერატურა 35—36°/C. უწევს; ციხის ჯვარის აბანოები, რომლის ტემპერატურაც 33°/C; ხვედურეთის გოგირდის აბანოები, სადგურ ქარელიდან სამი ვერსის მანძილზე (ტემპერატურა 17°/C; პლატეკის რკინის მჟავ-ბადის წყალი (железно-углекислая), აბასთუმნიდან 17 ვერსის მანძილზე, 13—15°/C ტემპერატურით; ახალციხის მაზრაში, სოფელ სმადის მახლობლათ და მცხეთის მწარე და მლაშე წყაროები. ემ სამი უკანასკნელი წყაროები რომ კარგათ დამუშავდეს, საუკეთესო საფალარათო წყლებს მივიღებთ, რომელიც თავისი ღირსებით არ ჩამოუვარდება საზღვარ-გარეთელ საფალარათო წყლებს „გუნიადი-იანოსსა“ და „ფრანც იოსებსა“.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ახტალის ტალახის წყაროები, რომელიც სოფელ კოტეხში, სიღნაღის მაზრაში, მდებარეობს, სადგურ გურჯაანიდან სულ  $1\frac{1}{2}$  ვერსის მანძილზე. ამ ტალახის სამკურნალო ღირსება დიდი ხანია ცნობილია. მეფის ძე ვახუშტი თავის „საქართველოს გეოგრაფიაში“ აღნიშნავს, რომ სოფელ კოტეხში მიწიდან კუპრი ამოდისო. ამ ტალახის რაიონი უდრის 4 ოთხ-კუთხ-დესეტიანს. ტალახის ტემპერატურა 18°/C; ფერათ ის რუხი ნაცრის ფერია. არჩენს რევმატიზმს, ნერვებისას და კანის სნეულებებს (მუნს, ეგზემას და სხვას); არჩენს აგრეთვე ზოგიერთ დედათა ავთა მყოფობას (женския болезни). 1919 წლამდე ეს ტალახის წყაროები პირველ-ყოფილ მდგომარეობაში იყო. მათი სარგებლობა შეიძლებოდა მხოლოდ ღია ჰაერზე, გაშლილ ცის ქვეშ. იქვე კამეჩები გორავდენ ტალახში და მათთან ერთათ სნეულები სარგებლობდენ იმავე ტალახით. 1919 წელს რესპუბლიკის მიწათ-მოქმედების სამინისტრომ ეს საქმე სიღნაღის სამაზრო ერობას გადასცა და საქმეც საკმაოთ რიგიანათ მოეწყო. აქ აბანოს სეზონი იწყება 20 ივნისიდან და გრძელდება აგვისტოს პირველ ნახევრამდე.

**შინამრეწველობა.** თბილისის გუბერნიის მცხოვრებთა უმეტესობა უხსოვრის დროდან ეწეოდა შინამრეწველობას. ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში აკეთებდნენ აბრეშუმ ნარეგ შალს, რასაც აქ „ერ-შალს“ უწოდებდნენ. ეს შალი მართლაც კარგი ღირსების არის და მაზე დიდი მოთხოვნილებაა. იმავე მაზრებში დუხობორების დედა-კაცები ამზადებენ ლურჯათ შედებილ შალ-მაუდს, რომელიც ნაქსოვის სიმტკიცით ძალიანა გავს ფაბრიკებში დამზადებულ შევიოტს. ბორჩალოს მაზრაში გავრცელებულია ნახფარდაგების კეთება. ბორჩალოსა და ყარაიზის ნახები ძველათ მთელ მხარეში იყო განთქმული. ახლა კი ამ მხარეში ერთობ მდარე ღირსების ნახებს აკეთებენ.

მთელს კავკასიაში ძველთაგანვე იყო განთქმული ახალციხის ვერცხლის ფილიგრანული ნაწარმოები, რის კეთებაც, როგორც ფიქრობენ, იტალიიდან შემოუტანიათ. დღეს წარმოების ეს დარგი თან და თან ეცემა და საფიქრბელია, რომ მალე სულ მოისპობა. თბილისში მოსული ლეკები აკეთებენ რკინის სხვა და სხვა იარაღებს: ხმლებს, ხანჯლებს, დამბაჩებს და აგრეთვე ვერცხლისა, ოქროს და სპილოს ძვლისაგან სხვა და სხვა ლამაზსა და ძვირფას ნივთებს: გუბერნიის სხვა და სხვა რაიონებში ამზადებენ ხის ნივთებს: გობებს, ჯამებს, კოვზებს, ფოცხებს, ნიჩბებს; აკეთებენ ნავეებს და სხვას. აქ ზოგიერთ ალაგებში ძლიერ გავრცელებულია მეჭურჭლეობაც. აკეთებენ ღვინის ქვევრებს, პურის საცხობ თონეებს, კოკებს, დოქებს, ხალმებს, ქოთნებსა და სხვას. დუშეთის მაზრის თიხის ქურჭლეულობა განთქმულია მთელს მხარეში. ყველაზე უკეთეს თიხის დოქებსა და სურებს აკეთებენ მცხეთაში.

**საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა** აქ ძლიერ განუვითარებელია. აღმინისტრაციის ცნობებით, 1915 წელს მთელ აღმოსავლეთ საქართველოში სხვა და სხვა ჯურის ქარხანა—ფაბრიკები 938 ითვლებოდა, მაგრამ მათი უმეტესობა უფრო შინა-მრეწველობის ტიპის ყოფილა. მათი ნაწარმოების ღირებულების საზოგადო ჯამი, იმავე ოფიციალური ცნობების მიხედვით, უდრიდა 9.494.284 მანეთს. ყველა ამ ფაბრიკა-ქარხნებში მუშების რიცხვი უდრიდა 6.738.

აღმოსავლეთ საქართველოს საწარმოვო დაწესებულებათა უმეტესობა მოთავსებულია ქ. თბილისში. იმათგან მხოლოდ რამდენიმე თუ არას ევროპიულათ,

კაპიტალისტურათ, დაყენებული. დანარჩენი მხოლოდ და მხოლოდ შინამრეწველობის ტიპის დაწესებულებებია: ევროპიულათ დაყენებულ საწარმოვო დაწესებულებებს ეკუთვნის ადელხანოვის ტყავეულობისა და ნაბდეულობის ფაბრიკა; თამბაქოს ფაბრიკები: ბოზარჯიანცისა, ენფიანჯიანცისა და სეილანოვებისა; ზეთის სახდელი ქარხანა კარლინსკისა, კონიაკის ქარხანა დ. ზ. სარაჯიშვილისა და „არგო“; სპილენძეულების ქარხანა, რამდენიმე წისქვილი და სხვა.

საქართველო ძალიან მდიდარია ნედლი მასალით. მაგრამ საწარმოვო კაპიტალის სიმცირისა და კიდევ უფრო იმ გარემოებით, რომ ამ ქვეყნის უწინდელ ბატონ-პატრონს, თვითმყრობელ რუსეთს, არ უნდოდა შეექმნა კონკურენცია თვითონ შიდა რუსეთის წარმოებისთვის, საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე ჯერაც თითქმის ხელ-შეუხებელი დარჩა. ახალგაზრდა რესპუბლიკამ კი პულიტიკური მიზეზების გამო, ვერ მოახერხა ჯერ-ჯერობით მაინც თავისი ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენების საქმის მოგვარება...

—:—

აღმოსავლეთ საქართველოს ვაჭრობა—აღებ-მიცემობის საქმეც დირსია, რომ მაზედ ორიოდ სიტყვა ითქვას; თუმცა ამ დროებით ერთობ საძნელოთ მიგვაჩნია ამ საგანზე მსჯელობა, რადგანაც ამისთვის საჭირო მასალა არ მოიპოვება. თანამედროვე პირობებში არც შეიძლება იყოს ასეთი მასალა, რადგანაც ამ პოლიტიკურსა და ეკონომიურათ არეულ-დარეულ დროს ერთობ ძნელია ამ საქმის შესწავლა. ეხლა უფრო ადვილი საქმეა გარეშე ვაჭრობის შესწავლა, რადგანაც ამისათვის საკმარის მასალა მოიპოვება რესპუბლიკის ფინანსთა და მომარაგების სამინისტროებში. ბ. ავალიანმა ასე თუ ისე უკვე ისარგებლა ამ მასალებით და დაახლოვებით მაინც დაგვისურათა საქართველოში გარეშე ვაჭრობის მდგომარეობა 1919 წლის 1 ივნისამდე.\*)

ამ დროს განმავლობაზე საქართველოში საქონელი შემოტანიათ: 366.897.167 მანეთისა. იმავე დროს განმავლობაში გაუტანიათ საქონელი 257.559.282 მანეთათ ღირებული.

\*) იხილეთ: „Внешняя торговля Грузии“ С. Аваляни, газета „Борьба“ 1919 წელი, ოქტომბერი.

## საანგარიშო წელს შემოუტანიათ უმთავრესათ:

ჯგუფი საქონლისა:	საერთო ჯამი მანეთებით	%/საზოგადო ჯამის მიხედვით
სასოფლო მეურნეობის ნაწარმოები (უმეტესათ სურსათი)	115.612.241	31,5
მანუფაქტურა, დამზადებული საქონელი, ფეხსაცმელი და სხვა მასსიური მოსახმარი საქონელი	85.725.636	23,3
სათბობი მასალა (უმეტესათ მადნეული)	36.001.753	9,1

## გაუტანიათ უმთავრესი ჯგუფის საქონელი:

საქონლის ჯგუფი	საერთო ჯამი მანეთებში	%/საზოგადო ჯამით:
სასოფლო მეურნეობის პროდუქტები (უმთ. სურსათი)	65.997.698	25,6
მანუფაქტურა, დამზ. საქონელი, ფეხსაც. და სხვა	47.633.133	18,5
თამბაქო და თამბაქოს ნაწარმოები	115.289.367	44,7
ღვინო, სპირტი, კონიაკი	24.325.063	9,4

პირველ ცხრილში ყურადღებას იპყრობს შემოტანილი სოფლის მეურნეობის ნაწარმოების დიდი ღირებულება—115.612.241 მანეთი. — ამ ჯამის უდიდეს ნაწილს შეადგენდა სურსათის ფასი. იმისდა მიუხედავად, რომ საქართველო მიწათ-მოქმედების ქვეყანაა, მას მაინც არა ყოფნის თავისი პური და ეს უმთავრესი საგანი არსებობისა იგუ: იძულებულია საზღვარ-გარეთიდან შემოიტანოს.

ამას გარდა საყურადღებოა, რომ საქართველოს რესპუბლიკა იძულებულია დიდძალი სათბობი მასალა იყიდოს და შემოიტანოს, რადგანაც მას ჯერ ვერ დაუწყია თავისი საკუთარი ნევთის წარმოების საქმე. ეს გარემოება კი ერთობ დიდ განსაცდელში აყენებს რესპუბლიკას, რომლის რკინის გზები და ქარხანათაბრიკები სულერთიანათ დამოკიდებული ხდება მეზობელ რესპუბლიკის სურვილზე, რომელიც ერთობ დიდ ფასებში უთმობს ნევთის ნაწარმოებსა და ისეთი შემთხვევაც იყო, რომ სულაც არ უთმობდა მას. ამ გარემოებამ არა ერთხელ ჩააყენა ახალგაზდა რესპუბლიკა პირდაპირ კატასტროფიულ პირობებში.

საქართველოს რესპუბლიკას ადვილათ შეუძლია ეს დიდი ნაკლი გამოისწოროს. ჩვენ უკვე აღენიშნეთ ნევთის დიდი სიმდიდრე, მაგრამ „ესეც რომ არ იყოს საქართველო მდიდარია „თეთრი ნახშირითაც“. ის დიდი მექანიკური ენერჯიაა, რომელსაც შეიცავენ საქართველოს ჩქარ-მარბენალი მდინარე წყლები, არა თუ პატარა საქართველოს რესპუბლიკას, მთელ კავკასიის აქეთა. მხარის სამივე რესპუბლიკას ეყოფა სამრეწველო წარმოების ასაყვავებლათ... ამიტომ საჭიროა, რომ საქართველომ მიბაძოს შვეიცარიას, რომლის ქარხანათაბრიკების უმეტესობა დღეს წყლების ძალით შექმნილი ელექტრონის ენერჯით მუშაობს.

მეორე ცხრილი გვიჩვენებს, რომ საქართველოს დიდ-ძალი საქონელი უმეტეს ნაწილათ, სოფლის მეურნეობის ნაწარმოები, გაუტანია საზღვარ-გარეთ; ამ ნაწარმოთა შორის პირველი ალაგი თამბაქოს უჭირავს, შემდეგი ღვინოსა, სპირტსა და კონიასს. ამის გარდა საქართველოს შეუძლია დიდ-ძალი ხე-ტყის მასალა, გლაუბერის მარილი, აბრეშუმის პარკი, მინერალური წყლები (ბორჯომის წყალი და სხვა), მარცლი და სხვა მიაწოდოს ევროპის ბაზარს. მაგრამ ამისათვის საჭიროა უფრო წყნარი პოლიტიკური კონიუნქტურა, ვიდრე ამდენ ხანს იყო. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი სიმდიდრე საქართველოს რესპუბლიკისა, მისი მარგანეცი და ქვა ნახშირია. ამ მხრით მას მთელ ქვეყანაზე მეტოქე არა ყავს ჯერ-ჯერობით მაინც. მისი მარგანეცი დღესაც ბატონობს ევ-

როპის ბაზარზე, ქვა-ნახშირის საქმე კი მხოლოდ წყნარ პოლიტიკურ კონიუნქტურას უცდის.

—:—

მიწათ მფლობელობა საქართველოში. მე-XIX საუკუნის 64 წელს საქართველოშიც მოიხსო ბატონ-ყმობა. ამ გარემოებამ გამოიწვია მიწათ მფლობელობის ხასიათის შეცვლა. გლეხების განთავისუფლებამდე მიწა ეკუთნოდა ხაზინას, ეკლესიას და მებატონეს. 60—61 წლების კამერალური აღწერით ტფილისის გუბერნიაში მებატონეთა რიცხვი ითვლებოდა 1.751. ამათში ისეთი, რომელიც საბატონო გლეხს მიწებით ფლობდენ, იყო 1,537; დანარჩენი 214 მებატონე ფლობდა მხოლოდ უმიწა-წყლო გლეხებს. მებატონეთა მთელ რიცხვში 869 წვრილი მებატონეთ ითვლებოდა, ესე-იგი ისეთათ, რომელთაც 21 ყმაზე ნაკლები ყავდა. 729 მებატონედან თითოული ფლობდა 21—100-მდე სულ გლეხს. 14 მებატონეს ყავდა 500 გლეხზე მეტი თითოს. მხოლოდ 2 მებატონეს ყავდა 1000 სულზე მეტი თითოს. საბატონო გლეხები ტფილისის გუბერნიაში ირიცხებოდა 16.409 კომლი, ანუ 118.532 სული, მარტო მამრობითი სქესისა და 3.695 სული მდედრობითი სქესისა.

ქუთაისის, შოროპნის, რაქისა და ოზურგეთის მაზრებში (ქუთაისის გუბერნიაში) 4.785 მებატონე ითვლებოდა, რომელთაც საზოგადო რიცხვით ყავდათ 96.732 გლეხი (მამრობითი სქესისა). მებატონეთა ამ რიცხვიდან 3.776 იყო წვრილი მებატონე, ესე-იგი ისეთი, რომელთაც 21 ყმაზე ნაკლები ყავდათ. 418 კომლი გლეხი იყო ყმა ისეთი მებატონეებისა, რომლებიც თავად-აზნაურთა წოდებას არ ეკუთვნოდნენ. ასეთი მებატონეთა რიცხვი იყო 287; იმათში რამდენიმე ისეთები იყო, რომელსაც 10 მეტი კომლი გლეხი ყავდა. დანარჩენები ფლობდენ ერთი ან ორი კომლს. ასეთ მებატონეთა ყმების რიცხვი 1.743 სულს (მამრობითი სქესისას) უდრიდა.

საგლეხო რეფორმამ თბილისის გუბერნიაში მებატონეს ხელ-უხლებლათ დაუტოვა სახნავი მიწების ნახევარი. მცირე მიწა-წყლიან მებატონეთ გამოცხადებული იყო ისეთი მებატონე, რომელსაც 120 დღიურზე (60 დესეტინა) ნაკლები კარგი მოსავლიანი მიწა ქონდა (ერთ ფარგლებში, ან სხვა და სხვა რაიონებში). თუ მებატონეს კარგი მიწა 60 დღიურზე მეტი არ აღმოაჩნდებოდა, ის სულაც არაფერს არ აძლევდა გლეხს.

თბილისის გუბერნიაში გლეხს საკუთრებათ მიენიჭა ის მიწა, რომელზედაც ის ბატონ-ყმობის მოსპობამდე მოსახლეობდა. ასეთ მიწათ ითვლებო-

და: საეზოვე, ვენახი, ან ხილის ბაღები. ბაღათ მხოლოდ შემოღობილი ადგილი ითვლებოდა. საეზოვე მიწის მაქსიმალური ზომა განსაზღვრული იყო ნახევარი დესეტინით. საძოვარი მიწებით, როგორც თბილისის ისე ქუთაისის გუბერნიაში, სარგებლობდნენ გლეხებიცა და მებატონეებიც, როგორც საერთო ქონებით. გლეხის სახნავ-სათესის რაოდენობა მიწის ხარისხზე იყო დამოკიდებული: სარწყავ ადგილებში, რომლებიც უმაღლეს ხარისხათ იქნა ცნობილი, გლეხის ნადელის მაქსიმუმით მიღებული იქნა ათი დღიური; ურწყავ ადგილებში კი ოცი დღიური. მებატონის სასარგებლოთ დროებით ვალდებული გლეხებს ღალა დაეკისრათ მოსავლის  $\frac{1}{4}$  ნაწილი.

ქუთაისის, შორაპნის, რაჭის და ოზურგეთის მაზრებში საზოგადო ზომა გლეხის სახნავ-სათესი ნადელისა განსაზღვრული იქნა 4 ქცევით; მაქსიმუმი კი 12 ქცევით. (ქცევა 900 ოთხ-კუთხი საენია). როცა საქართველოს გლეხებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება ცოტა მაინც არ შევიჩერდეთ ეგრეთ წოდებულ **ხიზნებზე**. გლეხების ეს კატეგორია წარმოსდგა ერთი მებატონის გლეხის მეორე მებატონესთან შეხიზვისაგან; აგრეთვე სხვა და სხვა ადგილებიდან გამოხიზნულებისა და გამოქცეულებისაგან. თუ ვინმეს თავის თემში ბედი უღალატებდა, თუ ის ბატონის, ან ადგილობრივი მთავრობის რისხვას დაიმსახურებდა, თუ მას მოელოდა დიდი სასჯელი, ის ძალა-უნებურათ ტოვებდა თავის სოფელს, სწორ-ამხანაგებს და გარბოდა სადმე შორს. თუ ის თავის ძარღვებში გრძნობდა ახალგაზრდა სისხლის ჩქეფას, გულში შურის ძიების გრძნობას და მკლავებში ძალას, ის მიდიოდა ტყეში და იწყებდა ყაჩაღობას და მისი უბედურების მიზეზზე ჯაერის ამოყრას ცდილობდა, თუ ის უბრალო მომაკვდავი იყო, ის გარბოდა შორს, სადაც ადვილათ პოულობდა ახალ ბატონს და იქ იწყებდა ახალ ცხოვრებას. ხშირათ ხიზნათ მიდიოდა ისეთი გლეხიც, რომელსაც მიწა ან სულ არ მოეპოვებოდა, ან იმდენი არ ქონდა, რომ თავი ერჩინა — 1891 წლის კანონით ხიზნათ ითვლებოდა ისეთი გლეხი, რომელიც მიწაზე დასახლებული იყო ამ კანონის გამოცემამდე და მიწის პატრონთან კი არა ქონდათ არაფერი ხელშეკრულება, რომლიდანაც ჩანდა დროებითი ხასიათი მათი ამ მიწით სარგებლობისა. ხიზანი მებატონესგან იღებდა მიწის განსაზღვრულ რაოდენობას საეზოვითა და სახნავ-სათესათ. თუ მებატონე ნებას დართავდა, ის სარგებლობდა საბალახო და სათიბებითაც. ამ კანონის გამოცემამდე მებატონეს სრული უფლება ქონდა გაუდევნა ხიზანი თავის მამულიდან, როცა ეს მას მოესურვებოდა; მხოლოდ ამისთვის მას ხიზნისთვის უნდა აენახლაურებია განსაზღვრული ფასი ნაშენებისა: სახლისა, მარ-

ნისა, ბელოის, სალორესი, ფარეხისა და სხვა ღირებულება; აგრეთვე უნდა აენახლაურებია ბაღებისა და ბოსტან-ბახჩების გაშენების ღირებულება, 1891 წლის კანონით კი თუ მებატონე ხიზანის აყრას და გასტუმრებას მოიხსურებდა, მას ამის უფლება ქონდა, მაგრამ ახლა ეს უფრო ძნელი აყო მისთვის; ახლა თავისი ასეთი გადაწყვეტილება მებატონეს ხიზნებისთვის ერთის წლით ადრე უნდა გამოეცხადებია; ამის გარდა სადგომ-ნაშენების ღირებულების დაფასება ორივე დაინტერესებული მხარეთა შეთანხმებით უნდა მომხდარიყო. თუ ამ შემთხვევაში შეთანხმება არ მოხდებოდა, მებატონეს შეეძლო ხიზანის აყრა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის განსაკუთრებულის შეფასებით ხიზანს მისი საკუთრების ორმაგ ღირებულებას მისცემდა. თუ ხიზანი თვითონ მოიხსურებდა მებატონის მიწის დატოვებას, მისი სახლ-კარი და ნაშენი მებატონის საკუთრებათ რჩებოდა.

ხიზანი ჩვეულებრივით მებატონეს ღირებულებას აძლევდა  $\frac{1}{10}$ ,  $\frac{1}{3}$  ან  $\frac{1}{4}$  ნაწილს მიწის მოსავლისას. 1884 წლამდე აღმოსავლეთ საქართველოში ხიზნების რიცხვი 5.977 კომლი იყო (იმთავან მარტო გორის მაზრაში 3.250 კომლი ითვლებოდა). დასავლეთ საქართველოში ხიზნები 2.532 კომლი ითვლებოდა.

გორის მაზრაში ხიზნების დიდ ნაწილს ოსები შეადგენდნენ. ისინი ცხოვრობდნენ ტყიან მაღლობებში. ისინი იძულებული იყვნენ ტყე-ხრიოკები გაეწმინდათ სახნავ-სათესათ ექციათ. ამ ტყეების გაჩეხას ნამდვილი ველური ხასიათი ქონდა. აქ ჩვეულებრივით ტყის აღება იმაში მდგომარეობდა, რომ ხეებს ირგვლივ მიწიდან ერთი ადლის სიმაღლეზე შემოსერავდნენ და ტყავს მოაცილებდნენ. მშვენიერი საშენი ხეები ისე იყო ტყავ-გამძვრალი და შემოსერილი კაცს ეგონებოდა მათთვის თეთრი ფართე სარტყლები შემოურტყამთო. ამ რიგათ დასახიჩრებული ტყე მალე ხმება რადგანაც მას შემოაცალეს ტყავი და ტყავსა და ხის შუა მდებარე ცილა, ურომლისოთაც ხეს არ შეუძლია საზრდოობა. ამ რიგათ გამხმარ ტყეებს უკიდებდნენ ცეცხლსა და სწვამდნენ. ამის შემდეგ ასეთ ადგილებს ხნამდენ და სთესდნენ სხვა და სხვა პურეულობას, ან სამოსახლოთა და საბაღე ადგილებათ აქცევდნენ. ტყის ასეთი აღების სისტემა აქ ცნობილია ახოს სახელით.

ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ ხიზნების რიცხვი კიდევ უფრო გაჩაფლდა. ძველი თუ შეიძლება ასე ითქვას, „ისტორიული ხიზნების“ რიცხვი უფრო მცირე იყო.

გლახების განთავისუფლების შემდეგ მიწის მობილიზაციას საქართველოში ისეთივე ხასიათი ქონდა, როგორც რუსეთში. სანადელო მიწები წლითი წლობით უფრო და უფრო მცირდებოდა. გლახებმა დაიწყეს მიწების შესყიდვა. მიწების ყიდვას აქ დაეწაფენ აგრეთვე ვაჭრები, განსაკუთრებით სომხის ვაჭრები. თავად-ახნაურების მამულების შემცირების ერთ უმთავრეს მიზეზათ მემკვიდრეობის ხასიათი უნდა ჩაითვალოს. მამა-პაპეული მიწების მფლობელობაში ყველა შვილები თანასწორი უფლებით არიან აღჭურვილი კანონის მიერ. მამის სიკვდილის შემდეგ შვილები თანასწორათ იყოფენ არა თუ მიწას, მკვდარსა და ცოცხალ ინვენტარსაც. ამ რიგათ ერთი მეურნეობა იყოფა რამდენიმე ნაწილათ, სუსტდება და ეცემა იგი. ხშირათ ასეთი შემთხვევაც ყოფილა რომ მამული ერთ რომელიმე მემკვიდრეს გამოუყიდნია ყველა შონაწილებიდან. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მას მამული ბანკში უნდა დაეგირავებია და შედარებით დიდი პროცენტი ეხადა. ეს გარემოება კი ბოლოს და ბოლოს მეურნეობის კრახით თავდებოდა. ამ დაგირავებული მამულების დიდრ უმეტესობა, ვალების თავის დროზე გადაუხდელობის გამო, საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა. ბანკის ვალების გადმოტანით მამულების შექენაც ძლიერ ხელს უწყობდა მეურნეობის დაცემას. ასეთ რისკს ყოველთვის უფრო ღარიბები ეწეოდენ, რომელთაც შეძლება არა ქონდათ მამული ნაღდზე ეყიდათ. ასეთ მყიდველს იმედი ქონდა: მამულის შემოსავლით ბანკსაც გავისტუმრებ და თავსაც რიგიანათ ვირჩენო. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მას ეს იმედი არ უსრულდება, რადგანაც მამულის ორფინათ წარმოებისთვის საჭირო იყო საქმის ცოდნა, მომკირნეობა და კიდევ უფრო ფული; მას კი უმეტეს შემთხვევაში არც ერთი ეს აუცილებლათ საჭირო თვისებები არ ებადა. ამიტომაც მიწების ასეთი მყიდველების გამრავლება მეურნეობასაც ხარბად ამცირდა და მიწების ფასებსაც მეტის მეტათ ძირს სწევდა.

ამ რიგათ შეიქნა მიწების დევალიანება, რაც ერთობ აუტანელ პირობებში აყენებდა მემამულეს. ეს გარემოება ხელს უშლიდა მეურნეობის გაყვებასა და მიწის მელიორაციას.

პირველ შეხედვით საკვირველბც არის, რომ შებტონებებს, რომელთაც კიდევ უფრო მეტი ფულები მიიღეს თავისი მამულების სხვა და სხვა იპოტეკურ დაწესებულებებში დაგირავებით, თითქოს არაფერი არ დაუხარჯავთ მიწის მელიორაციაზე. ასეთ მოვლენას ჩვენ ვხედავთ არა მარტო საქართველოში, იმასვე ადგილი ქონდა რუსეთში და ევროპაშიც.

გამოჩენილმა ეკონომისტმა კ. როდბერტუს—იაგეტკოვმა დიდი ხანია რაც გააქარწყლა სამეურნეო მეცნიერებაში ქეშმარიტებით აღიარებული აზრი, რომ იპოტეკური ბანკებიდან გამოტანილი კაპიტალი მიწების მელიორაციის საქმეს ხმარდება და ამიტომ ასეთ დაწესებულებებს დიდი სარგებლობა მოაქვთო. მან ცხადათ დაამტკიცა, რომ ამ კაპიტალის მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო ნაწილი ხმარდება მელიორაციის საქმეს, კაპიტალის დანარჩენი ნაწილი კი მიწის ხელიდან ხელში გადასვლის ღრძს ვალების დასაფარავათ მიდისო.

ამ ფულის უმეტესობა სჭირდება არა მიწის გაუმჯობესებას, არამედ მიწის პატრონის გამოკვების საქმეს, ამიტომაც, როდბერტუსის აზრათ, იპოტეკური კრედიტი სულაც არ წარმოადგენს ისეთ კაპიტალს, რომელიც სოფლის მეურნეობაში უნდა გადადიოდეს წარმოების სხვა და სხვა დარგებიდან, არამედ ეს ისეთი კაპიტალია, რომელიც ერთმევა მიწის მეურნეობასა და მეურნეს და ამლიდრებს სხვა მრეწველობისა და მრეწველ კლასებსა.

ასეთ მოვლენას, რა თქმა უნდა, ადგილი ქონდა საქართველოშიაც, სადაც თავად-აზნაურობა თან და თან გაკოტრდა და თან და თან გამოეთხოვა თავის შიწა-მამულს.

თბილისის გუბერნიაში უფრო საგრძნობი იყო ეს გავლენა, რაც თბილისისა და ქუთაისის სათავათ-აზნაურო ბანკების 1898—1908 წლების ანგარიშებიც მოწმობენ:

გუბერნიები:	კერძო საკუთრების რაოდენობა დესეტანებათ:	დაგირავებული იყო დესეტინა:	0/0 0/0	ვალების რაოდენობა 1898 წ. 1 იანვარს. მანეთებში.
თბილისის	1.413.535	710.099	50,0	6.807.000
ქუთაისის	1.077.691	41.996	4,0	2.531.000
ერევნის	55.843	8.344	15,0	213.000
ბაქოს	182.351	8.469	5,0	114.000
განჯის	573.778	6.964	1,0	182.000

მიწის რაოდენობა როგორც მეტატონეს ისე ყველა ჯურის გლეხების ხელში იყო:

გუბერნიები:	ყოფილი საბატონო გლეხები:		მეტატონეთა მიწის რაოდენობა დესეტინებში:
	კომლი	დესეტინა	
ქუთაისის	74.673	210.770	815.321
თბილისის	27.635	134.796	961.802
განჯის	47.553	317.234	440.298
ბაქოს	11.364	110.315	246.304
ერევნის	11.699	98.264	60.126

საქართველო უაღრესათ საშუალო და წვრილი მიწით მფლობელობის ქვეყანაა. 1917 წლის რევოლუციამდე ევრეთ წოდებული სახაზინო გლეხები ყველა სხვა გლეხებზე უფრო კარგ პირობებში იყვნენ. სახაზინო გლეხების უმეტესობა აღმოსავლეთ საქართველოში 941 სოფელში ცხოვრობდა. 1899 წლის ცნობების მიხედვით მათ საკუთრებას შეადგენდა 842.633 დესეტინა მიწა, რაც თითოეულ კომლზე საშუალო რიცხვით 17 დესეტინას აღემატებოდა. სახელმწიფო მიწებს გარდა ეს სახაზინო გლეხები ფლობდნ თავის საკუთარ მიწებსაც. 1899 წლის ოფიციალური ცნობებით სახაზინო გლეხების მიწის მფლობელობა შემდეგ ნაირათ გაიყოფებოდა:

32	სოფელში კომლზე მოდიოდა	9—10	დესეტინა
57	" " " "	10—12	"
34	" " " "	12—14	"
35	" " " "	14—16	"
31	" " " "	16—18	"
24	" " " "	18—20	"
65	" " " "	20—25	"
46	" " " "	25—30	"
79	" " " "	30—40	"
59	" " " "	40—60	"
32	" " " "	60—100	"
52	" " " "	100—200	"
5	" " " "	200—449	"

დასავლეთ საქართველოში სახაზინო გლეხები მოსახლეობდნ 449 სოფელში; ფლობდნ 63.787 დესეტინა მიწას, რომლის 40 პროცენტი სა-

ნადელო იყო, 28<sup>0</sup>/<sub>100</sub> ნასყიდი და კეთილშეძენილი და 24<sup>0</sup>/<sub>100</sub> ხაზინასთან და კერძო პირებთან სადაო. საშუალო რიცხვით აქ კომლზე მოდიოდა 4,23 დესეტინა ამის გარდა სხვა კერძო მესაკუთრეებთან ერთად ისინი ფლობდნენ 5.462 დესეტინა სალაღე მიწებს.

განაკუთრებულ კატეგორიას შეადგენდნენ ეგრეთ წოდებული „პოსელიანები“ და საეკლესიო გლეხები. ამათ გარდა სანადელო მიწებისა თავის განკარგულებაში ქონდათ საკმაო რაოდენობა სახაზინო მიწებისა. ახალციხის, ახალ-ქალაქის, ბორჩალოსა და თბილისის მაზრებში იმათ სარგებლობაში იყო 46.473 დესეტინა სახაზინო მიწა.

ძნელად სათქმელია თუ რამდენი მიწა იყო ხიზნების მფლობელობაში. 1913 წლის „ხიზანთა დამოკიდებულების მოსპობის“ კანონით მათ ხელში ითვლებოდა 23.000 დესეტინა მიწა. გორის მაზრის ზოგიერთ სოფლებში იყო ისეთი ხიზნებიც, რომლებსაც კომლზე 22—200 დესეტინამდე მიწა ქონდათ. (ნახე ამ წიგნის ბოლოს დართული დიაგრამა)

ყველა ამ ზემოთმოყვანილი ცნობებიდან ჩანს, რომ სახაზინო და საეკლესიო გლეხებისა და აგრეთვე ხიზნებისა და „პოსელენცების“ მდგომარეობა საქართველოს ზოგიერთ რაიონებში მიწით უზრუნველყოფილი იყო.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ იყო მიწა განაწილებული თავად-აზნაურთა შორის: \*)

თბილისის გუბერნია (მაზრები):	მიწის რაოდენობა დესეტინებში:	ტყე და საძოვარი	% <sup>0</sup> / <sub>100</sub>	ვარჯი ღირსების მიწა: (სათესი, საბაღე, სათიბი)
ახალ-ქალაქი	13.117,23	8.111,21	61,82	5.006,02
ახალ-ციხე	27.233,35	24.081,27	88,43	3.152,08
ბორჩალო	250.004,03	194.439,52	77,77	55.564,51
გორი	343.651,53	268.914,56	78,26	74.736,57
დუშეთი	93.361,25	74.722,00	80,08	18.569,25
სიღნაღი	85.224,80	70.828,00	83,11	14.396,80
თელავი	73.805,41	59.667,00	80,85	14.138,41
თბილისი	70.573,57	49.959,00	70,78	20.614,67
თიანეთი	35.224,94	30.422,00	86,77	4.802,94
<b>ს უ ლ</b>	<b>922.216,11</b>	<b>731.214,56</b>	<b>78,73</b>	<b>211.001,55</b>

\*) სტატისტიკური ცნობები ამოღებულია ბ. ალ. ასათიანის მონოგრაფიიდან: „მიწის საკითხი საქართველოში“, თბ. 1919 წელი და ბ. ფ. გოგიჩაიშვილის გამოკვლევა: „Сборник статистических сведений о частном земледелии в Тифлисе и Бутанской губерниях“, თბ. 1910 წელი.

ქუთაისის გუბერნიაში იგივე ცხრილი:

მ ა ზ რ ე ბ ი:	მიწის რაოდენობა დესეტინებში:	ტყე და საძოვარი დესეტინებში.	0/0 0/0	კარგი ღირსების მიწა: (სათესი, საბაღე, სათიბი).
ზუგდიდის	78.424,22	61.239,18	80,06	15.255,04
ქუთაისის	40.052,35	24.105,58	60,19	15.946,77
ლექსუმის	217.361,77	219.235,00	97,73	4.926,77
ოზურგეთის	58.429,41	44.664,16	76,44	13.765,25
რაქის	6.859,63	4.793,56	69,88	2.065,99
სენაკის	63.309,56	48.223,93	76,61	15.085,63
შორაპნის	32.618,50	21.681,94	66,48	10.936,56
<b>ს უ ლ</b>	<b>495.125,36</b>	<b>417.043,35</b>	<b>84,23</b>	<b>78.082,01</b>

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილებიდან ჩანს, ათი წლის წინათ საქართველოს თავად-აზნაურობას (სოხუმის ოლქის გარდა) ქონდა 1.487.341,47 დესეტინა მიწა. ამ წოდების რიცხვი უდრიდა დაახლოებით 100.000 სულს. ამ რიგათ თვითოეულ სულზე კარგი და ცუდი მიწა მოდიოდა 14,8 დესეტინა. სულ მათ ხელში კარგი ღირსების მიწა ყოფილა 289.083,56 დესეტინა. ამ კატეგორიის მიწა თითო სულზე მოდიოდა 2,8 დესეტინა. ორივე გუბერნიაში იმავე წოდების საკუთრებას შეადგენდა ტყე და საძოვარი 1.198.257,91 დესეტინა, რაც სულზე შეადგენდა 11,9 დესეტინას. ამ რიგათ უმაღლეს წოდებას სულზე ქონია:

- 1) სახნავი, საბაღე და სათიბი: 2,8 დესეტინა,
- 2) ტყე და საძოვარი . . . . . 11,9

სულ ქონია 14,7

მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ წოდებაში ერთს მეტი მიწა ქონდა, მეორეს ნაკლები, ამ ციფრებს ჩვენ ვერ მივცემთ მაინც და მაინც დიდ მნიშვნელობას. აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უმაღლესი წოდების მიწების 80% ტყე და საძოვარი შეადგენდა; მხოლოდ 20% სხვა და სხვა სასოფლო სამეურნეო საჭიროებისთვის ფონდა.

საქართველოში თავად-აზნაურობის მიწის მფლობელობას წვრილი მფლობელობის ხასიათი ქონდა, რასაც ქვემო მოყვანილი ცნობებიც ამოწმებენ.

თბილისის გუბერნია.

სამეურნეო მიწების რაოდენობა დესეტინებში:	მესაკუთრეთა რიცხვი:	საკუთრების საზოგადო რიცხვის % %:
0 — 1	636	10,81
1 — 3	758	9,82
3 — 5	449	7,63
5 — 10	623	10,59
10 — 15	368	6,25
15 — 25	497	8,45
სულ 0 — 25 დესეტ-დე	3.381	53,55
25 — 100 "	1.373	23,33
100 — 500 "	999	16,98
500 და მეტი.	367	6,14
ქუთაისის გუბერნიაში:		
0 — 1 "	746	5,82
1 — 3 "	3.033	23,59
3 — 5 "	2.610	20,30
5 — 10 "	3.164	24,61
10 — 15 "	1.988	15,46
სულ 0 — 25 დ-მდე.	11.541	89,78
25 — 100 "	931	7,24
100 — 500 "	301	2,34
500 და მეტი.	82	0,64

ეს ციფრები ცხადათ გვიჩვენებენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში თავად-აზნაურობის 50% ფლობდა არა უმეტეს 25 დესეტინა მიწის კომლზე. ქუთაისის გუბერნიაში ამ წოდების 80% კომლზე მხოლოდ 1—25 დესეტინამდე მიწა ქონია.

იმავე წოდების მიწები შემდეგ ნაირათ განიყოფებოდა:

თბილისის გუბერნია.

მ ა ზ რ ე ბ ი:	კერძო საკუთრება დესეტინებში	აქედან ტყე და საძოვარი	%	სახნავი, სათესი, საბალე და სათიბი:
ახალ-ქალაქის.	30.297,69	13.153,71	43,42	17.143,98
ახალციხის	44.247,34	34.956,14	79,00	9.291,20
ბორჩალოს	55.180,38	41.195,40	74,00	13.984,33
გორის	45.594,96	24.602,78	54,20	20.992,20
დუშეთის	10.257,28	5.898,12	57,57	4.359,16
სიღნაღის	14.401,42	9.211,40	63,87	5.190,02
თელავის	16.060,60	9.426,99	58,76	6.633,51
თბილისის	58.601,12	33.535,78	62,57	20.065,34
თიანეთის	23.910,87	19.549,10	80,84	4.361,77
<b>სულ გუბერნიაში:</b>	<b>293.531,66</b>	<b>191.439,42</b>	<b>65,22</b>	<b>102.092,24</b>

ქუთაისის გუბერნია.

ზუგდიდის.	14.907,61	5.066,91	33,99	9.840,70
ქუთაისის	51.451,33	23.818,15	46,29	27.633,28
ლეჩხუმის	4.142,64	595,66	14,38	3.596,98
ოზურგეთის	26.213,68	11.867,78	45,27	14.345,90
რაჭის	14.234,06	7.697,81	54,18	6.536,25
სენაკის	15.561,12	6.750,25	43,38	8.810,87
შორაპნის	16.838,39	6.528,41	38,77	10.309,98
<b>სულ გუბერნიაში:</b>	<b>143.348,83</b>	<b>62.324,97</b>	<b>43,48</b>	<b>81.023,86</b>

ეს ციფრები ცხადათ გვიჩვენებენ, რომ მთელ საქართველოში (სოხუმის ოლქის გარდა) კერძო მესაკუთრეთა მიწების რაოდენობა იყო 1.924.219,96 დესეტინა.

ახლა ენახოთ თუ როგორ იყო განაწილებული მესაკუთრეთა შორის უკუთესი ხარისხის მიწები:

**თბილისის გუბერნია. თავად-აზნაურობის მიწის-მფლობელობა.**

რაოდენობა დესეტრ- ნებში:	საერთო ზომა ყველა მიწებისა	იმათში კარგი მი- წები
0 — 10 დ-მდე	8.142,78	86,19
10 — 25 "	22.693,12	75,02
25 — 100 "	74.359,92	47,22
100 — 500 "	219.397,60	29,86
500 და მეტი "	675.471,00	13,81

**არა თავად-აზნაურობის მიწის-მფლობელობა:**

0 — 10 "	27.871,74	93,36
10 — 25 "	40.087,15	84,18
25 — 100 "	20.990,44	44,65
100 — 500 "	92.303,73	26,45
500 და მეტი "	31.150,34	21,02

**ქუთაისის გუბერნია. თ.-აზნაურობის მიწის-მფლობელობა:**

0 — 10 "	39.752,50	69,95
10 — 25 "	70.874,54	61,44
25 — 100 "	43.728,64	33,20
100 — 500 "	62.974,58	18,92
500 და მეტი "	317.547,60	12,55

**არა თ.-აზნაურობის მიწის მფლობელობა:**

0 — 10 "	39.909,22	73,43
10 — 25 "	108.881,02	69,72
25 — 100 "	10.833,67	24,77
100 — 500 "	5.397,00	21,97
500 და მეტი "	18.930,24	9,11

ყველა ამ ცნობებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ წვრილი საკუთრების ტიპის მამულებში მეტია სასოფლო კულტურისათვის სავარგისი მიწა ვიდრე დიდ მამულებში. ჩვენ ვხედავთ, რომ უკეთესი მიწის პროცენტი მეტი აქვთ სხვა წოდების კერძო მესაკუთრეებს, ვიდრე თავად-აზნაურებს.

მესამე დებულება ის შეგვიძლია გამოვიყვანოთ ამ ცნობებიდან, რომ რამდენათ მეტია მამულის სივრცე, იმდენათ ნაკლებია კარგი ადგილის რაოდენობა.

ყველა ეს ცნობები თავად-საჩინოთ გვიმტკიცებს, რომ საქართველოში ქარბობს წვრილი და საშუალო მიწის-მფლობელობა.

როგორც ეს ზემოთ დავინახეთ, 80% ქართველი ხალხისა მიწის მეურნეობით ირჩენს თავს. ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური ცნობები გვიმტკიცებს, რომ ქართველ მეურნეებს არ აქვთ საკმაო მიწა. სოფლის მუშა დიდი ხანია ჩიოდა მიწის სივიწროეზე. სწორეთ ამ მიწის სივიწროვის წინააღმდეგ არის მიმართული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მერ გატარებული მიწის რეფორმა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მიწის მუშას ქონდეს საშრომი ნორმა (Трудовая норма) ოჯახზე 7 - 14 დესეტინა, რაც მიწის ღირსება-ნაკლულებებზე და მოკიდებული და ყველა დანარჩენი მიწებისაგან, რომელიც თავად-აზნაურობას უსასყიდლოთ ჩამოერთვა, შესდგეს სათადარიგო სახელმწიფო მიწის ფონდი.\*)

რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური ორგანოს ცნობებით, კულტურისათვის ვარგისი მიწის სივრცე საქართველოში უდრის 5.537.207 დესეტინას. აქედან ტფილისის გუბერნიასზე მოდის 3.421.727 დესეტინა; ქუთაისისაზე — 2.115.480 დესეტინა.

მფლობელობის ხარისხების მიხედვით ეს მიწები შემდეგ ნაირათ განიყოფება:

კერძო მესაკუთრეების (მათ შორის გლეხ მესაკუთრეებსაც) 2 208.045 დეს.	
ხაზინის . . . . .	2,020.012 „
გლეხების (სახაზინო, კერძო საკუთრება, ხიზნების) . . . . .	1.309.150 „

ჩვენ, სამწუხაროთ, არ მოგვეპოვება უტყუარი ცნობები, რომელიც ნებას გვაძლევდეს გადაჭრიდა ვსთქვათ, თუ რამდენი მიწა იყო კერძო საკუთრების უფლებით სოფლების ხელში, დაახლოვებით კი შეიძლება ითქვას, რომ საერთო რაოდენობა ასეთი მიწებისა რამდენიმეთ მაინც აღემატებოდა თავად-აზნაურობის რაოდენობას.

\*) იხილე ყურნალი: „საქართველოს ეკონომისტი“, 1919 წელი, № 7 — 8, გვერდი 36 — 41.

ტყეებისა და საძოვრების გარდა ყველა კარგი ღირსების მიწები განიყოფებოდა შემდეგ ნაირათ:

	კარგი მიწა	0/0/0	საბალახო	0/0/0	მთელი ჯამი	0/0/0
კერძო მესაკუთრეს 5 დესეტ. მეტი .	479.972	35,9	434.144	42,5	914.116	38,8
კერძო მესაკუთრეს 5 დესეტინამდე .	117.439	8,8	14.226	1,4	131.665	5,6
გლეხ მესაკუთრის .	697.746	52,2	573.045	56,1	1.270.791	53,9
ხაზინის . . . . .	40.599	3,1	—	—	40.599	1,7
<b>ს უ ლ</b>	<b>1.335.756</b>	<b>100</b>	<b>1.021.415</b>	<b>100</b>	<b>2.357.171</b>	<b>100</b>

ეს უბრილები ნათლათ გვიჩვენებენ, რომ საუკეთესო მიწების (საეზოვე, საბაღე, სავენახე, სახნავ-სათესი და სათიბი) ნახევარზე მეტი (52,2%) გლეხების საზოგადოების საკუთრებას (სანადელო და ხიზნებისას). ამას უნდა დაემატოს აგრეთვე ის მიწებიც, რომელშიც გლეხებს შესყიდვით შეუძენიათ. ჩვენ, სამწუხაროთ, ასეთი მიწების რაოდენობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოება. ამავე რიგის მიწებს შეიძლება დაემატოს ყველა მიწის საკუთრება, რომლის რაოდენობაც 5 დესეტინას არ აღემატება. ამ რიგათ ჩვენ დავინახავთ, რომ 61% ყველა კულტურული მიწებისა და 57,5% საძოვრისა შეადგენს გლეხების საკუთრებას. მიუხედავად იმისა, რომ კულტურული მიწების 3/4, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ, გლეხებს ეკუთვნოდა, მათი დიდი უმეტესობა მაინც მიწის შიშხილს განიცდიდა.

სწორეთ ამის დასაკმაყოფილებლათ იქნა გატარებული აგრარული რეფორმა.

## აგრაარული რეფორმა საქართველოს რესპუბლიკაში\*)

ყოფილმა კავკასიის კომისარიატმა 1917 წლის 27 მარტისა და 14 აპრილის დადგენილებით ყველა სახაზინო და საუფლისწულო მიწები სახელმწიფოს საკუთრებათ გამოაცხადა. იმავე წელს 16 დეკემბერს კავკასიის სეიმმა გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალითაც ყველა სახელმწიფო, საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო და კერძო მესაკუთრეთა მიწები (უკანასკნელი განსაზღვრული ნორმის ზევით უსასყიდლოთ ჩამოერთვა მათ ყოფილ მესაკუთრებს და შევიდა განსაკუთრებულ სათადარიგო ფონდში, იმ მიზნით, რომ იგი დარიგებოდა უმიწა-წყლო და მცირე მიწის მესაკუთრე გლეხებს. იმავე დეკრეტმა მოსპო ხიზნები, რომელთაც დაუტოვეს ის მიწები, რაც ამ კანონის გამოცემის დროს მათ უფლებაში იყო; მხოლოდ ხიზნები დაუქვემდებარეს ნორმას.

მთელი ამ მიწის ფონდი განაწილებული იქნა სოფლის მეურნეთა შორის (გლეხებს შორის) მათი საჭიროების მიხედვით. მხოლოდ ტყეები, საზაფხულო საძოვარი მიწები და მიწის წიაღი გამოცხადებულ იქნა საზოგადო საკუთრებათ და მათი განაწილება აკრძალულია. ასეთივე საზოგადო საკუთრებათ იქნა გამოცხადებული კულტურული და სამაგალითო მეურნეობაც. ეკლესიებსა და მონასტრებს დაეტოვა მიწები ნორმის მიხედვით მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სასულიერო პირები (ბერები ან ბერ-მონაზნები, თვითონ ამუშავებდნ მათ განკარგულებაში ყოფილ მიწებს.

მიწის ნორმა მეურნეობის სისტემისა და ადგილობრივი პირობების მიხედვით სხვა და სხვა რაოდენობისა იქნა მიღებული: იმ რაიონებში, სადაც უფრო მისდევდნ ინტენსიურ კულტურას, როგორიც არის მევენახეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა და სხვა ასეთი, ნორმის რაოდენობა განისაზღვრა 7 დესეტინით; იმ რაიონებში კი, სადაც ხორბლეულობის კულტურა იყო, ნორმათ მიღებული იქნა 14 დესეტინა. იქ, სადაც მხოლოდ შესაძლებელი იყო მესაქონლეობა ნორმათ აღიარებული იქნა 40-მდე დესეტინა. ამ კანონის ძალით მიწის კომიტეტებს დაევალო განსაკუთრებულ შემთხვევაში ნორმა გაედიდებიათ 7-დან 10 დესეტინამდე 14-დან 20-მდე და 40-დან 50-მდე. ასეთი გადიდება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ადგილობრივი პირობების კარგათ შესწავლის შემდეგ.

\*) ვსარკებლობთ პროფ. ავალიანის ბროშურით: „მიწის მფლობელობა საქართველოში“, 1920 წელი, გვ. 25—29.

ფონდთან მიწა ზღრივდებოდა, გლეხებსაც მცირე საფასურით, რომლითაც მთავრობას განზრახული ქონდა მხოლოდ მიწის რეფორმაზე გაწეული ხარჯების დაფარვა. ეს მით უფრო სამართლიანი იყო, რომ რესპუბლიკა თავისი პირველი დეკრეტის ცხოვრებაში გატარების დროს, იძულებული შეიქნა ბანკებისათვის გადაეხადა ის ვალები, რომელიც ირიცხებოდა იმ კერძო მესაკუთრეების მიწებზე, რომელიც მათ ჩამოერთვათ. აგრეთვე რესპუბლიკის მთავრობას უნდა დაეთარა ხარჯები, გამოწვეულ, როგორც უმიწა-წყლო გლეხების ახალ ადგილებზე გადასახლებით, ისე მელიორაციით გამოწვეული.

ამ აგრარულ რეფორმამდე კერძო მესაკუთრეებს ქონდათ:

ტფილისის გუბერნიაში	511.538	დესეტინა.
ქუთაისის	110.157	"

**ს უ ლ** . . . . . 621.695 დესეტინა.

თითო კერძო მესაკუთრეზე საშუალო რიცხვით მოდიოდა:

ტფილისის გუბერნიაში	188	დესეტინა.
ქუთაისის	110	"

საშუალოთ თითო მესაკუთრეზე მთელ საქართველოში მოდიოდა

167	დესეტინა.
-----	-----------

კომუნიკაციის შემდეგ კერძო მესაკუთრეებს დარჩათ:

ტფილისის გუბერნიაში	27.572	დესეტინა.
ქუთაისის	7.115	"

**ს უ ლ** . . . . . 34.687 დესეტინა.

საშუალო რიცხვით კერძო მესაკუთრეზე მოდის

ტფილისის გუბერნიაში	10.16	დესეტინა.
ქუთაისის	7,15	"

**საშუალოთ** . . . . . 9,35 დესეტინა.

კერძო მესაკუთრეთა ხელში დარჩა მთელი მათი მიწა-მამულის %<sup>0</sup>/<sub>0</sub>:

ტფილისის გუბერნიაში	5,40 %
ქუთაისის	6,40 %
საშუალო რიცხვით კი მთარ ძველი საკუთრების	5,57 %

სულ ჩამოერთვათ კერძო მესაკუთრეებს:

ტფილისის გუბერნიაში	487.592	დესეტინა.
ქუთაისის	122.961	"

მთელ საქართველოში **ს უ ლ** . . . . . 610.573 დესეტინა.

ბარისხის მიხედვით (По видам) ჩამორთმეული მიწები უმღევ ნაირათ განყოფებოლა:

გუბერნიები:	დამუშავებული მიწა	მთელი ჯამის %	კულტურული მიწები:	%	უვარგისი მიწები	%	საბალახო	%	ცხუ	%	საძოვარი	%
ტფილსის	146,794	30,33	210,370	43,46	15,022	3,12	47,041	9,72	211,511	34,70	63,576	13,00
ქუთაისის	29,992	24,10	36,832	35,74	6,338	6,16	19,700	19,11	40,172	36,99	6,889	6,
ს უ ლ .	176,786	42,88	247,202	42,11	21,360	6,84	66,741	11,57	251,683	49,68	70,465	17

მაგრამ მარტო ამ რეფორმის ცხოვრებაში გატარება არ კმარა, რომ საქართველომ პურის ნაკლულეფანებას თავი დაახწიოს. ამისთვის საჭიროა ფართე მელიორაციული მუშაობა რესპუბლიკის მაშტაბით. უნდა ამოშრეს ქალაქების ქაობები, უნდა ირრიგაციის ბაღეებით დაისეროს ალაზნის ველები, შირაქისა და ყარაიაზის უდაბნოები და სხ. აგრეთვე უნდა გავრცელდეს ხალხში სამეურნეო ცოდნა. ამიტომ მეტი არ იქნება, რომ ზოგიერთი ამ მხრით დაწინაურებული ქვეყნების გამოცდილებით ვისარგებლებდეთ. ამ მხრითაც ბევრი რამეს სწავლება შეუძლია იტალიას, საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს. იტალიაში, მაგალითათ, 1870 წლებიდან არსებობენ სპეციალური მოსიარულე კათედრები სასოფლო მეურნეობაზე პოპულიარული ლექციების საკითხავათ. წარსული საუკუნის 90 წლებში იქ 160 ასეთი კათედრა იყო. თუმცა ეს კათედრები მოძრავია, ჭუმცა ლექტორები სოფლიდან სოფლათ მოგზაურობენ, მაგრამ მათ ამა თუ იმ პროვინციის ცენტრებში აქვთ თავისი კანტორები, სადაც განსახდერულ დღეებში და დროს კანტორაში იმყოფება თვითონ დირექტორი ან მისი თანაშემწე, რომლებიც ეხმარებიან სოფლის მეურნეს თავისი რჩევა-დარიგებით. წლის განმავლობაში სხვა და სხვა თემებში იმართება კონფერენციები, კითხულობენ პოპულიარულ ლექციებს, რომლის თემასაც თვითონვე სოფლის მეურნეები ირჩევენ. ლექციების შემდეგ იმართება მსჯელობა და კამათი, როგორც წაკითხულ საგანზე, ისე ახლათ წამოყენებულ მეურნისათვის აუცილებლათ საჭირო კითხვებზე; ამ კამათში მონაწილეობას იღებენ თვითონ ადგილობრივი სოფლის მეურნეები. რადგანაც კონფერენციების უმეტესი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკულ კითხვებს ეხება, ეს კონფერენციები უმეტეს ნაწილათ იმართება არა დარბაზებში, არამედ მინდვრებში, ყანებსა და ბაღებში. მარტო ვერონის მოძრავი კათედრა ასეთ კონფერენციას წელიწადში საშვალო რიცხვით 80-მდე მართავს. იტალიაში, ყველგან, სადაც კი გაჩნდებიან მოძრავი კათედრები, მათ თან მოყვება კოოპერატივებიც; ჩნდებიან სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები, სასოფლო კასები, მომხმარებელთა ამხანაგობები, ღვინის სახდაფები, ზეთის სახდელი და სხვა ამხანაგობები. პროფესორი პოდნის აზრით, ასეთი მოძრავი კათედრები უფროხელს უწყობენ ხალხში სასოფლო სამეურნეო ცოდნის გავრცელებას, ვიდრე სხვა რომელიმე მუდმივი ტიპის დაწესებულებები.

საფრანგეთში მრავალია დეპარტამენტების „მოსიარულე პროფესორები“, რომლებიც სოფლებში მოგზაურობენ და აცნობენ მეურნეს ყოველ ახალს, რაც კი ამ დარგში პრაქტიკასა და მეცნიერებას შეუძენია.

დეპარტამენტის ასეთი „მოსიარულე პროფესორების“ განკარგულებაში იმყოფება რამოდენიმე ათასი საცდელი და სამაგალითო მინდვრები. ასეთ დაწესებულებებისათვის ჩვეულებრივია სოფლის მეურნეები მუქთათ უთმობენ მიწას. თესლსა და მიწის გასანოყიერებელ მასალას დეპარტამენტები კისრულობენ. მიწის მოსავალს მიწის პატრონი იღებს. დეპარტამენტების პროფესორები ვალდებული არიან ყოველ დროს, როცა კი ეს საჭირო იქნება, რჩევადარიგებით დახმარება აღმოუჩინონ სოფლის მეურნეს. იმათვე ევალებათ ხშირ-ხშირათ დაათვალიერონ საცდელი მინდვრები და ხშირათ უკითხონ ხალს პოპულიარული ლექციები.

შეერთებულ შტატებში მიწათ-მოქმედების კოლლეჯების უმეტესობასთან ყოველ ზამთრობით აწყობენ მოკლე ვადიანი, — ჩვეულებრივათ თორმეტი კვირით, — კურსებს ფერემერებისათვის. ამ კურსებს პოპულიარული და თანაც წმინდა პრაქტიკული ხასიათი აქვს. კურსების მსმენლები, გარდა ლექციებისა, პროფესორების ხელმძღვანელობით, კოლლეჯების ლაბარატორიებშიც მუშაობენ; თუ რამდენათ პოპულიარულია კურსები ეს იქედანაც ჩანს, რომ ფერემერების უმეტესი ნაწილი ყოველ წლობით მიდის ამ კურსებზე, რათა უფრო და უფრო კარგათ შეისწავლოს სოფლის მეურნეობის საფუძველი.

ამ ქვეყნებს უნდა მიბაძოს საქართველოს ახალგაზდა რესპუბლიკამაც. მან უნდა შექნას როგორც „მოძრავი კათედრები“, ისე „მოსიარულე პროფესორების“ ინსტიტუტი; ფართეთ უნდა დააყენოს სოფლის მეურნეობის როგორც პრაქტიკულათ, ისე თეორიულათ შესწავლის საქმე. ამისათვის რესპუბლიკამ არაფერ ხარჯს არ უნდა დაერიდოს, რადგანც დანახარჯი ერთი ათასათ აუნახლაურდება.

რესპუბლიკას უნდა ახსოვდეს, რომ მისი მოქალაქეთა 80% ჯერ-ჯერობით სასოფლო მეურნეობით ცხოვრობს.

## სამხრეთ-დასავლეთი საქართველო.

### ბათუმის ოლქი.

ბათუმის ოლქი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილია. ეს მხარე დასახლებულია ქართველებითა და ლაზებით, რომლებიც დიდი ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ დაპყრობილი იქმნენ თურქების-მიერ და იძულებული შეიქნენ მაჰმადის სარწმუნოება მიეღოთ. დიდი ხნის განმავლობაში ეს საქართველოს ღვიძლი ნაწილი ოსმალეთის სახელმწიფო ნაწილს შეადგენდა, მაგრამ 1878 წლის ბერლინის ტრაქტატის ძალით ის რუსეთს გადაეცა. რუსეთის მფლობელობის დროს ეს მხარე ადმინისტრაციულად სამ ნაწილად იქნა გაყოფილი: ბათუმის, ართვინის და აჭარის. 1883 წელს ბათუმის ოლქი შეუერთეს ქუთაისის გუბერნიას, მაგრამ 1903 წელს ის ხელ-შეორებით გამოყოფილი იქნა განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ ერთეულად — ბათუმის ოლქად.

ბათუმის ოლქი ისაზღვრება: ჩრდილოეთით — ქუთაისის გუბერნიით (ოზურგეთის მაზრა), აღმოსავლეთით-თბილისის გუბერნიით (ახალციხის მაზრა) და ყარსის ოლქით (არდაგანის არეთ), სამხრეთით-ლაზისტანიტა და დასავლეთით-შავი ზღვით.

ოლქის ტერიტორიის სივრცე უდრის 6.129,4 ოთხ-კუთხ ვერსს.

ზედა-პირის მოხაზულობის მიხედვით ბათუმის ოლქი წარმოადგენს მაღალ მთიან ადგილს. გამოჩაკლის წარმოადგენს მხოლოდ ოლქის ნაწილის სრულიად უმნიშვნელო რაოდენობა, რომელიც შავი ზღვის ჩრდილოეთ-დასავლეთით მდებარეობს. ოლქის სამხრეთი ნაწილი კიდევ უფრო განირჩევა როგორც განსაკუთრებული მთიანი მხარე. ოლქი გარ-შემორტყეულია დიდი მაღალი მთის ქედებითა და მთა-გრეხილებით; ჩრდილოეთით მას აკრავს აჭარა-გურიის მთების ქედი, აღმოსავლეთით-არსიანისა, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით იალაზუნ-ჩამის ქედი, სამხრეთით-ტოპჩი-იოლისა და პონტიისა და ჩრდილოეთით კავერეთ წოდებული „საზღვრის მთის“ (Пограничная). ქედი ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად ოლქში ითვლება შავშეთის ქედი, რომელიც გაჭიმულია 15 ვერსზე და არსიანის ქედიდან მიდის დასავლეთის მიმართულებით. ერმანეთში გადახლართული, ტყეებით დაფარული მთების კალთები, დასერილია ღრმა და ვიწრო ხეობით, რომლების მუდამ თოვლიანი მთებიდან ჩამოიხრიალებენ მრავალი მდინარეები. მთელ ოლქში ყველაზე უფრო დიდი მდინარეა ჭოროხი,

რომელიც ოსმალეთში იწყება. ორჯოლიდან სოფელ ერგამდე ქორო-  
ხი მოდის ვიწრო და მაღალ კალაპოტში, მაღალი ჭაღ დაყუდებული მთე-  
ბიფი ფარ-შემორტყმული, მხოლოდ ერგიდან დაწყებული ის თან და თან ფარ-  
თოვდება; მთები თან და თან შორდება ქოროხის ნაპირებს ჭაღ შავი ზღვიდან  
ოთხი ვერსის მანძილზე ქოროხი გამოდის მთებიდან, მიდის კახაბერის დაბ-  
ლობაში დე ერთვის შავ ზღვას. ქოროხის წყალი ძლიერ ჩქარა მიექანება ზღვის-  
კენ სპეციალისტების გამოკვლევით მისი სტრუქტურა წამში 8 ფუტს უდრის.  
წყლის კალაპოტიც ქვებიანი და საშიშარია, რაც ძალიან აფერხებს ამ მდინა-  
რეზე ნაოსნობის საქმეს. აქ, ამ მდინარეზე, მიმოდინ მხოლოდ პატარ-პატარა,  
ვიწრო და ძირ-პრტყელა ნაგებობით, რომელსაც აკეთებენ სოფ. ქვემო-მარადიდში.  
წყალ-დიდობის დროს ასეთი ნაგებობით ქოროხზე თავისუფლად შეიძლება მი-  
მოსვლა; როცა წყალი დაკლებულია—მხოლოდ ართვინიდან შავ-ზღვამდე. ქო-  
როხის ტოტებში უფრო შესანიშნავია: იმერ-ხევი, მაჭახელა და აქარის წყალი;  
რომლებიც ქოროხს მარჯვენა მხრიდან ერთვიან; მარცხნიდან ერთვიან: ხატი-  
ლას წყალი, მურღულორ, აჩხრიალა და ბელღევანი.

**ჰავის** მხრით ბათომის ოლქი საკვირველებას წარმოადგენს. აქ წარმოდ-  
გენილია თიფქმის ყოველ სახის ჰავა, რაც კი დედა-ძიწაზე არსებობს, დაწყე-  
ბული სუბ-ტროპიკულიდან და პოლიარულით გათავებულად. მაშინ, როცა  
უმეტეს ნაწილათ მთების წვერები მუდმივი თოვლით არის დაფარული, იმავე  
მთების კალთები თბილ ჰავაში იმყოფებიან. ტემპერატურის ასეთ სხვა და სხვა-  
ობას კიდევ უფრო საგრძნობლათ ხდის ის გარემოება, რომ აქაური მთის ქე-  
დების უმეტესობას მიმართულება აქვთ ან დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ,  
ან ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და ამნაირათ იფარავენ ხევებს ჩრდილოეთ-  
აღმოსავლეთის ცივი ქარების გავლენისაგან.

ბათომის ოლქის ზედა პირი შეიძლება გაიყოს ოთხ სარტყლად: ა) აღ-  
პიური დაბლობების სარტყელი, რომლებითაც დაფარულია მთის ქედების უმე-  
ტესობა და მდებარეობს ზღვის დონიდან 6.500 ფუტის სიმაღლეზე. ამ სარტ-  
ყელს ახასიათებს მეტის მეტი ცივი ჰავრი და სრული უტყეობა. ზამთრობით  
ეს სარტყელი დაფარულია თოვლით, რომლის სიღრმეც 3 ადლს აღემატება  
და ძვეს ოქტომბრის შუა-რიცხვებიდან მაისის შუა რიცხვებამდე; ბ) ეკალ-  
ფოთლოვან და ფართე ფოთლოვან ტყეებისა და ჩრდილოეთის პურის სარტ-  
ყელი, რომელიც მდებარეობს 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> და 6<sup>1</sup>/<sub>2</sub> ათას ფუტებს შუა (ზღვის დონე-  
ზე მაღლა). აქ ჰავა ზომიერი და თოვლი მთდის ნოემბერში და მარტამდე  
რჩება. გ) მესამე სარტყელს შეიძლება ვაზის სარტყელი ვუწოდოთ. ეს მდე-

ბარგობს 500-დან 2.500- ფუტის სიმაღლეზე და უფრო თბილხ: ჰავით განი-  
რჩევა. აქ ჩინებულათ ხარობს და მწიფდება ყურძენო; დ) მეოთხე სარტყელ-  
ლი 500 ფუტზე დაბლა მდებარეობს; ეს არის ზეთის ხილის, პალმისა და  
საზოგადოთ კოლხიტის, ფლოჯის სარტყელი. მათ თუ ჰად იბეონ პანტელო

ატმოსფერულნი ნალექის რაოდენობით ბათომის ოლქი შეიძლება რა-  
იონათ გაიყოს: დასავლეთის, ან ზღვის ნაპირის და სამხრეთ-აღმოსავლეთის.  
პირველი გრძელდება ვიწრო ზოლათ კომპუშას კონცხიდან დაწყებული ქრ-  
ოხის ჩასართავამდე. ოლქის ეს მხარე მდიდარია ატმოსფერული ნალექით, რო-  
მელიც ბათომში საშუალო რიცხვით 2.500 მილიმეტრს აღწევს. ოლქის მეორე  
ნაწილი ამ მხრით უფრო ღარიბია. მაგალითათ შავშეთისა და კარჩხლის მთების  
ქედები ცნობილია ხმელი ჰავით.

**ნიადაგი.** თბილსა და ნესტიან ჰავას დიდი გავლენა აქვს მიწის ნიადაგ-  
ზედაც. წყალი, ჩადის რა ნიადაგში, აფხვიერებს და ხრწნის მცენარეთათვის  
საჭირო ნივთიერებებს და თან მიაქვს იგი. ამიტომაც აქ ნიადაგი, თუმცა საჭი-  
რო სინესტით მდიდარია, მაგრამ, სამაგიეროთ, ხშირათ ღარიბია გახრწნილი  
ნივთიერების რაოდენობით. აქაურ ნიადაგის შემადგენლობაზე სქარბობს სილი  
თიხა; უფრო ნაკლებია ნეშარი.

**მოსახლეობა.** ოლქში მცხოვრებთა რაოდენობა 1917 წლის 1 იანვარს  
შეადგენდა 128.811 სულს ორივე სქესისას. (ამ რიცხვში შედიოდა როგორც  
ძირითადი, ისე დროებით მოსული მცხოვრებლებიც). მცხოვრებთა რაოდე-  
ნობა თითოეულ ოთხ კუთხ-ვერსზე 20 სული მოდიოდა;

აქ მცხოვრებთა უმეტესობას წარმოადგენენ ქართველები, სარწმუნოებით  
მაჰმადიანები, რომლების რიცხვიც 71.476 სულს აღწევს. აქ ქრისტიანი ქარ-  
თველების რიცხვი მხოლოდ 9.400 სული იყო. ამ რიგათ ქართველების რიცხვი  
80.876 სული ყოფილა. ამ ოლქში მოსახლეობენ აგრეთვე: თურქები და თათრები  
40.000 სული, სომხები — 4.300, რუსები — 3.600, ბერძნები დაახლოვებით —  
2000 სული და ქურთები დაახლოვებით — 2000 სული. ამ ქურთების ერთი  
ნაწილი, აგრეთ წოდებული გემშინები (ოსმალეთის პროვინცია გემშინიდან  
გადმოსახლებულები), მოსახლეობენ მდ. კოროხის ქვედა ნაწილებში, კახაბე-  
რის დაბლობზე. მთიან შავშეთისა და კარჩხარაში მოსახლე ქურთები — ბოშები  
არიან.

**მცხოვრებთა საქმიანობის** მთავარ საგანს აქაც მიწის მეურნეობა შეადგენს. ხორბლეულობის გარდა აქ ძალიან მისდევენ მეთამბაქოობას და მებაღეობას. ხორბლეულობის წარმოების საქმე ოლქში ვერა დგას სასურველ წილადგზე. ეს უფრო იმით აიხსნება, რომ მცხოვრებლები ერთობ პრიმიტიულად ამუშავებენ მიწას. აქ სრულიად არ იციან მიწის ხელოვნურათ გამოყენება მინერალურ ნივთიერებას მიწის საპატივებლათ აქ არ ხმარობენ; მართალია ზოგიერთ სოფელში ხმარობენ ამ მიზნისთვის საქონლის ფატრეს, მაგრამ ეს იჩვეულებრივ მოვლენათ აქ ვერ გადაიქცევა, რადგანაც ოლქში მესაქონლეობა ძლიერ ცოტათია განვითარებული; ესეც არ იყოს ეს საქონელი, რომელიც მცხოვრებლებს მოეპოვებათ, ფარეხებში კი არ უყენიათ, არამედ მთელი წლის განმავლობაში, ზამთარ-ზაფხულ ტყეებში დაეხეტება საკვების საშოვნელათ.

აქ არც თესლის შერჩევა იციან. ჩვეულებრივათ ერთსა და იმავე ადგილას მრავალის წლის განმავლობაში სთესენ ერთსა და იმავე მარცვლეულობას უფრო ხშირათ სიმინდს, სანამ მიწა სულ ერთიანათ არ გამოიფიტება. შემდეგ კი ამ გამოფიტულ მიწას დიდის ხნობით სტოვებენ დაუმუშავებლათ. ოლქის ზოგიერთ ნაწილში ახლაც შეხვდებით ეგრეთ წოდებულ „ლიადურ“ მეურნეობას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ახალ გაყამირებულ მიწაზე რამდენიმე წლის განმავლობაში სთესენ სიმინდს; შემდეგ, როცა ამ ადგილს თავს ანებებენ, იგი ხელ-ახლა იფარება ტყით.

მარცვლეულობიდან აქ უფრო სიმინდის თესვას ეტანებიან. თესენ აგრეთვე შემოდგომის პურსა, ქერს და ზოგ ადგილას ჭაობის ბრინჯსაც. სიმინდსა და ბრინჯს ფესენ ზღვისა და მდინარეების განაპირა დაბალ ადგილებში, პურსა და ქერს კი — ოლქის მაღალ ნაწილებში. 1906—1910 წლებში ოლქში საშუალო რიცხვით დათესილი იყო 114.662 დესეტინა. იმავე წლებში საშუალო რიცხვით შეუკრებიან — 7.901.500 ფუთი მარცვლეულობა.

ლხან მიცხან მთარშივე ცნოცნობა: — 5 წუძ სანელოზან თულუ ქოლუკას

**მებაღეობა.** ოლქის უთვალავი ხეები დაფარულია ბაღებით. აქ გავრცელებულია ზეთის ხილის კულტურა, რომლის რაიონათ ართვინის მიდამოები ითვლება. აქაური ბუნება ხელს უწყობს ამ მცენარის კულტურის აყვავებას. ამ მცენარის კულტურით აქ უმეტესათ სახელოგანათლებულია შემდეგი სოფლები: ცრია, ლამაშენი, მამა-წმინდა, ორ-ჯოხა, მუშიშ ხანა, სინკათი, ირსა, ბერტა და სხ. ეს ძვირფასი მცენარე ხარობს 1.500—2000 ფუტის სიმაღლეზე (ზღვის დონეზე მაღლა). აქ ზეთის ხილის შემდეგი ხარისხებია ცნობი-

ლო: ოტური, მსხვილ მარცლოვანი, რომელსაც ამარილებენ და ზეთს ხდიან; ბუტკო—საშუალო მარცლოვანი; გორვილა—წვრტლ-მარცლოვანი (ამასაც ამარილებენ) და „თბილისი“ (ამასაც ამარილებენ). საშუალო რიცხვით, ართვინის მიდამოებში 15.000 ფუტი ზეთის ხილი მოყავთ წელიწადში. შემოსავლის მხრით ამ მცენარის კულტურა არც ერთ სუბ-ტროპიკულ მცენარის კულტურას არ ჩამოუვარდება. ზეთის ხილის ჭარბა ბაღებში ბევრია: თხილი, წაბლი, ნიგოზი (კაკალი), ხურმა, ბროწეული, მია (კომში), ლეღვი, ქლიავი, მსხალი, ბალი, ალუბალი და სხ.

ამ მევნახეობასაც ეწევიან. საშუალო რიცხვით 1.480 ოთხ-კუთხი დესეტინა ორივე სისტემის: მაღლარი და დაბლარი ვენახია. ამ უფრო გავრცელებულია ყურძნის ჯიში, რომელსაც ადგილობრივ „ოდესას“ უწოდებენ და ბაზარზე კი იზაპელას სახელითაა ცნობილი. ამ ჯიშის ყურძენი ღვინოს ძალიან მდარეს იძლევა, მაგრამ საკმელათ კარგია და მარგებელი.

**სპეციალური კულტურა.** ამ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია: ჩაი, მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, ბამბუკი და ვარდები.

სუბ-ტროპიკულ მცენარეთა კულტურა ამ მე-XIX საუკუნის 80 წლებში შემოიტანეს რამდენიმე ეგზოტიურ მცენარეთა მოყვარულმა პირებმა. ოლქში ამ კულტურის პირველი პიონერი იყო ვინმე სოლოვცოვი, რომელმაც 1880 წელს ჩინეთიდან გამოიწერა რამდენიმე ძირი ჩაის მცენარისა. ამ მცენარემ ამ ჩინებულათ გაიხარა და ჩინებულათაც ითესლა. ამ ცდას თან მოყვა ჩაის პატარა-პლანტაციის დაარსება. \*) სოლოვცოვის ცდამ ძალიან დაინტერესა მოსკოვის ცნობილი ჩაის ფირმა „კ. პოპოვი“, რომელმაც მალე ბათუმის მახლობლათ ჩაის დიდი პლანტაცია გააჩაღა, რისთვისაც ამ ფირმამ 1893 წელს ჩინეთიდან, ასსანიდან და სხვ. ჩაის სამშობლოდან გამოიწერა 15.950 ჩაის ბუჩქი. ამ პირველი პიონერების ცდამ მალე შიქცია ყურადღება ყოფილი საუფლის წულო მამულების უწყებისა, რომელმაც განიზრახა ჩაქვის მამულებში ჩაის პლანტაციების დაარსება და ამ მიზნით, 1895 წელს, პროფესორი კრასნოვისა და აგრონომი კლინგენის მეთაურობით, განსაკუთრებული ექსპედიცია გაგზავნა აღმოსავლეთში, ჩაის სამშობლოში. ამ ექსპედიციას დავალებული ქონდა ჩაისა და სხვა და სხვა სუბ-ტროპიკულ მცენარეთა კულტურის ადგილობრივთ შესწავლა. ექსპედიციამ აღმოაჩინა, რომ იაპონიის

\*) იხილე: С. Н. Тимофеев. „Культура чайного куста и производство чая в западн. Закавказье“, თბილისი 1912 წელი.

ჩინეთისა და ზოგან ინდოეთის ჩაის რაიონებში თითქმის ისეთივე ჰავის პირობებია, როგორც ბათუმის ოლქში. ამ აღმოჩენამ კიდევ უფრო წახალისა ახალი საქმის ანიციატორები და ხელი შეუწყო დასახელებული რეცენარეთა კულტურის აყვავებას. დიდი ომიანობამდე ოლქში ჩაის პლანტაციები გავრცელებული იყო 13 სოფელში, უმეტეს ნაწილათ ზღვის განაპირა ადგილებში. უფრო დიდი პლანტაციები კი ეკუთვნოდა ყოფილ საუფლისწულო მამულების გამგეობასა და „კ. პოპოვის“ ფირმას. ოლქში ჩაის კულტურის სურათს საკმაოდ გვიხატავს ქვემო-მოყვანილი ცხრილი.

წლები:	მესაკუთრეთა რაოდენობა:	პლანტაციების მთლიანი სივრცე დესეტინებში და საენებში:	შეკრებილი ჩაის რაოდენობა გირვანქობით.
1911	112	644,500	882.855
1912	122	711,60	1.106.598
1913	146	788,1798	1.332.866
1914	167	809,718	1.357.817
1915	194	823,1873	1.570.808

ეს ცხრილი ცხადათ გვაჩვენებს, რომ აქ ჩაის კულტურა თანდათან ვითარდებოდა. საუფლისწულო უწყების პლანტაციების სივრცე 500 ოთხ-კუთხ დესეტინას უდრიდა; აქედან მოუშადადებიათ 1.266.519 გირვანქა ჩაი, იმავე წელს კ. პოპოვის „ქონია 128 დესეტინა ჩაის პლანტაცია“ და 145.801 გირვანქა ჩაი დაუშადადებია.

გეოგრაფიულათ ჩაის პლანტაციები შემდეგ აჩირათ: იყო ანაწილებული: ჩაქვის მახლობლათ იყო 553 დესეტინა და 1.300 ოთხ-კუთხი საენი; სოფელ სალიბაურში—77 დ. 250 საე. სოფ. კაპრიშუშთან—39 დ. 1300 ს. სოფელ სოუქ-სუსთან.—26 დ. 142 ს.; სოფელ მახინჯაურში—24 დ. 710 ს. სოფელ აკუჩაში—24 დ. 1800 ს.; სხვა სოფლებში პლანტაციების სივრცე პატარა-პატარა იყო.

ჩაის კულტურას, როგორც საზოგადოთ დასავლეთ საქართველოში, ისე ბათუმის ოლქში, ერთობ დიდი მომავალი აქვს. თეორიამ და პრაქტიკამ

ორივემ დაამტკიცა, რომ აქაური ჰანა და ნიადავი ზედ გამოქრილის ჩაის კულტურისათვის. აქ იმასაც უნდა მიეჭკეს ყურადღება, რომ ამ მცენარის კულტურას ერთობ დემოკრატიული ხასიათი აქვს, ესე-იგი ჩაის მოვლა-მოშენების საქმე იმდენათ მარტივი ყოფილზე, რომ იმის მოშენებას ადვილათ შესძლებს თვით უღარიბესი მიწის მუშაკი. მხოლოდ საჭიროა, რომ ამ ოლქში იყოს სკკმაო ქარხნები ასეთი წვრილი მესაკუთრე გლეხების მიერ შეკრებილი ფოთლების გასაშრობლათა და დასამუშავებლათ.

ამ ოლქში, დაწყებული ბათუმის რაიონებიდან, თვით ოსმალეთის საზღვრებამდე, დიდი მომავალი აქვს აგრეთვე ციტრუსების კულტურას (ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი და სხვა). ოლქის ამ ნაწილში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იაპონური ჯიშის მანდარინი „უნშიუს“ (უკურკო ჯიშის) კულტურა. ამ ჯიშის მანდარინი ერთობ გემრიელი და ნაყოფიერი და თანაც ტემპერატურის ცვალებადობის ამტანი. ექვსი წლის დარგული „უნშიუსი“ ხშირათ მტნ ნაყოფს იძლევა; ნაყოფიერებით ამ ჯიშის მანდარინი სჭარბობს აქ სხვა ყველა ხილეულობის კულტურას. აქ, განსაკუთრებით, ბათუმის პლანტაციებში უფრო გავრცელებულია „უნშიუს“ ჯიშის მანდარინი, რადგანაც აქაურს მეურნეს სრული იმედი აქვს, რომ იგი ნაყოფსაც უმცდარათ მისცემს და ბაზარზედაც მას მეტოქე არ გამოუჩნდება. უნშიუსს ვერ უწევს მეტოქეობას ვერც იტალიური მანდარინები და ფორთოხლები. „უნშიუს“-ი დიდ ძალი გააქვთ ბათომიდან ევროპის სხვა და სხვა ბაზრებზე. უნშიუსის ერთი დიდი ღირსება ისიც არის, რომ ის ოლქში ადრე შემოდის, ასე რომ ერთი თვით უსწრებს სამხრეთ ევროპის ციტრუსულ ხილებს.

უნშიუს „კულტურამ ისე გაიტაცა ადგილობრივი მეურნეები“, რომ ბევრმა მათგანმა უკვე შეამცირა ჩაის პლანტაციების სივრცე და „უნშიუს“-ის კულტურის გაფართოვებას შეუდგა. ამის მიზეზი ისიც არის, რომ მანდარინის კულტურა კიდევ უფრო მარტივია ჩაის კულტურაზე და გაცილებით ნაკლებ შრომას მოითხოვს მეურნისაგან. შემოსავალს კი, თუ მეტს არა, ჩაის ოდენს მაინც მისცემს მას. ესეც არ იყოს, „უნშიუს“ მეურნე ყიდის და სულ ჩქარა აქცევს ფულათ, მაშინ, როცა ჩაის მოკრეფასა, განმობასა და დამუშავებას დიდ ღირს უნდა. საზოგადოთ ციტრუსებსა და კერძოთ „უნშიუს“ კულტურისთვის ბათუმის ოლქში ერთობ კარგი ბუნებრივი პირობებია, თუმცა ამ კულტურისთვის გამოსადეგი ადგილების რაოდენობა ჩაისკულტურისთვის გამოსადეგი ადგილების რაოდენობაზე გაცილებით ნაკლებია. მანდარინ-



ტები, როგორც ამას სოხუმის ოლქში ვხედავთ, არამედ თვითონ ადგილობრივი მკვიდრნი.

**მესაქონლეობას** აქ არ აქვს ასე თუ ისე საგრძნობი მნიშვნელობა; ის აქ მხოლოდ მიწის მეურნეობისათვის დამხმარე საგანს წარმოადგენს. მხოლოდ ოლქის ომ ნაწილებში, რომელიც ყარსის ოლქს ეკვრის, მეურნეობის ამ დარგს აქვს ასე თუ ისე ფართე ხასიათი. აქ მეჯოგეები ქურთები არიან. ისინი კახაბერის მიდამოებში იჯარით იღებენ საზამთრო საძოვრებს. გაზაფხულზე კი თავის ჯოგებს იალანუზ-ჩამსის ქედის გადაღმა მიერეკებიან. მეურნეობის ამ დარგის განუვითარებლობა აქ სრულრზად დამოკიდებულია ადგილობრივ ბუნებრივ პირობებზე. ბათომის ოლქის უდიდესი ნაწილი, როგორც ეს ჩვენ ზემოთ დავინახეთ, დაქრილ-დასერილია კედელივით სწორათ მმართული კლდეებითა და ვიწრო ხეხვებით. მთების კალთები მეტის მეტათ დაფარდებული და გაუვალია, როგორც საქონლისთვის, ისე ადამიანისთვისაც. ეს გარემოება ხელს უშლის მცხოვრებლებს ისარგებლონ ადგილობრივი სათიბებითა და ალბიური საძოვრებით.

აქაური პირუტყვი ერთობ პატარა ჯიშისაა და შედარებით ძლიერ ცოტას იწონის.

**მადნეულობითაც** მდიდარია საქართველოს ეს ნაწილი, ჯერ-ჯერობით უფრო კი სპილენძის მადნებით არის იგი ცნობილი, აქ ძველის ძველათ ფინიკიელები და გენუელები ამუშავებდნენ სპილენძის მადანს, რასაც ცხადათ ამტკიცებს აქ მათი მუშაობისაგან დარჩენილი კვალი. უკანასკნელ დიდი ომიანობამდე აქ სპილენძის წარმოება ძლიერ კარგათ იყო დაყენებული. სოფელ ჯანსულში; მდინარე მურღულზე, იყო ჩინებულათ დაყენებული სპილენძის ქარხანა ინგლისის კაპიტალისტებისა, რომელიც დანგრეულ იქნა ოსმალების მხედრობის მიერ 1918 წელს. გეოლოგების გამოაზარაშებით, ეს რაიონი სპილენძის მადანით მდიდარია; მისი რაოდენობა უამრდენიმე მილიარდ ფუთს აღემატება. შესანიშნავია აგრეთვე მდიდარი სპილენძის მადნები სოფელ კვარცხანაში, სადაც გერმანელი კაპიტალისტი სიმენსის ფირმა მუშაობს. ეს ქარხანა 1918 წელს გადარჩა ოსმალეთის ჯარების მიერ განადგურებას, რადგანაც ოსმალები ხელს არ ახლებდნენ თავისი მოკავშირე გერმანელების ქვეშევრდომების ქონებას. 1919-1920 წლებშიც ეს ქარხანა, სა-

ქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მატერიალური დახმარებით, განახლებული იქნა და ამუშავდა. ამის გარდა დანამდილებით არის გამორკვეული, რომ დიდ ძალის სპილენძი არის სხვათა შორის ირსაში, ბერტაში, პოროსეთსა და სხვა სოფლებში. მთავრობის იმის იტყობს ქართველთა შორის, რომლებში არის მარგანეცი, ვერცხლისა და ტყვიის მადანი და აგრეთვე კარგი ლირსების მარმარილოს ქვა.

**მიმოსვლის საშუალება.** ზემო მოყვანილი ცნობები ცხადათ გვიმტკიცებს, რომ საქართველოს ეს ნაწილი უაღრესათ მდიდარია, მაგრამ ამ სიმდიდრის ზამუშავებას და გამოყენებას ყველაზე მეტათ ხელს უშლის მიმოსვლის საშუალების უვარგისობა. მთელ ოლქში მხოლოდ ორათ-ორი შოსესს გზაა: აქარის წყლის ხევი ბათომიდან ახალ-ციხეზე მიმავალი და ბათომიდან ქოროხის ხეობით ართვინის, არდნუქსა და არდაგნისაკენ მიმავალი. ოლქის დაწარჩენ აღდგინებაში ერთობ ძვირია ისეთი შარა-გზებიც კი, ვასადაც ჩაღვადრის ცხენით საქონლის გადატან-გადმოტანა შეიძლებოდა. მდ. ქოროხის გაწაპირა მცხოვრებლები ამ ნაკლს ბევრათ თუ ცოტათ მაინც ინაზღაურებენ ქოროხზე პატარა ნაოსნობით. დანარჩენი მცხოვრებთა უმეტესობა ერთობ აუტანელ პირობებშია გზების უქონლობით.

საქართველოს ამ ნაწილის უდიდესი ქალაქი ბათომია. ეს ქალაქი ერთობ ლამაზია და მისი ჩინებული ნავთ-სადგური მთელს საქართველოში საუკეთესოთ ითვლება.



იუტანტეიუსამდე ქოროხის მთავრობის რეზერვუარის მნიშვნელობის შესახებ

**გზებისა და ტრანსპორტის მდგომარეობა საქართველოში.**

ქვეყნის მეურნეობის განსავითარებლად უდიდესი მნიშვნელობა ტრანსპორტს აქვს. მიმოსვლის გაუმჯობესება აადვილებს საქონლის გადატან-გადმოტანისა და გაცვლის საქმეს, ქმნის ახალ-ახალ ბაზრებს, აფართოებს და ადიდება საქონლის მოთხოვნილებას. ტრანსპორტის სიიაფე აიაფებს საქონელს.

ბაზარის გაფართოვება ბუნებრივად ზრდის საქონლის წარმოების საქმეს. წარმოების გაუმჯობესება ცვლის აგრეთვე თვით წარმოების ხასიათსაც. ტრანსპორტის გაუმჯობესებასთან ერთად წარმოების უწინდელი სხვა და სხვაობა თან და თან უთმობს ალავს ერთი რომელიმე წარმოების აყვავებას. ეს ადვილი მისახვედრია. თუ მოტანილი საქონელი უფრო იაფად ჯდება განვითარებული და იაფი ტრანსპორტის მეოხებით, ვიდრე ადგილობრივი ნაწარმოები, რა თქმა უნდა მოტანილი საქონელს ირჩევს მომხმარებელი და ამ საქონლის ადგილობრივი წარმოება ძალა-უნებურად ისპობა. უწინ, როცა მიმოსვლისა და ტრანსპორტის საშუალება გაუმჯობესებული არ იყო, როცა მომხმარებელს იმედი არა ქონდა, რომ საჭირო საქონელს დაიქარებით და იაფად მიიღებდა, ის იძულებული იყო ადგილობრივად ეკეთებია არა ის საქონელი, რომლის კეთებაც მის მხარეში ყველაზე უფრო შეიძლებოდა, არამედ ის რაც მას ყველაზე უფრო ესაჭიროებოდა. ახლა მდგომარეობა შეცვლილია. ორთქლის ტრანსპორტმა შესაძლებლად გახადა მეურნეობის რაციონალურად დაყენების საქმე: ახლა შესაძლებელი შეიქნა მეურნეობა ხელი მიყოს ისეთი საქონლის წარმოებას, რომელიც უფრო ცოტა შრომის დახარჯვით მას უფრო მეტ საქონელს მისცემს. ამასთანავე სხვა და სხვა რაიონების მეურნეობა ადგილობრივი პირობების მიხედვით, იღებს სხვა და სხვა ფორმებს. მაგრამ ტრანსპორტის გაუმჯობესება აუმჯობესებს ყველა რაიონების მეურნეობას, უფრო ინტენსიურად ხდის მას (პროფეს. ვერნერი).

საქართველოში, სამწუხაროთ, ვერ არის რიგიანად დაყენებული ტრანსპორტის საქმე. მთელს რესპუბლიკაში მხოლოდ 959 ვერსი რკინის გზაა. აქედან 817 ვერსი ფართე ლინდაგიანი და 91—ვიწრო. სხვა გზების რაოდენობა უდრის 3.570,83 ვერსს; აქედან 2073 ვერსი შოსესს გზა არის და 1.498 ვერსი ტრაქტისა.

გზები რესპუბლიკაში ერთობ უსწორ-მასწოროთ არის განაწილებული. თბილისისა და ქუთაისის მაზრებში გზების ქსელი საკმაოდ სქელია; სხვა რაიონებში კი მეტის მეტად თხელი. გზების მხრით ყველაზე უფრო ღარიბია დუშეთისა, თიონეთისა და ლეჩხუმის მაზრები. შემდეგი ცხრილი საკმაოდ გვიჩვენებს თუ როგორ არის გზები რესპუბლიკაში განაწილებული:

მაზრები და ოლქები:	გზები ოთხ- კუთხ ვერს:	მცხოვრებ- თა რაოდენ- ობა:	შოსვე ვერსებ- ში:	ტრაქტე- ბი ვერ- სებში	სულ	გზა ოთხ- კუთხ ვერსზე
ტფილისის	4.004,08	456.386	250	1.075	1.325	0,33
გორის	6.007,06	235.614	133	580	713	0,12
ღუშეთის	3.411,90	89.742	148	177	325	0,09
თელავის	2.162,91	74.829	129	225	354	0,16
სიღნაღის	5.291,79	141.356	142	465	607	0,12
ახალციხის	2.331,98	95.975	138	225	363	0,15
ახალქალაქის	2.407,00	104.946	112	590	602	0,29
ბორჩალოს	6.036,96	174.388	71	795	866	0,14
თიანეთის	4.250,06	44.820	40	130	170	0,04
ქუთაისის	3.042,64	284.511	163	987	1.150	0,37
ზუგდიდის	2.346,40	131.887	53	845	898	0,38
ლეჩხუმის	4.281,88	60.787	90	115	205	0,037
ოზურგეთის	1.899,04	111.436	42	638	680	0,35
რაჭის	2.476,58	88.763	62	105	167	0,06
სენაკის	1.869,20	154.558	30	795	825	0,41
შორაპნის	2.616,35	205.992	—	355	355	0,13
სოხუმის ოლ.	5.791,79	189.907	245	495	442	0,14
ბათუმის ოლ.	6.129,41	158.796	305	100	305	0,07*)
<b>ს უ ლ</b>	<b>66.360,00</b>	<b>2.796693</b>	<b>2.153</b>	<b>8.699</b>	<b>10.852</b>	<b>—</b>

ამ ცხრილიდან ცხადათ ჩანს, რომ მაზრების უმეტესი ნაწილი გზების მხრით ერთობ ღარიბია. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ხელს უშლის მის ეკონომიურ განვითარებას.

\*) ყველა ეს სტატისტიკური ცნობები ამოღებულია ინჟინერ ი. ანდრონიკაშვილის სტატიიდან: „საქართველოს რესპუბლიკის გზები და მათი მდგომარეობა.“ იხილე ჟურნალი „გზათა უწყების მოამბე“, № 6—7, 1920 წელი.

# ს რ მ ხ ე თ ი.

სსრკმხეთი შესდგება ერევნის გუბერნიისა და ყარსის ოლქიდან. ერევნის გუბერნია სივრცით 24.194 ოთხ-კუთხი ვერსია. ამ გუბერნიაში 1916 წლის 1 იანვარში ოთხ-კუთხ ვერსზე საშუალოთ 48,3 სული მცხოვრები ითვლებოდა. ამ გუბერნიის ტერიტორია წარმომდგარია ვულკანიურ ძალთა მოქმედებით იგი წარმოადგენს ამაღლებულ ფართე ვაკეს, რომელიც დაფერდებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთით და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. გუბერნია თითქმის სულ ერთიანათ მთებისაგან შესდგება; მისი საზღვრებზე ირგვლივ გაწოლილია მთის ქედები, რომლებიც მხოლოდ კალთებით იჭრებიან მისი ცენტრისაკენ. აქ განკერძოებული დიდრონი მთები ისე აზიდულან მალლა, თითქო მათ არაფერი კავშირი არა ქონდეთ სხვა მთებთან. ხსეთ სურათს წარმოადგენენ მაგალითათ დიდი და მცირე არარატისა და კარნიარის მთები. ამ გუბერნიაში 15-მდე ამაღლებული ვაკე ითვლება. თავისი მდებარეობით ერევნის გუბერნია კავკასიაში ყველა გუბერნიაზე მალლა დგას ზღვის დონედან. აქ ძალიან ხშირია ისეთი ადგილები, რომლებიც 10—11 ათასი ფუტის სიმაღლიდან 3—4 ათას ფუტზე გადადის ზღვის დონეზე მალლა.

ხსეთი ტოპოგრაფიული სხვა და სხვაობიდან წარმოსდგება აქაური ჰავისა და ნიადაგის სხვა და სხვაობაც. ეს სხვა და სხვაობა კი აქ ყველასთვის საგრძნობია. მაშინ, როცა 6—7 ათასი ფუტის სიმაღლეზე (ზღვის დონეზე მალლა) მდებარე პლატოებზე საშინელი მკაცრი და ხანგრძლივი ზამთარი იცის, საკმაოა გაიაროთ სულ რამდენიმე ვერსი, რომ სურათი სულ ერთიანათ გამოიკვალოს. იქვე იწყება დაბალი და თბილი ადგილები, სადაც ზამთარი თბილია, ზამთარი 3—4 თვე ძლივს გრძელდება, თოვლი რამდენიმე საათსაც ძლივს ჩერდება და საშუალო წლიური ტემპერატურა + 12° უდრის. ზაფხულის დასაწყისში, როცა მთებში დიდი თოვლი დევს და საშინელი სიცივება, იქვე მახლობლათ მდებარე დაბლობში აუტანელი, სულის შემხუთველი სიცხება.

ოროგრაფიულათ და გეოგრაფიულათ ერევნის გუბერნია შეიძლება გაყუთ ხუთ სარტყლათ:

1. მდ. არაქსის დაბლობები, რომელიც გაწოლილია აშ. მდინარის ნაპირზე და მიდის ეჩმიანის, სურმალინის, ერევნის, შარურო-დარაღაგიოზისა და ნახიჩევანის მაზრებზე.

2. მაღალ მთიანი სარტყელი, რომელიც შეიძლება რამათ გავეყოთ: ა) უფრო მაღალი ნაწილი, სადაც მოთავსებულია საძოვრები: ალაგიოზისა, არაქსისა და კარნიარისა და ზვრეთვე მთა-ვაკეები: იარიჯა, აბარანი, კირხბულაღი, შორაგიაღი, ბამბაკი და სხვა დაბალი ზოლი, რომელიც დასერილია მთის ქედებითა და ღრმა ხეობებით.

3. მთის კალთების ზოლი (Предгорная), რომელიც შედის ყველა მაზრებში გარდა ალექსანდროპოლისა და ნოვო-ბაიაზეთის მაზრებისა და მდებარეობს არაქსისა და მაღალი მთის ზოლებს შუა.

4. გოგჩის ხნარცვი, რომელსაც უკავია უფრო დაბალი ნაწილი ნოვო-ბაიაზეთის მაზრისა და თავისი ბუნებრივი თვისებებით ძალიანა გავს მეორე ზოლს და

5. ორღუბათის ხნარცვი, რომელიც მდებარეობს ნახიჩევანის მაზრის აღმოსავლეთ ნაწილში,

**შავა.** ერევნის ხნარცვი ყველაზე უფრო ტიპურია შავის მხრით: ის გარშემორტყმულია ზეგნებით (Плоскогорьями), საიდანაც სამთრობით მეტის მეტათ ციფრ შავრი ჩამოდის ბარში. ამიტომაც ერევნის ხნარცვში მეტის მეტათ შაკარი სამთარჩი იცის. აქ ზაფხულიც ცხელი და აუტანელია. ერევნის ხნარცვი დაშორებულია როგორც კასპისს, ისე შავ ზღვას. მის გარეშე გაწოლილი მაღალი მთის ქედები არც ერთი მხრიდან არ უშვებენ ერევნისაკენ ზღვის სველსა და ნესტიან ჰაერს, ამიტომაც ერევნის ქვაბურამეტის მეტათ ხმელთაღმართული ნალექის რაოდენობა აქ საშუალო რაოდენობით უდრის 150—300 მილიმეტრს. ეს რიცხვი კიდევ უფრო მცირდება გაზაფხულზე და 75—150 მდე ჩამოდის. წლის ზოგიერთ სეზონში 25—75-მდეც იწევს. ატმოსფერული ნალექის ასე უმნიშვნელო რაოდენობა ცხადათ გვაჩვენებს, რომ ერევნის გუბერნიაში გვალვა სრულიად ჩვეულებრივი და თითქმის მუდმივი მოვლენაა. ცოტა გამონაკლისს მხოლოდ შეადგენენ გაზაფხულისა და შემოდგომის ზოგიერთი თვეები. შავრის ასეთი საშინელი სიმშრალე, მთელი თვეობით ხანგრძლივი უწვიმრობა, უტყეო და ტიტველი დიდრონი მთები, რომლებიც ზაფხულობით აუტანელ სულის შემხუთველ სიციხეს უგზავნიან ბარს და შამა

თრობით საშინლაფ მკაცრ ზამთარს, ტემპერატურის მუდმივი და სასტიკი ცვალებადობა ყოველი ეს პირობები ქმნიან პირ და პირ აუტანელ პირობებს მცენარეთათვის. ამიტომაც ერვენის ხნარცივი ნამდვილი, ტიპური უდაბნოა, რომელიც თან და დან ცოცხლდება არჟქისა და მის ტოტებთან და აგრეთვე იმ ირრიგაციული არხების მახლობლათ, რომლითაც ირწვება ამ უდაბნოს ზოგიერთი ნაწილი. სწორეთ ამ ნაწილში მდებარეობს მრავალი სოფლები, რომლებიც გარ-შემორტყმულია ნახნავ-ნათესებით, ბალებით, ბოსტნებით, ვენახებით და მაღალი ალვის ხის ქალებით, მეტის მეტათ მაღალი მდებარეობა ერვენის გუბერნიისა და მისი კანტინენტალური ჰავა არის მიზეზი, რომ იგი თითქმის სულ მოკლებულია ტყეს. 1915 წელს აქ ტყის სივრცის რაოდენობა 86,804 ღესეტიანა ითვლებოდა, რაც მხოლოდ 3<sup>0</sup>/<sub>100</sub> შეადგენს მთელი გუბერნიისას.

**ნიადაგის** მხრითაც გუბერნია საკმაო სხვა და სხვაობას წარმოადგენს. დაბალ რაიონებში სჭარბობს თიხა მისი ყოველგვარი სხვა და სხვაობით (В ея различных изменениях). წმინდა თიხიანი ნიადაგი შედარებით ერთობ ცოტათ. უმეტეს ნაწილათ აქ თიხაში არეულია: ტარახიტი, აბსიდი, ბჟეო (ბოზალტი) და სხვა ვულკანიური წიაღვარის ნაწილები.

თუ ასეთი ნიადაგი საკმაოთ მოიწყყ, მოსავალს კარგს მისცემს მეურნეს; მაგრამ ის იმდენათ მაგარია, რომ დიდი ხნის რწყვის შემდეგ ერთობ ბევრი შრომა სჭირდება მუშას მის დასახნავათ. აქ მიწის ხვნა იმდენათ ძნელია, რომ ზოგიერთ ადგილებში რვა უღელა კამეჩის ძალაც არ არის საკმაო, რომ გუთნით მიწა მოხნას. ბევრგან ნიადაგში თიხას ურევია: სილა და ხრეში, ასეთი მიწა მეტის მეტათ ფხვიერია და წყალსა და სინესტეს დიდ ხანს ვერ ინახავს. მიწა შავი ერთობ ცოტა შეგხვდებათ და ისიც მხოლოდ ზოგიერთ დაბალ ადგილებში. ზოგ ადგილებში მიწაშავს ხშირათ ურევია თიხა და ვულკანიური წიაღვარის სხვა და სხვა ნაწილები. ზოგ ადგილებში მიწის დამუშავება უფრო ნაკლებ შრომას მოითხოვს, ვიდრე დაბლობში. დაბალს ადგილებში სჭარბობს ბიცი მარილ-ნარევი ნიადაგი. ასეთი ნიადაგი მოსავლის მხრით შეიძლება გაიყოს სამ ჯგუფათ: პირველი ჯგუფი დიდი და ხანგრძლივი რწყვის შემდეგ იძლევა მხოლოდ მჭლე ბალახეულობას, რომელიც მხოლოდ ზამთარობით ვარგა ცხვრების საძოვებლად. იმავე ადგილების მეორე ჯგუფზე მჭლე ბალახეულობის გარდა აქა-იქ შეხვდებათ ჩირვენარს, ეგრეთ-წოდებულ სავარცხელას (Гребен-

ყუკ) და სხვა მის გვარ მცენარეებს, რომლებიც მხოლოდ აქლემების ზაკვებ მასალათ თუ გამოდგება. მესამე ჯგუფის ბიცი ნიადაგი ცნობილია „შავი მარილით“ („Чорный солончак“) ასეთ ნიადაგში მეტის-მეტათ სჭარბობს მარილი, განსაკუთრებით გვარჯალა, ასეთ ადგილებს ვერაფერითაა მორწყვა ვერ უშველის. მასზე არაფერი მცენარეულობა არ ხეირობს.

დაწლალავ შრომასა და ცოდნას შეუძლია მხოლოდ რამე ნაყოფი გამოაღებინოს ასეთ მარილიან ნიადაგს. ამისათვის კი ერთობ ბევრი სარწყავი წყალია საჭირო. ამიტომ ასეთი ადგილების განსაზღვრულ რაოდენობას ჩვეულებრივად მთელი ხაფხულის განმავლობაში სტოვებენ წყალ-ქვეშ. შემდეგ წელიწადს იმავე მიწას ყოფენ თხრილებით თხ-კუთხებათ; წყალი, რომელიც მიდის თხრილებში, რეცხს ნიადაგს და თან მიაქვს მარილი. ერთი ან ორი წლის ასეთი ოპერაციის შემდეგ, თუ დარწმუნდებიან, რომ ნიადაგის ზედა პირი მარილიდან უკვე თავისუფალია, ხნავენ, აბრუნებენ ნიადაგს, რომ ისიც იმავე წესით გარეცხონ და მარილიდან გაანთავისუფლონ. ხუთი-ექვსი წლის ასეთი აუტანელი მუშაობის შემდეგ, სთესენ ხორბალს ამ რიგათ მარილიანი მიწების მეორე ჯგუფიც შეიძლება აქციოთ სახნავ-სათესათ, მაგრამ ამისათვის საჭიროა ვრა ხუთი-ექვსი წლის აუტანელი მუშაობა, არამედ ათი-თორმეტი წლისა. რაც შეეხება მესამე ჯგუფის მიწებს („შავი ბიცი“), ის არაფერ მუშაობას არ ემორჩილება, მაგრამ აღამიანის შრომის მოყვარეობასა და ხასიათის სიმტკიცეს ხშირათ ბუნებაც ემორჩილება. ხშირათ აქ ასეთ მიწებს აკლიან ზედა-პირს ერთი არშინის სიღრმეზე. ამ ჩაღრმავებულ ადგილს ავსებენ წყლით. რამდენიმე წლის განმავლობაში ამ წყალს ცვლიან ახალი წყლით. წყალს თან მიაქვს ნიადაგის მარილი. ათიოდე წლის ხსენი მუშაობის შემდეგ, ასეთ განახლებულ მიწაზე შეიძლება დაითესოს ხორბლეული, ან პატარ-პატარა ბაღები გაშენდეს.

1.107.8 188 88  
8.171 814 8

**მცხოვრებლების** ეთნოგრაფიული შემადგენლობა. ეთნოგრაფიულათ ერევნის გუბერნია ერთობ ჰრელ სურათს წარმოადგენს. 1916 წლის ცნობებით გუბერნიის მცხოვრებთა მთელი რიცხვი უდრიდა 1.120.242 სულს ორივე სქესისას. ამათში სომხები იყენ 4669.871, თათრები — 373.582, ქურთები — ეზიდება — 12.624, ჩუხები — 16.103 სული. დანარჩენები — ბერძნები და აისორები.

1.120.242 1870 226

**მოსაქმეობა.** მცხოვრებთა უმეტესობა მიწის მუშაობით ცხოვრობს. აქ სთესენ პურსა და ქერს. მაღალ, ზეგნებში, სთესენ ეგრეთ წოდებულ „კარმაზ ბახატის“ ჯიშის პურს, დაბალ ვაკეებში კი — „სიპტაკა-ხატის“ ჯიშისას. მთის ზონებში მხოლოდ გაზაფხულის პური მოდის, საშუალოსა და დაბალ ზონებში კი გაზაფხულისაც და შემოდგომის პური — მთა ადგილებში და ზეგნებში პური ერთი სამათ და ოთხათ მოდის; თუ ერთი მარცვალი აქ 5—6 მარცვალს მისცემს, ამას ძლიერ კარგ მოსავალს ეძახიან. საშუალოსა და დაბალ ზონებში საშუალო მოსავლათ ითვლება, როცა თესლი ერთი ხუთათ და ექვსათ მოდის; თუ ერთი მარცვალი 7—8 მარცვალს იძლევა, ეს აქ ჩინებული მოსავალია. მოსავლის ასეთი სიმცირე გამოწვეულია ნიადაგის გამოფიტვით. აქ მიწას არ ასვენებენ; არც თესლის შერჩევა, არც მიწის ხელოვნურათ განოციერება აქ არ იციან. საქონლის პატავი ამისათვის არ ემეტებათ; რადგანც, ვეი, ტყის უქონლობის გამო, სათბობ მასალათ მიდის.

1906—1910 წლებში, სტატისტიკური ცნობების მიხედვით, გუბერნიაში საშუალო რიცხვით მოსავლის შემდეგი რაოდენობა ყოფილა:

ხორბლეულობა	დათესილი იყო დესეტინა	შეუკრებიათ ათას ფუთობით:
შემოდგომის კვავი	210	9,2
„ პური	72.332	4.465,5
გაზაფხულის კვავი	96	4,1
„ პური	104.696	3.527,2
ქერი	82.564	3.704,4
პოლბა	4.446	171,8
გრეჩინა	24	1,2
ფეტვი	226	17,0
მუხუდო	95	8,3
ცერცვი ღლობიო.	345	17,0
<b>ს უ ლ.</b>	<b>265.070</b>	<b>12.015,7</b>

მიწის შეშობა აქ ერთობ პრიმიტიული საშუალებით წარმოებს. გლეხების უმეტესობა მიწას ხნავს აგრეთ წოდებული ჯუტის და ქეთნის საშვალე-ბით. ჯუტი — ადგილობრივი გუთანაა, რომელიც მიწას აწრავს მოხრილი და დამწვეტებულის ტოტით, რომელზედაც წამოცმულია მიწის საჭრელი ჯკინა-სახნისი (жемех). ასეთი იარაღი ქლივის ორი გოჯის სიღმეზე და  $3\frac{1}{2}$  გოჯის სიფართეზე ხნავს მიწას. ასეთ გუთანში სამ უღელ ხარკამეჩს აბამენ. ჯუტი უფრო დაბალსა და საშუალო ზონებშია გავრცელებული. ქეთანი კი მიღებულია უფრო ზევან ალაგებში. ეს უკანასკნელი კიდევ უფრო პირველ-ყოფილი იარაღია ვიდრე ჯუტი. ქეთანში 7—8 უღელ ხარკამეჩს აბამენ. მისი ნახნავი სიღრმით 4—4 $\frac{1}{2}$ -სა და სიფართით 6 გოჯს უდრის. თესლის დასათარაკად და ხნულის მოსასწორებლათ ხმარობენ ფარცხს, რომელიც შესდგება ფიცრისაგან მთელი წყება ხის კბილებით. შელტის დასამტვრევად და ხნულის გამხმარი ზედა-პირის გასაფხვიერებლათ ხმარობენ „ტაპანს“.

პურს ლეწენ ეგრეთ წოდებული „კამო“-თი ან „ჯარჯარის“ საშუალებით, რომელიც დაახლოვებით იგივეა, რაც ქართული კეჭრი. „კამო“ კი შესდგება ოთხ-კუთხათ შეკრული ხის ჩარჩოებისაგან, რომელსაც ძირსამიმაგრებელი აქვს ორი სრულიად თავისუფლათ მოძრავი ხის მრგვალი ნაჭრები. ამ მრგვალ ნაჭრებს აქვს პატარ-პატარა რკინის ნიჩბები თითო  $1\frac{1}{4}$  ცენტის სიგრძე და განით 1 გოჯი; ეს ნიჩბები ერთმანეთისაგან დაშორებულია 1—1 $\frac{1}{2}$  გოჯზედ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ აქაური სოფლის მეურნეობის საშინელი სენი მუდმივი გვალვები და ხშირი სეტყვაა.

078.401

— : —

სიხვეობა  
სიხიხიხი

**მებაღეობა და შევენახეობა.** 1915 წ: ცნობებით აქ ბაღებისა და ვენახების სივრცე 15.0000 დესატინამდე იყო. ამაში ყველაზე დიდი ადგილი ვენახს ეჭირა. შემდეგ ატმისა და ალჯანაბადის (ვარგარი) ბაღებისა და ქვილიან იშვიათად ნახავთ რაიმე სხვა ხილს. ვაშლი, მსხალი და ქლიავი აქ ერთობ მდარე ღირსებისაა. სამაგიეროთ, ერევნის ატამი და ალჯანაბადი მთელს სხვადასხვაშია განთქმული. ეს ხილი შესანიშნავია თავისი სიტკბოთი და არომატით. აქ აკეთებენ ატმის ჩინებულ კონსერვებს, რომელიც კარგათ იყიდება როგორც თბილისისა და ბაქოს ბაზარზე, ისე რუსეთის დიდ ქალაქებშიც. მებაღეობა განსაკუთრებულათ განვითარებულია ორდუბათში, ერევანსა და ნახჩივანში. აქაური ატამი, ლუღვი, ქლიავი, ბროწეული, კომში და ხმელი თუთა განთქმულია სპარსეთის ბაზარზე. ამ ადგილებში მოდის ერთი ისეთი ხილი, რომელიც კავკასიის სხვა ადგილებში არ

შეგვხვდებათ. ეს ხილი შარალი-თარალია. იგი ატამზე უფრო პატარაა, მაგრამ ქლიავზე დიდია და გემოთი ამოირივე ხილთა შორის რაღაც საშუალო ადგილი უჭირავს. ხილს აქ მზეზე ახმობენ. უფრო რაციონალური კეთება ხმელნ ხილისა აქ მიღებული არ არის.

მევენახეობას აქ ეწევიან, როგორც სომხები და სხვა ქრისტიანები, ისე მწამადიანებიც. ამ უკანასკნელებს მხოლოდ საკმელი ჯიშის ყურძენი მოყავთ. აქაური ყურძნის ზოგიერთი ჯიში, განსაკუთრებით, აგრეთ წოდებული „ქიშიში“, ერთობ შაქრიანი და ტკბილია. სწორეთ ეს ნამეტანი შაქრიანობა მიზეზი, რომ ერევნის გუბერნიის ღვინოები ერთობ სუსტი და დაბალი ღირსების არიან. ღვინის კეთება აქ ერთობ პრიმატიულია.

1915 წლის სტატისტიკური ცნობებით, ერევნის გუბერნიაში 10.578 დესეტინა ვენახი იყო. იმავე წელს მოუკრეფიათ 774.444 ფუთი ყურძენი, რომლიდანაც დაუყენებიათ 454.256 ვედრა ღვინო.

ღვინის მოსავლის რაოდენობა მაზრებათ ასე გაიყოფებოდა:

ერევნის	325.880
ეჩმიადინის	104.370
ნახიჩევანის	21.160
შარურ-დაბალაგების	2.260
სურგალინის	586
<b>სულ</b>	<b>454.256</b>

ქაქიდან არაყს ხდიდნენ, რაც კარგი ღირსებისა ც იყო და უწინდელ დროში კარგ შემოსავალსაც აძლევდა მეურნეს; მაგრამ 1893 წლის სააქციო კანონის შემდეგ ეს საქმე გადავიდა დიდი მაწარმოებლების ხელში, რომლებიც იაფ-ფასებში იძენენ ქაქას.

... (faint text at the bottom of the page)

შეზღვევა და შეზღვევა და აქამოთ გვერცელებულია. აქ მოყვება ჩინებული ნესვი, კიტრი, კომბოსტო, ხახვი, პამიდორი, ბარჯჯანი და სხვა აქაური ნესვი „ღუთმა“ ცნობილია თავისი კარგის ღირსებით და თბილისისა და ბაქოს ბაზრებზეც კარგათ იყიდება. ეს ნესვი სიტკბოთ და პარკმატათ კიდევ სჯობს ცნობილ ჩარჯუის ნესვს. ღუთმას შემდეგ ნარჯჯანს მწიფებენ როცა იგი ქათმის ყურის ოდენა გაიზრდება. მას ხაფიფთ თავისივე ფოთლოში და დააყრიან მიწას, ისე რომ პატარა ადგილი დარჩეს, რომ ჰაერი ჩავიდეს. ნესვი მიწაში ჩქარა იზრდება. როცა „ღუთმა“ ზრდას დაათავებს და გაყვითლდება, მიწას შემოაქლიან და ის სულ მალე მწიფდება.

007 108 5123 3001

**ბრინჯის კულტურა** ერთობ დიდ სარგებლობას აძლევს აქაურ მეურნეს, მაგრამ სამაგიეროთ ის დიდ ენებასაც აძლევს მას. წარმოების ეს დარგი ბევრ წყალს მოითხოვს; ბრინჯის პლანტაცია მუდმივ უნდა იყოს დაფარული წყლით ორი-სამი გოჯის სიმაღლეზე მაინც. ეს გარემოება აქაობებს იმ დიდ რაიონებს, რომელზედაც ერევნის გუბერნიაში ბრინჯსა ხესენ. აქაურ ცხელსა და ისედაც აუტანელ ჰაერზე ჩნდება საშინელი მალიარია, რომელიც მუხრს ავლებს, როგორც ბრინჯის პლანტაციებში შიმში შავებებს, ისტანსეა ადგალობრივ მცხოვრებლებსაც.

ბ. ნიკოლოზ შავროვმა „ბრინჯის დასაცველათ“ („в защиту риса“) დაწერილ წერძელში შემდეგი საზრადღებო აზრი გამოთქვა ამ საგანზე. „ბრინჯი ყველა ხორბლეულობაზე უფრო შემოსავლიანია ამის გარდა ბრინჯის კულტურა ხელს უწყობს ბიცი ნიადაგის (содончак) გამოკეთებას. ის დიდ-ძალი წყალი, რომელიც საჭიროა ბრინჯის კულტურისათვის, რეცხავს და წმენდავს ნიადაგს მარლიისაგან. იგივე დამწვარი წყალი ალბობს მიწის ზედა პირს და ქმნის საუკეთესო, ნაყოფიერ ნიადაგს (перенной-ხალპი). ჩვეულებრივათ ის ბიცი ნიადაგიანი მიწები, რომლებიც უწინ სრულიად გამოუსადეგარი და უნაყოფო იყო, ბრინჯის კარბ წლის კულტურის შემდეგ ნაყოფიერდება და ჩინებულია სოფლის ყოველგვარ მეურნეობისათვის. ბრინჯის კულტურა ჯანმრთელობისთვის შენებელიაო-ქეშმარიტებაა, მაგრამ აქ ბრინჯის კულტურა დამნაშავე არ არის. აქ მეურნის გაუნათლებლობა და უკულტურობაა დამნაშავე. წყალს, რომლითაც ბრინჯის პლანტაციებს რწყავენ, არ უტოვებენ გასაფალს; ის რჩება ერთ ადგალობზე, ღვება და ალბობს მიწის ზედა-პირს, რაც ციებ-ცხელებას იწვევს. იმ ქვეყნებში კი, სადაც ილე-

ბენ ზომებს მიწის და კაობების წინააღმდეგ, სადაც პლანტაციებში წყალს გასავალს აძლევენ და ერთ ადგილზე არ აღზობენ, იქ არც მალარია აწუხებს ხალხს და მეურნეც დიდ სარგებელს იღებს“. იმავე წლებში იმერეთში იმერეთის გუბერნიის პლანტაციების სივრცის რაოდენობა და ბრინჯის მოსავალი იყო:

წელიწადი:	სივრცე-დესეტინა	მოსავალი ფუტობით.
1906	5.612	501.700
1907	5.533	953.100
1908	6.088	1.101.400
1909	5.676	608.300
1910	4.242	768.700

იმავე წლებში (1906--1910) დესეტინაზე საშუალო რიცხვით 141 ფუტი ბრინჯი მოსულა.

**ტექნიკურ მცენარეთა კულტურა.** შებამბეობა აქ ძველი დროდანვე იყო გავრცელებული. უწინ აქ თესავდნენ ადგილობრივ ჯიშის ბამბის თესვს „კარაკოზს“; ბოლო წლებში კი აქაც შემოიღეს ამერიკული ჯიშის თესვით. აგრონომი ტიმოფეევის ცნობით, ერევნის გუბერნიის ბამბა მეურნეობით:

წელიწადი:	ფუტობით
1909	520.000
1910	600.000
1911	670.000
1912	601.000
1913	613.000
1914	613.000

1913 წელს გუბერნიაში ბაშბის პლანტაციების სიფრცვე უდრის 38 300  
ოთხ-კუთხ-დესეტინას.

ბაშბის კულტურა, აგრონომი ტიმოფეევის გამოკვლევით\*), შემოსულა  
ინდოეთიდან და განვითარებულა აქ სპარსეთის ბატონობას ღროს. აქაური  
მცხოვრებლები არა თუ თვითონ იმოსებოდენ თავის ნაჭირნახულევი ბაშბით,  
ხშირათ ხარჯსაც კი იმითი იხდიდენ მაგრამ აქ რუსეთის ბატონობის გან-  
მტკიცების შემდეგ, ბაშბის კულტურა თან და თან დაეცა და მისი რაიონიც  
თან და თან შემცირდა. მხოლოდ წარსული საუკუნის 80 წლებში კავკასიური  
ბაშბის რაიონებს უურადღება მიაქციეს მოსკოვის ფირმებმა, პირველათ მარო-  
ზოვისა და შემდეგ „დიდი იაროსლავის მანუფაქტურამ“ და ვლადიმერ ალე-  
ქსეევმა. მათ თან მოყვა ლოდზის „პოზნანის“ ფირმაც. ამათ გამოიწერეს  
ამერიკიდან ბაშბის თესლი აგრეთ წოდებული „უპლანდა“, რომელიც მეურ-  
ნებს შუქთათ დაურიგეს. შემდეგ ჩამოიტანეს ბაშბის სარჩევი მანქანებაც და  
ბაშბის კულტურამაც ხელ ახლა აიწია.

ბაშბის პლანტაციები უმეტეს ნაწილათ გავრცელებულია აქა მდინარე  
არაქსისა და მისი ტოტების — ხანგის, გორნი-ჩაის, ყარასუსა და ჯანგრი-ჩაის  
მიდამოებში. აქ ჰავა კონტინენტალურია, მაგრამ აქ ბაშბის პლანტაციებს სამ-  
ოთხჯერ რწყავენ. ერევნის გუბერნიაში ბაშბის მეურნეთა შორის გავრცე-  
ლებულია ბეს მიცემის სისტემა (система задатков), რაც იმაში მდგომარე-  
ობს, რომ ბაშბის მყიდველები წინ და წინ იკვეთენ ბაშბას და აძლევენ მეურ-  
ნეს; ეს გარემოება სულ ჩარჩების ხელში აგდებს ბაშბის მთელ მოსავალს.  
1914 წლიდან ერევნის გუბერნიაში ბაშბის კულტურა სულ ერთიანათ დაე-  
ცა. მიზეზი საზოგადო ეკონომიურ პოლიტიკური კონიუნქტურაა.

—:— იხილეთ ილ. 000 02 რეგისტრონ აუ

**თამბაქოს, კუნჭუტისა და რაღწინ კულტურა.** თამბაქოს კულტურას  
დაბალ ადგილებში მისდევენ, მაგრამ აქ კარგი ღირსების თამბაქო არ მოდის  
და თესენ აგრეთ წოდებულ „მაზორკას“. 1915 წელს სურმალინისა და ერე-  
ვნის მაზრებში თამბაქოს კულტურამ საგრძნობლათ იმატა და ამ ორ მაზრა-  
ში მეურნეობის ეს დარგი საგრძნობელ როლსაც თამაშობს მეურნის ბიუჯე-  
ტში. ერევნის გუბერნიის თამბაქოს, როგორც დაბალი ღირსებისას, ფაბრი-

\*) იხილეთ მისი „Статистика хлопководства в Закавказье за 1909—1911 гг.“  
Тифл. 1912 г.

კებში არ ამზადებენ. ეს მიღის ადგილობრივი სოფლების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლათ; იმას აქ ხმარობენ აგრეთვე, როგორც წამალს ცხვრების სნეულების წინააღმდეგ.

1915 წელს გუბერნიის თამბაქოს პლანტაციები ყოფილა 106 სოფელში; პლანტაციების საზოგადო სივრცე უდრის 158,7 დესეტინას. იმავე წელს მოუწევიათ სრულიად დაბნო ხარისხის თამბაქო 3.292 ფუთი.

კუნუტი აქ დაბალსა და ცხელ რაიონებში მოყავთ. კუნუტის თესლიდან ხდიან ზეთს, რასაც ადგილობრივი მცხოვრებლები საქმელათ ხმარობენ. ამ ზეთის („შიობასტის“) საგრძნობი რაოდენობა თბილისის ბაზარზეც გაქონდათ გასახყიდლათ. კუნუტის ნაჭუჭებით კი პირუტყვებს კვებენ.

იმავე დაბალ და ცხელ რაიონებში ხარობს სალაფაც (клещевина), რომელსაც ცალკე განსაკუთრებულ პლანტაციებში კი არა თესენ, არამედ ჭვენ სხვა რომელიმე სხვა კულტურის პლანტაციებს ირგვლივ, ამ მცენარის თესლიდან გამოხდილ ზეთს გასანათებელ მასალათ ხმარობენ.

ქიმიკოსები ამჟამად ქიმიკოსები — სემი ქიმიკოსები იმინ და ამინოსი

**სპეციალური კულტურა.** მებარეშუმეობა პირ და პირ დამოკიდებულია თეთის ხის კულტურაზე და რადგანაც იგი გუბერნიის მხოლოდ განსაზღვრულ რაიონებში ხარობს, მებარეშუმეობაც მხოლოდ ამ რაიონებშია. მებარეშუმეობა გავრცელებულია ნახივენის მაზრაში, განსაკუთრებით ორდუბათში და მის მიდამო სოფლებში, უფრო კი სოფელ აკულისში, მებარეშუმეობას თვალსაჩინო ალაგი უკავია შორურო-დაზალაგიოზის მაზრაშიც. 1910 წელს გუბერნიის შეუძენიათ 15.000 კოლოფი აბრეშუმის თესლი (კოლოფი 6 მისხალია) და მოუწევიათ 20.000 ფუთი პარკი.

**მესაქონლეობა და თივის კულტურა.** მესაქონლეობა აქ საკმაოდ გავრცელებულია, მაგრამ აქაური რქიანი პირუტყვი, განსაკუთრებით ადგილობრივი ჯიშისა, არც წველისა და არც წონის რაოდენობით, საყურადღებო არ არის. მესაქონლეობის დაქვეითება აქ უმეტესათ იმით აიხსნება, რომ აქაური მცხოვრებლები პირუტყვის კვებას დაჩვეული არ არიან, ფარეხებსაც პიოველ-ყოფილათ აშენებენ: არც სინათლე, არც სუფთა ჰაერი, თითქოს ეს ზედმეტი იყოს პირუტყვისათვის... სამაგიეროდ მეურნეობის ეს დარგი კარგათ არის დაყენებული სექტორტი რუსების სოფლებში, აქ საუკეთესო ჯიშის ძროხები ყავთ.

ჰავა და ბდვილ-მდებარეობა აქ ხელს უწყობს მესაქონლეობის კარგათ დაყენებას, მაგრამ რას იზამს მარტო ბუნება, თუ ადამიანმაც არ შეუწყობ ხელი?

წარსული საუკუნის დასასრულში გუბერნიაში საქვები თივის თესვა შემოიღეს. თესავენ უმეტეს ნაწილათ: ლიუცერნას (რონჯას) და კოლონდარს (ესპარცეტი). ამ საქმის კარგათ დაყენებას ხელს უშლის სარწყავი წყალის ნაკლებობა. უწყლოთ კო ერეენის გუბერნიაში არაფერი არ ხარობს.

**მადნეულობა.** ერეენის გუბერნიაში მადნეულობა ბლოხმათ არის. ნახიჩევანის მაზრაში არის სპილენძის მადანი. შრურო-დარალაგიოხისა და ნახიჩევანის მაზრებში არის ქვა-ნახშირი, ქვო (ბაზალტი), იასპი. (იაშმა), მარცვლიდბ (გრანიტ), ძოწირი (პორფირ) გოგირდი, ვერცხლი და ტყვია. ამ მადნეულთა საბადთა შორის (месторождение) საყურადღებოა გიუმუშლოუხისა, რომელიც მდებარეობს სოფელ ნორაშენიდან 15—16 ვერსის მანძილზე, რომელიც ცნობილია „ჯიგაურის ალავათ“ და კეშგემ-კენდისა, მდ. არპაჩაის ხევში. აქ ყველაზე მეტი ქვა-მარილია, რომლის მღრდარი მადანი სოფელ კულპის მიდამოებში, სურმალინის მაზრაში ეს სოფელი ქ. ერეენიდან ასი ვერსით არის დაშორებული. რკინის გზის სადგური „არაქსი“ ამ სოფელს 38 ვერსზე ახლავს, საიდანაც დიდძალი ქვა-მარილი იგზავნება სხვა და სხვა ქალაქებში. კულპი ძველთაგან „მარილის მთათ“ იწოდებოდა. მს წარმოადგენს 4.200 ფუტის სიმაღლეზე მდებარე პლატოს, რომლის სივრცეც 9 ოთხ-კუთხ ვერსს უდრის. მარილი აქ ფენებათ არის; ფენის სისქე 1—10 საყენს უდრის, ხშირათ მეტსაც. მარილს ნაცრის ფერი აქვს, მაგრამ აქუზშირათ ისეთი მარილიც ხვდება, რომელიც ბროლივით წმინდა და გამჭვირვალია. კულპის ქვა-მარილი კავკასიაში საუკეთესოთ ითვლება. საქართველოს ძველთაგან აქედან მიქონდა მარილი, რისთვისაც მას ქონდა გაყვანილი საურმე გზა, რომელიც მაჩიტის გზაზე იყო ცნობილი. კულპის მარილს კავკასიაში მეტოქეობას მხოლოდ ყალიზმანის (ყარსის ოლქშია) მარილი უწყევს. მარილის მადანი არის აგრეთვე ნახიჩევანის მიდამოებში, სადაც მარილს იღებენ დუზის მთის მახლობლათ. მარილის ეს რაიონი დაახლოებით უდრის 34 ოთხ-კუთხ ვერსს. სვეციალისტები აქ ვარაუდობენ 3.256.000.000 მილიონ ფუთ მარილს.



**ნიადაგი** ოლქში საერთოთ ნაყოფიერია და უმეტეს ნაწილათ შესდგება ვულკანიური ნივთიერებისაგან. სოფლის მეურნეობისათვის უვარგისი ნიადაგი გვხვდება მხოლოდ მთებში და არდაგნის პლსტოს სამხრეთ-აღმოსავლეთით აქ ხშირია ბიცი (**СОЛОНЧАК**) ნიადაგი მდ. არაქსის ზღვში სჭარბობს თიხნარი და კირნარი ნიადაგი, ოლქში ხშირათ შეხვდებით ჩინებულ მიწა-შავსაც.

**ჰავა** ოლქში ერთობ სხვა და სხვა ნაირია. ოლქის მაღალ ნაწილებში ძალიან ცივი ჰავაა. აქ ზამთარი ხანგრძლივი და დიდ თოვლიანი იცის. ტემპერატურა ხშირათ - 20<sup>0</sup> დაბლა ეცემა. იმ ადგილებში, რომლებიც მთებით დაკულია ქარებისაგან, როგორც მაგალითათ მდ. არაქსის ვაკეებია, ჰავა რბილი და გრილია. აქ ზამთარი თბილია, ზაფხული ცხელი და ხმელი. ჰავის მხრით ოლქი საზოგადოთ შეიძლება გაიყოს ორ დიდ რაიონათ: ოლქის ჩრდილო-სამხრეთ და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ (მდ. ფოცხოვის, ჩოლთისა და არაქსის ვაკეები) ცნობილდა უფრო უბილრ ჰავით, ოლქის ჩრდილო-აღმოსავლეთისა, აღმოსავლეთისა და ცენტრალურ ნაწილში ცივი ჰავაა. ოცნის წლის მშტეროგოგიული გადაკვირვების თანახმათ (1886-1905 წ.) საშუალო წლიური ტემპერატურა იყო: აგვარსში — 9,4<sup>0</sup> და სარიყა მიშში — 3,4<sup>0</sup> C.

ყარსის ოლქში ტყე ერთობ უმეტესა. იმისი სივრცე ძლივს უდრის 115,02 დესეტინას, რაც მთელი ოლქის სივრცის მხოლოდ 7% შეადგენს. აქ ხარობს მუხა, აჩყი, ფიჭვი და ღვია.

**ეთნოგრაფიულათ** ოლქი ერთობ ქრელ სურათს წარმოადგენს. აქ ცხოვრობენ: სომხები, უზბეკები (ყარა-ბახელები), სურქები, ქართველები, ქურთები, რუსები. ზერძებში, ახსორებში, ცხენებ და სხვა. 1914 წლის სტატისტიკური ცნობებით სომხების რიცხვი აქ მხოლოდ 112,938 სულს უდრდა. უფრო საგრძობ 0% მცხოვრებლებისას ისინი წარმოადგენენ მხოლოდ ყარსისა და ყვლიზმანის ოკრუგებში (33,6%) ოლქში სომხების უმეტესობა რბორიგენებში შეადგენს; უმცირესობა კი აქ გადმოსახლებულია 1878 წლის შემდეგ აღაშუკრეთისა და პასინდს მიდამოებლად. იმავე სტატისტიკური ცნობით თათ-ჩეჭები ქართველ-მახმანდინებით 1914 ძწელს შეადგენდენ 104.611 სულს, რაც მთელი ოლქის 1/4 შეადგენდა. აქაურ მახმადიანებთა უმეტესობა ტომით ქართველები არიან, როველსაც უჭირავთ ფოცხოვის რაიონი და ჩოლთისის ოკრუგის ყველა ესენი მე-XIX საუკუნის 90 წლებამდე ქართულათ დაპარაკობდენ.

ქუთთი მახმადიანები 60.439 სული იყო; ქუთთი-ეზიდები კი 27.418 სული. ქუთთების უმეტესობა გელისა და ჩაღდირის რაიონებში ცხოვრობენ; ბერძნები და აისორები ოლქში ითვლებოდნენ 33.463 სული. აქაური ბერძნების უმეტესობა ტრაპეზუნდის ვილაეტიდან არიან გადმოსული. რუსების რიცხვი უდრიდა 14.300 სულს; რომელთა უმეტესობას სექტანტები შეადგენდნენ. სექტანტები მთელ ოლქში ყველაზე უფრო შრომის მოყვარე ხალხია. ისინი ზნეობრივათა მალა დგანან თავის მეზობლებზე. ციგნების რიცხვი ოლქში 25.896 სულს უდრიდა. აქ ცხოვრობენ აგრეთვე თურქმენები, მთიელები, ლეკები, ოსი მახმადიანები და სხვ.

1914 წელს 1 იანვარს მთელს ოლქში ითვლებოდა 691.213 სული ორივე სქესისა. თითოეულ ოთხ-კუთხ ვერსზე მოდიოდა 24,8 სული.

**მოსაქმეობა.** აქაც მიწის მეურნეობას უჭირავს უმთავრესი ადგილი. მხოლოდ მცხოვრებთა ის ნაწილი, თომელიც მეტის მეტათ მალა სადგილებში ცხოვრობენ, სადაც ხენა-თესვის საქმე შემთხვევაზეა დამოკიდებულია; მისდევენ მარტო მესაქონლეობას. მეურნეობის ამ დარგს მისდევენ ქუთთები, თურქმენები და ყარა-ბახელები. უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ წლებში ამათშიც ფეხს იდგამს მიწის ხენა-თესვის საქმე. ყოველ შემთხვევაში მიწის მეურნეობას ოლქში ყოველთვის უდიდესი ადგილი სჭერია. თათრების ბატონობის დროსაც (1878 წლამდე) ყარსის ოლქი არა თუ თავის სამყოფ პურს იწევდა, იგი არზერუმის ვილაეტის მსაზრდოებლათაც ითვლებოდა.

ოლქში თესვენ როგორც შემოდგომის, ისე გაზაფხულის პურს, რომელსაც აქ „კრიგს“ ეძახიან; სთესვენ აგრეთვე ქერსა და გაზაფხულის კვავს. მდარაქსის ნაპირებზე და ფოცხოვისა და ოლთისის ქეობებში უმეტეს ნაწილად თესვენ სიმინდს, ბრინჯსა და ფეტვს.

ხორბლჭყოლობის კულტურა დამოკიდებულია ადგილის ტოპოგრაფიულ მდებარეობაზე, რადგანაც ჰავა იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რამდენათ მალა მდებარეობს ესა თუ ის ადგილი ზღვის დონეზე. აქ უმეტეს ნაწილათ მიწას ასვენებენ; მეორე წელიწადს თესვენ დასვენებულ მიწაზე და ასვენებენ დაქანცულს. აქაურმა მეურნემ მწარე გამოცდილებით იცის, რომ თუ მან საყანე მიწა არ დაასვენა, სამი-ოთხი წლის შემდეგ ის სულ ერთიანათ გამოიფიტება და არავითარ ნაყოფს არ მისცემს. მან აგრეთვე მწარე გამოცდილებით

რცელ ისიც, რომ წამი წლის შეუწყვეტელი ხენა-თესვის შექდევ ისე მრავლდებოდა და იზრდებოდა ყანაში ველური ბალახი, რომ ის სულ ერთიანათ ჩაგრავს და აღრჩობს ნათესს, აქ ხორბლეულობის კულტურა პირველყოფილია. ხნავე ადგილობრივი მძიმე გუთნით, რომელსაც მრავალი უღელი ხარ-კამეჩის ძალა უნდება. აღნიშნულ შემთხვევაში, რომ ოლქის ზოგიერთ რაიონებში, მაგალითათ გელრსა და ჩალდირის რაიონებში, ამოსული და დასამწიფებლათ მომხადებული პური ხშირათ იყინება და ფუჭდება. 1906 — 1910 წლებში ნათესის სივრცის რაოდენობა და მოსავალი შემდეგ ციფრებში გამოიხატებოდა:

ხორბლეულობა;	დათესილი იყუ დესეტინა	შეუკრებიათ ფუთები
შემოდგომის ჭვავი	697	35.700
პური	6.687	267.000
გაჭაფხულის ჭვავი	192	9.400
პური	70.449	2.821.100
ქერი	69.079	3.346.600
პოლბა	10	300
გრეჩიხა		
ჭვეტვი		
სიმინდი	592	37.600
მუხუდო		
ლობიო და ცერცივი	12	500
<b>სულ</b>	<b>147.776</b>	<b>6.285.700</b>

მეზოსტენობას ადგილობრივი მკვიდრი სულაც არ მისდევენ. ამ კულტურისათვის გამოსადევ მიწებს ისინი იჯარით აძლევენ სპარსულებსა და სომხებს, რომლებიც ასხვადახვად ადგარებიდან მოდიან ოლქში. მეურნეობის ეს დარგი გავრცელებულია მხოლოდ რუსების, ურეტეს ნაწილათ, სექტანტების,

სოფლებში, სადაც უპირატესობას კარტოფილსა და კომბოსტოს აძლევენ. მებოსტნეობა უფრო გავრცელებულია ყალიზმანის რაიონებში, მდ. არაქსის ველებზე, ოლთისის რაიონში, უფრო კი ტუასკერის მახლობლათ და რამდენიმე სოფელში შურა-გელის, ყარსისა და ფოცხოვის რაიონში, იქ, სადაც მეტი სარწყავი წყალი იშოვნება. აქ სთესენ: კარტოფილს, კომბოსტოს, ხახვს, სტაფილოს, ლობიოს, პამიდორს, ჯარხალს და სხვას. რუსის სოფელ გრენა დერსკში კიტრიც მოდის.

**მებაღეობა.** ოლქში არ არის რაციონალურათ დაყენებული მებაღეობა.

მეუნეობის ეს დარგი შეადგენს მხოლოდ დამატებით, სხვათაშორისო საქმეს მდ. არაქსის, მტკვრის, ოლთისის, ფოცხოვის და საზოგადოთ ცივი ქარისაგან დაცულ ადგილების მცხოვრებლებისას. აქ არის: ლეღვი, კომში (ბია), ქლიავი, თუთა, კაკალი და სხვა. აქაური ხილი მდარე ღირსების არის და ის ოლქიდან არსად გააქვთ. აქ ხილს ცელიან ხორბალზე და სხვა ნაწარმოებზე იმ ადგილებში, სადაც ხილი არ მოდის.

მევენახეობას მხოლოდ ყალიზმანისა და ოლთის ოკრუგებში მისდევენ. თუმცა აქ აღაგ-აღაგ ჰავა ხელს უწყობს მევენახეობის კულტურას, მაგრამ, რადგანაც აქაურ მცხოვრებლებს ამ საქმის ცოდნა არა აქვთ, მევენახეობაც დაბალ საფეხურზე დგას და იგი თითქმის პრაფერ როლს არ თამაშობს მეურნის ბიუჯეტში. ღვინო აქ უვარგისია. ის მღვრიე-ვარდის ფერს, მკავე და უგემურია. 1915 წელს მთელ ყარსის ოლქში ვენახის სივრცე მხოლოდ 16 ოთხ-კუთხ დესეტინას უდრიდა. იმავე წელს აქ მოსვლიათ 132 ფუთი ყურძენი. უწინ აქ თურმე მეტი ყურძენი მოდიოდა, მაგრამ საანგარიშოა წელი მევენახეობისათვის მეტის მეტათ ცუდი იყო.

ასეთსავე დაბალ საფეხურზე დგას აქ ტენიკურ მცენარეთა კულტურა. ოლთისის რაიონში თესვენ თამბაქოს, ყალიზმანში — ბამბას. ერთი-ცა და მეორეც მხოლოდ ადგილობრივ საჭირჩხებას ხმარდება და იმასაც ვერც აკმაყოფილებს. 1914 წელს ბამბის პლანტაციების სივრცე მთელ-ოლქში 50 ოთხ-კუთხ დესეტინას უდრიდა. იმავე წელს ბამბა შეუკრფეთათ 2,000 ფუთი.

**მესაქონლეობას** ოლქში პირველი ადგილი ზუჭირავს მიწის მეურნეობის შემდეგ. მსხვილი რქიანთ პირუტყვი ოლქში საკმაოდ ბევრი იყო აქაური პირუტყვი უფრო წვრილი ჯიშისაა. მსხვილი და საუკეთესო ჯიშის

პირუტყვი მხოლოდ ღუბობორების სოფლებშია. ოლთისის და კალაიზმანის მხარეებში ჩვეულებრივად ადგილობრივი მთის წვრილი ჯიშის პირუტყვი ყავთ. ოლქის მაღალ ზონეში. 500-1000 დეტეტინა საძოვარი ითვლება. ეს საშუალებას აძლევს აქ მესაქონლეობის გავრცელებისათვის. მეუნეობის ეს დარგი თითქმის სულ ერთიანად ქურთებისა და ყარა-პაპახების ხელშია. აქაურ მესაქონლეობას განსაკუთრებით მომთა-ბარული ხასიათი აქვს.

მეცხვარეობას ოლქში უმეტესად მისდევენ ქურთები, ყარა-პაპახები და ზოგან ღუბობორები. აქ გავრცელებულია კავკასიური დიდ ღუმინანი ჯიშის ცხვარი. ბერძნის სოფელ ფლი-სოფში (სოლანლოლის რაიონში) სცადეს მაღალ ღირსების მსაუკეთესო ნაზბეწვიანი (тонкорунная) ანგორის თხის გამარავლება. მაგრამ ეს ცდა ვერ დაგვირგვინდა, რადგანაც ანგორის თხა აქაური მკაცრი ჰავა ვერ აიტანა. ანგორის ჯიშის თხა სიდიდითა და წონით ჩვენებურ თხაზე გაცილებით მეტია თითო 1—1½ ფუთს და მეტსაც იწონის. ხუთი წლის თხა წმინდა ხორცს იძლევა 1½—2 მდე. მატყლო ახალგზდა თხის უკეთესია; რაც ხანში შედის თხა, მატყლოც თან და თან უფუჭდება.

ცველისა და ერბო-კარაქის კეთებაც აქ პირველ-ყოფილი საშუალებით იციან კამიტომაც. აქ რძის პროდუქტები მეტათ მდარე ღირსების არის. ეს საქმე ოლქში მხოლოდ რუსების სოფელშია რეგულარულად დაყენებული. ამ სოფლებში ხშირია მეყველეთა არტელებიც, რომლებსაც ეს საქმე უფრო რაციონალურად აქვთ მოწყობილი. ისინი იძენენ კარგი ჯიშის ბულებს, აღმჯობესებენ პირუტყვის ჯიშს, აჩრსებენ ცველისა და ერბო-კარაქის საკეთებელ ქარხნებს და სხვ.

ამ ქარხნების უმეტესობა საზღვარ-გარეთლების ხელშია; ესენი კარგ მოგებას იღებენ ამ საქმიდან. იმისდა მიუხედავად, რომ აქ რამოდენიმე ევროპული დაყენებული ცველის ქარხნებია, ადგილობრივი მცხოვრებლები მაინც ვერ სარგებლობენ შემთხვევით ევროპელების მაგალითს მრბაძონ და ეს მეურნეობა განუმჯობესონ; ეტყობა, მიბაძვის შთაფისაც კულტურის ნიშნად ყოფილა საქირო. ესეც არ ჩყოს, ეს მოსული ევროპელები წარმოუდგენელ სიძუნწეს იჩენენ ადგილობრივ მკვიდრთა დმი: ისინი ადგილობრივ მცხოვრებლებს არა თუ არ ასწავლობენ ამ საქმეს, პირ-იქით მუშებთანაც არ იქირავებენ ხავის უფროებში, რადგანაც, ზღბახი, უშინიათ ეს საქმე კარგათ არ შეისწავლონ და მეტოქეობა არ გავეიწიონ.

ინამ ოლქის ხორ. ადგილობრივი მცხოვრებლები მათი მუშაობის მიზნად აქაურ მესაქონლეობას ხელშეწყობენ.

**ცხენების** მოშენების საქმეც ძლიერ კოტათაა. ოლქშია განვითარებული აქ ცხენების პატარ-პატარა ჯოჯობები ყვეთ მხოლოდ ზარუბადის რაიონშია ყარა-პაპახეპს და ოსებს სოლანლულში, ყარსის რაიონში. საქ ყურადღების ღირსია მხოლოდ დუხობორების ჯიშის ცხენები, რომლებიც მათ მიიღეს მეტი ზაცის საშუალებით. შედარებით ეს ცხენები დიდი ტანის არ არიან, მაგრამ ძლიერ შრომის ამტანი, გამძლე და ღონიერი.

**მადნეულით** ოლქი მდიდარია; მაგრამ სამწუხაროთ ჯერ იგი კარგათ არ არის გამოკვლეული. აქ ბევრია მარილი, სპილენძი, ქვა-ნახშირი და სხვა, ყალიზმანის მახლობლათ არის მარილის წარმოება. აქაურთ მარილი ქვეთრია ღია ფერის, ან მონაცრისფერია არის. აქ საშუალო წლიურ მარილის წარმოება უდრის 400.000 ფუთს. მარილის წარმოება არის აგრეთვე „კორკარის“ მთაში, 4.412 ფუტის სიმაღლეზე (ზღვის დონეზე მაღლა); ეს მთა ოლთისიდან ჩრდილოეთ აღმოსავლეთით მდებარეობს; ეს მარილი ღირსებით ყალიზმანისაზე მდარეა. ამ რაიონში მარილის მადნის რაოდენობას 30.000.000 ტონა ვარაუდობენ.

სხვა მადნებში უფრო ყურადღების ღირსია სპილენძი, რომლის საბადოც (месторождение) სხვათა შორის არის ყალიზმანიდან 28 ვერსის მანძილზე, მდ. ყაბან-სუს ხეობაში. სპილენძი ყარსის ოლქის სხვა ნწილებშიც არის. ყალიზმანის ოლქში აღმოაჩინეს აგრეთვე ვერცხლის, ტყვიისა, ქვა-ნახშირისა, თხევადი შაქრის და ქანსელის მადანი. ქვა-ნახშირი ბლრამათ არის ოლთისის რაიონში. ეს მადანი აქ სიგრძით 40-ზე და განით 10 ვერსზე მიდის და წყებულთი ფანჯერეთის უღელტეხილიდან კიასი-კეპრამდე (ოსმალეთის საზღვრებზეა). ამ მადნის ადგილ-მდებარეობა 3.250—700 ფუტის სიმაღლეზეა ზღვის დონედან ადგილობრივი მცხოვრებლები უხსოვრის დროდან სარკებლობდენ ამ ქვა-ნახშირით თავისი ოჯახური საჭიროებისათვის. ინჟენერი ჩახნოცკის გამოკვლევით აქ ნახშირის ფენის (пласт) სისქე უდრის 4 საყენს. ვინმე გადომსკიმ კიდევ აიღო აქ 4.5 მმ ოთხ-კუთხი დესეტინა ქვა-ნახშირიანი მიწა, რომელშიც მადანს ვარაუდობდენ 2.240.195.000 ფუთს; როგორც უნაღიზმა და ამტკიცა, აქაური ნახშირი ხმელა და ალიანი ტიპის ნახშირია. 1910 წელს ეს ადგილები დაათვალიერა ინგლისელმა ინჟენერმა დეონ-ხოველმა, რომელმაც განაცხადა, რომ აქაური ნახშირი ძალიანა გავს იმ ნახშირს, რომელსაც ვალიის მადნებიდან იღებენო. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ეს ნახშირი იძლევა 59,9% კარგი ღირსების ნახდირს (კოკს).

**მინერალური წყლები.** ყარსის ოლქში რამდენიმე სამკურნალო მინერალური წყაროებია. სარიყამიშიდან 7 ვერსის მანძილზე, ყარაურღანის მახლობლათ, ჩაბურღალიდან გამოქუხს ტუტა-ნარევი წყალი (шелочная). რკინის წყლის რამდენიმე წყაროებია აგრეთვე ოლთისის რაიონში მდ. ბარდუს-ჩაის და აგუნდირკას სათავეში, ალთაჰ-ეკპერის შტაბს მახლობლათ. ამ წყლების ტემპერატურა უდრის 10-11°R, ბულახანში, ოლთისიდან სამი ვერსის მანძილზე, არის ბორის მკავე წყალი. ოსმალეების ბატონობის დროს ეს მკავე წყალი შეადგენდა ექსპლოატაციის საგანს. ყარსის ოლქში არც ერთი მადნეულის სამკურნალო წყალი არ არის ისე დაყენებული, რომ მითი სარგებლობა შეიძლებოდეს.

**შინამრეწველობა.** ამ დარგში აქ ყველაზე უფრო ვაჭრელებულია და ყველაზე უფრო დიდ შემოსავალსაც აძლევს მწარმოებელს მატყლის ნაწარმობები: შალი, ქეჩა, ნოხი, ხალიჩა, მათრაშა, ხურჯინი და სხვა. ადგილობრივი შალი ერთობ მდარე ღირსების არის. დუხობორები და ხათრები იცვამენ აქაური შალის ტანისამოსს, მუქ-ლურჯ ფერათ შეღებილს. მცხოვრებთა უმეტესობა კი ატარებს შეუღებავი შალის ტანისამოსს. ნოხის წარმოებას უფრო ქურთები მისდევენ. მათი დედა-კაცები ამ საქმის საუკეთესო მოხელეებათ ითვლებიან. ისინი აკეთებენ ხალიჩებს, ჯეჯიმებსა და ნოხებს. თხის მატყლიდან ამზადებენ სპეციალურათ კარგების სახურავებს და თოკებს. ქურთებს გარდა აქ სომხები და სხვებიც მისდევენ ნოხების კეთებას. მაგრამ საუკეთესო ღირსების მხოლოდ ქურთების ნოხებია. ფოცხოვის რაიონი განთქმულია თავისი ხურჯინებით. იმავე რაიონში აკეთებენ ხის ჯამ-ჭურჭელს; ქსოვენ აგრეთვე ჭაობების ბალახიდან გამძლე და კარგ ქილობებს.

შინამრეწველობა საზოგადოთ თვალსაჩინო როლს თამაშობს ოლქის მცხოვრებთა ბიუჯეტში.



# აღმარებისა და

ადერბეიჯანის რესპუბლიკის შეადგენენ განჯისა და ბაქოს გუბერნიას და ზაქათალის ოლქი.

I. განჯის გუბერნიის ტერიტორია უდრის 38.922,43 ოთხ-კუთხ ვერსს; ზაქათალის ოლქი — 3.502,24. ამ ნაირათ ეს გუბერნია თავისი ტერიტორიის სივრცით კავკასიის აქეთა მხრის ყველა გუბერნიებზე მეტია. განჯის გუბერნია სამხრეთით მიდის სპარსეთამდე, რომლიდანაც მას ყოფს მდ. არაქსი 180 ვერსის სიგრძით. აღმოსავლეთით და 40 ვერსი ჩრდილოეთისა (დაწყებული შიგამ-დაგიდან ბაზარ-დიუზის ქედამდე) ის ეკვრის ბაქოს გუბერნიას. ჩრდილოეთით 75 ვერსის მანძილზე ამ გუბერნიის საზღვარს მიდის კავკასიონის ქედით და უერთდება დაღესტნის ოლქს. ჩრდილო დასავლეთის მხრით ამ გუბერნიას საზღვრავს ზაქათალის ოლქი და შემდეგ 250 ვერსის მანძილზე თბილისის გუბერნია; სამხრეთ-დასავლეთით 370 ვერსის მანძილზე მის საზღვარს შეადგენს ერევნის გუბერნია, რომლიდანაც მას ყოფს სომხეთ-განჯის მთები.

განჯის გუბერნია ბუნებრივად თბილისის გუბერნიის გაგრძელებად მის საგრძნობელ ნაწილს შეადგენს ყარაიაზის უდაბნო, რომელიც აქ ცნობილია ქვემო-ყარაიაზისა, ჯეირან-ჩოლოისა და სხ. სახელით. ეს უდაბნოები მტკვრის ორივე ნაპირზე მდებარე ვაკეებით შეადგენენ განჯის გუბერნიის დაბლობებს; გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ზანგეზურის მაზრა. მტკვარსა და დიდი კავკასიონის ქედს შუა მდებარეობს ნუხისა და არეშის მაზრები, მტკვრის მარჯვენა ნაპირი კი წარმოადგენს გუბერნიის მთიან ნაწილს, რომელიც ვა ყოფილია დანარჩენ ექვს მაზრებათ: ყაზახის, განჯის, ჯევანშირის, შუშის, ჯიბრაილის და ზანგეზურისა, რომლებიდანაც ზოგიერთი გადის მტკვრის მარცხენა ნაპირზედაც. ყაზახისა და განჯის მაზრები თავისი ბუნებრივი პირობებით ძლიერა გვანან ერთმანეთს. ამ მაზრების მტკვრის მარცხენა მხარეზე მდებარე ნაწილები წარმოადგენენ ტიტველ უდაბნოს, რომელიც მხოლოდ საზამთრო საძოვრათ ვარგა. აქ მოსახლეობა თითქმის შეუძლებელია. აქ ცხოვრება მხოლოდ ცივსა და წვიმიან ამინდებში შეიძლება, როცა ის ბალახით იფარება.

რება. იმავე მხარების მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ნაწილი ტოპოგრაფიული პირობების მიხედვით სამ ზონათ იყოფა: დაბლობებით, მაღალ ვაკეებით და მთიან ადგილათ. დაბლობები მიყვება მტკვრის ნაპირებს; ის ჩრდილოეთის და სამხრეთის მხრით თან და თან მაღლოვდება და ბოლოს გადადის მთიან ზონაში, საიდანაც ჩამორბიან მრავალი მდინარეები, რომლებიც საკმაო წყალს იძლევიან ამ უდაბური რაიონის მოსარწყავათ. მთის შეკალთება და მთიანი ნაწილები სხვა და სხვა მიმართულებით დასერილია მაღალი ხევებით. აქაური მთების ქედების უმეტესი ნაწილი ტყიანია; ქედები კი პიტალო ქვიანი და ვერანაა.

ჯევენშირის მხარა თავისი ტოპოგრაფიული და გეოგრაფიული პირობებით ძალიანა გავს განჯის მხარას და დაიყოფება ორ ნაწილად: ჯევენშირის დაბლობათ და ეგრეთ წოდებული ჯრახერის მაღლობებით. შუშისა და ჯებრაილის მხარების ერთი მესამედი მთებითაა დაფარული; მეოთხედს შეადგენს მთის ვაკეები; დანარჩენ ნაწილს შეადგენს დაბლობი ადგილები, რომელიც მიდებულია ყარაბაღისა და გენის უდაბნოებზე. ეს ადგილები, რომელიც ბუნებრივი გაგრძელებაა მილის უდაბნოსა, მთელი ცხრა თვის განმავლობაში მკვდარ უდაბნოს წარმოადგენს. ეს ადგილები წელიწადში მხოლოდ სამი თვე იფარება ბალახით და მხოლოდ ამ დროს ეტყობა მას სიცოცხლის ნიშან-წყალი, რადგანაც ამ დროს ესტუმრებიან მას მენახირეები თავისი ჯოგებით.

ზანგეზურის მხარა წარმოადგენს გუბერნიის სამხრეთ ნაწილს და მდებარეობს მდ. არაქსის აუზში. ეს მხარა მეტის მეტი მთიანი ადგილს წარმოადგენს. ამ მხარის დიდრონი, ხშირათ გაუვალი ტყეებით დაფარული მთები, თავისი ტოპოგრაფიული პირობებით ისეთ ხაოტიურ სხვა და სხვაობას წარმოადგენენ, რომ ეს მხარა ამ მხრით ერთათ-ერთ გამონაკლისს შეადგენს მთელს კავკასიაში.

ნუხის მხარა კავკასიონის ქედიდან გაჭიმულია აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და თან და თან გადადის დაბალ ვაკეებში. საშუალო, ან უფრო დაბალი ნაწილი მხარისა ძვეს მდ. ტურინ-ჩაისა აღჯიგანან-ჩაიზე; მარცხენა ნაწილი კი მიდებულია მტკვარზე და გაჭიმულია მინგეჩაურიდან კერპაქენდამდე.

განჯის გუბერნია სპარსეთის ბატონ-მფლობელობის დროს გაყოფილი იყო შემდეგ ნაწილებათ: შეკი, შამშადილი, ყახახი, განჯა და ყარაბაღი. ნუ-

ხისა და არეშის მაზრებს უკავიათ ყოფილი შეკო, ყაზახის მაზრა შესდგება ყაზახიდან და შამშადილის ნაწილიდან; განჯის — განჯისა და შამშადილის ნაწილიდან; დანარჩენი მაზრები — ყარაბაღიდან.

—:—

**ნიადაგი.** ამ გუბერნიაში ნიადაგი დიდი მრავალფერობით განირჩევა. უმეტეს ნაწილათ აქაური ნიადაგის საფუძველს შეადგენს თიხა, რომელიც ბევრ ალავს დაფარულია შლამით. შეხვდებით აგრეთვე კირნარსა და ბიც ნიადაგს.

—:—

**ჰავა.** განჯის გუბერნია, როგორც საზოგადოთ კავკასიის აქეთა მხრის მთელი აღმოსავლეთი ნაწილი, მალალო მთის ქედებით არის დაცული შავი ზღვიდან მონაბერი ნესტიანი ქარებისაგან. ამიტომ აქ ჰავა უალრესათ კონტინენტალურია. ზაფხული აქ მეტის მეტათ ცხელია, ხმელი ჰაერი შეადგენს განსაკუთრებულ თვისებას აქაურ დაბლობსა და ვაკე ადგილებისას. მაგრამ გუბერნიის მთიანი ადგილები ერთობ დიდ სხვა და სხვაობას წარმოადგენენ ჰავის მხრით. ზანგეზურისა, შუშისა და ჯევანშირის მთიანი ნაწილები ცნობილია თავისი ცხელი და ხმელი ჰავით. მაგრამ აქაც დიდი განსხვავებაა ამ მხრით მალლობებისა და ხევებს შორის. მტკვრისა და არაქსის ვაკე-ველები, უფრო კი ამ მდინარეთა აუზში მდებარე ფართე უდაბნოები, ცნობილია ცხელი და მშრალი ჰავით აქ გაზაფხული ჩვეულებრივათ თებერვალში იწყება; მარტში მცენარეები უკვე აყვავებულია; აპრილში ყანებს სიმწიფე ეტყობა, მაისში კი საშინელი სიციხეები იწყება. მაისის შუარიციხეებიდან ხეებზე ფოთლები ყვითლდება და ხიება; ბალახი სრულიად ისპობა. ივნისიდან აგვისტომდე სიციხე მიდის ისეთ მაქსიმუმამდე, რომ აქ ცხოვრება პირდაპირ აუტანელი ხდება. მხოლოდ სექტემბრის დასაწყისს შეიძლება აქ ადამიანმა თავისუფლათ ამოისუნთქოს, თუმცა ასეთი აუტანელი ზაფხული ოქტომბრის შუა რიცხვებამდე გრძელდება. შემოდგომა აქ დეკემბრის პირველ რიცხვებამდე ატანს. ეს დრო აქ უკეთესი დროა, როგორც ტემპერატურის, ისე ჰაერის ერთფეროვნებითაც. ყველაზე უფრო აუტანელი ცხელი ზაფხული ყარიაგონის (ჯიბრაილის) მაზრაში იცის. აქ მაისის პირველ რიცხვებიდან ოქტომბრის დამდეგამდე ჰაერი ისე გახურებულია, რომ დილის 7 საათიდან საღამოს 6 საათამდე სრულიად შეუძლებელი ხდება ამ მაზრის უწყლო უდაბნოებში მოგზაურობა. ყოველგვარი ბალახი მაისის დასაწყისშივე ქრება და ამ დროდღან

ჯიბრაილის მაზრის უდაბნოებში არც წყალი, არც პირუტყვებისთვის ბალახი, არც სათბობი მასალა.—არაფერი, გარდა ქვებისა, სილისა, ამომხმარი მდინარეების ხევებისა, არ მოიპოვება. აქ ზამთარი საკმაო რბილი და თბილია; თოვლი ცოტა მოდის, მაგრამ იგი აქ მაინც უფრო მკაცრია, ვიდრე მტკვრისა და არაქსის ვაკეებზე. ცოტა სხვა სურათს იძლევა შავის მხრით გუბერნიის სხვა ნაწილები. ზღვის დონეზე საკმაო სიმაღლე ამდაბლებს საშუალო წლიურ ტემპერატურას. ზაფხული ასეთ მაღლობებში ისეთი ცხელი არ არის და 5.000 ფუტის სიმაღლეზე (ზღვის დონედან) სიგრილეც არის. ზამთრობით კი ასეთ მაღლობებში საშინელი მკაცრი სიცივეა და ზოგადგილას საშინელო ქარ-ბუქი იცის, მაგალითათ, ყარაბახის მთებში.

**წყლები.** განჯის გუბერნია მდიდარია მდინარეებით და თუ აქ ბევრი ადგილი ჯერ კიდევ ურწყავათ რჩება, ამაში ბუნებაზე უფრო მეტი დანაშაული მიუძღვის ადამიანს, რომელსაც ვერ მოუხერხებია ამ წყლების რიგიანათ დანაწილება და მოხმარა. ზამთრობით, როცა მთებში თოვლი არ დნება, მდინარეებში ერთობ მცირე წყალია; სამაგიეროთ გაზაფხულზე, როცა მთებში თოვლი დნება, წყალიც თან და თან უფრო და უფრო ავსებს მდინარეების კალაპოტებს. ზაფხულში წყალი კლებულობს, მაგრამ, სამაგიეროთ, შემოდგომის ხშირი წვიმები მაინც საკმაოთ ავსებენ მდინარეთა კალაპოტებს. გუბერნიაში ყველაზე უფრო დიდი მდინარე მტკვარი და არაქსია.

**ხელოვნურათ მორწყვის საქმე.** გუბერნიის დაბლობ ადგილებში ნიადაგი, როგორც ვიცით, საკმაოთ კარგია, მაგრამ იგი მხოლოდ მაშინ მისცემს მეურნეს ნაყოფსა, თუ მან ის ხელოვნურათ მორწყო. უამისოთ კი აქ სასოფლო მეურნეობა თითქმის სრულიად შეუძლებელია. ხელოვნურათ რწყვისთვის აქ ბუნებრივი პირობებიც საკმაოთ ხელ-საყრელია. ჩვენ უკვე ვიცით, რომ აქ წყალიც საკმაო და მდინარეებიც ისეთ დაბალ ნაპირებიანია, რომ თითქმის ყოველგან და ყოველთვის შეიძლება იქიდან თხრილებით წყლის გამოყვანა. ერთათ-ერთ გამონაკლს ამ მხრით შეადგენს მთებში მდებარე ვაკეები მტკვარსა და იორს შუა. აქაური უდიდესი მდინარეები მტკვარი და არაქსი ხელოვნურათ მორწყვის საქმეში ჯერ ძლიერ ცოტათია გამოყენებული. სამაგიეროთ თითქმის ყველა მათი ტოტებიდან გამოყვანილია მრავალი თხრი-

ლები და არხები, რომლებიც რწყავენ აქაური ველების საგრძნობ რაოდენობას. აგრეთვე აქ საკმაოდ გავრცელებულია ეგრეთ წოდებული კიაგრიზების საშუალებით მორწყვის საქმეც. კიაგრიზები იგივე ქებია, რომლებიც სიღრმით უწყვეს მიწის იმ ქვედაგს, რომელზეც დაგროვებულია მიწის ზედა პირიდან ჩასული წყალი. ეს ქები მიწის ქვეშ შეერთებულია ხელოვნური გვირაბებით. იქ, სადაც მიწა თან და თან დაბლდება და კიაგრიზის წყალიც მიწის ზედა პირზე ამოდის და თხრილებში საშუალებით რწყავს მინდორ-ველებს. ასეთი ხელოვნური რწყვა ერთობ საძნელო საქმეა და იმას, რა თქმა უნდა, მხოლოდ ისეთ ადგილებში მიმართავენ, სადაც ან მდინარეები სულაც არ არიან, ან და მათი წყალი საკმაოდ არ არის.

აქ ხელოვნურათ მორწყვის საქმეში მტკვარი ერთობ უმნიშვნელო როლს თამაშობს, რადგანაც იგი საკმაოდ ღრმა კალაპოტში მიაქანებს თავის წყლებს და იმისი ნაპირზე გადაყვანა დიდ შრომასა და ხარჯს მოითხოვს. არაქსიდან სარწყავი წყალი გადმოყავთ მხოლოდ დარი-დაგის მთების შემდეგ, სადაც მდინარე ფართე ვაკეებზე გამოდის. არაქსიდან გამოყვანილი წყლით რწყავენ აგრეთვე მილის უდაბნოებს, რომლის ნიადაგიც საკმაოდ კარგია და ხელოვნურათ მორწყვის შემდეგ კარგ მოსავალსაც იძლევა. სამწუხაროთ, ჯერ-ჯერობით ამ უდაბნოს მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო ნაწილი ირწყვება. უდაბნოს საშუალო ნაწილი ურწყავათ რჩება და არაფერ ნაყოფს არ იძლევა. აღსანიშნავია, რომ ძველათ ეს უდაბნო კარგათაც ირწყვებოდა და მაზე მდიდარი სოფლები და დაბა-ქალაქებიც ყოფილა, რასაც მოწმობენ ძველი სარწყავი არხების კვალი და ძველი ციხეებისა და ქალაქების ნანგრევები. ყველა ეს ძველი არხები არაქსიდან ყოფილა გამოყვანილი. ამ უდაბნოში ძველთაგან დარჩენილია ორი დიდი არხი: გიაურ-არხი, რომელიც სიგრძით 64 ვერსს უდრის და ხონ-არხი—62 ვერსიანი.

—;—

**მცენარეობა.** ტყის სივრცის რაოდენობა განჯის გუბერნიაში 461.628 ოთხ-კუთხ დესეტინას უდრის და მაზრებში ერთობ უსწორ-მასწორადაა არის იგი განაწილებული. მაშინ, როცა ყაზახისა და ნუხის ტერიტორიის თითქმის ნახევარი ტყით არის დაფარული, დანარჩენ მაზრებში ტყე ერთობ ნაკლებათაა. ზანგეზურის მაზრაში ტყეს მთელი მაზრის  $\frac{1}{3}$  უჭირავს; განჯისას, ჯევან-შირისა და შუშის მაზრებში— $\frac{1}{6}$ ; ჯიბრაილის მაზრაში ტყე ერთობ მცირეა; აქ მხოლოდ ტერიტორიის  $\frac{1}{10}$  უკავია ტყეს. არეშის მაზრაში ტყე თითქმის სულაც

არ მოიპოვება. აქ ტყე უმეტეს ნაწილათ არის 1.500—8000 ფუტის სიმაღლეზე (ზღვის დონეზე). უფრო დაბალ ადგილებში ტყე სრულიად დამოკიდებულია სარწყავი წყლის რაოდენობაზე. მდ. მტკვრის პირათ მოყვება ტყის ვიწრო ზოლი, რომელიც ფართოვდება მტკვრის ტოტების ჩასართავთან, მაგალითათ, იქ, სადაც მტკვარს ერთვიან: შამქორი, ალაზანი, ყორი და გერან—ჩათ. არაქსის ველები ტყით ერთობ ღარბია. გუბერნიის სხვა მდინარეების ნაპირებზე მხოლოდ ჩირგვნარი შეგხვდებათ.

საშენი ხე-ტყის მასალა აქაურ ტყეებში ერთობ მცირეა. ის მხოლოდ აქა-იქ შეგხვდებათ კავკასიონის მთებში და ისიც ისეთ მიუვალ ადგილებში, საიდანაც მისი გამოტანა შეუძლებელია. რაც შეეხება მცენარეულობის ჯიშს, ეს სრულიად დამოკიდებულია ნიადაგის სიმშრალეზე. ამიტომ ეგრეთ წოდებული **გიდროფილები**, ესე-იგი ისეთი მცენარეები, რომელთაც სინესტე უყვართ, — გუბერნიაში სულაც არ მოიპოვება. ან უმეტეს ნაწილათ ხარობენ **ქსეროფილები**, ესე-იგი ისეთი მცენარეები, რომლებიც ადვილათ იტანენ გვალვებსა და ნიადაგის სიმშრალეს. აქ თქვენ ვერ შეხვდებით ვერც მუდამ მწვანეთ მობიბინე ჩირგვნარს, ვერც სუროს, ვერც ნადვსა და სოქს. ცოტაოდენი ფიჭვის ტყე მხოლოდ დელეჟანის ხეობაში შეგხვდებათ. სამაგიეროთ აქ ხარობს: აღმოსავლეთის მუხა და რცხილა. მთიან ადგილებში აქა-იქ შეხვდებით ნეკერჩხალს, ცაცხვს, კოპიტს და არყის ხეს. დაბალ ადგილებში უმეტეს ნაწილათ ხარობს: თელადიმა, ტან-პატარა მუხა, თუთა, ვერხვი, ბროწეული, შვინდი, ქრისტეს ხე (**გრებენჩუკი**). ჩირგვნარები უმეტეს ნაწილათ შესდგებიან ეკალ-მაყვალიდან, ეკალიდან და ხის-მჭირავიდან (**дерти дерево**). მდ. მტკვრის პირათ გარდა მუხისა, თელისა და თუთისა, შეხვდებათ ტირიფსა და სხვა ჯიშის ქრისტეს ხესაც (**გრებენჩუკი**).

**მცხოვრებლების** რიცხვი გუბერნიასა და ზაქათალის ოლქში 1816 წლის 1 იანვარს უდრიდა 1.367.739 სულს ორივე სქესისა. თითო ოჯახ-კუთხ ვერსზე გუბერნიაში მოდიოდა 32,9 სული; ზაქათალის ოლქში — 26,4 სული. ამ მხრით განჯის გუბერნია შესამჩნევათ ჩამორჩენილია თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებზე. მაგრამ ამ მხრით თვით ამ გუბერნიის მაზრებშიაც დიდი განსხვავებაა. ის მაზრები, რომლებიც მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობენ და სადაც სარწყავი წყალი საკმაოა, ხალხიც მეტი ცხოვრობს. სამაგიეროთ კლდიან-ხროკიან ადგილებში, სადაც წყალი ცოტაა, როგორც არის

მაგალითათ ჯევანშირის მაზრა, მცხოვრებთა რიცხვაც ერთობ მცირეა. საუკეთესო პირობებს წარმოადგენს შუშის მაზრა, სადაც სარწყავი წყლებით მდიდარ ნაწილებში მცხოვრებთა რაოდენობა საშუალოზე მეტია. განჯის გუბერნიაში ჯერ-ჯერობით საკმაოდ დიდია ისეთი ადგილებიც, სადაც მოსახლეობა სულაც არ არის, ან სულ უნნიშვნელო რიცხვია მცხოვრებთა. ასეთ ადგილს წარმოადგენს, მაგალითათ, ყარაბაღის მთავაკეები და საზოგადოთ 6<sup>1</sup>/<sub>2</sub>—7 ფუტის სიმაღლეზე მდებარე ადგილები, განჯა-სომხეთის მთა-გრენილები, კავკასიონის ქედი, უწყლო-ქვიანი ჯიბრაილის უდაბნო (გენის, ინჩა, ჩახმახი, ტოპჩახი და სხვები) და ძილის ანუ ყარაბაღის უდაბნო, რომელიც მხოლოდ ირგვლივ, განაპირებზეა აქა-იქ დასახლებული. მცხოვრებლები ნაციონალურათ შემდეგ ნაირათ გაიყოფებიან:

თათრები . . . . .	ორივე სქესისა	826.420 სული.
სომხები . . . . .	„ „	421.389 „
მთიელი მაჰმადიანები . . . . .	„ „	52.506 „
რუსები . . . . .	„ „	36.977 „
ბერძნები, აისორები & სხ. ქრისტიანები	—	—
აზიის ხალხები . . . . .	„ „	10.866 „
ნემცები, პოლონელები & სხვა ევროპიელები . . . . .	„ „	7.415 „
ქართველები . . . . .	„ „	5.407 „

**ს უ ლ** 1.372.180 (?)

განჯის გუბერნიაში ცხოვრობენ აგრეთვე ციგნები, ებრაელები, უდინები, კიურონები (ლეკის ტომისა), თათრები (ირანელები) და გაპუტლინები (ლეკის ტომისა). გუბერნიის მცხოვრებთა ნახევარს ადერბეიჯანის თათრები შეადგენენ. მცხოვრებთა რიცხვით მეორე ალავი სომხებს უჭირავთ. თათრები სჭარბობენ მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ნუხისა და არეშის მაზრებში და ჯიბრაილის მაზრის უდაბნოებში. ამ სამ მაზრაში ისინი შეადგენენ მცხოვრებთა 75<sup>0</sup>/<sub>100</sub>. ყაზახისა და განჯის მაზრებში ისინივე შეადგენენ მცხოვრებთა ნახევარზე მეტს. ასეთსავე სურათს ვხედავთ ჯევანშირის მაზრაშიც. შუშის მაზრაში სომხების რიცხვი სჭარბობს თათრებსას. ზანგეზურის მაზრაში კი თათრები მცხოვრებთა მხოლოდ 25<sup>0</sup>/<sub>100</sub> შეადგენენ. სომხების უმნიშვნელო რიცხვი ცხოვრობს ნუხისა და არეშის მაზრებში, ზაქათალის ოლქში და უდაბურ

ჯიბრაილის მაზრაში. სამაგიეროთ შუშისა და ზანგეზურის მაზრებში ისინი შეადგენენ უმრავლესობას. დანარჩენ ადგილებში სომხები შეადგენენ მცხოვრებთა მხოლოდ  $\frac{1}{3}$ -სა და  $\frac{1}{4}$  ნაწილს.

სომხები უმეტეს ნაწილათ მოსახლეობენ მთების შეკალთებებში. ეს გარემოება საშუალებას აძლევს მათ მიწის მეურნეობა აწარმოვონ. სულ სხვა პირობებშია თათრები, რომლებიც უმეტეს ნაწილათ მოსახლეობენ დაბლობ-ადგილებში, სადაც მაისის პირველი რიცხვებიდან ოქტომბრის დამლევამდე შეუძლებელი ხდება როგორც ადამიანის, ისე პირუტყვის არსებობა. ეს გარემოება თათრებს აიძულებს ხელი მიყონ მომთაბრეობასა და ნახევრათ მომთაბრეობას. ისინი ზაფხულობით ტოვებენ თავის კარ-მიდამოს და მთებისკენ მიემგრებიან პირუტყვის. ზამთრობით კი ისევ ძირს ჩამოდიან და თავის უპატრონოთ დაგდებულ სახლ-კარს უბრუნდებიან. კიშლაგებიდან (საზამთრო საძოვრებიდან) ეილალებისკენ (საზაფხულო საძოვარი), ეილალებიდან კიშლაგებისკენ მიმოსვლა ხავისი ჯოგებით თათრებს უხდებათ სომხების სოფლებში გავლა. ეს გარემოება დიდ უსიამოვნებას იწვევს ამ ორ ერთა შორის, რომლებიც ისეც ვერ არიან ერთმანეთთან კარგ მეზობლურ განწყობილებაში.

**მოსაქმეობა.** აქაც მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი მიწის მეურნეობით ირჩენს თავს. ხორბლეულობიდან აქ მოყავთ როგორც გაზაფხულის, ისე შემოდგომის პური, ქერი, ქვავი, ფეტვი და ბრინჯი. აქ შემდეგი ჯიშის პურსა თესვენ: „სარი-ბულდა“, „დინგი-ზარდა“, „კარლ-ჩიხი“ (მაგარი შემოდგომის პური) და „გიურგენი“ (აბალი შემოდგომის პური). სხვა ხორბლეულობა: სიმინდი, შვრია და სხვა აქ ერთობ ნაკლებაა მოდის. აქაური რუსების სოფლებში თესვენ პურს, ეგრეთ წოდებულ „გირკას“ (წითელი ხორბალი); სხვები კი თესვენ აგრეთ წოდებულ აღ-გიულგანას (თეთრი ხორბალი) და კრიზო-გიულგანას (წითელი ხორბალი). ამ ჯიშის ხორბალი ძალიან კარგათ იტანს გვალვებს და უფრო ცოტა სარწყავ წყალს მოითხოვს, ვიდრე სხვა ჯიშის პური. აქ თესვენ აგრეთვე სხვილ მარცვალა პურს, რომელსაც თავთუხი ქვია.

1915 წლის სტატისტიკური ცნობების თანახმად გუბერნიაში დათესილი იყო 264.157 ოთხ-კუთხი დესეტინა, რაზედაც თესლი დაუხარჯავთ 390.416 ჩეტვერტი (ეს უდრის 12 ფ. და 32 გირვანქას).

შემოდგომის პური	242.641
გაზაფხულის „	20.405

შერია	567
ქერი	102.013
სიმინდი	658
პოლბა (?)	75
ფეტვი	5.007
ბრინჯი	162.000
ყველა სხვა ხორბლეულობა	1.950

ს უ ლ . . . . . 390.416 ჩეტვ.

1906—1910 წლებში დათესილი მიწისა და შეკრებილი პურის რაოდენობა საშუალოთ უდრიდა:

ხორბალი:	დათესილი იყო დესეტინა:	შეუკრებიათ ფუთი:
1. შემოდ. ქვაფი	1.756	57.700
2. „ პური	178.619	5.728.100
3. გაზაფ. ქვაფი	1.868	57.000
4. „ პური	22.018	624.100
5. ქერი	89.496	2.952.100
6. პოლბა (?)	1.043	33.500
7. გრეჩიხა (?)	252	7.200
8. ფეტვი	13.297	380.500
9. სიმინდი	662	26.400
10. მუხულო	154	5.900
11. ლობიო და ცერ.	301	10.200
<b>ს უ ლ</b>	<b>309.466</b>	<b>9.882.800</b>

მიწის მეურნეობას აქ ხშირათ ყოვლად უსისტემოთ აწარმოებენ. უმეტეს ნაწილათ მიწას ასვენებენ ორის, სამის წლით და მეტსაც. ხშირათ კი ერთ და იმავე ნაქერ მიწას თესვენ 3, 4, 5 და უფრო მეტი წლის განმავლობაში დაუსვენებლათ, სანამ მიწა სულ ერთიანათ არ გამოფიტდება, ისე რომ დახარჯულ თესლსაც ვერ დაუბრუნებს მეურნეს. ამის შემდეგ მიწას რამდენიმე წლის განმავლობაში სრულიად თავს მიანებებენ. მიწას აქაც ხვნიენ მძიმე გუთნით, რომელსაც 6—8 უღელა ხარ-კამეჩს უბმენ; მაღლობ ადგილებში 10 უღელსაც უბმენ.

შემოდგომის პურს სექტემბრის ბოლო რიცხვებში თესვენ: დაბლობში უფრო გვიანაც. ჯაზაფხულის პურს დაბალ ადგილებში თესვენ მარტში; მაღლობებში და მთა ადგილებში უფრო გვიან. აქ პურის მკა მაისის დამდეგში იწყება და სექტემბრის დამლევს თავდება. დაბლობში ქერს მაისში მკიან, პურს ივნისში. მთა-ვაკე ადგილებში, ვენახის კარგონებში, პურისა და ქერის მკა<sup>1/2</sup> თვით გვიან, ვიდრე დაბლობში მთებში კი როგორც პურს, ისე ქერსაც სექტემბრის დასაწყისში მკიან.

დაბალ ადგილებში ნათესებს რწყავენ სამჯერ: ორჯერ გაზაფხულზე და ერთხელ შემოდგომაზე. მოსარწყავ ადგილებს ყოფენ ოთხ-კუთხებათ და უშვებენ შიგ რაც შეიძლება მეტ წყალს.

პურს ლეწენ ადგილობრივი კვერიბთ, რასაც აქ „ქიამას“ ეძახიან. აქ მიწის მუშაობა ერთობ დაქვეითებულია, რაც მით უფრო სამწუხაროა, რომ ბუნებრივი პირობები აქ ხელს უწყობს მეურნეობას.

ქერისა და პურის გარდა აქ ალაგ-ალაგ ბრინჯიც მოყავთ. ბრინჯის პლანტაციებით შედარებით მდიდარია არეშისა და ნუხის მაზრები. ჯიბრაილის, განჯისა, ზანგეზურისა და ჯევათის მაზრებში ბრინჯს თესენ მხოლოდ არაქისისა და მტკვრის ვაკეებზე; ყაზახისა და შუშის მაზრებში ბრინჯს თითქმის სულაც არ თესვენ. ბრინჯის დასათეს მინდვრებს აპრილის დამდეგ რიცხვებში ხნავენ. პირველათ ასეთ მიწებში უშვებენ წყალს, როცა მიწა დაღებება თესენ ბრინჯს და ცდილობენ, რომ მას წყალი არ მოაკლდეს პირველი ათი დღის განმავლობაში მაინც. შემდეგ ამოსულ ბრინჯში უშვებენ იმდენ წყალს, რომ მიწის ზედა პირი ყოველთვის დაფარული იყოს. ბრინჯი თავს ივლისში იყრის; სამკალათ კი მხათ არის სექტემბრის შუა რიცხვებში. სანამ ბრინჯი თავს იყრის,

ის აუცილებლათ რამდენმეჯერ უნდა გაითხოხოს და ველური ბალახებისაგან განთავისუფლდეს. ეს ძნელი საქმეც არის და მუშისთვის ერთობ მავნებელიც, რადგანაც მუშას მუშაობა უხდება მუხლებამდე დამდგარ, ლეყებოიან წყალ-ტალახში.

**მებოსტნეობა და მებაღეობა.** მებოსტნეობა აქ ძლიერ ნაკლებათ არის გავრცელებული. მეურნეობის ამ დარგს უმეტეს ნაწილათ მისდევენ გერმანელების ახალ შენებში და რუსების სოფლებში მხოლოდ ადგილობრივი საქიროებისთვის. სომხები მხოლოდ ქალაქებში ეწევიან მებოსტნეობას. მეურნეობის ეს დარგი ყველაზე უფრო გავრცელებულია ქ. განჯაში და გერმანელების ახალშენებში — ელენენდორფსა და ანენდფელდში. გუბერნიაში. გამოწაკლისს შეადგენს ეკლახ შუშის გზაზე მდებარე სოფელი ბარდა, სადაც მებოსტნეობას ეწევიან. ბარდიდან დიდ ძალი ხახვი ჩამოაქვთ ქ. განჯის ბაზარზე. აქ შედარებით უფრო გავრცელებულია **მებაღეობა**, რომელსაც უმეტეს ნაწილათ თათრები მისდევენ. თესენ განსაკუთრებით ნესვს, საზამთროს, კიტრს. აქ კარგათ ცნობილია აღდაშისა და ლიაქის (არეშის მაზრა) საზამთროები, რაც მრავალი მოაქვთ თბილისის ბაზარზე.

—:—

**მებაღეობა, მევენახეობა და მელვინეობა.** აქ მებაღეობა შესაძლებელია 2500—3000 ფუტის სიმაღლეზე. ამას ზევით ბაღებს ვერ შეხვდებით. ხეივანებში უფრო გავრცელებულია: ქლიავი, მსხალი, კომში (ბია), ბალი, ალუბალი, ჭერამი, ატამი, ლეღვი, ბროწეული, წაბლი, კაკალი, თხილი და სხვ. მთელ მხარეში განთქმულია ყარაჩინარის ვაშლები, ვანდამის მსხალი (სოფელი ვანდამი ნუხის მაზრაშია), ბუშის, კუტკაშენისა და ნიჯის კაკალი. აგრეთვე ცნობილია განჯის ბროწეული, ბალი, ქლიავი და ატამი...

მევენახეობა წლითი წლობით მეტ ყურადღებას იქცევს სოფლისმეურნის მხრით. ეს მეურნეობა უფრო გავრცელებულია ზოგიერთ სომხის სოფლებში და კიდევ უფრო გერმანელების ახალშენებში. 1915 წელს ვენახის ბაღები სიჭრტით, თურმე, 11.962 ოთხ-კუთხ დესეტინას უდრიდა. ღვინის მოსავალი მაზრებში, რა თქმა უნდა, ერთ-ნაირი არ არის. ყველაზე მეტი ღვინო განჯის მაზრაში მოდის. აქ განთქმული იყო ფორერის ფირმის ღვინოები, რომელიც დიდ ძალი გაქონდათ რუსეთის ბაზრებზე.

იმავე 1915 წელს მთელ გუბერნიაში მოსულა 145.410 ვედრო ღვინო, რომელიც მაზრაში შემდეგ ნაირათ ნაწილდებოდა:

მაზრები:	ღვინო ვედრობით:
განჯის	68.350
არეშის	25.000
ყაზახის	1.500
ჯევანშირის	12.000
შუშის	32.000
ზანგეზურის	360
ჯიბრაილის	1.900
ნუხის	4.300
<b>ს უ ლ.</b>	<b>145.410</b>

იმავე წელს ზაქათალის მაზრაში 777 ოთხ-კუთხი დესეტინა ვენახი ყოფი-  
ლა; ღვინო მიუღიათ 7.500 ვედრო.

**ტექნიკურ მცენარეთა კულტურა.** გუბერნიაში ბამბის კულტურამ ფეხი  
მოიდგა 1887 წელს, როცა ამ რაიონს ყურადღება მიაქცია ლოდზის მანუფაქ-  
ტურის პოზნანსკის ფირმამ და არეშის მაზრაში ბამბის თესლის მუქათა და-  
რიგება დაიწყო. ამ ფირმის წარმომადგენლებმა ადგილობრივთა შეისწავლეს  
აქაური ბამბის მეურნეობის პირობები, რასაც შედეგათ ის მოყვა, რომ პოზ-  
ნანის ფირმა ძალიან დაინტერესდა ამ საქმით. ამას მიბაძა რამდენიმე მოს-  
კოვის ფირმებმაც. გმნჯაში და სხვა რაიონებშიაც დაარსდა რამდენიმე ბამბის

სარჩევი ქარხნები. ამას მოყვა აქ საუკეთესო თესლის გავრცელება და ბამბის რაიონის გადიდებაც. 1907 წელს მთავრობაც დაეხმარა ბამბის მეურნეებს, რომლებსაც 5.250 ფუთი ამერიკული თესლი დაურიგა.

1913 წელს გუბერნიაში ბამბის პლანტაციების სივრცე უდრიდა 50.854 ოთხ-კუთხ დესეტინას. შემდეგი ციფრები გვაჩვენებენ ბამბის მოსავლის რაოდენობასა. შეუკრებიანთ მთელ გუბერნიაში:

1909 წელს	215.000	ფუთი
1910	530.000	„
1911	746.000	„
1912	676.000	„
1913	661.000	„

ბამბის რაიონის სივრცე თან და თან ფართოვდებოდა, რაც შემდეგი ციფრებიდან სჩანს:

1909 წელს	იყო	14.200	დესეტინა;
1910	„	26.600	„
1911	„	53.300	„
1912	„	46.650	„

ბამბის მეურნეობა იმდენათ ხელ-საყრელი გამოდგა მეურნესთვის, რომ ბამბის თესვა ისეთ ადგილზე დაიწყეს, სადაც უწინ პურსა და სხვა ხორბლეულობას თესავდნენ.

მეურნეობის ეს დარგი მართლაც რომ დიდ როლს ითამაშებდა სოფლის მეურნის ბიუჯეტში, მაგრამ მას დიდი ხანია რაც ჩარჩები და სპეკულიანტები დაეპატრონენ.

მეთამბაქოებას თითქმის ყველა მაზრაში მისდევენ. მაგრამ მეურნეობის

ამ დარგის ცენტრათ გუბერნიაში ნუხის მაზრა ითვლება. 1915 წელს თამბაქოს მფასავალი მაზრებად იყო:

მაზრები	სოფლები	პლანტაციები	დესეტინა	თ ა მ ბ ა ქ ი	
				კარგი ხარ.	მდარე ხარ.
ნუხის	44	171	118	20	10.300
არეშის	13	23	21	—	1.510
ზანგეზურის	8	48	1,5	28	67
შუშის	1	2	0,6	55	—
განჯის	3	3	0,5	—	104
ჯევანშირის	3	8	0,2	—	7
ყაზახის	3	54	0,1	—	17
<b>სულ</b>	<b>73</b>	<b>309</b>	<b>141,9</b>	<b>103</b>	<b>12.003</b>

როგორც ამ ცხრილიდანაც ჩანს, აჭაური თამბაქო თითქმის სულ დაბალი ხარისხისაა. წლიურათ საშუალო რიცხვით მთელ გუბერნიაში მოყავთ 1.0—14 ათასი ფუთი თამბაქო, რომლის  $\frac{1}{10}$  მარტო ნუხის მაზრაზე მოდის, სადაც ამ საქმეს მისდევენ მდ. ავთარანის მიდამოებში. ამ მაზრაში მეთამბაქოებს თითქმის სულ სოფელ ვართაშენის მცხოვრები ებრაელები ეწევიან, რომლებსაც საკუთარი მიწა არა აქვთ და იჯარით იღებენ მიწებს.

**მეაბრეშუმეობაც** საგრძნობლათ გავრცელებულია გუბერნიაში. უწინ აქ მეაბრეშუმეობა მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ მეურნე აბრეშუმის პარკს აცოცხლებდა, პარკს იწევდა და ყიდდა, მაგრამ ბოლო წლებში ამ საქმემ

ნამდვილი მრეწველობითი ხასიათი მიიღო. აქ გაიხსნა მრავალი აბრეშუმის ძაფის სართავი ქარხნები. ასეთი ქარხნები მარტო ქ. ნუხაში 1911 წელს 80-მდე ითვლებოდა. ამის გარდა ამავე მაზრაში იყო 26 სართავი ქარხანა; ყარიაგონის მაზრაში—5. მეურნეობის ამ დარგმა ბოლო წლებში ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ ზოგიერთ მაზრაში ის ხორბლეულობის მეურნეობის შემდეგ პირველ ადგილს იჭერდა, მაგალითათ; არეშის, ნუხის, ყარიაგონის და შუშის მაზრებში. ბოლო დროს კი მებარეშუმეობამ ზოგიერთ მაზრებში ბამბას დაუთმო პირველობა. გლეხები თავის ნაწარმოებ პარკს ყიდდენ ადგილობრივ ბაზარზე; ასეთი ბაზრები იყო: ნუხის მაზრაში: ქ. ნუხა და სოფელი ვართაშენი; არეშისაში—ს.ს. აღდაში და ხაღდანაი; შუშისაში—სოფელი აღდაში, ყარიაგანისაში—ს.ს. ყარიაგინო, ვანქი და ჯიბრაილი, ჯევანშირისაში—სს. ბარდა და ტერტერი და ზანგეზურისაში—სს. გერიუსი და ულურჩაი.

თუმცა მებარეშუმეობა გუბერნიაში ძალიან გავრცელებულია, მაგრამ იგი მაინც ვერ არის რაციონალურათ დაყენებული. აქ ძლიერ ცოტაა სპეციალურათ გაშენებული თუთის პლანტაციები და აბრეშუმის ქია იკვებება აქა-იქ შემთხვევით მოკრებილი ფოთლით, რომლის არც ღირსება იცის მეურნემ და ხშირათ ვერც საკმაოთ შოულობს მას. ეს გარემოება და კიდევ უფრო ის, რომ ხშირათ აბრეშუმის თესლიც კარგი ღირსების არ მოდის, ერთობ ცუდ პირობებში აყენებს მეურნეობის ამ ერთ-ერთ უდიდეს დარგს.

1910 წელს გუბერნიაში შეუძენიათ 157.000 კოლოფი აბრეშუმის თესლი; აბრეშუმის პარკი მოუწევიათ 155.000 ფუთი.

**ალაოს ძირი (Солодковий корень).** ალაო, ან ძირ-ტკბილა, ხარობს უმეტენ ნაწილათ გუბერნიის აღმოსავლეთ ნაწილში, დაბლობ ადგილებში. ამ მცენარის ძირის წარმოების საქმე აქ იყო ორი საზღვარგარეთელი ფირმის ხელში, რომლებსაც აქვე გაკეთებული ნაწარმოები გაქონდათ. ერთი ასეთი ქარხანა იყო რკინის გზის სადგურ ლიაქთან, მეორე ქ. განჯის მახლობლათ. ამ მცენარეს წელიწადში საშუალო რიცხვით თხრიდენ 500.000 ფუთამდე. ამ ნაწარმოებს აგზავნიდენ ინგლისში და ამერიკაში.

ძირ-ტკბილის გარდა აქ გლეხები ძალიან ბევრ თრიმლს აგროვებენ და ყიდიან (Дубильные листья. Дубление-თრიმლვა, თხიშლი-дубильн. рас-

тение). აქ ამ მცენარეს „სარალანი“ ქვია, რომელსაც დიდ-ძალსა უიღდენ ნუხის ტყავის ქარხანებში. ნუხის მარაში ხარობს აგრეთვე ენდრო, რომელიც საუკეთესო საღებავ მცენარეთ ითვლება. ეს მართლაც იმდენათ კარგი საღებავია, რომ შექარხნებში იმას ამჯობინებენ ალინის საღებავს.

—:—

**მესაქონლეობა.** ზოგიერთ მარაგებში მუსულმანების უმეტესობა მხოლოდ მეჯოგეობითა და მენახირეობით ცხოვრობს. ყოველ შემთხვევაში გუბერნიაში მიწის მეურნეობის შემდეგ პირველი ადგილი მეურნეობის ამ დარგს ეკუთვნის.

1915 წელს გუბერნიაში პირუტყვების რიცხვი შემდეგი იყო:

ქალაქები და მარაგები:	ცხენი:	ვირი:	ჯორი:	ხარ ძროხა:	კამეჩი:
ქ. განჯა	810	212	60	940	648
„ ნუხა.	468	418	12	1.462	1.684
„ შუშა	118	43	42	70	30
არეშის	2.177	758	—	44.880	25.114
ჯევანშირის	5.117	2.032	—	55.043	17.402
განჯის	13.925	2.415	1.279	96.931	23.490
ზანგეზურის	7.049	4.358	3.252	137.436	5.333
ყაზახის	7.415	3.298	—	86.951	18.151
ყარიაგინის	6.887	3.430	658	59.873	7.052
ნუხის	6.301	3.035	14	50.612	36.665
შუშის	7.688	2.545	480	60.993	21.424
<b>ს უ მ</b>	<b>57.955</b>	<b>22.544</b>	<b>5.797</b>	<b>592.141</b>	<b>156.683</b>

ქალაქები და მაზრები:	ც ხ ვ ა რ ი:		თხა:	აქლემი:	ლორი:
	კულ მა- ტყლოვანი	კარგ მა- ტყლოვ.			
ქ. განჯა . . . . .	380	40	162	—	89
„ ნუხა . . . . .	—	—	—	—	—
„ შუშა . . . . .	230	—	6	—	28
არეშის . . . . .	30.083	—	1.926	—	387
ჯეევანშირის . . . . .	96.782	—	13.448	—	1.668
განჯის . . . . .	183.908	20.974	16.115	3	2.692
ზანგეზურის . . . . .	58.844	—	18.404	—	1.021
ყაზახის . . . . .	222.426	—	9.020	—	3.009
ყარიაგინის . . . . .	173.083	—	13.052	2.019	2.277
ნუხის . . . . .	182.939	—	16.519	—	1.984
შუშის . . . . .	92.741	—	13.594	213	2.301
<b>ს უ ლ</b> . . . . .	<b>1066.515</b>	<b>21,014</b>	<b>101.246</b>	<b>2.235</b>	<b>15.456</b>

ამ ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ, რომ გუბერნიაში 1915 წელს 2.041.596 სული პირუტყვი ითვლებოდა, რომლის უმეტესობაც მოდის განჯის მაზრაზე. ამ მაზრაში უფრო გაფრცხვლებულია მეცხვარეობა, რასაც ხელს უწყობს ის გარემოება, რომ აქ, განსაკუთრებით მდ. მტკვრისა და იორს შუა, დიდი უდაბნოებია, რაც მეცხვრობისათვის გამოსადეგია. აქ უმეტეს ნაწილათ გავრცელებულია კავკასიური, დიდ ღუმიანი, აგრეთ წოდებული „ბოზახოსა“, „მერიკი“ ჯიშის ცხვარი. აქ ალაგ-ალაგ შეხვდებით საუკეთესო „მერინოსის შპანკას“ ჯიშის ცხვარსაც. 1915 წელს ასეთი ცხვარი გუბერნიაში 20.974 სული ითვლებოდა.

განჯის მაზრაში ცხენების მოშენების საქმესაც მისდევენ. ზოგი აქაური ბეგების ცხენების ქარხანა განთქმული იყო მთელ მხარეში კარგი ჯიშის ცხენებით. ასეთი იყო ზიულ-კადაროვის, რომლის „ყარაბახის“ ჯიშის ცხენები

ძალიან კარგათ ფასობდა. ასეთივე იყო გერმანელების ზოგ ახალ-შენებში: ელენდორფში, ანნენფელდსა და გიორგიევსკშიაც.

ყაზახისა და ყარიაგინის მაზრებში გავრცელებული იყო შესაქონლეობა. საზოგადოათ უნდა ითქვას, რომ მტკვრის მარჯვენა მხარეზე მდებარე რაიონებში, სადაც მომთაბარე და ნაწევრათ-მომთაბარე თათრები მოსახლეობენ, უფრო მდიდარია როგორც წვრილი, ისე მსხვილი პირუტყვითა.

ბუნებრივი პირობები აქ ისეთია, რომ მეურნეობის ეს დარგი ერთობ ღიდ შემოსავალს მისცემდა მცხოვრებლებს, რომ აქაც გაუნათლებლობა თავისას არ შვრებოდეს. აქაური მეჯოგეები სულაც არ მისდევენ პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესებას. ისინი ხშირათ სულაც არა ფიქრობენ იმაზე, რომ პირუტყვს საზამთროთ რამე საკვები მასალა მოუმზადონ. მთელი ზამთრის განმავლობაში ჯოგი ძოვს დაბლობში: თუ ზამთარი თბილი და ზომიერია ხომ კარგი, თუ არა და აუარებელი საქონელი იღუპება უბალახოთ და სიცივით.

რაც შეეხება კარგათ დაყენებულ მერძევეობასა და ყველის წარმოებას, ამას მხოლოდ გერმანელების ახალ-შენებში და სომხის ზოგიერთ სოფლებში შეხვდებით. თათრები პრიმიტიულათ აკეთებენ ყველსა და ერბო-კარაქს

**მადნეულობა.** სომხეთ-განჯის მთებში ღიდ-ძალი მადნეულობაა. მურავ-დაღის, გინალ-დაღის, შრ-დაღისა და მურდუზის მთების ჩრდილო დაფერდება, აბიხის გამოკვლევით, მადნეულობის ბუდეთ უნდა ჩაითვალოს.

ოქროს საბადო არის ყაზახის, განჯისა და ჯევანშირის მაზრებში. ძარღოვანი ოქროს საბადო ხედება მხოლოდ ყაზახის აგარაკში, მდ. აქსტაფის მარჯვენა ნაპირზე. ეს ოქროს საბადი ცნობილია 1800 წლიდან. სწორეთ ამ წელიწადს აღმოაჩინა იგი გრაფ მუსინ-პუშკინმა, რომლის სიკვდილის გამო და შემდეგ რუს-სპარსეთის ომის გამო დავიწყებას მიეცა ეს საქმე. ოქროს მადნის ნიშნები აღმოჩენილია აგრეთვე მდ. ჯატარ-ჩაისა, შამქორისა, კატ-ქარ-ჩაისა, განჯინკასა და ტერტერის აუზებში.

ვერცხლისა და ტყვიის მადანია ყაზახის, განჯის, ზანგეზურის, შუშისა და ჯევათის მაზრებში. შტეინის გამოკვლევით, გეგდაღის მთიდან (მდ. გასან-ჩუს მარჯვენა ნაპირზე) ამოღებულ მადანში ფუთზე მოდიოდა: 23 გირვანქა და 36 მისხალი ტყვია და  $2\frac{3}{8}$  მისხალი ვერცხლი. მურგუზ-დაღის მთიდან გამოღებულ მადანში კი, იმავე მეცნიერის გამოკვლევით, ერთ ფუთზე მოდიოდა: 16 გირვანქა და 36 მისხალი ტყვია და  $\frac{7}{8}$  მისხალი ვერცხლი.

განჯის გუბერნიის კიდევ უფრო მდიდარია სპილენძით: აქ თითქმის ყოველ მაზრაშია სპილენძის მადანი, მაგრამ ამით ყველაზე უფრო მდიდარი

განჯის, ყაზახისა და ზანგეზურის მაზრები. საქვეყნოთ ცნობილია ქედაბეგის სპილენძის მადანი, რომლის დამუშავება წარსული საუკუნის პირველ ნახევარშივე დაიწყო ადგილობრივმა ბერძნებმა. ამათი ქარხანა გადავიდა მორიციისა და ტანნერის ხელში, რომელთაგანაც ის შეისყიდა ცნობილმა სიმენსის ფირმამ. ამ სპილენძის ქარხნებმა მალე დაიჭირეს პირველი ადგილი მთელს კავკასიაში. აქ 1863 წლიდან 1905 წლამდე ამოუღიათ 70.000.000 მადანი, რომელშიც ყოფილა საშუალო რიცხვით  $3\frac{1}{2}\%$  სპილენძი,  $0,005\%$  და ვერცხლი— $0,008\%$ . მაგრამ 1912 წელს შენიშნეს, რომ აქაური მადანი უკვე ილევა და ფირმა იძულებული შეიქნა მადანის ახალი საბადო ეძებნა.

ზანგეზურის მაზრაში ამ საქმის პიონერი იყო ვილაც ბერძენი „უსტა“ ალავერდი, რომელიც 1847 წელს დასახლებულა აქ და რამდენიმე ალაგას აღმოაჩინა სპილენძის მადანის საბადო. სხვათა შორის მან აღმოაჩინა საითდალის ქედში აგრეთვე წოდებული „კატრ-კავარტის“ მადანი; „უსტა“ ალავერდას აღმოჩენილია აგრეთვე სოფელ ოხჩის მადანი, რომელიც მდ. ოხჩის ნაპირზეა და მდ. მიგრი-ჩაის ნაპირებზე „ტიერის“ მადნების ჯგუფი. უსტა ალავერდა ენერგიულათ შეუდგა საქმეს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს წარმოება ერთობ პრიმიტიულათ იყო დაყენებული. ზანგეზურის მაზრაში ამ წარმოების კარგათ დაყენებას ხელს უშლის უფრო ტრანსპორტის უქონელობა. რკინის გზა ამ მადნებს 120 ვერსის სიშორეზე ახლავს და ეს კიდევ არაფერი, რომ ეს გზა საურბეთ მაინც ვარგოდეს. 50 ვერსი მხოლოდ კურტანიანი ცხენით შეიძლება მიმოსვლა და ისიც დიდის გაჭირებით.

აქ საკმაო რკინის მადანიც არის. აქ ცნობილია დაშქერანის რკინის მადნები. სხვათა შორის უნდა აღინიშნოს: ნავთი, წერხაში, ქვა-ნახშირი, მარმარილო, შაბი და თაბაშირი.

აქ ნავთი აღმოჩენილა ქ. განჯიდან 30—35 ვერსის მანძილზე, მდ. გერან-ჩაის მარჯვენა ნაპირზე, ეგრეთ წოდებულ „ნავთალანში“. აქ ამ ნავთიდან ამზადებენ სამკურნალო მალამოს „ნავთალინს“. ნავთი არის აგრეთვე ყაზახის მაზრაში, აგრეთვე წოდებულ „პურატ-პურტ-დარაში“ და სოფელ კარაკოიუნლაში, ჯევანშირის მაზრაში.

ყაზახის, ჯევანშირისა და ზანგეზურის მაზრებში არის ქვა—ნახშირი წერხაში. უნდა აღინიშნოს შაბით მდიდარი ადგილები სს. კუმში, ბინში, ზაგლიკში და ნუზგერში.

გუბერნიაში რამდენიმე სამკურნალო აბანოებია, როგორც ცივით, ისე ცხელი წყლით. ასეთი წყლებია ყაზახის მაზრაში, ს. გატამალაღუში, არის

ცივი, ძლიერ სასიამოვნო სასმელი ნახუენგინი წყალი; განჯის მაზრაში, ს. სლავინკაში, არის ჯაჯირის სამკურნალო წყალი; ჯევადის მაზრაში, მდ. ტერტერის სათავეში, 7.240 ფუტის სიმაღლეზე (ზღვის დონედან) არის ტერტერისა და ისტისუს წყაროები, რომელთა რიცხვიც 20-მდე აღის. ეს წყლები თბილია, 20<sup>0</sup>/<sub>10</sub> ტემპერატურა აქვს. შუშის მაზრაში, მდ. ტულუჩაის ხეობაში, 6.800 ფუტის სიმაღლეზე არის ერთი სელტერისა და ორი რკინის წყლის წყაროები. ამ წყლებზე მიდიან სამკურნალოთ რეკომენდებულნი და კუჭის კატარით დასნეულებულნი. ზანგეზურის მაზრაც ძლიერ მდიდარია სამკურნალო წყლებით, მაგრამ აქ ეს წყლები მიუვალსა და უგზო-უკვლო აღგილებშია. ნუხის მაზრაში ცნობილია ბუშის გოგირდის წყლები, რომლის ტემპერატურაც 31,4<sup>0</sup> უდრის. აქ ცხელ წყაროს გვერდით გამოდის ცივი წყალიც რომლის ტემპერატურა 19<sup>0</sup> არ აღემატება. ს. კუტკაშენში არის გოგირდის წყაროც.

**შინამრეწველობა.** განჯის გუბერნია ძველთაგან არის განთქმული ნობების წარმოებით. განსაკუთრებით ცნობილია აგრეთ წოდებული „ყარაბახის ნობები“, რასაც მრავლობით აკეთებენ შუშის, ჯევენშირის, ყარიაგინის და ზანგეზურის მაზრებში. შუშელი ვაჭრებო, რომლებიც, აგრონომი ფირალოვის სიტყვით, დიდი ხნიდან იყვენ ცნობილი როგორც ევროპის, ისე აზიის ბაზრებზე, იმ თავითვე ძლიერ ხელს უწყობდენ აქ ნობების წარმოების საქმეს. იმათ მრავალი გაქონდათ ბაზრებზე აქ დამზადებული ნობები და იმავე დროს მწარმოებელს აცნობდენ ბაზრის გემოვნებასა და მოთხოვნილებას. აქაური ხანებიც დიდ მფარველობას უწევდენ წარმოების ამ დარგის აყვავებას. ეს იყო მიზეზი, რომ კავკასიის არც ერთ კუთხეში ისეთი კარგი ღირსების ნობები არ კეთდებოდა, როგორც ყარაბახში.

ქ. შუშა თამაშობდა ამ საქმეში ხელმძღვანელის როლს. ის აძლევდა მწარმოებელს მხატვრულ ინიციატივას; უკვეთავდა საუკეთესო ღირსების ნობის და იმავე დროს იგივე ქ. შუშა იყო უდიდესი ბაზარი ამ მხარეში ნაწარმოები ნობებისა. ქ. შუშაში მუშაობენ მთელ მხარეში სახელ-განთქმული ნობის ოსტატი დედა-კაცები. მაგრამ ის, რაც პირველათ სულს უდგამდა, რაც ჩქარის ტემპით ამოძრავებდა წინ ნობების წარმოებას, რაც ხელს უწყობდა მის აყვავებას, შეიქნა ამ წარმოების გადაგვარებისა და დაცემის მიზეზათ; საქმე იმაშია, რომ ამ რაიონის მწარმოებელი ყველაზე ადრე გაეცნო ევრო-

პის ბაზარსა და მის გემოვნებას; ის აგრეთვე სხვებზე აღრე გაეცნო სხვა ქვეყნების ნოხებსა და ანილიურ საღებავსაც. ამას შედეგათ ის მოყვა, რომ მალე ამ ახალმა საღებავმა და ახალმა ნახატებმა დაიკავეს ძველი მაგარი ადგილობრივი საღებავებისა და ძველის ძველ ნახატების ადგილი. ამან დასცა საქვეყნოთ ცნობილი „ყარაბალის ნოხების“ წარმოებაც. \*) მართლაც ანილინის საღებავი სრულიად უვარგისი გამოდგა, ის მალე ხუნდება.

აქ ამხადებენ როგორც ბეწვიან, ისე უბეწვო ნოხებს. პირველი ჯურის ნოხებში განსაკუთრებით ძვირათ ფასობს „ხალი“, უბეწვო, ნოხებში — „ზილი“, „შადლა“ და „ვერნი“. ყველა ეს ნოხები ცალ-მაგია. ამათ გარდა ნაქებია ყარაბალური ორმაგი უბეწვო ფარდაგები (ფალასები), ჯეჯიმები, ხურჯინები, მაფრაშები, ცხენის ჩულები და სხვა.

ნოხებს გარდა განჯის გუბერნიაში აბრეშუმის ქსოვილებსაც აკეთებენ. ყარაბალში ძალიან გავრცელებული იყო აბრეშუმის ჯეჯიმები. აქ ხშირათ აბრეშუმის ნოხებსაც აკეთებდენ.

საქარხნო-საფაბრიკო წარმოება განჯის გუბერნიაში თითქმის სულაც არ არსებობს, აქ ფაბრიკატები სხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ.



**ბ ა ქ ო ს ბ უ ბ ე რ ნ ი ა\*\*).**

ამ გუბერნიის სივრცე უდრის 33.345,25 ოთხ კუთხ ვერსს. უწინ ის განიყოფებოდა ექვს ადმინისტრაციულ ერთეულათ: ბაქოს, ყუბის, ლენქორანის, გეოქჩაის, ჯევათისა და შემახის მაზრებათ. იმავე გუბერნიის ნაწილს შეადგენენ კასპიის ზღვის კუნძულები: ნარგენი, წმინდანი, ვულფი, სილიანი, საცხოვრებელი, დუვანი, საღორია, ლოსი, ურანოსი, ბულლა და რასია.

ეს გუბერნია ტოპოგრაფიის მხრით ერთობ დიდ სხვა და სხვაობას წარმოადგენს. ჩრდილოეთის ამაღლებული ნაწილი გუბერნიისა გაწოლილია ყუბის, გეოქჩაისა და შემახის მაზრებში და შეადგენს დიდ კავკასიონის ქედის დასასრულს. მეორე ამაღლებული ზოლი გუბერნიისა ცნობილია ტალიშის მთების სახელით, მიდის სპარსეთის საზღვრებზე. მთელი ჯევათის მაზრა ბა-

\*) ა. ფირალოვი. „შინამრეწველობის მოკლე მიმოხილვა კავკასიაში“ გვ. 58—59.

\*\*\*) იხილე: ქ. ა. ვერმიშევი „Земледелие у государственных крестьян Закавказского края, в „Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края,“ т. IV т. 1888 г.

ქოსა და ლენქორანის ნაწილები და აგრეთვე ზღვის პირის ზოლი, მდ. სამურას ჩასართავიდან დაწყებული მდ. ასტარა-ჩაიმდე, წარმოადგენს სწორ დაბლობს. გუბერნიის ამავე ნაწილში მდებარეობს დიდი უდაბნოები — ყარაბაღისა, მილნისა და შირვანისა, რომლებიც ვანჯის გუბერნიის უდაბნოების გავრძელებას შეადგენენ. აფშერონის ნახევარი კუნძული, რომელზედაც მდებარეობს რესპუბლიკის დედა-ქალაქი ბაქო, წარმოადგენს დაბალ ქვიანსა და სილიან ადგილს, მეტის მეტათ ღარიბს წყლითა და მცენარეებით. გუბერნიის ჩრდილოეთით ძვეს ყუბანის მაზრა, რომელიც მდებარეობს კავკასიონის ქედის ჩრდილო კალთებზე და თავისი დაბალი ნაწილით მიღებულია კასპიის ზღვაზე. ამ მაზრას უმეტესი ნაწილი მალალ მთიანია, განსაკუთრებით მაღალი მთებით მდიდარია ამ მაზრის ის ნაწილი, რომელიც დაღესტანის სახელით არის ცნობილი. ეს ნაწილი დასერილია დიდრონი ხნარცვებითა და ღრმა ხეხვებით, ტყე და ჩირგვნარი აქ სულაც არ არის; სახნავი მინდვრებიც ძალიან ცოტაა. ეს განსაკუთრებით ეილაღების (სახაფხულო საძოვარი) რაიონია. ამ ზოლს მისდევს საშუალო ზოლი, რომლის სამხრეთი ნაწილი იწოდება ჯააფუთათ. მაზრის ეს ნაწილი მდიდარია ტყით; აქ თვალს ახარებს აგრეთვე სახნავი ველები და ჩინებული ყანები. აქ სოფლების ადგილ-მდებარეობა ჩინებულია: ზღვის განაპირათ მდებარეობს დაბალი სწორი ვაკე, რომელიც ჩრდილო ნაწილში იწოდება მიუშქიურათ, სამხრეთით — შაბრონათ. მიუშქიური მდარია წყლებით: აქ ერთობ ბევრია, როგორც ღელეები, ისე წყაროები. ამ რაიონის უდიდესი ნაწილი დაფარულია ტყითა და ჩირგვნარით. ნიადაგის მხრითაც ყუბის მაზრა საგრძნობ სხვა და სხვაობას წარმოადგენს. აქ სამხრეთ ნაწილში სკარბობს თიხნარი და სილ-თიხა. ნიადაგის ზედა-პირი მდიდარია ნეშარით (Гумус) და ძლიერ ნაყოფიერია. შაბრანში კი, თითქმის მთელ ზღვის პირათ, სილაა, რაც ვენახის კულტურისათვის ძლიერ კარგია. ამას მისდევს ზოლი ბიცი ნიადაგით (СОЛОНЧАК) და შემდეგ იწყება წყაროებისა და ტბების ზოლი. მალლობების გაშლილ ვაკეებზე კი თიხნარისა და სილთიხა ნიადაგთან ხშირათ შეხვდებით ტიტველ ქვას. მაზრის ჩრდილო ნაწილში, ეილაღების რაიონში, ხშირია მიწაშავი, ალაგ-ალაგ კი მოთიხნარი, ალაგს კიდევ კირნარი და ზრეშიანია.

ბაქოს მაზრა ორი ნაწილიდან შესდგება. ეს არის ჩრდილო ნაწილი, რომელიც შედის კავკასიის მატერიკში და აღმოსავლეთის, რომელიც წარმოადგენს დიდი კავკასიონის ქედის ბოლოს და აფშერონის ნახევარ კუნძულს წარმოადგენს. ოროგრაფიულათ აფშერონი ერთობ უსწორ-მასწორო და ოღრო-ზოღროა. აქ უფრო მეტია მოძრავი სილა, ბიცი, მლაშე ტბები და რამდენიმე ტალახის შადრევნებია.

მეურნეს დიდ ზარალს აყენებს მოძრავი სილა, რომელიც მოძრაობის დროს, ზშირათ სულ ერთიანათ ფარავს ნახნავ-ნათესს, ბაღებსა და ხშირათ მძელ სოფლებსაც. აფშერონი მდიდარია ვენახის ბაღებით, რადგანაც აქ სილიანი ნიადაგია და ვენახს ასეთი ნიადაგი უყვარს. დაიწყება თუ არა აქ ზაფხულის სიცხეებზე, მცხოვრებლები ტოვებენ სახლ-კარს და ესახლებიან ბაღებში, სადაც ყურძნის რთველის გათავებამდე რჩებიან. აქ სასმელი წყალი ერთობ ცოტაა. მცხოვრებლები იძულებულია იქონიონ სპეციალურათ მოწყობილი ორმოები, როელეებშიაც გროვდება და ინახება წვიმის წყალი. აქ ალაგ-ალაგას შეხვდებით წყაროებსაც, მაგრამ მათზე რიცხვი ერთობ უმნიშვნელოა აფშერონის ნახევარ კუნძულზე უმეტეს ნაწილათ ნიადაგი სილათიხაა, ალაგ-ალაგს ქარბობს თიხნარი და კირნარი. ხშირია ბიცინი ნიადაგიც. თუ აქ მიწა ხელოვნურათ განოყივრდა და კარგათ მოიწყო, კარგ მოსავალს მისცემს მეურნეს. **შემახისა** და **გეოგჩაის** მაზრები იწყებიან დიდი კავკასიონის სამხრეთით და უწევენ მტკვრამდე. ორივე მაზრა ადგილმდებარეობით ძლიერ განირჩევიან ერთმანეთისაგან და გაიყოფებიან ორ ნაწილათ: დაბლობ უდაბნოებათ და მთიან ადგილებათ. ეს უდაბნოები პირდპირი გაგრძელებაა მტკვრის ნაპირების დაბლობებისა; მთიანი ნაწილი შესდგება მრავალი ბევრათ, თუ ცოტათ ამილლებული ვაკებისაგან, რომლებიც დასერილია მრავალი ხრამებითა და მდინარეთა ღრმა ხევეებით. ამ ორ მაზრაში სქარბობს თიხნარი, რომელიც შერეულია ნეშარში, კირნარი და მტკვრის ნაპირები კი მდიდარია უალრესათ ნაყოფიერი შლამით.

ჯევათის მაზრა მდებარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე და წარმოადგენს უდაბნოს; გამონაკლსს შეადგენს ამ მაზრის მხოლოდ სულ უმნიშვნელო ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ჩინებულ საზაფხულო საძოვარს და ალაგ-ალაგას დაფარულია მლაშე ტბებით და სარწყავი არხების რაიონებში კი—სახნავ-სათესით. აქ ნიადაგი უმეტეს ნაწილათ თიხნარია, რომლის ზედა პირი აქ თითქმის ყოველგან შლამით არის დაფარული, რადგანაც აქ მტკვარი და არაქსი ხშირათ გადმოდიან ნაპირებიდან და ყოველთვის ტოვებენ შლამის სქელ შრეს. ამიტომ აქ მიწა ზედ მიწევნით ნაყოფიერია.

ლენქორანის მაზრა, გარდა მისი უდაბნო ნაწილისა, მდებარეობს ტალიშის მთების კალთებზე. ზედა-პირის მოხაზულობით ეს მაზრა სამ ნაწილათ შეიძლება გაიყოს; უდაბნოები, ტყიანი დაბლობები და მთიანი. ეს უკანასკნელი ნაწილი კიდევ შეიძლება გაიყოს ორ ნაწილათ; ტყიანათ და უტყუოთ. ამ რაიონებში ნიადაგიც სხვა და სხვა გვარია. ტყიანში სქარბობს შლა-

მიანი მიწა შავი; განაპირებზე — თიხნარ-სილიანი. უდაბნოს რაიონში ჩრდილოეთ-სამხრეთ ნაწილში ნიადაგი მოთიხნარია (суглинок); ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით კი — მიწაშავი სქარბობს. მთიანი ნაწილების ვაკეების ნიადაგში თიხნარი და მიწაშავი სქარბობს.

**ხელოვნურათ რწყვა.** ამ მხრით ბაქოს გუბერნია გაიყოფება სამ ნაწილათ: ჩრდილოეთის, საშუალო და სამხრეთის. შუა და სამხრეთის ნაწილები, — ლენქორანისა და ყუბის მაზრები, — გიდროგრაფიის მხრით სრულიად დამოუკიდებელ რაიონებს წარმოადგენენ. შუა ნაწილი კი მდ. მტკვრისა და არაქსის სისტემით ირწყვება. მთიანი და მთის შეკალთება ადგილები საკმაოდ მდიდარია ატმოსფერული ნალექით და ამიტომ იმდენათ არ საჭიროებს ხელოვნურათ მორწყვას, როგორც მულანისა და შირვანის უდაბნოები. ამისდა მიუხედავათ ეს უდაბნოები უმეტეს ნაწილათ მდიდარია შლამიანი ნიადაგით და ზედ-მიწევნით ნაყოფიერი, რაც სულ ერთიანათ დამოკიდებულია მტკვრისა და არაქსის ხშირ წყალ-დიდობაზე. ყოველ გაზაფხულზე ეს მდინარეები ივსებიან წყლით, რომლის რაოდენობასაც ვერ იტევს მათი კალაპოტები და რწყავენ თითქმის ყველა ახლო-მახლო მდებარე დაბლობებს. ეს ასე ხდებოდა საუკუნეთა განმავლობაში. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, შექნა აქ მიწის ნაყოფიერება. ეს არის მიზეზი, რომ ამ დაბლობებში მიწის ნიადაგის ზედა პირი შლამის სქელი შრისაგან შესდგება, რაც სამაგალითოდ დიდ ნაყოფს აძლევს მეურნეს.

მულანის უდაბნოს შემქნელი მდ. არაქსია, რომლის წყალიც, ბ. შავ-როვის სიტყვით, მდიდარია სოფლის მეურნეობისათვის უაღრესათ საჭირო ელემენტებით, სახელდობრ ციკინათი. არაქსის შლამის ქიმიური შემადგენლობა რომ შევადაროთ მდ. ნილოსის წყლის უნაყოფიერესათ ცნობილ შლამს, დავინახავთ, რომ ციკინას ჟანგის ნაწილები არაქსის შლამში მეტია, იგი უმთავრესათ ტვიტის ჟანგის რაოდენობით უთმობს მას. სამაგიეროდ არაქსის შლამში არის ჰაისი (Azot), რაც ნილოსის შლამში სულაც არ მოიპოვება. ამიტომაც არაქსის წყლები რწყავენ მინდორ-ველებს და უაღრესათ ანოყიერებენ ნიადაგს. ბ. ნ. ტულიაკოვის გამოკვლევით, \*) თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გაზაფხულობით არაქსის ამღვრეული წყლის სოფლის მეურნეობისათვის საჭი-

\*) იხილეთ: ნ. ტულიაკოვის მონოგრაფია: „Почвы Муганской степи и их засоление при орошении“ М. 1908 г.

რო ელემენტები 1.000 კუბიკურ საყენზე უდრის 3,6 გრ., თითოეულ 100 ოთხ-კუთხ საყენ სარწყავ წყალში 216 ფუთი შლამი იქნება, რომელიც შესდგება: 0,3024 ფუთი ჰაისისაგან, 0,4356 ფუთი ციკინასა და 0,6053 ფუთი ტვიტის ქანგისაგან... აქედან ცხადია, ეს ადგილები მეტის მეტათ ნაყოფიერია და რომ მულანის უდაბნოს ნაყოფიერება მდ. არაქსის წყალობაა. ამ ადგილებში უმეტეს ნაწილათ მდებარეობს თათრის სოფლები, რომლებიც 350 ვერსზეა გაჭიმული წყალდიდობა ხშირათ სოფლებს წაღეკასა და მოსპობას უქადის. ამიტომ მცხოვრებლები იძულებული იყვნენ თავისი მოსახლეობა და ნახნავ-ნათესები დაეცვათ სტიქიისაგან. ამიტომაც ისინი ყოველწლობით არაქსისა და მტკვრის ნაპირებზე აშენებდენ მიწის ჯებირებს; პირველათ თითო სოფელი მხოლოდ თავისი საკუთარის ძალით და თავის სოფელში სკდილობდა სტიქიონის გამკლავებას; ბოლოს, როცა დარწმუნდენ, რომ ეს საკმაო არ იყო, სოფლები შეერთდენ და საზოგადო ძალებით დაიწყეს უფრო მაღალი ჯებირების აგება, რომელიც ალაგ-ალაგ სიმაღლით ორსამ საყენს აღემატებოდა. მაგრამ არც ეს შეიქნა საკმაო. ადამიანი აქაც უძლური გამოდგა სტიქიასთან ბრძოლაში. 1896 წელს არაქსის ტალღებმა დაანგრეს ეს ხალხის ნაცოდვილარი სანგრები, და სოფელ საათლისთან დიდ ძალი წყალი გადავარდა მულანის უდაბნოში, სადაც ასე მოულოდნელათ გაჩნდა „ახალი არაქსი“, რომელმაც ადვილათ გაიკეთა კალაპოტი ძველის ძველათ დარჩენილ არხებში (ჩებ-გევიან, ჯარევ-მირზა-მურტი და სხვა) და სულ ერთიანათ ამოავსო წყლით ჩაილის მიდამოები. „ახალმა არაქსმა“ მოსპო ანდრეევკა, თეკლია და სხვა სოფლები; ძლიერ დააზიანა საფოსტო ტრაქტი; დააზიანა დაბა პეტრო-პავლოვსკი და დაღუპა 20.000 ოთხ-კუთხი დესეტინა პურიით დათესილი ყანები. ინჟენერი მაევსკის გამოკვლევით ძველი არაქსის წყლის  $\frac{2}{3}$  წავიდა ამ ახალი მიმართულებით,  $\frac{1}{3}$  დარჩა არაქსის ძველ კალაპოტში. „ახალმა არაქსმა“ დააჭაობა დიდ ძალი ადგილები. მაგრამ ამ სტიქიურ უბედურებასაც თავისი დადებითი მხარე აღმოაჩნდა: ორ-ტოტათ გაყოფილი არაქსის წყლები უფრო ნაკლებათ გადმოდიან თავის ნაპირებიდან და წყალდიდობასთან ბრძოლაც უფრო ადვილი შეიქნა. ამის გარდა ორ-ტოტათ გაყოფილი არაქსი უფრო დიდ არე-მარეზე მიდის და სარწყავ წყალს უფრო უახლოვებს ისეთ ადგილებს, რომლებიც უწინ მდინარიდან ძლიერ შორს იყო და ამიტომ შორწყვაც ძნელი იყო.

მას შემდეგ, რაც რუსეთის ძველმა მთავრობამ ეს მეტის მეტათ ნაყოფიერი მიწები რუსების ახალ-შენებისათვის გადასდო, ის ძალა-უნებურათ უნ-

და შესდგომოდა ამ წყალ-დიდობასთან ბრძოლისა და მდინარეებიდან სარწყავი წყალის გამოყვანის საქმის მოგვარებას. ამიტომაც აქ მალე გაჩაღდა ორგანიზაციული მუშაობა, რომელიც 1901 წელს დაიწყო. ამ წელს გააკეთეს გოლიცინის ქვემო არხი, რომელიც მდინარე არაქსიდან გამოდის პეტრო-პავლოვსკის მახლობლათ. ეს არხი გახსნეს 1902 წელს. აქ მიწის რწყვა წარმოებს მარტის შუა რიცხვებიდან ივნისის შუა რიცხვებამდე. 1913 წელს აქ 25,000 დესეტინა მიწა ირწყებოდა. დესეტინაზე საშუალო რიცხვით იხარჯებოდა 900 კუბიკ. საყენი წყალი. მულანის შუა ნაწილი ირწყვება ვარანცოვის სახელის ქვედა არხით, რომელიც გამოყვანილია არაქსიდან და იწყება ს. გიურსალიდან. ეს არხი სიგრძით 72 ვერსია და რწყავს 12.000 დესეტინა მიწას. სამხრეთ მულანის მორწყვა 1909 წელს დაიწყო. 1913 წელს უკვე მოათავეს ვარანცოვის სახელობის ზემო-არხი, რომელიც ნავარაუდევია იყო 30 000 დესეტინა მიწის მოსარწყავათ. იმავე წელს ამ არხიდან მორწყეს მხოლოდ 8.000 დესეტინა. ამათ გარდა მდ. ბოლგარ-ჩაიდან გამოყვანილი ორი არხით 1913 წელს მოურწყავთ 5.000 დესეტინა მიწა. ამ რიგათ, 1913 წელს, მულანის უდაბნოში სულ მორწყულა 50.000 დესეტინა მიწა. თუ როგორ იზრდებოდა საქვე მულანის ველებში გვაჩვენებს შემდეგი ცნობები:

წლები:	მოურწყავთ დესეტინა
1902—1908	6.000
1908--1909	16.900
1910	18.000
1911	22.000
1912	47.000
1913	50.000

იმავე დროს მუშაობა სწარმოებდა საშუალო და ქვედა მულანის არხებზე, რომლებიც გამოანგარიშებული იყო 130.000 დესეტინა მიწის მოსარწყავათ. \*)

შირვანის უდაბნო თავისი ადგილ-მდებარეობით ჰავით და ნიადაგის მხრით ძლიერ გამოსადეგია ძვირფასი მცენარეთა კულტურისათვის. მეურნეობას ხელს უშლის მხოლოდ დიდძალი ჭაობები, რომლებითაც ხშირათ არის დაფარული ეს უდაბნო. 1908 წლის გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ აქ შეიძლება ამ ჭაობების ამოშრობა, რითაც 560.000 დესეტინა საუკეთესო მიწა შეეძინება რესპუბლიკას.

\*) ნახე სტატია ინჟინერი ა. გესენისა: „Орошение в Закавказье“. „Кавказский календарь“ 1914 год.

ჰავა. ბაქოს გუბერნიის ჰავაზე წარმოდგენას იძლევა უმძლვეი ცხრილი:  
 საშუალო თვიური და წლიური ტემპერატურა ცელსიუსის ტერმომეტრით ბაქოს გუბერნიის  
 უმაღლეს პუნქტებში:

ადგილების სა- ხელწოდება	მსაზღვრე წინაღობა	საწყობი	საღრმის														
ბაქო (ნავთ-სად- გური)	17	14,4	3,2	4,4	6,4	10,8	17,4	22,6	25,4	25,7	21,8	17,3	10,8	6,6			
ყუბა	600	10,0	2,5	0,1	3,1	8,0	15,0	19,6	22,2	21,5	16,6	11,5	4,6	0,6			
ქიურდამირი	8	15,7	1,4	4,7	7,9	13,3	20,7	26,4	28,7	28,4	23,7	18,2	10,1	4,6			
ლენქორანი	19	14,8	3,0	5,1	7,8	12,3	18,7	23,7	25,7	25,7	21,6	17,8	10,7	6,4			
სალოანი	20	14,9	2,0	4,7	7,7	12,8	19,8	24,8	26,7	26,7	22,1	16,8	9,8	5,4			

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, გუბერნიაში უმეტეს ნაწილათ, ზამთარი არ ყოფილა მკაცრი. გაზაფხული კი ცხელი, უდაბნოებში კი მეტის მეტი ცხელი ზაფხული იცის.

ატმოსფერული ნალექის წლიური საშუალო რაოდენობა ერთობ მცირეა. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ლენქორანის მაზრის ის ნაწილი, რომელიც ზღვის პირათ არის გაკიმული.

წლიური ატმოსფერული ნალექი არის:

ბაქოში . . . . .	228 მილიმეტრი
ყუბაში . . . . .	559 ”
ქიურდამირში . . . . .	368 ”
სალიანში . . . . .	243 ”
ლენქორანში . . . . .	1.256 ”

გუბერნიაში ისეთი პუნქტებიც არის, სადაც ატმოსფერული ნალექის რაოდენობა 200 მილიმეტრსაც არ შეადგენს; ასეთია, მაგალითათ, ალიტა, სადაც წლიური ატმოსფერული ნალექი 189 მილიმეტრს არ აღემატება.

ჰავა გუბერნიაში საზოგადოთ საღია, გარდა იმ ადგილებისა, სადაც, ტოპოგრაფიული პირობების მიხედვით, ნიადაგის ან წვიმის წყალს გასავალი არა აქვს და ერთ ადგილას გროვდება და ლპება; ან ისეთი ადგილებისა, სადაც ბრინჯის კულტურაა გავრცელებული, მაგალითათ, ლენქორანის, ყუბის და ჯევათის მაზრების ზოგიერთ ნაწილებში. ასეთ ადგილებში საშინელი მალიარია მძვინვარებს და მუსრს ავლებს მცხოვრებლებს, რომლებიც იძულებული არიან ზაფხულობით რამდენიმე თვით მიანებონ თავი სოფლებს და მთებში გაიხიზნონ.

ტყით მდიდარია ლენქორანის მთები და მათი კალთები. ტყით მდიდარია აგრეთვე ყუბის მაზრაც. აქ ხარობს: მუხა, ნეკერჩხალი, თელა, სუროდს სხვა. აქვე შეხვდებით აგრეთვე ეგრეთ წოდებულ რკინის ხეს (железное дерево) და აბრეშუმის ეკლის ხეს, თხმელას და სხვა. ფიჭვი და სოჭი აქ არ ხარობს.

**მცხოვრებლების რიცხვი** გუბერნიაში, 1915 წლის ცნობებით, უდრის და 875.746 სულს ორივე სქესისას. აშას უნდა დაემატოს ქ. ბაქოს მცხოვრებლები, 405.829 სულად. ამ რაგათ მთელ გუბერნიაში 1915 წელს ყოფილა: 1.281.575 სული ორივე სქესისა.

მცხოვრებთა ნაციონალური შემადგენლობა იყო;

თათარი	875 402	სული
მთიელნი	61.086	"
სომხები	120.113	"
რუსები	177.234	"
რუსი სექტანტები	31.569	"
ებრაელები	25.211	"
ქართველები	3.372	"

რუსების უმეტესობა აქ დროებით სამუშაოთ მოსული ელემენტებისაგან შესდგება. გუბერნიაში თითო ოთხ-კუთხ ვერსზე მოდის 26,3 სული; ქალაქში კი ვერსზე—435,9 სული მიდის.

**მოსაქმეობა.** მცხოვრებთა უმეტესობა აქაც მიწის მუშაა. ხორბლეულობიდან აქ უმეტეს ნაწილათ თესვენ პურს, ქერსა და ბრინჯს. 1915 წელს დათესილი მიწების სივრცის რაოდენობა უდრიდა 292.029 ოთხ-კუთხ დესეტინას, იმავე წელს დაუთესიათ:

შემოდგომის პური	229.964	ჩეტვერიკი
გაზაფხულის "	1.232	"
ქერი	117.404	"
ბრინჯი	5.143	"
სხვა ხორბლეულობა	2.942	"

1906—1910 წლებში საშუალო რიცხვით დათესილი ყოფილა 305.604 ოთხ-კუთხი დესეტინა. იმავე დროს განმავლობაში (1906—1910) საშუალო რიცხვით წელიწადში მოჰყვიათ 10.823.400 ფუთი ხორბლეულობა. თუ მიწას თავის დროზე სარწყავი წყალი არ მოაკლდა, აქ მოსავალი ჩინებული იცის. ერთი ოთხ-კუთხი დესეტინა საშუალო რიცხვით იძლევა: შემოდგომის პურს 86 ფუთს, ქერს—94 ფუთს. მტკვრის ნაპირებზე ხშირათ დათესილი ერთი ორმოცათ, ან ერთი ორმოცდაათათ მოდის. მთიან ადგილებში კი მოსავალი ერთი ხუთს, ან ერთი ექვსს არ აღემატება. ალაგ-ალაგ ერთი სამზე მეტს არ მისცემს. ბრინჯი დესეტინაზე 100—250 ფუთი მოდის, რაც ერთი ორმოცს, ერთი სამოცს უდრის. ყველაზე უფრო დიდი მოსავალი ბრინჯისა ყუბისა და ლენქორანის მაზრებში იცის. და ეს მაშინ, როცა ლენქორანის მაზრაში ბრინჯის პლანტაციებს არც ასვენებენ და არც აპატივებენ. აქ წლითი წლობით, ერთსა და იმავე მიწაზე თესვენ ბრინჯს და მაინც ჩინებულ მოსავალს იძლევა.

გუბერნიაში შემდეგი ხარისხის ბრინჯსა თესვენ: 1) აქულა — მარცვალ მოგრძო და მოყვითალო ფერისა, ჩენჩო ძარღვიანი და ნაცრის ფერი აქვს. ამ ბრინჯის მარცვალი დიდ-ძალ წყალს ისრუტავს და თითქმის ერთი სამათ დიდდება; 2) აქულა-ყილი, რომლის მარცვალიც აქულას მარცვალს მიაგავს; მაგრამ უფრო მსხვილია და მეორე ვანსხვაება ის არის, რომ ამ ჯიშის ბრინჯი უფრო ადრე შემოდის; 3) ვილგეიერი — ეს სულ თეთრი მარცვალია; 4) სადარი — მარცვალი მოგრძო და წმინდა აქვს; 5) რასში — აქულაზე უფრო ტლანკია მაგრამ უფრო მსხვილი მარცვალი აქვს; წყალში ერთი ორათ დიდდება; 6) ამბარბო — ფერათ მოყვითალოა, სათუთი და წმინდა მარცვალი აქვს; 7) ბეიბუ — ეს ამბარბოს მიაგავს; შემოდის სექტემბრის შუა რიცხვებში. ყველა ამათ გარდა აქ ასახელებენ ბრინჯის შემდეგ ჯიშს: გუშა, ქილე, რეიგანი, საიად, გრაგა, ყირმიზი-შარილი; ყველა ამ ჯიშის ბრინჯი ღირსებით აქულაზე დიდათ დაბლა დგას\*)

ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის ცნობებით, 1906—1910 წ.წ. საშუალო რიცხვით გუბერნიაში ბრინჯის პლანტაკიების სივრცის რაოდენობა უდრიდა 15,829 ოთხ-კუთხ-დესეტინას. იმავე დროს განმავლობაში საშუალო რიცხვით წლიურათ მოუწევიათ 964.300 ფუთი ბრინჯი. იმავე წლებში ერთ დესეტენაზე საშუალო რიცხვით მოსულა 61 ფუთი ბრინჯი.

ბაქოს გუბერნიაში სოფლის მეურნეობა ჯერაც არ გამოსულა პირველ ყოფილ მდგომარეობიდან. სასოფლო იარაღები აქ ადამის დროულია. მხოლოდ მარტო ნიადაგის კარგი ღირსებით უნდა აიხსნას ის შედარებით დიდი მოსავალი, რომელსაც აქ მეურნე იღებს. აქაური მეურნის უმეტესობა ხნავს გუთნით, რომელსაც „ხიშს“ ეძახიან. ეს ნამდვილი ადამისეული გუთანია. აქ ხმარობენ უფრო კარგი კონსტრუქციის მძიმე გუთანსაც მაგარი მიწის ან ყამირის დასახნავათ.

აქ მხოლოდ რუსის სეკტანტები ხმარობენ საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო იარაღებს.

მიწას გუბერნიაში მხოლოდ ერთხელ ხნავენ რის შემდეგაც თესვენ და შემდეგ ფარცხვენ თესლის დასაფარავათ და ხნულების გასასწორებლად. „ხიშით“ დახნულ მიწას კი ჯერ დათესვენ და მერე დაოშავენ, რომ თესლი მიწაში დაიმალოს.

\*) Ст. Гулишамбаров. „Обзор фабрич. и заводской пром. Бакинской губ“. Т. 1890 г., стр. 188

**მევენახეობა და მეღვინეობა** საგრძნობ ადგილს იჭერს აქაურ მეურნის ბიუჯეტში. აქ მრავალი სოფელი მხოლოდ მეურნეობის ამ დარგით ირჩენს თავს. მევენახეობა აქ თითქმის ყველა შაზრაშია გავრცელებული; მაგრამ იგი ყველაზე უფრო გავრცელებულია ყოფილ შირვანის პროვინციაში, ანუ ახლანდელ შემახის მაზრაში. ამ მაზრაში მევენახეობა წარსული საუკუნის დასაწყისშიაც თვალსაჩინო ადგილს იჭერდა, რაც იქიდანაც ცხადათ ჩანს, რომ 1830 წელს შირვანში 300-მდე ვენახის ბაღი ითვლებოდა; 1856 წელს ამ ბაღების რიცხვი 1,081-მდე ასულა. მარტო გეოგჩაის მაზრაში წარსული, მე-XIX საუკუნის, 70 წლებში 791 ოთხ-კუთხი დესეტინა ვენახი ითვლებოდა. 1915 წელს ვენახის სივრცის რაოდენობა იყო:

ბაქოს მაზრაში . . . . .	4.170	დესეტინა:
ლენქორანის „ . . . . .	157	„
ყუბის „ . . . . .	218	„
ჯევათის „ . . . . .	507	„
გეოგჩაის „ . . . . .	4.733	„
შემახის „ . . . . .	1.368	„
<b>სულ ყოფილა . . . . .</b>	<b>11.153</b>	<b>დესეტინა.</b>

ვენახი საუკეთესოთ ხარობს ლაგჩისა და შირვანის მთების კალთებზე და აგრეთვე დაბალ ზოლებში. უმაღლესი წერტილი, რომლის ზევითაც აქ ვაზი არ იხარებს, არის 4.055 ფუტი (სოფელი ლალიჩი). მრავალი ვენახის ბაღებია ქ. შემახის ირგვლივ და აგრეთვე ამ მაზრის სოფლებში: საგიანში, მატარაცში, კეხკენჩაში, ყალახანსა, გურჯევანსა და ინგარში. მევენახეობას აქ ეწევიან როგორც სომხები, ისე თათრები; მეღვინეობას კი მხოლოდ სომხები. თათრები ღვინოს არ აყენებენ; ამიტომ იმათ უფრო საკმელი ჯიშის ყურძენი მოყავთ, რის წვენიდანც ისინი აკეთებენ „ბაქმაზსა“ და „დოშაბს“. გუბერნიაში აშენებენ როგორც დაბლობს, ისე მაღლარ ვაზს. მაღლობ ადგილებში უფრო მაღლარ ვაზს აშენებენ; დაბლობს აშენებენ აფშერონის ნახევარ კუნძულზე და ლენქორანის მაზრაში. ბაქოს გუბერნიაში, უფრო კი იქ, სადაც ნიადაგი უმეტესათ სილანია, უმეტეს ნაწილათ ზღვის პირათ მდებარე ბაღებში, უხარდნოთ და უჭიგოთ აშენებენ ვენახს. აქ ვაზს არ სხლავენ და იგი ისე მიწაზეა გაწოლილი როგორც ნესვი, ან გოგრა.

1915 წელს მთელ გუბერნიაში ღვინო დაუყენებიათ:

ლენქორანის მაზრაში . . . . .	14.125	ვედრა
ყუბის „ . . . . .	19.500	„

გეოქჩაის	„	181.900	ვედრა
შემახის	„	30.715	„
<b>ს უ ლ</b>		<b>246.230</b>	<b>„</b>

—:—

ბაქოს გუბერნიის ღვინო ძალიან დაბლა დგას კახეთის ღვინოსთან შედარებით. ის ღირსებით განჯის ღვინოზეც დაბალი ხარისხისაა. მხოლოდ სოფელ მატარასის ღვინო (შემახის მაზრაშია) თავისი ბუკეტითა და გემოთი შეიძლება კარგ ღირსების ღვინოთ ჩაითვალოს.

**მებაღეობის** მთავარი ცენტრები ყუბის, შემახისა და გეოგჩაის მაზრებია. ყველაზე უფრო კარგი პირობები მეურნეობის ამ დარგისათვის არის ყუბის მაზრაში, სადაც განსაკუთრებით მთის შეკალთებაზე მდებარე სოფლები პირდაპირ სავსეა ბაღებით. აქ ტყეში ხარობს: ვაშლი, მსხალი, ტყემალი, ალუჩა და სხვ. მებაღეები მყნობის საშუალებით აუმჯობესებენ. აქ უფრო ვაშლი და მსხალი სჭარბობს. შემახისა და გეოგჩაის მაზრაში ხეხილის ბაღებს მხოლოდ აქაიქ თუ აქვს ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც ყუბის მაზრაში. აქ მას საერთოთ არაფერი ალაგი არ უჭირავს სოფლის მეურნეობაში.

ბაქოს მაზრაში მხოლოდ აფშერონის ნახევარ კუნძულის ჩრდილოეთ მხარეში არის ბაღები, სახელდობ ლიაშისა და შეილანის (შეველინის) რაიონში. აქ უმთავრესათ რგავენ თუთას და ლედვს. ჯევათის მაზრაში მებაღეობას ეწვეიან მხოლოდ იმ სოფლებში, რომლებიც მდებარეობენ მტკვრისა და არაქსის ნაპირებზე, მაგრამ აქ მებაღეობას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა არა აქვს. კიდევ უფრო ნაკლებათ არის განვითარებული მებაღეობა ლენქორანის მაზრაში; თუმცა აქ ამ საქმეს ხელს უწყობს ბუნებრივი პირობები.

—:—

### ტექნიკურ მცენარეთა კულტურა.

ბამბის კულტურა გუბერნიაში თან და თან ვითარდებოდა 1914 წლის ომიანობამდე. ეს ცხადათ ჩანს შემდეგი სტატისტიკური ცნობებიდან:

1909 წელს დათესილი იყო	5.600	დესეტინ.
1910 „ „ „	12.200	„
1911 „ „ „	23.600	„
1912 „ „ „	21.450	„
1913 „ „ „	30.900	„

იმავე წლების განმავლობაში საშუალო წლიური მოსავალი ბოქკოსი (ВОЛОКНО) ყოფილა:

1909 წელს	75 500	ფუთი
1910	182.000	"
1911	309.000	"
1912	289.000	"
1913	416.000	"

უნდა შევნიშნოთ, რომ ზამბის მოსავალმა იმატა მხოლოდ მუღანის უდაბნოში, სახელდობრ ჯევათის მაზრაში, რაც იმით აიხსნება, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სარწყავის არხების გაყვანამ აქ შეძლება მისცა მეურნეს მეტი მიწა მოერწყო და მეზამბეობის საქმეც გაეფართოებია.

**თამბაქოს** კულტურას მხოლოდ ბაქოს, ლენქორანისა და ჯევათის მაზრებში მისდევენ. 1915 წელს გუბერნიაში 44 სოფლებში ყოფილა თამბაქოს პლანტაციები რიცხვით სულ 616, რომელთა საზოგადო სივრცეც მხოლოდ 48,2 ოთხ-კუთხ დესეტინას უდრიდა. იმავე წელს შეუკრებიათ 2.033 ფუთი კარგისა და 1.941 ფუთი მდარე ღირსების თამბაქო. კარგი ღირსების თამბაქო მხოლოდ ყუბის მაზრაში მოსულა. სხვაგან კი მხოლოდ „მახორკა“ იყო. აქაური ნედლი მასალა იყიდება ბაქოში და შემახაში, თამბაქოს ქარხანაში. ასეთი ქარხნები გუბერნიაში ოთხია, ორი ბაქოში და ორი შემახაში. 1915 წელს ოთხივე ქარხანას 27.955 ფუთი თამბაქო დაუმუშავებია.

**მეაბრეშუმეობა** შემახისა და გეოქჩაის მაზრაში საკმაოდ გავრცელებულია და ის თვალ-საჩინო როლსაც თამაშობს მცხოვრებთა ბუჯეტში. შემახა მაინც განსაკუთრებით ცნობილი იყო აბრეშუმის წარმოებით მე-XVI საუკუნიდან.

1910 წელს ბაქოს გუბერნიაში 58.500 კოლოფი აბრეშუმის თესლი შეუქმენიათ. იმავე წელს მოუწევიათ 47.000 ფუთი პარკი.

**მესაქონლეობა** მიწის მეურნეობის შემდეგ პირველ ადგილს იჭერს გუბერნიის მცხოვრებთა ბიუჯეტში. მხოლოდ წარმოების ამ დარგით ირჩენს თავს აქაურ მცხოვრებთა მომთა-ბარე ნაწილი, მაგრამ დანარჩენი მცხოვრებლებიც საკმაოდ დიდ შემოსავალს იღებენ მეურნეობის ამ დარგით. მესაქონლეობას აქაც ისეთი ხასიათი აქვს, როგორც განჯის გუბერნიაში. ამიტომ მასზე დიდხანს შეჩერება ზედმეტად მიგვაჩნია.

ოფიციალური ცნობებით 1915 წელს ქ. ბაქოსა და ბაქოს გუბერნიაში სულ ყოფილა 1.723.175 სული ღიდი და პატარა პირუტყვი. მაზრებში ასე იყო დანაწილებული:

ქალაქები და მარებები	ცენი	სკინი	საკაზ	ღვსაყ ღვსაყ	სკინი	ცხვარი	ღვს	სკინი	საკაზ
ქ. ყუბა	186	138	—	1.346	213	—	152	—	78
" ლენქორანი	330	17	—	1.197	240	140	39	—	—
" სლიანი	207	32	—	574	101	—	—	—	—
" შემხას	60	90	10	310	78	600	50	—	—
ბაქოს მარა	1.100	250	—	4.250	—	18.560	1.000	220	—
გეოქიათ "	5.388	2.345	—	81.797	60.997	65.147	9.419	64	359
ჯეკათის "	16.826	3.375	—	75.915	20.240	530.143	8.015	4.546	—
ყუბის "	13.188	1.486	—	60.539	24.827	121.543	11.465	231	842
ლენქორ. "	16.093	417	3	77.805	34.218	63.660	6.398	676	766
შემხას "	8.131	3.479	—	59.000	14.176	157.290	5.641	3.568	92
ბაქოს სავრადო- ნაიალნიკო.	9.400	1.376	39	4.864	36	21.522	1.813	531	872
<b>სულ</b>	<b>70.999</b>	<b>13.005</b>	<b>52</b>	<b>397.597</b>	<b>135.140</b>	<b>1.028.545</b>	<b>43.992</b>	<b>9.656</b>	<b>4.009</b>

ამ ცხრილიდან ცხადათ ჩანს, რომ მეჯოგეობა და მენახირეობა საკმაოდ გავრცელებულია გუბერნიაში. გამოჩნდის მხოლოდ ბაქოს მაზრა შეადგენს. საყურადღებოა, რომ მეაქლემეობას ჯევათის და შემახის მაზრებში უფრო მისდევენ. უწინ ბევრი აქლემები ყავდათ აგრეთვე გეოგჩაის მაზრაშიც. წარსული საუკუნის 80 წლებში ამ სამ მაზრაში 18.000 აქლემი ყავდათ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ეს მაშინ ერთათ-ერთი ტრანსპორტი იყო ამ ადგილებში. მაგრამ მას შემდეგ, რაც ყარსის, ერევნისა და ჯულფის რკინის გზები გაიყვანეს, მეაქლემეობამაც თავისი მნიშვნელობა დაკარგა. მისი მნიშვნელობა ჯერ კიდევ დიდია მხოლოდ შემახისა და ჯევათის მაზრების უდაბნოებში. აქაური მეჯოგეებიც ზაფხულობით მთებში აძოვებენ პირუტყვს და მხოლოდ საზამთროთ ჩამოდინდებიან დაბალ ადგილებში. ბაქოს გუბერნიაში საზამთრო საძოვრის რაოდენობა 1.100.000 დესეტინა ითვლება. საზაფხულო კი — 160.000 დესეტინა. ლენქორანის მაზრაში ყურადღების ღირსია აგრეთვე კასპიის ზებუ, ან როგორც მას ადგილობრივ უწოდებენ „გილიაკი“. ზებუს ზურგზე აქვს დიდი კუზი, რომელიც დგას 5—6 ვერშოკის სიმილღებზე. ორი მოგრძო რქა აქვს. ძროხა „გილიაკი“ დღეში 10 გირვანქამდე რძეს იწველის. ეს, დიდი კუზის მიუხედავად, ერთობ სწრაფი და ლამაზი ცხოველია, რომელიც უფრო ველურს მიაგავს, ვიდრე მოშინაურებულს. ის კარგათ იტანს სიცივეს, მაგრამ სიცხის ძალიან ეშინია. მას იმდენად უყვარს სიცივე, რომ ხანგრძლივად წევს თოვლზე. ლენქორანში გილიაკზე „აუღლებენ ჩვეულებრივ ბულას და ამ“ გზით იღებენ სულ ახალი ჯიშის საქონელს, რაც აქ „დუბრის“ სახელით არის ცნობილი. ეს უკანასკნელი ტანათ უფრო დიდი, ლამაზი, ვამძლე და ძძითაც უფრო მდიდარი ცხოველია, ვიდრე ჩვეულებრივი ძროხა ან „გილიაკი“. ამ მაზრის ჯოგებში „გილიაკი“ 5—10% მდე ითვლება.

**მეთევზეობა** ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა აქაურ მცხოვრებთა ბიუჯეტში. ძლიერ მდიდარი თევზის სამრეწველოებია ბანკის, „ბოჟე, პრომისლოვსკი“, სალიანის, ოლხოვის (ოლხოვის ტბა მდ. კუმბაშინით ლენქორანის მაზრაშია), ლენქორანისა და ასტორის გუბერნიაში სათევზაო რაიონები იწოდებიან კასპიისა და მტკვრის რაიონებათ.

სტატისტიკური ცნობებით ამ რაიონებში (პეტროვსკისა და დარუბანდის წყლების გამოკლებით) 1913 წელს დაუჭერიათ 8 384.162 ფუთი თევზი,

ლირებული 18.926.000 მანეთით: 1914 წელს დაუქვრიათ— 4.040.562 თუთი თევზი, 12.501.386 მანეთით ლირებული, რომ უფრო ნათლათ წარმოვიდგინათ აქ გუბერნიის თევზით სიმდიდრე, საქიროთ მიგვაჩნია შემდეგი ცნობების მოყვანა—1913 წელს დაუქვრიათ:

თევზის ჯიში	თ ა ვ ი	თ უ თ ი	ლირებულება მანეთებში
ბელუგა	23.000	184.000	1.324.000
ზუთხი	164.000	132.000	1.090.000
შიპი	—	—	—
სევრიუგა	390.000	127.000	723.000
ლოსი და ბელორბიცი	12.000	12.000	382.000
სელდი	457.043.000	6.398.000	6.693.000
ვობლა	31.983.000	448.000	1.759.000
ჩასტიკოვოი	13.300.000	1.042.000	3.615.000
<b>ს უ ლ</b>	<b>502.915.000</b>	<b>8.843.000</b>	<b>15.586.000</b>
<b>1914 წელს დაუქვრიათ.</b>			
ბელუგა	7.978	47.856	311.064
ზუთხი	80.194	80.194	641.552
სევრიუგა	321.664	113.582	788.074
ლოსი და ბელორბიცი	15.393	10.766	236.852
სელდი	222.212.665	2.962.400	4.529.380
ვობლა	17.640.389	246.954	1.145.600
ჩასტიკოვოი	5.833.960	558.673	2.609.804
<b>ს უ ლ</b>	<b>245.162.243</b>	<b>4.019.425</b>	<b>10.263.326</b>

ის გარემოება, რომ 1914 წელს აქ მეთევზეობის საქმეს ძალიან დაუწევია, აიხსნება ომიანობით, რომელმაც მრავალი გამოცდილი მეთევზე მოაშორა ამ საქმეს და თოფ-ქვეშ დააყენა. ომმა და შემდეგ რევოლიუციამ ბოლოს

და ბოლოს სულ დასცა ეს საქმე ისე, როგორც დასცა საზოგადოთ ყოველგვარი წარმოება ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე.

მეთევზეობა დიდ-ძალ მუშა ხელს იზიდავდა ამ რაიონებში 1913 წელს აქ 43.465 მუშა ყოფილა. თევზს აქ შემდეგ ნაირათ იკერენ. მდინარეზე გადებულია რკინის ხიდი, რომლის განიცი ორი არშინია და დამყარებულია რკინის მაგარ საფუძვლებზე. ხიდის სიგრძე 100 საჟენს უდრის. თევზის მწარმოებლებს აქვთ დიდრონი რკინის ჩარჩოები, რომლებიც რკინისავე გამირებით გარდი-გარდმო არის დაყოფილი; ისე რომ თითო ოთხ-კუთხი ვერშოკებათ არის დაცხრილული. ამ ჩარჩოს აქ კოშაკს ეძახიან. ამ ხიდიდან მთელი მდინარის სიგანეზე, ხიდის გასწვრივ, უშვებენ წყალში ამ „კოშაკებს“, ისე რომ მდინარეში წყალი არ გუბდება, მაგრამ თევზი კი კოშაკში ვერ გაძვრება. ხშირათ იმდენი თევზი აწვება ამ რკინის კოშაკებს, რომ მდინარესაც გუბავს. ამ დროს გზა-მოჭრილ თევზს თავს ესხმის მრავალე მეთევზე, რომლებიც მარცხებით, ჩანგლებითა და ხშირათ უბრალო კეტებითაც ხოცვენ აუარებელ თევზს და ყრიან ნაევებში. თევზის უკანა რიგი, რა თქმა უნდა, ვერ გრძნობს თუ რა დღე აღგია მის წინა რიგებს და ის მთელის ძალით აწვება წინ. ეს გარემოება ბუნებრივათ აღიღებს დაჭერილი თევზის რაოდენობას. თევზის ზოგი ნაწილი მაინც ახერხებს უკან გაბრუნებას, მაგრამ ის აქ მრავლობით ედება ანკესებს, რომლებითაც მოფენილია მთელი მდინარე. ამ რიგათ იკერენ აუარებელ თევზს, მაგრამ გადარჩენილი თევზის უმეტესი ნაწილი ისეა გალახული ამ ველური ნადირობის დროს, რომ ის ზღვამდეც ვერ აღწევს იქვე იხოცება და მდინარის ნაპირებზე ღბება და თავის მტარვალებს მხოლოდ იმით უძიებს შურს, რომ ჰაერს უწამლავს.

დაჭერილ თევზს არჩევენ ჯიშისა და ხარისხის მიხედვით, წმენდენ, იღებენ ხიზილალას, ვიაზიგას, საცურავ ბუშტებს და სხვას. ხორცს კი ამარილებენ და კოდებში აწყობენ. ზოგსაც კრიან დოშათ და მზეზე აშრობენ.

ხიზილალის კეთება სულ უბრალოა. იღებენ თუ არა მას თევზის მუცლიდან, მაშინვე რკინის ცხრილებში ატარებენ. ამ გვარათ დაწმენდილ ხიზილალას ასხმენ მარილს, საკმაოთ მლაშე წყალს, შემდეგ ურევენ შიგ ხის ჰატარ-პატარა ნიჩბებით, სანამ ხიზილალა სულ არ გაიყლინთება მარილ-წყლით. ამის შემდეგ ხიზილალას ყრიან საცერზე: ის იწმინდება წყლიდან და უფრო მაგრდება. ამას თხელი ხიზილალა ქვია (жидкая икра). თუ უნდათ მიიღონ უფრო მაგარი ან ეგრეთ წოდებული „პაიუსნაია“, თხელ ხიზილალას აშრო-

ბენ და წნეხში ატარებენ. ასეთ გამშრალ ხიზილალას ყრიან დიდროს კოდებში, სადაც მუშები ტიტველის ფეხებით ზეღენ და სტეკენიან:

ვიაზიგას რამდენიმეჯერ რეცხვენ და აშრობენ მზეზე. ბუშტები იყიდება თევზის წებოს სახელით. აქ ხშირათ თევზის ქონსაც აღნობენ \*).

ბოლო წლებში აქ მეთევზეობის საქმეს გაუმჯობესება ეტყობოდა: შემოიღეს უფრო ევროპიული კულტურული მეთოდი როგორც თევზის ქერაში, ისე დაქერილი თევზისა და მისი პროდუქტების მომზადებაში.

კასპიის ზღვაში მრავლობით იჭერენ აგრეთვე **ტიულენებს**. კუნძულ „საცხოვრებელზე“ (ЖИЛОЙ) ყოველი წლოვით მრავალი მონადირე მოდიოდა ასტრახანიდან მრავალ ტიულენებსაც იჭერდენ. ტიულენებზე ნადირობა აქ შემდეგ ნაირათ ხდებოდა. ზღვის პირათ ანთებდენ დიდროს კოცონებს: თვითონ მონადირეები იქვე მახლობლათ იმალებოდენ. ცეცხლის სინათლეზე მრავალი ტიულენი გამოდიოდა ნაპირებზე და ცეცხლთან მიდიოდა. სწორეთ ამ დროს გამოცვივდებოდენ დამალული მონადირეები, უჭრიდენ თავის მსხვერპლებს ზღვისკენ გასაქცევ გზას და ხოცდენ მათ ცულებითა და კეტებით. ტიულენების ზღვიდან გამოსატყუებლათ აუცილებლათ საჭიროა, რომ ამ დროს ქარი ზღვიდან ქროდეს. თუ ქარი ხმელეთიდან ქრს, ტიულენი უეჭველათ იკრავს ადამიანის სუნს და ცეცხლს არ გამოეკარება \*\*).

— : —

**ნავთი და სხვა მადნეულობა.** \*\*\*) ბაქოს გუბერნია მთელ დედამიწის ზურგზე სახელგანთქმულია თავის ნავთის სიმდიდრით. აქაური ნავთი ცნობილი იყო ძველათაც და იმითი უხსოვარის დროდან სარგებლობდენ. აქედან ნავთს ეზიდებოდენ თითქმის მთელ შუა-აზიაში. მაგრამ იმ დროს ნავთს არ ქონდა ის მნიშვნელობა, იგი არ ემსახურებოდა იმ მიზნებს, რაც მას მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში დააკისრა მრეწველობის განვითარებამ. უწინ აქ ნავთი ამოქონდათ პატარ-პატარა ღია კებიდან და ხმარობდენ როგორც სა-

\*) იხილე С. И. Гулишамбаров „Обзор фабрик и заводов Баки. губ“ 1890 г. გვ. 151—153.

\*\*\*) Ibid., გვ. 160.

\*\*\*) იხილე: 1) „Обзор Бакинской нефтяной промышленности за 1914 г.“, издание Сов. Съезда Бакин. нефтепр. Б. 1915 г., 2) „Краткий очерк состояния нефтяной промышленности в 1915 г.“, изд. стат. бюро того-же Съезда и 3) „Русский календарь“ Суворина за 1915 год.

ნათს, ისე სათბობ მასალათ; კიდევ უფრო ხმარობდენ რევმატიზმისა, სურავანდის, მუნის, თავისა და თირკმელების სნეულების წინააღმდეგ წამლათ. მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე გასანათებელ მასალათ ნავთბ ძალიან ცოტა მიდიოდა. ამ მოვალეობას მცენარეულობიდან დამზადებული ზეთი ასრულებდა. ნევოს დიდი როლი დაეკისრა მხოლოდ 1839 წლიდან, როცა ფრანგმა მეცნიერმა სელინგმა აღმოაჩინა, რომ ნავთის მიწა იძლევა ზეთს, რომელიც ჩინებულათ იწვის სანათურებში და მცენარეულობის ზეთს გაცილებით სჯობია. თავის გამოგონილ სითხეს სელინგმა „ფოტოგენი“ უწოდა („ნათლის მქნელი“) რადგანაც ეს ფოტოგენი ხის ზეთზე გაცილებით იაფათ ჯდება, მისი წარმოებაც მალე გაჩაღდა ევროპაში, განსაკუთრებით გერმანიაში. დაახლოებით თითქმის იმავე დროს, ამერიკაში, პროფესორმა სილინმა ნავთი დაწმინდა და აღმოაჩინა, რომ ამ მდგომარეობაში ის „ფოტოგენზე“ უკეთეს ზეთს იძლევა. მან თავის გამოკვლევის საგანს „კეროსინი“ უწოდა. ეს ერთობ იაფ-ფასიანი სანათი მასალა გამოდგა, რადგანაც შავი ნევთიდან ის გამოდიოდა 60<sup>0</sup>/<sub>100</sub> ამერიკულმა „კეროსინმა“ მალე დაიქირა თითქმის მთელი ევროპის ბაზრები და მე-XIX საუკუნის 60 წლებში მან გზა გაიკაფა რუსეთის ბაზრებისკენაც, სადაც ის რამდენიმე ასიათასი ფუთი შემოქონდათ.

ამ გარემოებამ მადა აღუძრა ფულის პატრონებს მიექციათ ყურადღება კავკასიის ნევთისათვის და ბაქოს ნევთსაც საუკეთესო აზინდი დაუდგა. პირველი ნევთის ქარხანა ქ. მოზდოკში დაარსეს ძმებმა დუბინსკებმა, მაგრამ აქ ეს საქმე მალე დაიშალა. მეორე ცდა ბალახანაში იყო, სადაც ინჟინერმა ვოსკობაინიკოვმა დაარსა ქარხანა; მაგრამ ამანაც დიდ ხანს ვერ იარსება. პირველათ ვერ იხერხა აგრეთვე ბარონ ტარნაუსა და კოკორევის ქარხნებმაც, რომელიც მათ 1858 წელში დაარსეს შურახანაში. მიზეზი ის იყო, რომ იმათ იმ თავბრუვ მიზნათ დაისახეს აქაური ბუნებრივი გაზების საშუალებით შავ-ფისის მზადება, რისგანაც სანათი მასალის მიღებას ფიქრობდენ. მაგრამ მას შემდეგ რაც ეს ფირმა პირდაპირ ნევთის წარმოებაზე გადავიდა, საქმეც გაუმჯობესდა.

ბაქოს ნევთის წარმოების საქმე ფეხზე დადგა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი ქიმიკოსი ეიხლერი, რომელმაც ნევთის წმენდა შემოიღო ტუტითა და გოგირდის ქანგით; ესე იგი, ეიხლერმა შემოიღო ნევთის წმენდის სისტემა, რომელიც მიღებული იქნა ყველგან და რომლითაც დღესაც იწმინდება ნევთი. ამ მეცნიერის შრომამ აქ დიდი ნაყოფი გამოიღო. მან ცხადათ დაამტკიცა, რომ ბაქოს ნევთი ამერიკისას არ ჩამოუარდება, თუ მახე უკეთესი არ არის. ვინმე მალიკოვმა ბაქოში პირველმა დაარსა

„კეროსინის“ ქარხანა. თანამედროვე სისტემით მობუღრული ქა. პირველათ იქნა  
გაკეთებული ბაქოს რაიონებში 1868 წელს, მაგრამ პირველათ მან ვერ გაამარ-  
თლა იმდენი, მხოლოდ 1872 წელს გაკეთებულმა ქამ, რომელიც იმავე ადგი-  
ლას ვინმე მირზოევმა ამოთხარა, კარგი შედეგი მოიტანა და ბაქოში ნევთის  
წარმოებას მაგარი საძირკელი ჩაუყარა. აქედან იწყება ეჭოქა ბაქოს ნევთის  
წარმოებაში. კარგი მაგალითით წახალისებული კაპიტალისტები მალე მოედენ  
მთელ აფშერონს; გაჩაღდა ახალ-ახილი ქების თხრა და ნევთის ამოდების საქმე.  
ამან დასწია ნევთის ფასს. ასე რომ 1873 წელს ბაქოში ფუთი ნევთი 45  
კაპეიკზე ჩამოვიდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც აქ ნევთის შადრევანები გახშირდა,  
ნევთი კიდევ უფრო გაიფლა და ის 2 კაპეიკამდე დავიდა.

ამისდა მიუხედავად, ბაქოს ნევთის წარმოება 1882 წლამდე, ძალჩან ნე-  
ლის ნაბიჯით ვითარდებოდა, რადგანაც ამ დრომდე აქ ტრანსპორტი თითქ-  
მის სულაც არ არსებობდა. უწინ აქ ნევთის გადატანის საშუალება მხოლოდ  
ერთათ-ერთი იყო, ეს იყო თათრული, მაღალ ბორბლიანი ურმები, რომლებ-  
ბზედაც დებდენ გუდებში ჩასხმულ ნევთს, ევროპაში და რუსეთშიაც ინდუს-  
ტრიალური წარმოების გადიდება, დღითი დღე მეტი ნევთი მოითხოვა. ამ  
გარემოებამ აიძულა რუსეთის მთავრობა ჯერ თბილისიდან ბაქომდე და სამტ-  
რედიიდან ბათუმამდე გაეყვანა რკინის გზა და შემდეგ კავკასის გზაც გა-  
ეყვანა. ამას თან მოყვა ნევთისა და კეროსინის ჩამოსასხამი. შხუნებისა და ორ-  
თქლ მავალი გემების შემოღებაც. ამ ნაირათ ბაქოს ნევთს გზა გიყენს. რო-  
გორც ევროპის ყველა ბაზრებისაკენ, ისე რუსეთისაკენაც, სადაც კასპიის ზღვი-  
დან ვოლგასა და სხვა არხების საშუალებით მრავალი ნევთი გაქონდათ. თუ  
უწინ ბაქოს ნევთი გუდებით ურმების საშუალებით გადაქონდათ, ახლა საქმე  
ისე გაიზარდა, რომ რკინის გზებმაც ვერ დააკმაყოფილა ევროპის ბაზარი  
და კეროსინის გაზიდვის დასაჩქარებლათ საჭირო შეიქნა ბაქოსა და ბათუმს შუა  
რკინის დიდრონი მიწების გაყვანა, რის საშუალებითაც მრავალი მილიონი  
ფუთი ნევთი გადის ყოველ წლით.

1901 წლამდე ბაქოს ნევთის წარმოება თან და თან მატულობდა, ამ  
დროდან კი ამ წარმოებას თან და თან ეტყობა დაცემა.

ბაქოს ნევთის რაიონი ოზხი ჩაწილიდან შესდგება: ბალახანა, საბუნჩი,  
რამანა და ბიბიეიბათი. ბალახანის რაიონში ნევთის ექსპლოატაცია 1873 წელს  
დაიწყო, საბუნჩაში 1880 წელს, ბიბიეიბათში კი — 1884 წელს და რამანაში  
1890 წელს. ამოღებული ნევთის მთელი რაოდენობის 40% მოდის საბუნჩის

რაიონზე; შემდეგ მიდის ბიბიეიბათი —  $25\%$ , სამანა —  $19\%$  და შემდეგ ბალახანა —  $16\%$ . ათი წლის განმავლობაში (1903—1912 წწ.) ამ რაიონებში ნევთის ამოღება შემცირებულა  $30\%$ ; ეს შემცირება ყველაზე უფრო ეტყობა რომანას —  $34\%$  და ბიბიეიბათს —  $22\%$ ; ბალახანასა და საბუნჩის რაიონებში შემცირებულა  $26$  და  $27\%$ .

1913 წელს ითხივე ამ რაიონში ნევთი ამოულიათ 390,3 მილიონი ფუთი, 1914 წელს — 338,0 მილიონი და 1915 წელს — 343 მილიონი. 1914 წელს, როგორც ვხედავთ, 1913 წელთან შედარებით 52 მილიონი ნევთი ნაკლები ამოულიათ. ეს გარემოება ერთის მხრით აიხსნება აქ მუშათა გაფიცვებით, რასაც ადგილი ქონდა მაისში, ივნისში და ივლისში, მეორე მიზეზი თვითონ ჭებში ნევთის რაოდენობის შემცირებაა.

ნევთის ჭების დალარობებს წინ უსწრობს ნევთის შადრევანების სულ ერთიანათ გაქრობა. 1902—1905 წლებში შადრევანების ნევთის რაოდენობა უდრიდა  $2,75\%$  მთელი ამ წლებში ამოღებული ნევთისას. ნევთის თან და თან გამოფიტვამ გამოიწვია ნევთის ჭების სიღრმის გადიდება. 1911 წელს ნევთის ჭების სიღრმის საშუალო რაოდენობა უდრიდა 233 საყენს. 1915 წელს ეს ციფრი 331 საყენამდე ავიდა. შადრევანების უმეტესობა ბიბიეიბათსა და რომანაში იყო, ბალახანაში კი იგი კარგა ხანია სულაც არ არის.

საზოგადო რაოდენობა ბაქოს ნევთის ძველი რაიონის სივრცისა, რომელზედაც დღეს წარმოებაა, დაახლოვებით 1.000 დესეტინას შეადგენს. ბოლო წლებში ეს რაოდენობა საგრძნობლათ შემცირდა, ასე, რომ 1912 წელს ნევთის წარმოების ქვეშ მხოლოდ 900 დესეტინა მიწა ითვლებოდა.

ამავე რაიონებში ნევთი ამოქონდათ აგრეთვე შინაური საშუალებითაც — ესე-იგი, ხელით. ნევთის წარმოებაში ეს ძველი საშუალება დიდი ხნით იყო დავიწყებული, მაგრამ ბოლო წლებში მას ისევ დაუბრუნდნენ უმეტეს ნაწილათ მცირე კაპიტალის პატრონები. 1912 წელს ასეთი წარმოების ქვეშ იყო 1.500 ჯა; ნევთი კი იმავე წელს ამ ჭებიდან ამოულიათ 10 მილიონი ფუთი. ამ ჭების საშუალო სიღრმე უდრიდა 50 საყენს. ასეთი წარმოება უფრო გავრცელებულია ბონაგადის რაიონში.

ამ რაიონში ნევთი დიდი ხნიდან იყო ცნობილი, მაგრამ უკანასკნელ წლებამდე ის უყურადღებოთ იყო დატოვებული. ბოლო წლებში აქაც შეიქრენ მწარმოებლები. 1914 წელს აქ ამოულიათ 22.000.000 ფუთი ნევთი; 1915 წელს 32.000.000 ფუთი.

ბონაგადის რაიონში მიღებული ნევთის რაოდენობას თან და თან ზრდას შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს:

წელიწადი	ამოულიათ ფუთობით:
1911	7.000.000
1912	10.000.000
1913	15.000.000
1914	22.000.000
1915	32.000.000

სურახანის ნევთის რაიონი სხვებთან შედარებით უფრო ახალია. აქ 1904 წ. მხოლოდ რამდენიმე ჯა იყო ამოთხრილი, მაგრამ რამდენიმე წლის ცდის შემდეგ, 1909 წელს, აქაც გაჩაღდა წარმოება. აქ კვების სიმაღლე 360—365 საყენია. უფრო დაბალი კებიდან აქ იღებდენ თეთრ ნევთს. რაც უფრო და უფრო ჯას აღრმავებენ და ძირს იწევენ, თეთრი ნევთი იცვლება წითელ ნევთით და შემდეგ მძიმე შავ-ნევთით. აქაური კები უმეტეს ნაწილათ წითელ ნევთს იძლევა.

„წმინდა“ კუნძულზე (СВЯТОЙ) ამოღებული ნევთის რაოდენობას შემდეგი ცნობები გვიჩვენებენ:

1910 წელს აქ ამოულიათ	1,4 მილიონი ფუთი
1911 " " "	2,6 " "
1912 " " "	3,3 " "
1913 " " "	4,7 " "
1914 " " "	5,9 " "
1915 " " "	7,0 " "

აქაური კების სიღრმე საშუალოდ უდრის 150—250 საყენს.

1915 წლის 1 იანვარს ბაქოს რაიონში ითვლებოდა 525 ნევთის სამრეწველო ქარხანა, რომლიდანაც მოქმედებდა მხოლოდ 30.

მთელი რაოდენობა ამ ქარხნებში დამუშავებული ნევთის პროდუქტებისა 1914 წელს გამოიხატებოდა შემდეგ ციფრებში:

პროდუქტები	ფუთი
1. გასანათებელი ზეთი	70.998.671
2. საცხებელი "	10.809.837
3. სანთი "	3.749.217
4. მახუთი	191.121.684
5. ბანკვინი და აირინი	1.840.524
6. სხვა პროდუქტები	961.720

ყველა პროდუქტები 279.481.653

1910—1915 წლებში მთელ ბაქოს გუბერნიაში ამოულიათ:

1910 წელს	671. მილ. ფუთი
1911	461. " "
1912	478. " "
1913	468. " "
1914	431. " "
1915	449. " "

სულ ამოულიათ 2.958.000.000 ფუთი.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ნევთის უტყუარი ნიშნები აღმოჩენილია ყუბის, შემახის და ჯევათის მაზრებში.

ნევთის წარმოების ამ მცირე მიმოხილვიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ადერბეიჯანის ახალგაზდა რესპუბლიკა ისეთი სიმდიდრის პატრონია, რომ მას ადვილათ შეუძლია გააჩალოს და ააყვავოს თითქმის ყველა დარგები ინდუსტრიისა.

სხვა მადნეულოებიდან ბაქოს გუბერნიაში არის ტყვიის მადანი (ყუბის მაზრაში), სპილენძი (გეოგჩაისა და შემახის მაზრებში), მარგანეცი (ბაქოს მაზრაში), რკინა (ყუბის, ლენქორანისა და ჯევათის მაზრებში) და ქვა-ნახშირი (ყუბის, შემახისა და ბაქოს მაზრებში). შაბის მადანი არის მდ. სუმლაიტის ორსავე ნაპირებზე, ილხიდავის მთის სამხრეთით.

**შინამრეწველობა** ყველაზე უფრო განვითარებული იყო შემახის, ყუბისა და გელქაის მაზრებში. აქ ამზადებენ მაუდს, ნოხებს, აბრეშუმის ნაქსოვებს, რკინის იარაღებს და სპილენძის ქურჭლებს. ყუბის მაზრა ცნობილია თავისი ნოხებით. 1912 წელს ამ მაზრის 111 სოფლიდან 97 სოფელში ნოხების კეთებაზე მუშაობდა 39.979 ნოხის ოსტატი. აქაური ნოხები ცნობილია თავისი მაღალი ტექნიკითაც. ბ. ფირალოვის სიტყვით, „კავკასიაში არსად არ ხმარობენ ნოხებისთვის ისეთ კარგ ნართავ მატყლს, როგორც აქ ამ მაზრაში. ამიტომაც აქაური ნოხები საუკეთესოა თავისი სიმტკიცითა და სისუფთავეთ“. აქ უმეტეს ნაწილათ პატარა ზომის ნოხებს აკეთებენ. აქ ნოხის ნახატიც ძველებურია, რაც კარგ ღირსებათ უნდა ჩაითვალოს. აქვე აკეთებენ საუკეთესო ღირსების „სუმახებს“. მენოხეობას მისდევენ აგრეთვე ბაქოსა და ჯევათის მაზრებშიც. შემახის მაზრაში აკეთებდნენ კარგი ღირსების ნოხებს, რომელიც ბაზარზე ცნობილი იყო „კაპრიტანულ ნოხებათ“.

ლენქორანის მაზრაში უმეტეს ნაწილათ ამზადებენ ქილიმებს (ორპირი, უბეწვო ნოხია), ჯეჯიმებს, ხურჯინებსა და მაფრაშებს. მაგრამ ყველა ეს შედარებით დაბალი ღირსებისაა.

აბრეშუმიდან შემახის მაზრაში აკეთებენ ერთობ მტკიცესა და ლამაზ ნაწარმოებს, როგორიც არის: დარაია, „ყალაგი“ (აბრეშუმის ცხვირსახოცები), ხელმანდილები, საბნის საპირები, ჯეჯიმები და სხვა.

ბაქოს გუბერნია ძველთაგან იყო აგრეთვე ცნობილი ადგილობრივი ნაკეთები სპილენძის, რკინისა და ვერცხლის ნივთებით. შემახის მაზრაში ცოტაოდენ რკინასაც აკეთებდნენ. ამ რკინიდან აკეთებენ: ნალებს, ლურსმებს, უნაგირის უზანგებს, სხვა და სხვა სამეურნეო იარაღებს.

ლითონისაგან საუკეთესო ნივთებს აკეთებენ ს. ლალიჩში; მაგალითათ წყლის გადასადუღებელ სპილენძის ქვაბებს, სპილენძის მაცივარს (ХОЛОДИЛЬНИК), ტასტებს, თეფშებს, დოქებს, ქოთნებს და სხვას.

საქართველოში, სომხეთსა და ადერბეიჯანში ძალიან მოწონება აქვს სპილენძის მოკალულ ქურჭლებს.

სპილენძის ქურჭლისადმი ასეთი შიღრეუკილება აქაური ხალხისა, აგრონომი ფირალოვის აზრით, ამიტომაც მიხსნება, რომ აქ ჯერაც არ დაუკარგავს თავისი გავლენა ძველი მომთაბრეულ ცხოვრებას: ხალხი ძველათ ხშირთ გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე. ზაფხულში ის თავისი ჯოგით მიდიო-

და მთებში; ხამთრობით ჩამოდინდა ბარში. ჩვენ უკვე უიციოდ, რომ ბაქოსა და განჯის გუბერნიების ზოგიერთ მაზრებში ყოვლად შეუძლებელია ხაფხულობით ცხოვრება და ხალხი იძულებულია მთებში გაიხიზნოს. ასეთ პირობებში სპილენძის ჯამჭურჭელი უფრო გამოსადეგია, რადგანაც ის გადატანადმოტანას ადვილად უძლებს.

სპილენძის ოსტატები მასალას ყიდულობენ ქედა-ბეგისა, გალიზურისა და გიავარდის სპილენძის ქარხნებში. ამ ქარხნებში ყიდულობდენ სპილენძს ათასი ფუთობით და აქლემებით მიქონდათ ს. ლოლიჩში. ყოველ დიდ „ოსტატს“, რომელსაც უფრო დიდძალი სპილენძი მიქონდა, ყავდა თავისი მყიდველები. აქ სპილენძს აძლევდენ ოსტატებს გადასამუშავებლათ. ფუთი სპილენძში ოსტატს უნდა დაებრუნებია ფუთი ქურჭელი, ქვაბები, ტასტები, დოქები და სხვა. ყველა ეს ქურჭლები გროვდებოდა მესპილენძე სპეკულიანტის ხელში, რომელიც იმას ყიდდა ნაწილობრივად სპილენძის ქურჭლებს სოფლათ დამტარებლებზე, რომელსაც აქ „საგრიაგირებს“ უწოდებენ. ზოგი „საგრიაგირი“ ქურჭლებზე აჭრევენებდა გრავიურებს სხვა და სხვა ფიგურებს სპარსულ გემოვნებაზე და ასეთ ქურჭელს უფრო კარგ ფასებში ჰყიდდა.



### ჩეკანოვიჩის სტამბა.

ნეკატაროვსკაა დირექტორის და გამომცემლის მთავარ სამმართველოს მიერ № 46.

თბილისი, ტრიაკი 2000 ცალი.

# სარჩევი:

	83
წინასიტყვაობა . . . . .	3
საერთო გეოგრაფიული მიმოხილვა . . . . .	5
ამიერ-კავკასიის ტბები, ქაობები და მდინარეები . . . . .	7
<b>I. მოკლე მიმოხილვა საქართველოს ეკონომიურ გეოგრაფიისა:</b>	
1. დასავლეთი საქართველო . . . . .	14
2. აღმოსავლეთი . . . . .	52
3. სამხრეთ-დასავლეთი . . . . .	112
გზებისა და ტრანსპორტის მდგომარეობა საქართველოში . . . . .	121
<b>II. ს ო მ ხ ე თ ი:</b>	
1. ერევნის გუბერნია . . . . .	124
2. ყარსის ოლქი . . . . .	136
<b>III. ა ღ ე რ ბ ე ი ჯ ა ნ ი . . . . .</b>	<b>144</b>



უ ე ც დ მ ე ე ბ ი :

პერდი	სტრიქონი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
5	4 ზევ.	182.661 ვერს	182.661 კვად. ვერს
6	11 ქვ.	ორჯერ	სამჯერ
9	3 ზევ.	ალექსანდროპოლის მაზრაში ერევნის გუბერნიაში	ახალქალაქის მაზრაში
10	1 ქვ.	(200 მდე)	(200 საყენამდე)
11	1 ზევ.	შესრ—	შესარ—
16	1 ქვ.	გალეჩნიკი	ხვინკა
18	14—15 ზევ.	საზამთრო ხორბალს	შემოდგომის პურეულობას
"	5 ქვ.	— 6, 1°	— 6, 1°
"	5 ქვ.	— 12, 5°	— 12, 5°
"	2 ქვ.	1921	1291
19	10 ზევ.	ტისსი (Тиссе), რამშიდი ბზა (აზალია)	ურთხელა (ტისსი), სამშიდი (ბზა), აზალია
"	13 ქვ.	ტყის ვენახი	ტყის ვაზი
20	1 ზევ.	მაზრისა	გუბერნიის
"	2 ქვ.	ქალებს	ქალებს
21	4 ქვ.	Zecova	Zecova
22	13 ქვ.	შოშის	შარა
"	12 ქვ.	ჭკონდა	ჭკონოდა
23	16 ქვ.	ჩრდილო	დასავლეთი
"	11 ქვ.	დიდ ომებამდე	უკანასკნელ მსოფლიო ომამდე
26	6 ზევ.	პოლბა	ასლი
28	3 ქვ.	ნებეს	პატევს
33	16 ზევ.	ორმოციოდე	ოციოდე
33	6 ქვ.	თათრული	ოსმალური
34	2 ზევ.	ფირიცხაში	ფსირცხაში
"	6 ქვ.	„ვირგილის“	„ვირგინიას“
41	2 ქვ.	промыселъ в Зак.	промыселъ в Зак.
"	1 ქვ.	თიბ.	ტფილისი
48	შენიშვნა პირველი	Keport of the Coalfield of Tkvartchely near Otchem- chiri on the Blak Sea, by W. Dalaway. J. Q. S. Mining Engineer;	Keport of the Coalfield of Tkva- rtchely near Otchemchiri of tre Blak Sea, by W. Dala- way, J. Q. S. Mining Engineer
51	9 ქვ.	промыселъ	промыселъ
52	9 ზევ.	საქართველო	საქარხნო
"	13—14 ქვ.	აღმოსავლეთი	აღმოსავლეთ

ვერდი	სტრიქონი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
52	7 ქვ.	სამხრეთ-დასავლეთით.... მთები;	დასავლეთით თითქმის უწევს შავ ზღვას, რომლიდანაც დაშორე- ბულია 60 ვერსით და ეყოფა აქარა-ახალციხის მთებით და სამხრეთ-დასავლეთით კი—ბა- თომის ოლქით.
53	8 ზევ.	აღმოსავლეთის	სამხრეთ-აღმოსავლეთის
	6 ქვ.	возвышенность	возвышенность
54	2 ზევ.	სამხრეთით	ჩრდილოეთით
	12 ზევ.	25 ვერსის.	35 ვერსის
55	10 ზევ.	დიკლო	დიყელა
57	11 ზევ.	ადის	ეცემა
"	4 ქვ.	მალლობებს	მალლობებთან
"	3 ქვ.	მიმოხილვა... მრავალფერობის	მიმოხილვა ცხადათ ყოფს იმ ბუ- ნებრივ მრავალფერობას
58	15 ზევ.	მთა-ვაკიანი	მთა-ვაკიანი
61	3 ქვ.	хвойный лес — წიწვი?	хвойный лес
62	4 ზევ.	i. 500 ფ.	1594 მეტრი
"	12 ზევ.	730.561	720.561
"	ცხრილში	3. ბორჩალო	3. ბორჩალოს
64	ცხრილში		ებრაელები
64	ცხრილში	მოიულები	მთიულები
67	ცხრილში	ფუთი	„ჩეტვერთი“ (12 ფუთი 32 გბრვ.)
69	5 ზევ.	ამხანაგები	ამხანაგობები
72	12 ქვ.	თეთრი ჯიშის ღვინო	თეთრი ღვინო
75	6 ზევ.	რომლითა	რომელთანაც
	11—12 ზევ.	Градобитные муртыры	Градобитные муртыры
79	7 ზევ.	თესლი	თესლს
80	12 ქვ.	ფშავლებში,	ფშავლებში, ხევსურებში
"	1—2 ქვ.	სამრეწველო ჯიშის პი- რუტყვს	პროდუქტის მომცემელ ჯიშის სა- ქონელს (продуктовый скот)
82	1 ქვ.	ოსური	თუშური
"	1 ქვ.	ძროხაზეც ძვირათ ფასობს	რომელიც უფრო ძვირათ ფასობს, ვიდრე ჩვეულებრივი ღუმთან ცხვისა.
84	12 ქვ.	მნიშვნელობა აქვს	მნიშვნელობა არა აქვს
86	3 ზევ.	თეთრ-წყაროსთან	„აღბულალთან“
87	1 ზევ.	სოფელ საკუპრესთან... ქართულათ	ეს სიტყვები უნდა ამოიშალოს
"	ცხრილში	ქონი	ნავთის ზეთიულობა

გვერდი	სტროქონი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
88	4—3 ქვ.	გოლიათის, გველისა და სურაევანდის წინააღმდეგ	„გოლიათის“ წყარო, „გველის“ წყარო და „სურაევანდის წინააღმდეგ“ წყარო.
89	9 ზევ.	პლატეკის	პლატენის
„	8—7 ქვ.	დედათა	დედაკაცის
100	2—3 ქვ.	გამოკვლევა	გამოკვლევიდან
„	2 ქვ.	земледелии	земледелии
110	6 ქვ.	პოდნის	პოჯის
112	6 ქვ.	ქედი ყველაზე	ყველაზე
113	1 ზევ.	ორჯოლიდან	ორჯობიდან
114	5 ქვ.	ქურთების	სომეხ მაჰმადიანების
115	16 ზევ.	„ლიადურ“	საახოვე
119	12 ზევ.	ფარდებისა	ვარდებისა
134	9 ქვ.	თივის	ბალახეულობის
135	4 ზევ.	თივის	ბალახის
„	9 ზევ.	შარურო	შარურო
„	1 ქვ.	მილიონ	—
141	14 ზევ.	1 <sup>1</sup> / <sub>2</sub> —2 მდე	1 <sup>1</sup> / <sub>2</sub> —2 ფუთამდე
149	11 ქვ.	дерти	დეიჯი
151	9 ქვ.	კრიზო	კრმიზ—
161	7 ქვ.	გეტდალის	გერდალის
162	8 ქვ.	„ნაფთალინს“	„ნაფთალანს“
173	4 ზევ.	3) აქულა-ყილი	2) აქულა-ყიზილი
177	ცხრილში	დიდი და პატარა	მსხვილფეხა და წვრილფეხა
179	ცხრილში	ლოსი	ორავული
„	ცხრილში	ბელუგა	თართი
„	ცხრილში	სელდი	ქაშაპი
181	3 ზევ.	ვიაზიგას	წელას (ვიდზიგას)



338:96

3 438

Date	Description	Amount
1890	...	...
1891	...	...
1892	...	...
1893	...	...
1894	...	...
1895	...	...
1896	...	...
1897	...	...
1898	...	...
1899	...	...
1900	...	...